

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

ეკატერინე ბაკარაძე

ინგლისური ენის ლექსიკის განვითარების თანამედროვე
ტენდენციები

(შემოკლებული ერთეულებისა და ახალგაზრდული სლენგის ანალიზის
საფუძველზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის (ფილოლოგიის მიმართულება)
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მანანა რუსიეშვილი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2009

სარჩევი

შესავალი	3
თავი I	
1.2. სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში	8
1.2. შემოკლება	20
1.3. გრაფიკული აბრევიაციის ისტორია	28
1.4. გრაფიკული შემოკლების, როგორც სიტყვაწარმოების საშუალების, ლექსიკალიზაცია, აბრევიატურების განვითარების ეტაპები	31
1.5. ლექსიკალიზებული შემოკლების ორთოგრაფია	35
თავი II	
2.1. აბრევიაცია	37
2.2. აკრონიმია	53
2.3. მოკვეცა	69
2.4. შეზრდა	78
2.5. სლენგი ჩვენს მეტყველებაში	104
თავი III	
3.1. შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების გამოყენების სფეროები	118
3.1.1. სატელეგრაფო შემოკლება	199
3.1.2. სამხედრო, პოლიტიკური და კარტოგრაფიული შემოკლებები	120
3.1.3. კომპიუტერული შემოკლებები	123
3.1.4. შემოკლებები პრესაში	128
3.2. ქართული ნეტიზენების მეტყველება	132
ზოგადი დასკვნები	147
ბიბლიოგრაფია	158
დანართი	168

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სიტყვაწარმოების, როგორც თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკის გამდიდრების საშუალების შესწავლას. შესაბამისად, კვლევის საგანს წარმოადგენს ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალი წარმონაქმნების, შემოკლებული ერთეულების, სლენგის, კერძოდ, ახალგაზრდული სლენგის მასალის შესწავლის საფუძველზე.

ჩვენი ძირითად ამოცანას, გავარკვიოთ პროდუქტიული სიტყვაწარმოების როლი თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში, გამოვყოთ შემოკლების ტიპები, მათი სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი, შეძლებისდაგვარად შევაფასოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესისათვის. ასევე, განვიხილოთ თანამედროვე სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები: შემოკლება (აბრევიაცია, მოკვეცა, აკრონიმია, შეზრდა), აფიქსაცია, კონვერსია, სიტყვათწყობა, უკუწარმოება, გამიზნული გართიმვა, სმოვანთა მონაცვლეობა; ინგლისური ენის ლექსიკის ახალი სიტყვებით, წარმონაქმნებით, ე.წ. newspeak, coined words-ებით უწყვეტი შევსების გზები და საშუალებები. გარდა თეორიული მიზნებისა, დასახული გვაქვს პრაქტიკული მიზანიც, კერძოდ გვაინტერესებს კვლევა ქართულ და ამერიკულ მოზარდებში, შეგვემოწმებინა და შეგვეფასებინა ინტერნეტის ქართული მომხმარებლის მიერ თანამედროვე ინგლისურენოვანი ლექსიკის ცოდნა, შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების, ასევე, სლენგის გამოყენების სიხშირე. ამას ეძღვნება ნაშრომში აღწერილი პრაქტიკული ექსპერიმენტი.

ნაშრომში ძირითადი ორიენტაცია მიმართულია ინგლისური ენის ლექსიკის ცვლილებების კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ასპექტებზე.

ცხადია, ენის განვითარების ისტორიისათვის 10-20 წელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხშირად დროს ეს მცირე მონაკვეთიც გვაძლევს შესაძლებლობას, დავაფიქსიროთ ენაში საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მასშტაბური ცვლილებები. ევროპული ენების 70-90-იანი წლების მდგომარეობა ამ მოვლენის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილება არის უზარმაზარი რაოდენობის ახალი სიტყვების გამოჩენა, მათი თხზვა. მეორე მხრივ, ასევე დიდი

რაოდენობის სიტყვებისა და მათი მნიშვნელობის გაუჩინარება-გაქრობა, რაც ნათლად აისახება ლექსიკონებსა თუ სხვა ლინგვისტურ ლიტერატურაში.

აშკარაა, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები არა შინაგანი, არამედ გარეგანი ფაქტორებია, კერძოდ, საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ცვლილებები და პერტრუბაციები. XX საუკუნე ძალზე საინტერესო გამოდგა ლინგვისტებისათვის. არსებითად, მეტყველებაში განხორციელდა მთელი რიგი სოციოლინგვისტური ექსპერიმენტი, რომლებსაც ნაშრომის შემდეგ თავებში ზოგადად მიმოვიხილავთ.

იმისათვის, რომ 80-90-იანი წლების, ასევე ახალი ათასწლეულის შემოკლებები და ახალგაზრდული სლენგი შევისწავლოთ, აღვნიშნავთ და გავაანალიზოთ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი პრაქტიკული მასალა, რომლებიც მოიცავენ დიდი რაოდენობის ახალწარმონაქმნს, ასევე ინტერნეტის სხვადასხვა გვერდზე არსებული ენის ახალი ერთეულები.

ნაშრომის ძირითად მატერიალურ ბაზად გამოყენებულია შემდეგი ფაქტობრივი მასალა:

1. Paul Dickson - The Authoritative Topic-by-Topic Dictionary of American Lingoes from All Walks of Life, 1999;
2. Dictionary of American Slangs, 1998;
3. Richard A. Spears - NTS's Dictionary of American Slang and Colloquial Expressions, 2001;
4. John Paxton - Dictionary of Abbreviations, 1990;
5. Longman - Dictionary of New Words, 1986;
6. Thomas - Dictionary of Acronyms and Initialisms, 1980;
7. Dick Thurner - Portmanteau Dictionary: Blend words in the English Language, Including Trademarks and Brand Names, 2003;
8. John Ayto - The Oxford Dictionary of Slang, 2001;
9. John Simpson, J.A. Simpson, John Ayto - The Oxford Dictionary of Modern Slang, 2005;
10. Paul McFedries - The Word Spy: The Word Lover's Guide to Modern Culture, 2003;
11. Random House Webster's College Dictionary, 1991;
12. Third Bardhardt Dictionary of New English, 1990;

გარდა ამისა, კვლევის დროს მხედველობაში მივიღეთ ასევე სხვა ლექსიკონებში შესული შემოკლებები, ახალი წარმონაქმნები, სლენგები, ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე არსებული აბრევიატურების, აკრონიმებისა და შენაზარდი სიტყვების დარგობრივი ლექსიკონები, სლენგის ლექსიკონები, როგორცაა:

1. <http://www.chass.utoronto.ca/oed>
2. <http://www.library.utoronto.ca/index.html>
3. <http://www.ucc.ie/info/net/acronyms/acro.html>
4. <http://wordspy.com>
5. <http://www.sas.upenn.edu/~kellym/blend.html>
6. <http://www.barnesandnoble.com>
7. <http://www.newspackdictionary.com/ns-new.html>
8. <http://www.worldwidewords.org/articles/cyber.html>
9. <http://www.netcharles.com/orwell/books/1984-Appendix.htm>
10. <http://www.netlingo.com>
11. <http://www.MED-magazine-contributors.html>
12. <http://www.oberlin.edu/library/>
13. <http://www.lang.nagoya-u.ac.jp/~matsuoka/AmeLit.html>
14. <http://wordsmith.org/awad/>
15. <http://www.answers.com/topic/acronym>
16. <http://www.all-acronyms.com>

საჭიროების შემთხვევაში, ასევე ვაანალიზებდით ჩვენთვის საინტერესო იმ მაგალითებსაც, რომლებსაც ამა თუ იმ ლინგვისტის ნაშრომში ვხვდებოდით. დამატებით, განვახორციელეთ კვლევა ამერიკის უნივერსიტეტში (ქ. ვაშინგტონი, აშშ), ინდიანას უნივერსიტეტში (ქ. ბლუმინგტონი, ინდიანა, აშშ), რამაც ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებული ტენდენციები უფრო ნათლად დაგვანახა, გაგვიადვილა კვლევა და მასალის ანალიზი. ყოველივე ეს დაგვეხმარა იმაში, რომ ნაშრომის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, შედეგები რეალური და ობიექტური ყოფილიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ნაშრომის ძირითადი მიზანია** ინგლისური ენის ახალი ლექსიკის წარმოების ყველა პროდუქტიული სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის შექმნისდაგვარად დეტალური აღწერა, ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების

შესწავლა. ლექსიკის პრაგმატიკულ ასპექტებად, უპირველეს ყოვლისა, მივიჩნევთ მისი გამოყენების იმ თავისებურებებს, რომლებიც დამოკიდებულია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა სოციალურ სტატუსზე, კომუნიკაციური აქტების რეალურ პირობებზე და მათ ზემოქმედებაზე მსმენელზე. ამის გამო ლექსიკის აღწერის პროცესში აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით ხორციელდება მისი თხზვა, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენება იგი და რა მიზნისათვის. შესაბამისად, დაგვიჭირდა მოძიებული მასალის, შეძლებისდაგვარად, დამოწმება ემპირიულადაც, რაც ასახულია ნაშრომის მეორე და მესამე თავებში საქართველოსა და აშშ-ში განხორციელებული კვლევების სახით.

სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვეჩვენა ახალგაზრდული სლენგის, პროფესიონალიზმის, ჟარგონიზმის, ვულგარიზმის, სოციოლექტის ფუნქციონირებისა და გამოყენების თავისებურებები განსაზღვრულ სფეროებში. ვინაიდან სლენგი ენის დამოუკიდებელი მოვლენაა, ის განვიხილეთ, როგორც ცალკე კატეგორია.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მეორე და მესამე ნაწილი ეძღვნება შემოკლებული ერთეულებისა და სიტყვების გამოყენების შესწავლას თანამედროვე მეტყველების სხვადასხვა სფეროში. ესაა სატელეგრაფო, სამხედრო, პოლიტიკური, კომპიუტერული, საგაზეთო, მედიის, ბიზნესისა და მეცნიერების სხვა სფეროებში აქტიურად გამოყენებადი შემოკლებული სიტყვები და ერთეულები. გაანალიზებულია ასევე მათი ფუნქცია თანამედროვე ენის სხვადასხვა სფეროს პროფესიული ლექსიკის ახალი სიტყვებით გამდიდრებაში, რაშიც დაგვეხმარა სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთი, ლექსიკონი თუ ინტერნეტ-რესურსი.

ნაშრომის მეორე თავის ბოლო ნაწილში, „სლენგი ჩვენს მეტყველებში“, კვლევის ერთი კომპონენტი განვახორციელეთ ინდიანას უნივერსიტეტში, ბლუმინგტონში, აშშ, 2009 წლის გაზაფხულის სემესტრში, სადაც მიზნად დავისახეთ, მოგვეძიებინა 20 ყველაზე აქტიური სიტყვა სტუდენტების მეტყველებაში. გარდა ამისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ სლენგის სემანტიკური კლასიფიკაციის ჩამოყალიბება იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით და ვარიაციებით გამოიყენებენ ამერიკელი სტუდენტები ამა თუ იმ სფეროსათვის დამახასიათებელ ლექსიკას.

სადისერტაციო თემის ბოლო ნაწილი ეძღვნება ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლას ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში. აუცილებლად მივიჩნით, გვეწარმოებინა ერთგვარი გამოკითხვა და ასევე შეგვეფასებინა ქართველი ინტერნეტ-მოქალაქეების ანუ ნეტიზენების - netizens < network citizens მეტყველება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპიუტერის მომხმარებელთა კომუნიკაცია. ნაშრომში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დისერტაციაში განხორციელებული კვლევა არის პირველი მცდელობა საქართველოში ქართველი თინეიჯერების მიერ შემოკლებული ე.წ. World Wide Words-ის გამოყენების შესწავლისა და შეფასებისა. ასევე მიზნად დავისახეთ, შემოკლებული ერთეულების მიერ ინგლისური კიბერმეტყველების (cyberspeak) ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადასხვა გზებისა და საშუალებების შესწავლა და შეფასება, მათი პროდუქტიულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ინგლისური ენის ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში.

კვლევის აქტუალობა: ნაშრომში ნაწარმოებ კვლევას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ღირებულება. კერძოდ, მის თეორიულ ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აქ განხილული და შესწავლილია თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოების სპეციფიკა, გამოვლენილია პროდუქტიული და არაპროდუქტიული მოდელები და მათი კონტექსტური აქტუალიზაციის სპეციფიკა. შესაბამისად, ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ფილოლოგიის სპეციალობის სპეცკურსებსა და მეცადინეობებზე.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი: ნაშრომი შედგება სამი თავისაგან (180 გვერდი), გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან. შესავალში დასაბუთებულია შერჩეული თემის აქტუალობა, ახსნილია მიზანი, ობიექტი, ამოცანები, მისი მეცნიერული სიახლე, დასახელებულია დასაცავად გამოტანილი დებულებები, ახსნილია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველ თავში განხილულია სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში, შესწავლილია შემოკლება, როგორც სიტყვათწარმოების ერთ-ერთი სახე, გაანალიზებულია გრაფიკული აბრევიაციის ისტორია, გრაფიკული შემოკლების, როგორც სიტყვაწარმოების საშუალების, ლექსიკალიზაცია,

განხილულია აბრევიატურების განვითარების ეტაპები, ასევე ლექსიკალიზებული შემოკლების ორთოგრაფიული მახასიათებლები.

მეორე თავში დეტალურად არის განხილული შემოკლების ტიპები: აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა და შეზრდა, ასევე შესწავლილია სლენგის არსებობა ჩვენს მეტყველებაში, ასევე, ამერიკელი ახალგაზრდების მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

მესამე თავში განხილულია შემოკლების გამოყენების სფეროები, ასევე განხორციელებულია კვლევა ქართველი მოზარდების ინგლისურენოვანი კომუნიკაციის სპეციფიკის, კერძოდ კი მათ მიერ ჩვენთვის საინტერესო თანამედროვე კომპიუტერული ლექსიკის ფლობის ხარისხთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები, დართულია გამოყენებული ლიტერატურის სია. დანართის სახით წარმოდგენილია ჩვენს მიერ მოკვლეული ახალი სიტყვები, რომლებიც ჯერ არ არიან რეგისტრირებულნი ლექსიკონებსა და სპეციალურ ლიტერატურაში.

თავი I

1.1. სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში

სიტყვაწარმოება არის სიტყვების შექმნის პროცესი გარკვეული სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების გამოყენებითა და მათზე დაყრდნობით. მეცნიერები იკვლევენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთა მიხედვითაც იქმნება და იწარმოება სიტყვა. სიტყვაწარმოების საგანს წარმოადგენს პირველადი, ძირეული სიტყვები და მათგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები - დერივაციული და რთული სიტყვები.

ტერმინი „სიტყვაწარმოება“ იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავებას საჭიროებს. პირველი მნიშვნელობით ის გამოიყენება ენაში ახალი სიტყვების წარმოშობის მუდმივი პროცესის გამოსახატავად. ენა მუდმივად ცვლილებისა და განვითარების პროცესშია, რაც გულისხმობს გარკვეულ ენობრივ პროცესებს, მათ შორის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის პროცესს, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სიტყვაწარმოება“. მეორე მნიშვნელობით ტერმინი „სიტყვაწარმოება“ აღნიშნავს ენათმეცნიერების ნაწილს, რომელიც შეისწავლის ლექსიკური ერთეულების წარმოშობის პროცესს.

იმის მიხედვით, თუ რა ადგილი, სტატუსი და ურთიერთობა აქვს სიტყვაწარმოებას სხვა ლინგვისტურ დისციპლინებთან, რომელთა კვლევის საგანია ენის სტრუქტურული დონეები (ფონეტიკა, ფონოლოგია, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, გრამატიკა), მეცნიერები მას მიაკუთვნებენ ხან გრამატიკას (ი.ს. სტეპანოვი :1980, ნ.ი. ფილინი 1970), ხან მიიჩნევენ ენათმეცნიერების დამოუკიდებელ, მორფოლოგიისაგან სრულიად ავტონომიურ დარგად, მაგ: ტ.ე. კატენინა და ვ.დ. ბაბაკაევა 1980, ასევე მორფოლოგიასთან ახლოს მდგომ დარგად, მაგ: ი. ბალაშა და ს.ს. მასლოვა-ლაშანსკაია (1975), ა. მეიე, ბ. ფონსუა (1974: 204). ამ განსხვავებულ შეხედულებებს აერთიანებს ვარაუდი, რომ სიტყვაწარმოების საკითხები გრამატიკის და არა ლექსიკოლოგიის კომპეტენციას შეადგენს. ამ მხრივ, საყურადღებოა ვ.ვ. ვინოგრადოვის მოსაზრება, რომლის თანახმად სიტყვაწარმოება წარმოადგენს ლექსიკოლოგიური და გრამატიკული კვლევის საგანს, ე.ი. ის უნდა იქნეს გამოკვლეული როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის მხრივ. შესაძლოა, ასეთი

ორნაირი განხილვა განაპირობებს სიტყვაწარმოების გამოყოფას დამოუკიდებელ დისციპლინად. სიტყვაწარმოება აუცილებლად უნდა განიხილებოდეს, როგორც პროცესი, ცოცხალი ენის თვისება, ხოლო თეორიული დებულებები უნდა გამომდინარეობდეს ენობრივი რეალობიდან და ეყრდნობოდეს მას (ვინოგრადოვი 1959: 105).

ბევრ ავტორს სიტყვაწარმოების საკითხები ლექსიკოლოგიაში შეაქვს, რამდენადაც სიტყვაწარმოება მიაჩნია ლექსიკური სისტემის ერთ-ერთ მომენტად, მაგ: რ.ს. გინზბურგი და მისი თანაავტორები, (გინზბურგი 1979: 200-202), ა. სმირნიცი (სმირნიცი 1976), სიტყვაწარმოების შესწავლის ასეთივე თვალსაზრისი ივარაუდება კ. ლეეკოვსკაიას „გერმანული ენის ლექსიკოლოგიაში“ (ლეეკოვსკაია 1976: 145). სხვებს სიტყვაწარმოება ასევე შეაქვთ ლექსიკოლოგიაში იმ საფუძვლით, რომ იგი არ შემოისაზღვრება მხოლოდ ლექსიკური შემადგენლობით, არამედ ლექსიკის გამდიდრების, შევსების წყაროდ. ბ. ფონსუა (ფონსუა 1974: 204) ნაშრომში „სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია“ თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებს: „ეს ვარაუდი XX საუკუნის 50-70-იან წლებში არსებობდა. დღეს კი სიტყვაწარმოების ადგილი ნამდვილად ლექსიკოლოგიაშია. ამ დაკავშირებას ის გამართლებაც აქვს, რომ ორივეს შესწავლის ობიექტი სიტყვაა, მაგრამ ზოგჯერ მას მორფოლოგიაშიც განიხილავენ, რადგანაც იგი სიტყვის აგებულებას სწავლობს“. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მეცნიერი, მაგ: ი.ვ. არნოლდი, (არნოლდი 1986: 97) ამ საკითხის განხილვას საერთოდ თავს არიდებს.

დღეს სიტყვაწარმოებას განიხილავენ, როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სფეროს. ამგვარად, სიტყვაწარმოება არის ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვების წარმოების პროცესებს, ხერხებს, ტიპებსა და წესებს, მათ პროდუქტიულობას, აქტიურობასა და სიტყვაწარმოების საშუალებებისა და მოდელების გამოყენების კანონიერებას. მას მჭიდრო კავშირი აქვს ლინგვისტიკის სხვა დისციპლინებთან. სიტყვაწარმოება აწარმოებს კვლევებს მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკოლოგიაში, სოციოლინგვისტიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში. ეს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკავშირი განისაზღვრება ენის სისტემური თვისებებით.

სიტყვაწარმოების ზოგად პრობლემას მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა ნაშრომი. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო დრომდე ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყნის ლინგვისტთა მიერ ლექსიკოლოგიის ფარგლებშია

დამუშავებული. ინგლისური ენის სიტყვაწარმოება განხილული აქვთ შემდეგ ავტორებს: ი.ვ. არნოლდი (1986), ვ.ი. ზაბოტკინა (1989), ტ.მ. ბელიაევა (1979), ი.რ. გალპერინი (1980), რ.ს. გინზბურგი, ს.ს. ხიდეკელი, გ.უ. კნიაზევა, ა.ა. სანკინი (1979), პ.მ. კარაშუკი (1977), ო.დ. მეშკოვი (1976), გ.ლ. მიკლაშევსკაია (1971), მ.ს. რეტუნსკაია (1964), ა.ი. სმირნიცკი (1955), პ.ვ. ცარევი (1984), ვ. ადამსი (2001), კ. ბაუერი (1983), პ. მარშანდი (1969), ს. მონსონი (1958), ე. ნიდა (1946), ა.ნ. ელდშევი (1985), და ა.შ. დიაქრონულ ასპექტებში ს.ს. ბერკნერი და დ.ი. ალექსეევი (1968), საინტერესოა, რომ წინამდებარე პრობლემა მეცნიერებმა, თუმცა კვლავ ლექსიკოლოგიის ფარგლებში, მაგრამ სხვადასხვა ასპექტში განიხილეს, მაგალითად: სტრუქტურული თვალსაზრისით - ე.ბ. ჩერკასკაია, ი.მ. ბერმანი (1959), ტ. ი. არბეკოვა, ა.უ. მურადიანი, ა.დ. კრაევი, ა.ნ. შეველიოვა, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მეთოდით - ნ.ნ. ამოსოვა (1963), უ.ც. სტეპანოვი (1953), ვ.ვ. ბორისოვი (1972), ვ.მ. დებოვი, მ.ა. სკვორცოვა, ე.მ. ღუბენეცი, ფუნქციონალურ ასპექტებში - ნ.პ. ბესსონოვა, ნ.ა. სევიდოვა, სტრუქტურულ-ფუნქციონალურად ა.ს. მურიჩევი, კოგნიტიური თვალსაზრისით ე.რ. მუსტაფინი და მრავალი სხვა.

ენის ლექსიკის გამდიდრება, როგორც ცნობილია, ხორციელდება ერთი მხრივ, სიტყვაწარმოების იმ მოდელებზე დაყრდნობითა და მეშვეობით, რომლებიც უკვე დაფიქსირებულია ენაში, მეორე მხრივ, სხვადასხვა ენიდან მზა სიტყვების შესვლით, ან ენაში უკვე არსებული სიტყვების მნიშვნელობის გაფართოების გზით.

ენის ლექსიკის განვითარებაში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი, ძირითადად სასაუბრო რეგისტრის სიტყვებით, (შანსკი 1968: 252), რაც მუდმივად ხორციელდება, ჩვენს გარემომცველ სამყაროში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ამიტომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების პროდუქტიული მოდელებისა და მათი ტიპების შესწავლას, რომელთა მეშვეობით გახდა მათი წარმოება შესაძლებელი. საკვლევ მასალას წარმოადგენს ასევე ამ მოდელების აქტიურობის, პროდუქტიულობისა და გამოყენების ხარისხების შესწავლა. ცნობილია, რომ ახალი სიტყვების წარმოება იმ მოდელების, სიტყვაწარმოებელი ტიპების მიხედვით ხდება, რომლებიც უკვე დადგენილია ან ასევე შესაძლოა განხორციელდეს ახალი ფუძეების გამოყოფით

და ახალი აფიქსალური ელემენტების გამოყენებით, რაც სიტყვაწარმოების სისტემის განვითარებასა და სრულყოფას უკავშირდება. (ვინოგრადოვი 1977; დიქსონი 1999).

სიტყვაწარმოების პროცესში ხდება სიტყვის ფორმალურ-სემანტიკური გარდაქმნა, რომელსაც ადგილი აქვს როგორც მაწარმოებელ სიტყვებს შორის, ასევე მაწარმოებელ ფუძეებსა და სიტყვამაწარმოებელ ელემენტებს შორის. სიტყვათსაწარმოებელი ანალიზი შედგება წარმოებული სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზისაგან (მორფემული ანალიზი). როგორც ცნობილია, ეტიმოლოგიურ ანალიზს მიმართავენ, როდესაც კვლევა წარმოებს დიაქრონულ პლანში და ასევე სინქრონული აღწერის დროს ასახსნელია სიტყვების გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები.

სიტყვაწარმოების თეორია ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც იგი შეისწავლის როგორც ახალი ლინგვისტური ერთეულების წარმოების საშუალების მთლიან კომპლექსებს, ასევე მათი თანამედროვე მდგომარეობისა და ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებსა და მოდელებს, მათ ტიპებსა და პროდუქტიულობას. ამავე დროს, დიდი ყურადღება ექცევა უკვე შექმნილი სიტყვების წარმოების სპეციფიკის შესწავლას.

სიტყვაწარმოების შესწავლა გულისხმობს ასევე რეალური პროცესებისა და სიტყვაწარმოების წესების სტრუქტურის კვლევას ენაში უკვე დაფიქსირებული სიტყვების მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა სწორად გავიგოთ სიტყვაწარმოების პროცესები, მოსაუბრემ კი შექმნას სიტყვა მეტყველების დროს ენის სისტემის ერთეულის გამოყენებით.

სიტყვაწარმოების სისტემა მუდმივად ვითარდება, იცვლის იერს, მდიდრდება. ენაში მიმდინარე სიტყვაწარმოების პროცესების ფუნქციონირება და ევოლუცია ზედმიწევნით აირეკლება ლექსიკურ ახალწარმონაქმნებში, რომელთა ანალიზის გარეშე ჩვენი წარმოდგენა სიტყვაწარმოების საშუალებების, ხერხებისა და მოდელების მოქმედებაზე არასრული იქნებოდა. ნეოლოგიზმების შესწავლა ენის განვითარების ყოველ ცალკეულ ეტაპზე ავსებს და ამყარებს უკვე არსებულ მონაცემებს ამ სისტემაზე, გვიჩვენებს იმ ცვლილებათა თავისებურებებს, რომლებიც ენის ლექსიკაში ხორციელდება მათი ზემოქმედებით და იძლევა საშუალებას, დადგინდეს სოციალურ-ისტორიული განვითარების თავისებურება ამა თუ იმ ენის მატარებელ სოციუმში

(ბორტნიჩუკი, ვასილენკო 1988: 6). ყოველივე ეს ინგლისური ენის თანამედროვე ეტაპზე აშკარაა.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ იწარმოება ლექსიკა, უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა არის ენის მთავარი, ძირითადი ერთეული, ენა კი სისტემა, და რომ ამ სისტემაში ერთდროულად თანაარსებობენ ხმარებიდან გამოსული (არქაული) და ახლად წარმოქმნილი სიტყვები (ნეოლოგიზმები), რაც აძლევს საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ ენის სტრუქტურაზე მოახდინოს ზემოქმედება (ფილინი 1970: 17). როგორც ცნობილია, სიტყვას აქვს დენოტატიური (აღსანიშნი) და კონოტატიური (დამატებითი) მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ახალი სიტყვები ენაში შეიძლება წარმოიშვნენ:

ა) ახალი რეალიებისა და გარესამყაროში მომხდარი მოვლენების აღსანიშნავად, რომლებიც იქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის, საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად;

ბ) სიტყვაწარმოების საშუალებით მოსაუბრისა თუ მწერლის ექსპრესიულ-შეფასებითი მიმართების გამოსახატავად რაიმე საგნის, მოვლენისა თუ ადრესატისადმი.

იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნით არიან შექმნილი ახალი სიტყვები ენაში არსებული მოდელების გამოყენებით, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ენასა და მეტყველებასთან, ენის ლექსიკურ მარაგთან, შეგვიძლია ისინი დავეყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. უზუალური სიტყვები, რომლებიც მყარად შევიდნენ რეგისტრირებულ ლექსიკონებსა და ენის ლექსიკურ მარაგში;
2. ოკაზიონალური სიტყვები, რომლებიც საუბრის მომენტში იქმნება. მათი წარმოების მექანიზმი მრავალმხრივია და მეტად რთული. თამაზ გამყრელიძე შემდეგნაირად განმარტავს ოკაზიონალური სიტყვების არსს: „ენობრივი ნიშანი რომელიმე მოლაპარაკემ შეიძლება შექმნას გარკვეულ პირობებში, კონკრეტულ კონტექსტში ერთჯერადი გამოყენებისათვის. ამგვარ ინდივიდუალურ-საავტორო გამონათქვამებს, რომლებიც არ შედიან ენობრივ სისტემაში ოკაზიონალიზმები ეწოდება. ისინი გვხვდება პოეზიაში, ბავშვის მეტყველებაში, „ლინგვისტურ თამაშებში“. ოკაზიონალიზმები შემოფარგლულია მოცემული გამონათქვამის ჩარჩოებით, მოულოდნელია, ახალია და ძალიან ექსპრესიული" (გამყრელიძე, კიკნაძე 2003: 387). რეალურად, მოსაუბრე თუ მწერალი თავად ქმნის თავის საკუთარ სიტყვებს

არსებული მოდელებით, ჩვეულებრივ, განსაზღვრული სტილისტური მიზნისათვის. არც თუ იშვიათად, მსგავსი სიტყვები გასაგებია მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში (სტეპანოვა, შლაიხერი 1984: 180-181).

მსგავსი სიტყვები ჩნდებიან და ქრებიან და, შესაბამისად, ყოველთვის არ რეგისტრირდებიან ლექსიკონებში. ამიტომ სიტყვამაწარმოებელი ელემენტები, რომლებიც მათ შესაქმნელად გამოიყენეს, ლექსიკონებში ცალკე ქვეთავად არის მოცემული და თან ახლავს ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობა.

ინგლისური ენის სიტყვაწარმოების პროცესში ლინგვისტები გამოყოფენ შემდეგ ხერხებს: აფიქსაცია (პრეფიქსაცია და სუფიქსაცია) ანუ პროგრესული დერივაცია, კონვერსია, კომპოზიცია, შემოკლება (აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა). ასახელებენ სიტყვაწარმოების სხვა საშუალებებსაც. ესენია: უკუწარმოება, პოსტპოზიტივაცია, ბგერის მიმსგავსება, გამეორება, ლექსიკურ-სემანტიკური სიტყვაწარმოება, ბგერათა მონაცვლეობა, მახვილის მონაცვლეობა.

ჩამოთვლილთაგან ყველა არ გამოიყენება ერთნაირად აქტიურად. არც თუ იშვიათად, ნაწარმოები სიტყვა რამდენიმე სიტყვამაწარმოებელი პროცესის შედეგია. მაგალითად, colour-blindness, ერთდროულად, კომპოზიციისაა და აფიქსაციის ნიმუშია (colour-blind → ness < colour + blind).

ე.ს. კუბრიაკოვა ნაწარმოებ სიტყვებს ანუ დერივატებს ორ ჯგუფად ყოფს: სწორხაზოვან და არასწორხაზოვან ერთეულებად. სწორხაზოვანი ტიპისა არიან აფიქსალური სიტყვები და კომპოზიციები. მაგ: un + nature + al + ly; house + keep + er; house + top. აღსანიშნავია ასევე შემდეგი მაგალითებიც: anti + dis + establish + ment + ary + an + ism, inter + de + nomina + tion + al + ism, un + self + conscious + ness (არნოლდი :1986 200).

საინტერესოა, რომ ჯეიმს ჯოისია ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიტყვის (101 ერთეული) bababadalgharaghtakamminarronkonnbronntonnerronntuonnthunntrovarrhounawnskawntoohooordenenthurnuk (ჯოისი 1939) ავტორი. ამ სიტყვას ერთი ასოთი ჩამორჩება 1973 წლის პეპსის სარეკლამო სააგენტოს "Boase Massimi Pollitt"-ის მიერ გამოყენებული ფრაზა "Lipsmackinthirstquenchinacetastinmotivatinggoodbuzzincool-talkinhighwalkinfastlivinevergivincool-fizzin" სატელევიზიო რეკლამის დროს, რომელიც ერთი სიტყვით არის გადმოცემული. თუმცა, ინტერნეტის მეშვეობით არ გაგვიჭირდა გვეპოვა ყველაზე გრძელი სიტყვა, რომელიც ანტიკური ხანის კომიკოსს – არისტოფანეს ეკუთვნის 183 ერთეულით, რომელშიც თავმოყრილია

კერძის

მომზადების

რეცეპტი:

Lopadotemakhoselakhogameokranioleipsanodrimypotrimmatosilphiokarabomelitokatakekhymentokakleptekymnikhlepikossyphophattoperister. (http://en.wikipedia.org/wiki/Longest_word_in_English).

ამ მოდელის მიხედვით სიტყვები იწარმოება გარკვეული სიტყვამაწარმოებელი საშუალების დახმარებით, არსებულ მორფემებს დერივაციულს უმატებენ. ამის გამოსახვა ფორმულის სახით შემდგენიარად შეიძლება: A (ახალი სიტყვა) $= B + C + D$ (სადაც B, C, D სიტყვამაწარმოებელი ელემენტებია). მეორე ტიპს მიეკუთვნება შემოკლება (აბრევიაცია, მოკვეცა), კონვერსია, უკუდერივაცია. მაგ: exam, ltd, bus, gold - to gild, beg (სიტყვიდან begger) (კუბრიაკოვა 1972: 91). ამ მოდელის მიხედვით, ახალი სიტყვების წარმოება არ ხორციელდება რაიმე სიტყვამაწარმოებელი საშუალების მეშვეობით. ეს პროცესი ფორმულით შემდგენიარად გამოიხატება: $A \rightarrow B$ (ბორისოვი 1972: 83).

ჰ. მარშანდმა ჩამოაყალიბა სიტყვაწარმოების მეტად საინტერესო კლასიფიკაცია. იგი საკუთრივ ლინგვისტურ ნიშნებს შემდგენიარად განასხვავებს (მარშანდი 1969: 64):

1. სიტყვები, რომლებიც იწარმოება, როგორც გრამატიკული სინტაგმები. ისინი მორფოლოგიურად მოტივირებულნი არიან. მაგ: do-er, rain-bow;
2. სიტყვები, რომლებიც არ არიან გრამატიკული სინტაგმები, სრული ლინგვისტური ნიშნებისგან არ არიან ნაწარმოები (მარშანდი 1969: 64). მაგ: babynap. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კონვერსია, სუფიქსაცია, აბრევიაცია და უკუდერივაცია, მეორეს კი - შეზრდა, მოკვეცა. მაგრამ ორივე ჯგუფში ახალი სიტყვის წარმოებას საფუძვლად უდევს მორფემებს შორის სინქრონული ურთიერთობა (მარშანდი 1969: 70).

ინგლისური ენის სიტყვაწარმოების ძირითად ტიპებად, როგორც ვიცით, ითვლება მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ტიპები. მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური სიტყვაწარმოების საშუალებით ახალ სიტყვას ვღებულობთ ფონეტიკური და /ან მორფემული შემადგენლობის სახესხვაობით, ცვლილებით, სიტყვამაწარმოებელ ფუძეში მახვილის ადგილის შეცვლით. სიტყვაწარმოების ამ ტიპს მიეკუთვნება აფიქსაცია, კომპოზიცია, შემოკლება,

უკუდერივაცია, პოსტკოზიტივაცია, ბგერათა დანაწევრება და მახვილის მონაცვლეობა სიტყვაში.

მორფოლოგიურ-სინტაქსური სიტყვაწარმოება არის ნაწარმოები სიტყვის შექმნა ამოსავალი სიტყვის პარადიგმისა და სინტაქსური ფუნქციის შეცვლით. სიტყვაწარმოების ამ ტიპს მიეკუთვნება კონვერსია. (ბორტნიჩუკი 1988: 9-11).

ლექსიკურ-სემანტიკური სიტყვაწარმოება ტრადიციულად განიხილება, როგორც სიტყვების წარმოება მაწარმოებელი სიტყვის მნიშვნელობის შეცვლით, რომლის შედეგადაც ენაში ჩნდება ომონიმები.

სიტყვაწარმოების ზემოთხამოთვლილი საშუალებებიდან ზოგი პროდუქტიულია, ზოგი - არა. ახალი სიტყვების საწარმოებლად ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება, მაგალითად, აფიქსაცია. თვით აფიქსებს შორისაც გამოიყოფა:

1. მაღალპროდუქტიული აფიქსები, რომლებიც განუსაზღვრელი რაოდენობის სიტყვებს აწარმოებენ;
2. შედარებით ნაკლებპროდუქტიული აფიქსები;
3. არაპროდუქტიული აფიქსები.

საინტერესოა, თუ რას გულისხმობენ ლინგვისტები ტერმინის “მაღალპროდუქტიული” ქვეშ. აფიქსის მაღალპროდუქტიულობა განიზომება არა იმით, თუ რა სიხშირით გვხვდება საუბრისას ამ აფიქსით ნაწარმოები სიტყვა, არამედ იმით, თუ რა რაოდენობის ახალ სიტყვებს აწარმოებს იგი ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, პროდუქტიულად ის მოდელები ითვლება, რომლებიც ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე გამოიყენება ახალი სიტყვების წარმოების ნიმუშებად.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემდეგი: სუფიქსი – er აქტიური და ამავე დროს, პროდუქტიულიცაა. ინგლისურ ენაში ძალიან ბევრი არსებითი სახელია ნაწარმოები ამ სუფიქსით. შეგვიძლია გამოვიყენოთ ფორმულა: $V + er \rightarrow N$, მაგ: driver, goer, speaker, printer, onlooker, singer, finder-out და ა.შ. აღნიშნული სუფიქსის დართვით თავისუფლად შეიძლება ვაწარმოოთ განუსაზღვრელი რაოდენობის ოკაზიონალური სიტყვები და გამოთქმები, მაგალითად: laughter, interpreter, fundraiser, financier და ა.შ.

ასევე მაღალპროდუქტიულია ინგლისურ ენაში $V + ing \rightarrow N$ მოდელი. მაგ: kissing, painting, laughing, flying, interesting, law-making, gathering, sitting.

პროდუქტიულად ითვლება ინგლისურ ენაში - ness და - less სუფიქსებიც, რომლებიც ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოისახება: N + ness → Adj და N + less → Adj. მაგ: youngness, lovableness, blessedness, all-at-once-ness, laughterless, changeless, sugarless, umbrellaless და ა.შ.

მაღალპროდუქტიული სუფიქსებია ასევე -ist, -ish. მაგ: economist, palaeontologist, monogamist, childish, modish, dilettantish. ნაკლებპროდუქტიულებად ითვლება მოდელები, რომლებიც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნენ ახალი სიტყვების წარმოების ნიმუშებად, მაგრამ ვერ გამოდგებიან დიდი რაოდენობის სიტყვების შესაქმნელად. ასეთებად ვთვლით: -ee, -ese, -ette, -esque. მაგ: conferee, nominee, offeree, cablese, commercialese, journalese, leaderette, kitchenette, luncheonette, jockette, Byzantinesque, Japanesque, statuesque, picturesque (ბორტნიჩუკი 1988: 50-53). საინტერესოა, რომ სუფიქსი -ee ძირითადად იურიდიულ ტერმინოლოგიაში, კერძოდ, კონტრაქტებში გამოიყენება, მაგ: abandonee, pawnee, mortgagee, leasee, indorsee. რაც შეეხება სუფიქსს ette, ess-ის მსგავსად, ფრანგული ენიდანაა ნასესხები და მდებარეობს სქესზე მიუთითებს შემდეგ ნაწარმოებ სიტყვებში: brunette, conductolette, farmerette (მაჩაიძე 2002: 167).

არაპროდუქტიულებად თვლიან მოდელებს, რომელთა გამოყენებით ახალი სიტყვების წარმოება არ შეგვიძლია, რადგან მათი მეშვეობით ენაში უკვე არსებობს წარმოებული სიტყვები, რომელთა რაოდენობა მცირეა და ქმნიან ე.წ. “სიტყვათა დახურულ რიგს”. გამოვიყენოთ ფორმულა V + ard → N, ან N + cy → N. მაგ: obstinacy, complicity, aristocracy (ბორისოვი, 1972:226-227), legacy, drunkard, dullard, stinkard, laggard, ასევეა -ive სუფიქსიც, მაგ: defensive, creative, substantive, sedative და ა.შ (ბორტნიჩუკი 1988: 18).

აფიქსაცია, კონვერსია და კომპოზიცია თანამედროვე ინგლისურ ენაში სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებებია. სხვა საშუალებებს მიეკუთვნება უკუდერივაცია და შემოკლება. აბრევიაცია, როგორც ცნობილია, მეორადი ნომინაციის მქონე ლექსიკური ერთეულების შექმნის ისეთი პროცესია, რომელიც მდგომარეობს მოტივაციის წყაროს ნებისმიერი ნაწილის მოკვეცაში, რის შედეგადაც წარმოიქმნება ისეთი სიტყვა, რომელიც თავისი ფორმით ემთხვევა ამოსავალი ერთეულის რომელიმე ნაწილს (ან ნაწილებს).

ა. ელდიშევა ჩამოაყალიბა შემოკლების სტრუქტურული კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყო სამი სტრუქტურული ტიპი:

1. მარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც შედის ერთი სიტყვის ნაწილი ან ნაწილები, რომლებშიც ორ მარცვალზე ნაკლები არ უნდა იყოს;
2. რთულმარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან არა მარტო სიტყვის რედუცირებული ნაწილები და ასოზე მეტის შემცველი მარცვლები, ამასთან, მთლიანი სიტყვა ან სიტყვებიც;
3. ინიციალური შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედიან სიტყვის საწყისი ასოები, ბგერები (ინიციალები) ან შემოკლებული შესიტყვებები (ელდიშევი 1985: 35)

ამ კლასიფიკაციის პირველი ტიპი მოიცავს მოკვეცილ სიტყვებს (clippings, clipped words), მეორე ტიპი - შენაზარდებს (blends, blendings, blend words, portmanteau words), მესამე ტიპი კი აბრევიატურებსა (abbreviations) და აკრონიმებს (acronyms). ყოველივე ამის მიხედვით, ავტორის აზრით, შეგვიძლია სიტყვების შემოკლება და მიღებული ერთეულის გამოყენება ახალი სიტყვის შესაქმნელად.

შემოკლებული სიტყვა ძირეულთან შედარებით მოკლეა, ერთმნიშვნელოვანი, მარტივი, სინტაქსური ფუნქცია გაფართოებული აქვს. ამიტომაც, სიტყვაწარმოების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელია. საინტერესოა ასევე ფონეტიკური მიმიკრიის ფენომენიც: სიტყვაწარმოების ეს ხერხი ეფუძნება ერთ ენაში სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ფონეტიკურად იდენტური სიტყვების მისადაგებას მეორე ენაში არსებულ სიტყვებსა თუ პროფესიულ ტერმინებთან. მაგ: button – батон, keyboard – киборг, shareware - шаровар, breakpoint – брякпоинт. ამ მოვლენას ძალზე ჰგავს ბგერათა მიმსგავსება, მაგ: interpretator – интертрепатор.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ბოლო პერიოდში ახალგაზრდობის მეტყველებაში შემოსული სიტყვები, რომლებიც, ზოგიერთის თქმით, აშკარად მეტყველებენ თინეიჯერთა მიერ ენის მიზნობრივ შეცვლაზე, მის „დამხობაზე“. ენაში დაიწყო ე.წ. დიგლოსია, ორენოვნება, რაც, ამ შემთხვევაში, გამოიხატება ერთ ენაში ამავე ენის ორი ფორმის თანაარსებობით მის სხვადასხვა სფეროში. ინგლისში, საყოველთაოდ მიღებული ინგლისური ენის გვერდით აღმოცენდა სრულიად ახალი ინგლისური ენა, რომელსაც

როგორც ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონ ორუელმა "newspeak" (ორუელი :1949) უწოდა და გახდა ყველაზე ჩვეული დასახელება ლინგვოპოლიტიკური მონსტრისა. დიგლოსიას ადრეც არსებობდა, სხვა ენებშიც, მაგ: ძველ რუსულში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა სასაუბრო რუსული ენა და სალიტერატურო-საეკლესიო სლავური. მოგვიანებით, XVII საუკუნეში კი რუსულ ენას მოუწია თანაარსებობა ფრანგულთან. დიგლოსიის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ არაბულ სამყაროში არაბული სალიტერატურო ენის გამოყენება ოფიციალურ სფეროებში (განათლების სისტემა, მასმედია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვა), ხოლო ხალხური არაბული ენა – დიალექტებისა – ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში. „დიგლოსია საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა. იგი შეიძლება სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციით იყოს გამოწვეული. მაგალითად, ბერძნული დიგლოსიის ძირები მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა სრული სახით იგი ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, ბერძნული ლიტერატურის აღორძინების ხანაში; „შვეიცარიული გერმანულის“ შემთხვევაში დიგლოსია განვითარდა გერმანული ენის სტანდარტული ფორმებისაგან ამ ენის ხანგრძლივი რელიგიური და პოლიტიკური იზოლაციის შედეგად.“ (გამყრელიძე 2003: 459-460) დიგლოსია, საერთოდ რელიგიური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც „მაღალი“ რელიგიური ენა ემსახურებოდა მხოლოდ რელიგიურ-რიტუალურ და მსგავს საზოგადოებასა თუ ერთობას. სხვა სიტუაციაში გამოიყენებოდა „დაბალი“ სალაპარაკო-სასაუბრო ენა. ინგლისური და რუსული საზოგადოების სინამდვილეში გამოიყენებოდა ენის სხვა მრავალი ფორმა, მაგ: უბრალო (სალაპარაკო-სასაუბრო ენა), სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი, სოციოლექტი და ა.შ. ეს ფორმები ერთმანეთთან თითქმის არ ურთიერთმოქმედებდნენ, რადგანაც სხვადასხვა საზოგადოების საკომუნიკაციო საშუალებებს მიეკუთვნებოდნენ. ენაში არსებულმა სხვადასხვა ფორმამ გააღვივა ინტერესი სტანდარტული, სალიტერატურო ენების დახასიათებისა და შესწავლისადმი, თავად ამ ყოველი ფენომენის ანალიზისადმი, იმ ვითარებისადმი, როდესაც საზოგადოებაში თანაარსებობს სოციალური სტატუსით განსხვავებული რამდენიმე ენა ან ერთი და იმავე ენის ორი სხვადასხვა სახეობა.

ვინაიდან ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს ახალი სიტყვების წარმოების ყველა ეს ტიპი, თითოეულ მათგანს უფრო დაწვრილებით ნაშრომის შემდეგ ნაწილებში განვიხილავთ.

1.2. შემოკლება

იმ მოვლენის აღსანიშნავად, რომელსაც შემოკლებას ვეძახით, ინგლისურ ენაში ტერმინთა დიდი ნაირსახეობა არსებობს. ესენია: abbreviation, abecedism, acronym, alphabetic word, anagram, blend, clipping, contraction, curtailment, elliptical word, incomplete compound, initialism, logogram, protogram, shortening, stum-word, trunk-word და ა.შ.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სხვა ენებშიც შემოკლებასთან დაკავშირებული ტერმინები ასევე მრავლად მოიპოვება. თუმცა ყველა ზემოთმოყვანილი ტერმინი ენაში მიმდინარე დაახლოებით ერთსა და იმავე პროცესზე მიუთითებს, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსით. ხშირად ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა მეცნიერის მიერ სხვადასხვა მნიშვნელობით არის გამოყენებული.

შემოკლებული სიტყვა მარტივთან (ძირეულთან) შედარებით მოკლეა, მეტწილად ერთმნიშვნელოვანი, აქვს ფართო სინტაქსური ფუნქცია. ამიტომ სიტყვაწარმოების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელია (ხარიტონჩიკი, 1992:90-191). შემოკლება არის ზეპირი ან წერილობითი დისკურსის ერთეული, რომელიც შექმნილია ცალკეული სიტყვების ნაწილებისაგან. შემოკლების წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდეს ცალკეული ასო (ბგერები) ან ასოთა ჯგუფი.

შემოკლებასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოკლებული სიტყვების წარმოშობა დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ძვრებთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორცაა ომები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ძირეული სოციალური ძვრები, კომპიუტერიზაცია, ინფორმაციის წყაროს ზრდა და მისი გადაცემის აუცილებლობა, მისწრაფება დროისა და ადგილის მინიმალიზაციისაკენ. (ექსტრალინგვისტური ფაქტორები); ასევე, ენობრივი ეკონომიისაკენ სწრაფვის ტენდენცია, ინგლისური ენის ლტოლვა მონოსილაბიზმისკენ (ლინგვისტური ფაქტორები).

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული თვალსაზრისები შემოკლების განსხვავებულ ეტიმოლოგიასა და ინტერპრეტაციას გვთავაზობენ.

ი.ვ. არნოლდი ამტკიცებს, რომ ინგლისურ ენაში შემოკლება უკავშირდება ნასესხები სიტყვების ასიმილაციას, რომლის შედეგადაც ნასესხები სიტყვები დაუახლოვდნენ ინგლისურს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი

ერთმარცვლოვანების თვალსაზრისით (არნოლდი 1986: 176). ზოგი მეცნიერი შემოკლებას მიიჩნევს „მინიმალური ძალისხმევის პრინციპად“ ან „სამეტყველო საშუალების ეკონომიის კანონად“ (ზიფი 1949: 117).

კ. ლეეკოვსკაია თვლის, რომ აბრევიაციის წარმოშობა განაპირობა:

1. სწრაფად წერის მოთხოვნამ, რომელმაც მისი საზოგადოებრიობის მნიშვნელობის გაზრდა გამოიწვია;
2. წერის დროს საწერი ქაღალდის (სივრცის) ეკონომიამ;
3. შემოკლებული და სიმბოლიზებული ჩაწერა გამოიწვია ისეთი მეცნიერებების განვითარებამ, როგორებიცაა მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია (ლეეკოვსკაია 1956: 178, 194-195).

დ.ი. ალექსეევი ეწინააღმდეგება აზრს, თითქოს შემოკლება ქაღალდის ან დროის ეკონომიის მიზნით წარმოიშვა. ეკონომია, მისი აზრით, არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამ პროცესში, თუმცა იგი ერთ-ერთი მიზეზთაგანია. აბრევიაცია, ავტორის აზრით, ენაში დამკვიდრდა იმიტომ, რომ მან საშუალება მოგვცა გვეხმარა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა იქ, სადაც მანამდე მხოლოდ მისი აღწერა იყო შესაძლებელი (ალექსეევი 1962: 8).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს ეხება მხოლოდ შემოკლებული ჩაწერის სისტემას და არა წაკითხვის სისტემას. ამ შემთხვევაში შემოკლების ბოროტად გამოყენებას ენაცვლება სიმბოლოები, პირობითი ნიშნები.

აღსანიშნავია, რომ შემოკლებული სიტყვები, აბრევიატურები და აკრონიმები უხსოვარი დროიდან არსებობენ. წყაროების მიხედვით, პირველი გრაფიკული აბრევიაცია შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე დამწერლობა, რადგან მანამდე არსებობდა წერის იდეოგრაფიული სისტემა.

აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი სიტყვების შემოკლებით დაწერასთან დაკავშირებით: „ძველად, როცა მწიგნობრობა განვითარდა და დამწერნიც დახელოვდნენ, სისწრაფის გულისთვისაც და საწერი მასალის სიძვირის გამოც სიტყვათა სრული წერის მაგიერ მთელი მარცვლების გამოტოვებით შემოკლებული წერა შემოიღეს. ამ წესით დაწერილ სიტყვას ზევითგან განსაკუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ ხოლმე, რაც მკითხველისთვის იმის მანჯვენებელი და დამამტკიცებელი უნდა ყოფილიყო, რომ წაკითხვის დროს ეს ასონაკლები სიტყვა უნდა სრულად აღედგინა. ასოს ან მარცვალის ნაკლებობის ნიშანს „პატივი“ და „ქარაგმა“ ეწოდებოდა (8). როგორც ვიცით, ქარაგმა არის პატარა, ოდნავ გაღუნული (~) ან სწორი ხაზი იმ სიტყვის თავზე, რომელიც

ძველ ხელნაწერებსა თუ წარწერებში შემოკლებულად არის დაწერილი. მაგ: ქ~ე (ქრისტე); რ~ნ (რომელმან); ვ~ა (ვითარცა) და ა.შ. დაქარაგმება იმდენად მიღებული ყოფილა ძველ რომსა და შემდგომ პერიოდში, კერძოდ, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომ შემოკლებათა სისტემის უცოდინარი ხელნაწერებს ვერ წაიკითხავდა.

შემოკლების სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკასთან დაკავშირებით, მკვეთრად გამოიყოფა კაცობრიობის განვითარების შემდეგი პერიოდები: ძველი რომი და საბერძნეთი, აღორძინების ეპოქა და XX საუკუნე. ძველ რომში განვითარება ჰპოვა გრაფიკულმა შემოკლებამ. ამის ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ აბრევიატურა: SPQR - Senatus Populusque Romanus, რაც ნიშნავს: „რომის სენატი და ხალხი“.

ცნობილია, რომ რომაელებს ჰქონდათ შემოკლებათა კრებული, შემდეგში კარლოს დიდისთვის არქიეპისკოპოს მაგნოს შემოკლებული სიტყვების ახალი კრებული შეუდგენია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ძველ რომში დაქარაგმება იმდენად გახშირებული ყოფილა, რომ იუსტინიანეს, ორაზროვნებისაგან თავის არიდების მიზნით, სიგელებში დაქარაგმება სრულებით აუკრძალავს (ჯავახიშვილი, ქართული ენის ისტორია, (Gardthausen J.- Griechische Palaeographie, II 1951: 319-322).

აღორძინების ეპოქაში დაიწყო მეცნიერების განვითარება, ხშირი იყო რევოლუციებიც, რამაც განაპირობა ახალი ტერმინებისა და სიტყვების წარმოშობა, რაც ხშირად ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების შემოკლებით იქმნებოდა. ამ პერიოდის მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აღორძინების ეპოქის უდიდესი დრამატურგის, უ. შექსპირის პიესა „ჰამლეტი“, სადაც დანიის პრინცი Gilbert-ის ნაცვლად მოიხსენიებს მის შემოკლებულ ვარიანტს Gilb.

საინტერესოა, რომ XV საუკუნეში ყველაზე გავრცელებული ყოფილა ლექსიკონი “Modus Legendi Abbreviaturas in Utroque Jure” (ჯავახიშვილი 1951: 187).

და მაინც, აბრევიაციის, როგორც სიტყვაწარმოების საშუალებად გადაქცევა XX საუკუნის 40-50 -იან წლებს უკავშირდება. აღნიშნული მოვლენის აღმავლობაზე გავლენა მოახდინა ენის განვითარების როგორც შინაგანმა, ისე გარეგნულმა ფაქტორებმა.

შევეცადოთ, განვიხილოთ შემოკლების არსი: ვ. ბორისოვის თანახმად, შემოკლებად შეიძლება ჩაითვალოს ენაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი,

რომლის შედეგადაც რომელიმე ძირეული ერთეული კარგავს მისი შემადგენელი ნაწილებიდან ერთ კომპონენტს და გადაიქცევა შემოკლებულ ერთეულად (ბორისოვი 1972: 155). აღნიშნულ პროცესს ზოგჯერ ფორმულის სახითაც კი გამოხატავენ: $X \rightarrow (X-A)$. შემოკლების ეს განსაზღვრება არ გვეჩვენება სრულყოფილად, რადგან იგი არ გვიჩვენებს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ძირეულ ერთეულში ან რომელი ნაწილი შეიძლება დაკარგოს მან, რომ გადაიქცეს შემოკლებულ სიტყვად. ისმის სხვა, არსებითი ხასიათის კითხვაც: როგორია ურთიერთობა თავდაპირველ და მისგან წარმოქმნილ ერთეულებს შორის? არის თუ არა შემოკლებული ვარიანტი თვისობრივად ახალი ერთეული თუ წარმოქმნილი სიტყვა ერთი ელემენტის დაკარგვის შემდეგ პირვანდელი სიტყვის ვარიანტად რჩება?

შემოკლების და კერძოდ, აბრევიაციის რაობის დადგენა მხოლოდ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემით შეიძლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოკლებული სიტყვის არსებობა ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს მისი უფრო სრული პროტოტიპის არსებობაზე. მათი ურთიერთობა კი შემდგომი კვლევის საგანია.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოკლებას არ ექვემდებარება მეტყველების ყველა ნაწილი. მაგალითად, როგორც ჩვენს მიერ გამოკვლეული მასალა გვიჩვენებს, ნაცვალსახელებისაგან, რიცხვითი სახელებისა და შორისდებულებებისაგან ნაწარმოები შემოკლებები თითქმის არ ფიქსირდება. გამონაკლისებს წარმოადგენენ ნაცვალსახელების *you - u* და *your - yor /ur* შემოკლება. თანამედროვე ინგლისურ ენაში იშვიათია ასევე ზმნების შემოკლება. ისეთი ზმნები, როგორებიცაა *to do, to occur, to tax, to perm, to phone*, მიღებულია არსებითი სახელებისაგან კონვერსიის გზით. რაც შეეხება ზმნებს *to mend, to lend*, ისინი წარმოიშვნენ სიტყვების შეკვეცით, კერძოდ, აპოკოპიის შედეგად. საინტერესოა ისედაც მოკლე ზმნის - *to be* -ს მოკვეცა ინიციალურ აბრევიატურამდე - *B (b)*, რომლის ხმარებასაც ძირითადად თინეიჯერებში ვხვდებით.

გასული საუკუნის 80-90 -იან წლებში ძალზე მცირე რაოდენობით ხდებოდა შემოკლებული ზედსართავების წარმოება, რაც აშკარად არ ითქმის დღევანდელ ზედსართავ სახელებზე, რომელთა უმრავლესობას ვღებულობთ შემოკლებულ სიტყვაზე სუფიქსის დართვით. მათგან ბევრს სასკოლო სლენგის იერი აქვს: *dilly < delightful, imposs < impossible, comfy < comfortable, grumpies < grown-up mature people, sippys < senior independent pioneers, droppies < disillusioned, relatively ordinary professionals*

preferring independent employment situations (დიქსონი 1999: 36). შემოკლებული სიტყვა შეიძლება ძახილის წინადადების ფუნქციასაც ასრულებდეს. მაგ: shun! < attention!

შემოკლების არსებული ტიპებიდან დღესდღეობით ძირითადად მიგვაჩნია შემდეგი: აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა და შეზრდა. ეს ტიპები იყოფა გრაფიკულ (ანუ ისეთებად, რომლებიც წერის დროს გამოიყენება) და ლექსიკურ ერთეულებად.

როგორც ვიცით, ჯერ გრაფიკული აბრევიაცია შეიქმნა, შემდეგ, კერძოდ XX საკუნეში, ლექსიკური აბრევიაცია (ლექსიკური აბრევიაცია პირველად კ. პაულიმ, კ. ბრუგმანმა, კ. სუნდენმა და კ. კელმანმა გამოიყენეს თავიანთ ნაშრომებში). ისინი, ცხადია, თანაარსებობენ ენის ლექსიკაში.

გრაფიკულ აბრევიაციად ითვლება შემოკლება, რომელიც ინფორმაციას გადმოგვცემს ნიშნების (ბგერითი და არაბგერითი) საშუალებით. მაგ: %; \$; ©; ®; TM და ა.შ. მათი პრინციპული სხვადასხვაობის მიუხედავად, შესაძლებელია გრაფიკული შემოკლებებისა და პირობითი ნიშნების (ფორმულების) ერთ ჯგუფში გაერთიანება ერთობლივი გადახედვის მიზნით. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას, გამოვაავლინოთ გრაფიკული შემოკლების სპეციფიკა და მისი პირობით ნიშნებში გადასვლის კანონიერება სიმბოლიზაციის შედეგად სპეციფიკურობის დაკარგვით.

ფ.პ. ფილინი და ა. მარცინი ამტკიცებენ, რომ ანბანის შემადგენლობამ, ბგერების მოხაზულობამ, გრაფიკისა და მართლწერის თავისებურებებმა, ასევე თავად წერის მანერამ ზეგავლენა მოახდინეს შემოკლების სპეციფიკური სისტემის შემუშავებაში (ალექსეევი 1962: 156).

გრაფიკული აბრევიაციის წარმოშობის მიზეზების კვლევის პროცესში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასოების დახმარებით ენაში “ფონემა ფონემაში” მაქსიმალური სისრულით გადაეცემა და სწორედ საყოველთაოდ მიღებული სიტყვების ე.წ. გადაცემის სრულ ფონზე, მათი შემოკლებული ჩაწერა გახდა აბრევიაცია.

წერილობით არაასობრივ სისტემებს (იდეოგრაფია, ლოგოგრაფია) ყველაზე ნაკლები შესაძლებლობა აქვთ გრაფიკული აბრევიაციის წარმოქმნისა, რადგანაც წერის სისტემა, რომელიც მათ უდევს საფუძვლად, თავადაა აბრევიაცია.

გრაფიკული აბრევიაციის შექმნის მეორე პირობად შეიძლება მივიჩნიოთ კოდსა და ტექსტს შორის წონასწორობის დარღვევა, რომელიც წარმოიშვა წერითი სისტემის ისტორიული განვითარების საერთო სვლის შედეგად.

დამატებითი კოდური ნიშნების გამოყენება ამოკლებს ტექსტს. მაგალითად: five (4 ნიშანი) = 5 (1 ნიშანი). ამას ემსახურება სწორედ გრაფიკული აბრევიაცია. საყოველთაოდ მიღებულია სიმბოლოები . , - /... . ამ პირობით ნიშნებს ყველა ქვეყანაში იყენებენ. ის გრაფიკული აბრევიატურები, რომლებიც სიმბოლიზაციას არ ექვემდებარებიან, არ გადაიქცევიან ცალკეულ კოდურ ნიშნებად. შესაბამისად, ასოებრივი, ვოკალიზებულ-ბგერითი დამწერლობა ის სფეროა, სადაც წარმოიშვა და განვითარება ჰპოვა გრაფიკულმა აბრევიაციამ.

გრაფიკულმა აბრევიაციამ, რომელიც ლექსიკურს წინ უსწრებს, ამ უკანასკნელზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მეცნიერები დაობენ. ზოგის აზრით, ძველი პერიოდის შემოკლებებს ახალთან საერთო არაფერი აქვთ, სხვები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. ზოგადად, ჩვენ შეგვიძლია აბრევიაციის პროცესის ეტაპებად დაყოფა, რომელიც, სავარაუდოდ, ბევრი ენისათვის არის საერთო:

I ეტაპი - გრაფიკული, ინიციალური შემოკლების სისტემის გამოყენება XVIII საუკუნემდე. ესაა ტექსტური აბრევიაცია, რომელსაც ძირითადად ძველ ხელნაწერებში, წიგნების სათაურებსა თუ ტექსტებში საკრალური სიტყვების (Nomina sacra) აღსანიშნავად იყენებდნენ. მაგალითად: HIS < Jesus; XC < Xpistos (ალექსევი 1962: 46-50). ადრეულ ეტაპზე მრავლად ვხვდებით, რა თქმა უნდა, ქარაგმის ნიშნებს, რომლებიც შემოკლების ნიშნებად გადაიქცა დროთა განმავლობაში. ასევე არსებობს არატექსტური აბრევიაცია, რომლის ნიმუშები შეგვიძლია ვნახოთ მონეტებზე, ღერებზე, მარკებზე, თიხისა და ფაიფურისაგან დამზადებულ ნაწარმზე, ნაბეჭდებსა თუ სხვა მსგავს წარწერებზე;

II ეტაპი - გრაფიკული, წერტილოვანი შემოკლების გამოყენება 200 წლის განმავლობაში სტამბის დაარსებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. წერტილოვანი აბრევიაციას რამდენიმე განშტოება აქვს: ტექსტურ-დარგობრივი (მაგ: მათემატიკა, ქიმია), ტექსტურ-წიგნობრივი და არატექსტური, რომელიც ტოპონიმიკისა და ანტროპონიმიკის სფეროებში გავრცელდა. საინტერესოა კრიპტონიმების გამოყენება სტატიებში, წიგნებში, წერილებსა თუ მემუარებში. მაგ: უ. სკოტის „ანტიკვარში“ ვხვდებით კრიატონიმს: Mr. B; ასევეა D.H.Lawrence – ინგლისელი მწერლის სახელის ინიციალური აბრევიაცია. მსგავსმა აბრევიაციებმა ფეხი მოიკიდეს შემდეგი დროის სარეკლამო განცხადებებში, საფირმო სახელწოდებებსა თუ საქმიან მიმოწერებში, რაც წარმოებისა და კაპიტალური ურთიერთობების განვითარების შედეგია;

III ეტაპი - ლექსიკურ-აბრევიატურული სიტყვაწარმოების სისტემის გამოყენება დღემდე.

გრაფიკული შემოკლების დროს ადრე ფართოდ გამოიყენებოდა გამყოფი ნიშნები: წერტილები, დეფისები, დახრილი ხაზი და გრაფიკული გაფორმების სხვა საშუალებები. ამის მიხედვით, გამოიყოფა გრაფიკული შემოკლების შემდეგი ტიპები:

1. კურსორული;
2. წერტილოვანი;
3. დახრილხაზოვანი;
4. დეფისური;
5. ნულოვანი;
6. კომბინირებული.

გრაფიკული შემოკლების ეს კლასიფიკაცია მნიშვნელოვანად გვეჩვენება, უპირველეს ყოვლისა, შემოკლების ორთოგრაფიული გაფორმების თვალსაზრისით, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ხშირად ჩაწერის ფორმას ამარტივებენ და შემოკლებულ სიტყვებს წერენ გამყოფი ნიშნების, დეფისის, დახრილი ხაზისა თუ წერტილის გარეშე.

ლექსიკური შემოკლება ენის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ტიპის შემოკლების დროს სიტყვაში ნაწილები ისე უნდა შევკვეცოთ, რომ ძირეული სიტყვის ამოცნობა არ გაგვიჭირდეს.

არსებობს ლექსიკური შემოკლების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია მისი სტრუქტურის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. მაგალითად, სინტაქსურს მიეკუთვნება ისეთი შემოკლება, როგორცაა: battleship ← line – of – battle-ship. მორფოლოგიური შემოკლება იყოფა შემდეგ ტიპებად: ინიციალური შემოკლება ანუ აბრევიაცია (WWW - world wide web,); აკრონიმია (JIT - Just-in time,); მოკვეცა (Govt - government) და შერეული ტიპის შემოკლება (მოკვეცისა და ინიციალური აბრევიაციის ელემენტების შერწყმით) ანუ შეზრდა (Narcodollars – narcotics + dollars). ყოველი ახალი სიტყვა მოკლდება ამ კლასიფიკაციის საფუძველზე.

მეორე თავის ბოლოს მოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის დროს ვეყრდნობოდით ბოლო პერიოდში დაბეჭდილ ლექსიკონებს, ასევე ქართველი და ამერიკელი მოზარდების მეტყველების თავისებურებების შესწავლას. აღწერილია შემოკლებული ერთეულების წარმოების სიხშირე და მათი ლექსიკონებში დარეგისტრირების სიხშირე, რაც

კვლევის დროს დაგვეხმარა იმის დასადგენად, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს და რა წვლილი შეაქვს შემოკლების თითოეულ ტიპს თანამედროვე ინგლისური ენის განვითარებაში. ნებისმიერი ენის, პერიოდისა თუ ტიპის შემოკლებულ ერთეულად ლექსიკური ერთეული - სიტყვა წარმოგვიდგება. ამ პოზიციით ვიხილავთ ჩვენც გრაფიკულ თუ ლექსიკურ შემოკლებულ ერთეულებს.

მოცემული მასალების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ შემოკლებას, მისი წარმოშობის დასაწყისიდან დღემდე არ შეუცვლია წარმოების ბაზა, განსხვავებულია მხოლოდ განვითარების ესა თუ ის ეტაპი და ფუნქციონირების სფერო.

სიტყვა ნებისმიერი ტიპის შემოკლებაში შეიძლება მონაწილეობდეს, იქნება ის მხოლოდ უბრალო შემოკლება თუ ტექსტის აბრევიატურული კომპონენტი, მაგრამ ყოველი აბრევიაციის მიზანი მხოლოდ სიტყვის შემოკლება როდია. მაგალითად:

1. ინიციალურ აბრევიაციაში სიტყვა ტექსტის ნომინალური ერთეულია და შემოკლების მიზანია ტექსტში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ლექსიკის გრაფიკული დაყოფა;
2. სიტყვის ინიციალურ აბრევიაციაში სტრიქონი არის ხელნაწერის გრაფიკული ერთეული. შემოკლების მიზანია სტრიქონის მოცულობის გაზრდა, რითაც ხდება დროისა და სივრცის თანადროული ეკონომია;
3. წერტილოვან აბრევიაციაში სიტყვა-ფორმა, როგორც ტიპოგრაფიული წერის გრაფიკული ერთეული. შემოკლების მიზანია ტექსტში განმეორებადი სიტყვების რაციონალური გადაცემა (შესაბამისი კონტექსტის დროს);
4. ლექსიკურ აბრევიაციაში - ნომინაციური სიტყვათშეთანხმება, როგორც ენის ერთეული (ალექსევი 1962: 136). შემოკლების მიზანი ხომ დიდი დასახელების მქონე კონტექსტისათვის ერთსიტყვიანი სახელწოდების მორგებაა.

1.3. გრაფიკული აბრევიაციის ისტორია

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ამოკლებდნენ ადამიანის სახელებსა და გვარებს, ცალკეულ სიტყვებსა თუ წარწერებს. მათ მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდათ და არა ტექსტური. ასეთი ტიპის შემოკლებები ინგლისში ჯერ კიდევ XII -XIII საუკუნეებში გვხვდება. ამ პერიოდის შემდგომ გავრცელებული შემოკლების შემდეგი ტიპია ინიციალური აბრევიაცია. ეს იგივე ინიციალურ- ანტროპონიმული აბრევიაციაა ნივთზე, რომელზედაც დამზადების შემდეგ აწერდნენ, ამოკვებდნენ და ამოტვიფრავდნენ ხოლმე აბრევიატურებს მათი იდენტიფიკაციის ან საკუთრების აღნიშვნის მიზნით. ინიციალურმა ანტროპონიმამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ჰპოვა განვითარება.

სახელების ინიციალები ფართოდ გამოიყენებოდა მარკებზე, მონეტებზე, ფაიფურისა და თიხისაგან დამზადებულ ნაწარმზე ადამიანის სახელების, მეფეებისა თუ მმართველების, ქალაქების აღსანიშნავად. ანტროპონიმების შემოკლებული ჩაწერა XVIII საუკუნის ინგლისში ყველაზე შესამჩნევი მოვლენაა. მანამდე სახელების შემოკლებას მხოლოდ რუსეთში ვხვდებოდით.

კრიპტონიმები - ესაა ფსევდონიმები, რომლებიც შექმნილია ინიციალური ან სხვაგვარი შემოკლებით. მაგ: GBS - George Bernard Shaw, JFK - John Fitzgerald "Jack" Kennedy.

დარგობრივი აბრევიატურებიდან აღსანიშნავია მათემატიკური, ქიმიური და გეოგრაფიული აბრევიატურები. ამ მეცნიერების განვითარებასთან ერთად ვითარდება შემოკლებები და სიმბოლოები აღნიშნულ სფეროებში. ყველა მათემატიკური ნიშანი, სიმბოლო, აბრევიაციასთან დამოკიდების თვალსაზრისით, სამ რიგად იყოფა:

1. არაასობრივი წარმოშობის იდეოგრაფიული ნიშნები და სიმბოლოები;
2. იდეოგრაფიული ნიშნები, რომლებიც ასოებთან და აბრევიატურებთან ერთად აღმოცენდნენ;
3. აბრევიატურული (ან არააბრევიატურული) წარმოშობის ასობრივი სიმბოლიკა.

არაასობრივ ნიშნებს მიეკუთვნება არაბული ციფრები: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9; პიქტოგრაფიული წარმოშობის რომაული ციფრები: I,V,X; იდეოგრაფიული წარმოშობის მოქმედების ნიშნები: +, -, ×, ÷ ; გეომეტრიული, ე.წ. იკონური ნიშნები: <, Δ და ა.შ.

მიუხედავად ამ სიმბოლოების მცირე რაოდენობისა, ისინი მათემატიკაში მაინც დამკვიდრდნენ.

აბრევიატურული წარმოშობისაა შემდეგი იდეოგრაფიული ნიშნებიც: - გრადუსი; % - პროცენტი (სიტყვიდან cento); - integrali (S - sityvidan summa); $\sqrt{\quad}$ - ფესვი (r - სიტყვიდან radix) (გაბესკირია :1983);

მესამე ჯგუფს თავად ასობრივი ნიშნები შეადგენენ. ისინი მრავალრიცხოვანი, პროდუქტიული და ძირითადად, ლათინური და ბერძნული ასოებია. მაგალითად: M = 1000 < mille; C = 100 < centum; log = lg < logarithmos; f(x) < functio; sin < sinus; cos < cosinus; tg < tangens; I < imaginare; lim < limes (გაბესკირია :1983).

ლაიბციხის (1646-1716) შემდეგ დაიწყო მათემატიკის ალგებრალიზაცია. უნივერსალური აღმოჩნდა ასოების სიმბოლიზაცია. დაიწვეს მათემატიკური სიმბოლოების გამოყენება უცნობი ადამიანების, შიფრების, დაწესებულებების აღსანიშნავად. ეს ნიშნები ინტერნაციონალურია და უნივერსალური.

აღსანიშნავია ასევე მექანიკაში, ფიზიკასა და ა.შ. მიღებული ისეთი გრაფიკული შემოკლებული ერთეულების გამოყენება, როგორცაა ზომის, წონის, სიგრძის ა.შ. ერთეულები, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სტანდარტიზირებულია საერთაშორისო პრაქტიკით. მაგ: k - kilo; g - gram; w - weight.

მეტროლოგიაში აბრევიაციის დროს გათვალისწინებულ იქნა სიტყვის აბრევიაციის ტრადიციები. მაგ: m - meter; v - volt; d - day; s.t. - short ton; a - ap; A - Amper.

ჯერ კიდევ ძველ რომში, საბერძნეთსა თუ ჩინეთში სიმბოლოებით, ნახატებით აღნიშნავდნენ და გამოხატავდნენ თანაგარსკვლავედებსა თუ პლანეტებს, ასტრონომიულ ნიშნებს, რომლებიც დღესაც პიქტოგრაფიულია. მაგ: pl - პლუტონი.

ძველ ეგვიპტეში ვითარდებოდა ქიმიური სიმბოლიკა. მ. ლომონოსოვიც ორმოცამდე ალქიმიურ იდეოგრამას იყენებდა, მაგ: ოქროს ჰქონდა მზის სიმბოლიკა, ვერცხლისწყალს - მთვარის, სპილენძი გამოსახებოდა, როგორც ვენერა, რკინა - როგორც მარსი (ბარნჰარტი 1973). ცნობილია, რომ ლომონოსოვი იყენებდა ინიციალებს, მაგრამ მას საკუთარი აბრევიაციები უფრო მეტი აქვს შექმნილი. თუმცა, ასი წლის შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო აბრევიატურული სიმბოლოები, რომლებმაც სრულიად გააძევეს ხმარებიდან ალქიმიური იდეოგრაფია. ლომონოსოვი იყენებს შემდეგ შემოკლებებს: lap - lapis (ქვა); sp -

spirtus (სპირტი); g - gemma (ქვის მარილი); B.N. - barometrum nautice (საზღვაო ბარომეტრი) და ა.შ.

პირველი, ვინც ალქიმიური სიმბოლიკა შეცვალა ქიმიურით, იყო დ. დალტონი, რომელსაც ბოლომდე არ უთქვამს უარი იდეოგრაფიაზე. ხოლო აბრევიატურული სიმბოლოები თავიდან შვედი ქიმიკოსის, ი. ბერცელიუსის მიერ იქნა შემოტანილი 1814 წელს.

საყოველთაოდ მიღებულია ლათინური ასოების გამოყენება ქიმიური ელემენტების აღსანიშნავად. ამ უნივერსალური სისტემის შექმნა განხორციელდა აბრევიატურების ორი ტიპის მეშვეობით:

- 1). ინიციალური, მაგ: B - Borum, და
- 2). დიფერენციულ-ინიციალური, მაგ: Al - Aluminum.

აბრევიატურული სიმბოლოები, ისევე, როგორც იდეოგრაფიული, იკითხება სრულად, როგორც მთლიანი სიტყვა. მაგ: tg - ტანგენსი; + - პლიუსი და ა.შ. ქიმიური ტერმინოლოგია შეიძლება წავიკითხოთ ორგვარად, მაგ: k - kalium (ლათინურად) და potassium (ინგლისურად); M - Mille = 100 და one hundred.

1.4. გრაფიკული შემოკლების, როგორც სიტყვაწარმოების საშუალების, ლექსიკალიზაცია, აბრევიატურების განვითარების ეტაპები

გრაფიკული შემოკლების ლექსიკალიზაციის შედეგად გრაფიკული შემოკლება სიტყვა-აბრევიატურად იქცევა. გრაფიკული აბრევიაცია ორთოგრაფიულია, ლექსიკური კი, როგორც ვიცით, ენაში არსებულ ფაქტორებს ასახავს. სიტყვაწარმოების ეს ორი მოვლენა ერთმანეთს ერწყმის დამწერლობისას, წერის დროს, სადაც ენობრივი ფაქტები გრაფიკულ ფიქსაციას ღებულობენ.

ლექსიკალიზაცია მრავალწახნაგოვანი და ძალზე რთული პროცესია. იმისათვის, რომ გრაფიკული შემოკლება გადაიქცეს სიტყვად, ის ითვისებს რამდენიმე ლექსიკურ ნიშანს:

1. საკუთარ ასობრივ წარმოთქმას;
2. ინდივიდუალურ ორთოგრაფიას;
3. ახალი სიტყვების წარმოების შესაძლებლობას;
4. საკუთარ სემანტიკურ-სტილისტურ შინაარსს, რომელიც განსხვავდება სრული სიტყვის ან სიტყვათშეთანხმების მნიშვნელობისაგან.

ამ თვისებების შექმნა ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, რაც არასრულ ლექსიკალიზაციას იწვევს. ისმის კითხვა: როგორ განვასხვავოთ ლექსიკური აბრევიაცია გრაფიკულისაგან? ცნობილია, რომ აბრევიატურები წერის დროს გამოიყენება, წაკითხვის დროს კი ძირითადად სრული ფორმით იკითხება.

ლექსიკურობის შექმნით შემოკლება არ ეფუძნება რაიმე ერთიან ნიშანს, კერძოდ, აბრევიატურის კვლავწარმოებას ზეპირმეტყველებაში მის მოხერხებულად წარმოთქმასა თუ საყოველთაო გაგებისათვის. სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, ფლობს არაერთ ნიშან-თვისებას და ეს მის ყველა განმარტებაშია ხაზგასმული;

რას გვიდასტურებს სინამდვილეში ზეპირმეტყველებაში აბრევიატურების წარმოების სიხშირე თუ იშვიათობა? ალბათ, ენის პასიურ თუ აქტიურ ლექსიკაზე მიკუთვნებაზე, მაგრამ არა მეტზე, რადგან “დაწერილი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ არც იყოს წაკითხული, არ შეიძლება ჩაითვალოს მკვდრად” (სმირნიცკი 1956: 86). არ არსებობს ისეთი ნიშანი, როგორიც არის

აბრევიატურების გაუგებრობა, რადგანაც თეორიულად დასაშვებია ისეთი ენის არსებობა, რომლის ყოველი მნიშვნელობა გამოსატული იქნება უბრალო, ეტიმოლოგიურად გაუგებარი, არამოტივირებული სიტყვებით (კომლექი 1969: 69-70).

ისეთი ტიპის აბრევიატურები, როგორებიცაა, მაგ: IBM, FBI კითხვის დროს წარმოითქმებოდა და ახლაც წარმოითქმის ასო-ასო დიქტორებისა თუ სხვა მკითხველის მიერ.

შემოკლების ლექსიკალიზაცია, ისევე როგორც სიტყვაწარმოების სხვა ხერხები, არ არღვევენ ანტინომიას. ენაში შექმნილი ლექსემები, უნდა აღინიშნოს, უკიდევანოა. ზღვარი აქვს მხოლოდ აქტიურად ფუნქციონირებადი სიტყვების მარაგს. ამ ზღვარს კი ადამიანის მახსოვრობის შესაძლებლობა განსაზღვრავს.

როგორც ვიცით, ლექსიკალიზაციის დროს შემოკლებულ ერთეულებს საკუთარი წარმოთქმა უმუშავდებათ, რაც გრაფიკულ აბრევიატურებს არ ახასიათებს. ისინი, ასე ვთქვათ, „იშიფრებიან“ და ძირითადად მხედველობითი აღქმისთვის არსებობენ. მაგალითად: P.O. იკითხება, როგორც Post Office; აბრევიატურულ სიტყვებს კი სპეციფიკური გამოთქმა აქვთ.

ლექსიკალიზაციის დროს გრაფიკული შემოკლება წყვეტს „გაშიფვრას“ და იკითხება ასო-ასო (ასლების შემადგენლობის მიხედვით), მაგრამ ყოველი გრაფიკული აბრევიაცია არ “იშიფრება”. ამისთვის ორი მიზეზია:

1. როდესაც გაშიფვრა არ გვინდა რაიმე საიდუმლოს გამჟღავნების მიზნით;
2. როდესაც გრაფიკული შემოკლება იმდენად ნაცნობი და საყოველთაოა, რომ ესა თუ ის ავტორი საჭიროდ არ მიიჩნევს მის გაშიფვრას.

თანამედროვე ინიციალური აბრევიატურების უმეტესობა სიტყვის სახით წარმოითქმება ისე, რომ აბრევიატურებისათვის დამახასიათებელ განვითარების ეტაპებს არ გადის. მათ წარმოვთქვამთ, როგორც სიტყვას, მახვილით თუ მის გარეშე.

შევვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსიკალიზაციას წარმოთქმის დროს ორგვარი გამოვლინება აქვს:

ა) ისტორიული, როდესაც ენაში გრაფიკული შემოკლებების წარმოება ხდებოდა;

ბ) თანამედროვე, როდესაც აბრევიატურების შემქმნელებმა უკვე იციან, თუ რა სურთ და აწარმოებენ პირდაპირ აბრევიატურულ სიტყვას, კითხულობენ მას ასო-ასო ისე, რომ მომავალში არ დასჭირდეს ხმოვანების შეცვლა თუ დახვეწა.

საინტერესო იქნება თვალი გადავაგლოთ შემოკლების, კერძოდ XX საუკუნის აბრევიაციის განვითარების ეტაპებს ინგლისურ ენაში:

1. 10-20-იანი წლები - მასიური სხვადასხვაობა, მარცვლოვანი აბრევიაცია;
2. 30-იანი წლები - აბრევიატურული სიტყვაწარმოების შედარებითი სტაბილიზაცია;
3. 40-იანი წლები - ინიციალური შემოკლების, ინიციალურ-ციფრული აბრევიაციის განვითარება;
4. 50-60-იანი წლები - აბრევიაციის ყველა ტიპის მკვეთრი რეგლამენტაცია და მათი „გრამატიზაცია“, აკრონიმების წარმოშობა;
5. 70-80-იანი წლები - „აკრონიმანია“, სხვა ენებიდან აბრევიატურების შემოღება და ენაში დამკვიდრება-გამყარება;
6. 90-იანი წლებიდან დღემდე - სრული თავისუფლება აბრევიაციის, აკრონიმის, მოკვეცილი და შენაზარდი სიტყვების წარმოების პროცესში.

როგორც ვხედავთ, ყოველი ეტაპი განსაკუთრებული თავისებურებებით, სპეციფიკურობით ხასიათდება.

აღსანიშნავია ენაში სიტყვაწარმოების ხერხის მოწესრიგებისაკენ სწრაფვა, რაც, ჩვენი აზრით, იმაში გამოიხატება, რომ:

ორი მოკვეცილი სიტყვა ერთმანეთს ჩანაცვლების საშუალებით ერწყმის. მაგ:

litcrit < literary criticism; cigaretiquette < cigarette + etiquette;

1. ხშირია თანამედროვე მრავალსიტყვიან შემოკლებებში მეორე ან მესამე კომპონენტის განდევნა, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი კომპონენტი რჩება, მაგ: Pop < popular music; Closed caption < closed circuit caption;
2. აღსანიშნავია შემოკლებულ ერთეულებზე სუფიქსების დართვაც, რაც მათ სრულფასოვანი სიტყვის იერს აძლევს სასაუბრო ენაში გამოყენებისას. მაგ: comfy < comfortable; mizzy < miserable.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობა ისე შეეჩვია სიტყვების აბრევიატურების სახით წარმოთქმას, რომ როდესაც საზოგადოების სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა, გამოკითხულების 80%-მა ვერ გაშიფრა ელემენტარული, მარტივი აბრევიატურები. როგორც კ. ჩუკოვსკი აღნიშნავს, „ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ სიტყვა zarc-ის ხმარებას, რომ უკვე დაგვავიწყდა, თუ რომელი სიტყვების აბრევიატურებისაგან არის შეწებებული. მე? მე სრულიად აღარ მახსოვს“ (ჩუკოვსკი 1974: 90).

შემოკლება, როგორც ჩვენს მიერ მოკვლეული მასალა მოწმობს, წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ მოვლენას, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს გადგმული. უპირველეს ყოვლისა, აბრევიაცია არის ნომინაციის შექმნის ხერხი მის გასაგებად. პირველი აბრევიატურული ლექსემები სტიქიურად ჩამოყალიბდნენ გრაფიკული შემოკლებების ბაზაზე. გასული საუკუნის დასაწყისამდე შემოკლება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა სიტყვაწარმოების პროდუქტიულ საშუალებას. XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერები მეტად პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი აბრევიატურული შემოკლებების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით (ალექსეევი 1962: 147). მაგრამ 70-იანი წლების შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ენაში არ შეიმჩნევა შემოკლებული ნომინაციების შემცირების ტენდენცია და ის სფეროები, სადაც ზოგი აბრევიაცია კვდება, ივსება ახალი ნეოლოგიზმებით.

უკვე საქმე აბრევიატურების დეეტიმოლოგიამდეც კი მიდის. ყოველივე ეს განაპირობა საზოგადოების შეგნებულმა და მიზანსწრაფულმა ჩარევამ სიტყვაწარმოების სტიქიურ პროცესში.

ამ მოვლენის ილუსტრაციისათვის შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი ლექსიკონი, რომლებშიც ყოველწლიურად შედის ასობით ახალი შემოკლებული სიტყვა.

<http://www.acronymfinder.com/>

<http://www.abbreviations.com/>

<http://acronyms.thefreedictionary.com/>

<http://www.medilexicon.com/>

<http://www.lib.berkeley.edu/EART/abbrev.html>

http://www.engnetbase.com/ejournals/books/book_summary/summary.asp?id=5603

<http://a4esl.org/q/h/nr/abbr-dictionary.html>

1.5. ლექსიკალიზებული შემოკლების ორთოგრაფია

ლექსიკალიზაციის დროს გრაფიკულ შემოკლებებს მართლწერა ეცვლება. ამ დროს ორთოგრაფიას იყენებენ, როგორც გრაფიკული და ლექსიკური აბრევიატურების გამიჯვნის დამატებით, თვალსაჩინოების საშუალებას.

XIX საუკუნეში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ინიციალური ლექსემების ორთოგრაფიული სტანდარტები, ყველაზე საიმედოდ ითვლებოდა ტრანსკრიპცია. ამ გზით წავიდა სწორედ ისეთი ლექსიკალიზაცია, როგორცაა, მაგალითად: N.D. < National Democrat. დღეისათვის ტრანსკრიპციული ჩაწერის ფუნქცია შეიცვალა. ჩაწერის ეს ტიპი ძირითადად გამოიყენება პირდაპირი ნათქვამის ავტორისაგან დამატებით გასამიჯვნად, პირდაპირი ნათქვამის თავისებური გაცოცხლების მიზნით. მეორე ორთოგრაფიული მოდიფიკაცია, რომელიც ლექსიკალიზაციის დროს აღინიშნება, არის შერეული ორთოგრაფიის შეცვლა მთლიანად დაწერის სისტემით. გრაფიკულ შემოკლებას, რომელიც შემოკლებული სიტყვისა თუ სიტყვათშეთანხმების დაწერის ბევრ თავისებურებას ირეკლავს, ჭრელი, შერეული და არასწორი მართლწერა აქვს. აქ თანაარსებობენ დეფისები, წერტილები, ფრჩხილები, მთავრული და ნუსხური ასოები, ინიციალები და მარცვლები. მართლწერის დროს სიტყვისაგან თავის დაღწევა ხანგრძლივი პროცესია. ჯერ კიდევ გრაფიკულ სტადიაში იწყება შემოკლებული სიტყვის ლექსიკალიზაცია, ასე ვთქვათ, გათანაბრება - გასწორება. ეს პროცესი, დ.ი. ალექსევის აზრით, მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. წერის მრავალფეროვანების გადალახვას, ორთოგრაფიის სტაბილიზაციას;
2. წერტილის გარდა პუნქტუაციის ყველა ნიშნის, მათ შორის დეფისების, უგულებელყოფას;
3. წერის ერთიან ორთოგრაფიაზე გადასვლას;
4. წერტილების თანდათანობით უარყოფას.

ყოველივე ამის განხორციელების შედეგად გადაიდგა საბოლოო ნაბიჯი გრაფიკული შემოკლებების ლექსიკალიზაციის საქმეში, რის შედეგადაც აბრევიატურული სიტყვა უკვე ცალკე სიტყვად იქცა.

ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ ინიციალური შემოკლებებიდან უწერტილო შემოკლებად გარდაიქმნა მხოლოდ ბგერითი და არა ასობრივი ტიპის გრაფიკული შემოკლებები (ალექსეევი 1962: 116-118).

დ.ი. ალექსეევის ამ ჩამონათვალს და საერთოდ, მის აზრს გრაფიკული აბრევიაციების ლექსიკალიზაციასთან დაკავშირებით, ბევრი მეცნიერი ეთანხმება.

როგორც ჩანს, გრაფიკული შემოკლებების ლექსიკალიზაცია გამოიწვიეს შემდეგმა ფაქტორებმა:

- ა) წერის დროს ორთოგრაფიის პრობლემამ; და
- ბ) წერტილოვანი აბრევიაციის ასო-ასო წაკითხვამ.

ამგვარად, XX საუკუნის 50 -იანი წლებიდან გრაფიკული შემოკლებები დაიხვეწა, გამარტივდა და აღსაქმელადაც ადვილად გასაგები გახდა. ეს პროცესი სხვადასხვა ევროპულ ენაში ინგლისურის პარალელურად მიმდინარეობდა და ყოველ მათგანში თითქმის ანალოგიური მოვლენები დაფიქსირდა.

თავი II

2.1. აბრევიაცია

როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, შემოკლების ერთ-ერთი ტიპი, აბრევიაცია, კარგად ესადაგება წერით დისკურსს. იგი, ერთი მხრივ, მოკლეა, მეორე მხრივ კი ტექსტში სხვა ფონზე ადვილად გამოიკვეთება. აბრევიაციის მაგალითებია:

ATB < Advanced Technology Bomber;

PR < Public Relations;

DTP < Desktop Publishing;

Ec < European Community;

4WD < Four Wheel Drive;

AOL < America OnLine;

GMIA < Great minds Think Alike;

Four F-er < fat, fortyish, flatulent female patient;

M&A < Mergers and Acquisitions;

PSDR < Public Sector Debt Repayment;

PWA < a Person With Aids;

TTYL < Talk To You Later;

CML < Compute Meaning of Life;

DPMI < Declare Programmer Mentally Incompetent;

GQ < Good Quality da aseve Gentlemen Quarterly;

SLD < Social and Liberal Democrats;

TPA < Tissue Plasmogen Activator,

XST < Experimental Stealth Technology

(ჰომერი 1989; სიმპსონი 1994 ეიტო 2005).

აბრევიატურები - ესაა სიტყვები, რომლებიც წარმოებულნი არიან სიტყვების საწყისი ასოების თანმიმდევრული წყობით. განსაკუთრებით დიდი როლდენობით გაჩნდნენ ისინი XX საუკუნის დასაწყისში, ბევრი შეიქმნა I და II მსოფლიო ომის დროსაც. მაგ: BBC < British Broadcasting Corporation; UNESCO < United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (ბორტნიჟუკი 1988: 166).

ახალი სიტყვების წარმოების ეს ხერხი დღესაც ძალზე პროდუქტიულია. კ. ბარნჰარტის ლექსიკონში (ბარნჰარტი 1973) რეგისტრირებულია ამ ტიპის

უამრავი, იმ დროისათვის ახალი ლექსიკური ერთეული, რაც ძირითადად სამეცნიერო - ტექნიკური ტერმინები და საზოგადოებრივი, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციების დასახელებებია. ლექსიკონში აღნიშნულია, რომ აბრევიატურები გამოიყენება გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე მათი სრულმნიშვნელოვანი ეკვივალენტები (ბარნჰარტი, 1973). მაგალითად, მეცნიერები უცვლელად ხმარობენ აბრევიატურას DNA, ნაცვლად მისი სრული დასახელებისა deoxyribonucleic acid, ისევე, როგორც CIA < Central Intelligence Agency, FBI < Federal Bureau of Investigation. ჩვეულებრივ, როდესაც აბრევიატურა პირველად არის გამოყენებული, მას თან ახლავს მისი სრულმნიშვნელოვანი ტერმინი ან დასახელება. მაგ: eez < exclusive economic zone, TM < transcendental meditation. შემდეგ კი ხმარებაში შედის მხოლოდ აბრევიატურა.

აბრევიაციის მნიშვნელობა ადვილი გამოსაცნობია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივ ჩაწერის სისწრაფე ბევრად ჩამორჩება მეტყველების სისწრაფეს; შემოკლებული ჩაწერის დროს კი უფრო შესაძლებელია ტექსტის ძირითადი შინაარსის სწრაფად ფიქსირება (გონაძე, ძაგნიძე 1981: 9).

არსებობს აბრევიატურების შემდეგი ტიპები:

- ა) ასობრივი (რომელიც იკითხება ანბანური წესით), მაგ: MP < member of parliament;
- ბ) ბგერითი (იკითხება, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვა), მაგ: Rand < Research and Development.
- გ) ამას გარდა, გამოიყოფა ინიციალურ-მარცვლოვანი შემოკლება, რომელიც, როგორც დასახელებაში ჩანს, შეიცავს ინიციალური და მარცვლოვანი შემოკლების ნიშნებს (პირველი კომპონენტი /ასო ანბანური წესით იკითხება, დანარჩენი კი - როგორც ცალკეული სიტყვა). მაგ: Nylon < New York + London; V-Day < Victory day.

საინტერესოა, თუ როგორი ერთეულები წარმოიქმნება აბრევიაციის დროს? ცხადია ისეთები, რომლებიც სტრუქტურულად განსხვავდებიან ძირეული ერთეულებისაგან. გამოყოფენ აბრევიაციის სამ ხერხს:

1. მორფემული აბრევიაცია – Ddc < dideoxycytidine; thnx < thanks; Ltd. < limited;
2. ინიციალური აბრევიაცია – E < Ecstasy; Q < quarter desk; PR < Public Relations;

3. კომბინირებული აბრევიაცია – MDMA < Methilenedio-xymethamphetamine; Univac < Universal automatic computer; INMARSAT < INternational MARitime SATellite, Interpol <International Criminal Police Organization.

მორფემული აბრევიაციის შედეგად ვლენობით სიტყვის ნაწილებს ან ე.წ. „ნატესებს“. მორფემული აბრევიაცია ძირითადად რთული სიტყვების შემოკლების დროს გამოიყენება, რომლის დროსაც სიტყვების „ამოსაცნობად“ რამდენიმე ძირეულ მორფემას ვტოვებთ.

ინიციალური აბრევიაციის დროს სრული ფორმის „ამოსაცნობი ელემენტი“ არ რჩება, რადგანაც თავდაპირველი სიტყვა მაქსიმალურად არის შეკვეცილი და სახეშეცვლილი.

კომბინირებული აბრევიაცია ძალიან ჰგავს მორფემულს, მაგრამ აქ სიტყვების ამოსაცნობად უფრო მეტი რაოდენობის მორფემაა დატოვებული. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აბრევიატურების არსებული ტიპებიდან ჭარბობს ინიციალური აბრევიატურები, დაახლოებით 68%. მაგ:

AGM < Annual General Meeting

N/A – Not Applicable

PPP – Power Point presentation

pto - please turn over

CEO - Chief Executive Officer

საერთოდ, მორფემული და კომბინირებული აბრევიატურები უფრო მეტად იხმარება სასაუბრო ენაში, ხოლო ინიციალური - სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა, მათი ხმარების სფეროები მკვეთრად გამიჯნული არაა. შეგვიძლია, ინიციალური აბრევიაცია სასაუბრო ენაშიც გამოვიყენოთ და პირიქით (ბორისოვი 1972: 137).

აბრევიატურები ძირითადად შედგებიან სიტყვის საწყისი და ბოლო ასოებისაგან, მაგრამ შეიძლება ამ პროცესში ჩართული იყოს სიტყვის შუა ნაწილიც. იმის მიხედვით, თუ სიტყვის რომელი ნაწილი იკვეცება და რომელი რჩება, გამოყოფენ აბრევიაციის შემდეგ ტიპებს:

1. ერთსიტყვიანი ტერმინის საწყისი ასო: N < nuclear; H < heroin;
2. რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ტერმინის საწყისი ასოები: ATV < all-terrain vehicle, TNTL < Trying not to laugh;

3. როულსიტყვიანი ტერმინის ელემენტების საწყისი ასოები: Bldg > building;
4. ტერმინის პირველი ნაწილი: schem < schematic;
5. რამდენიმესიტყვიანი ტერმინის ელემენტების საწყისი ნაწილები: raddef < radiological defense;
6. ხმოვნებისა და ზოგიერთი თანხმოვნის გამოტოვება: witz < winterize; gd mrning < good morning;
7. ასოს გამოყენება ჩვეულებრივი პრეფიქსის ან სიტყვის პირველი ნაწილის მაგიერად: xmas < Christmas;
8. ტერმინის საწყისი და ბოლო ნაწილები: avn < aviation (ბორისოვი 1972: 144-145).

ზ.ა. ხარიტონჩიკის აზრით, აბრევიაცია მეორადი ნომინაციის პროცესია, რომელიც გულისხმობს ძირეული ელემენტების ნაწილის მოკვეცას და რომელსაც მიყვავართ იმ სიტყვის წარმოქმნამდე, რომლის ფორმაში აირეკლება ძირეული, პირვანდელი ერთეულის რომელიმე ნაწილი (ხარიტონჩიკი 1992: 189-190).

აბრევიაციის ასეთი განმარტება აერთიანებს იმ მოვლენებს, რომლებსაც სხვა ლინგვისტები ერთმანეთისაგან მიჯნავენ და საშუალებას გვაძლევს შევიძუშავოთ აბრევიატურების სრული კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს თავდაპირველი ლექსიკური ერთეულის „კვალს“ წარმოქმნილ შემოკლებულ სიტყვაში, აბრევიატურებისა და ამოსავალი სიტყვის ურთიერთობასა და ა.შ. ავტორმა ჩამოაყალიბა ის პარამეტრები, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით შემოკლებული ერთეულის სემანტიკის გაფორმებაში. ეს პარამეტრებია:

1. ამოსავალი ერთეულის ტიპი (სიტყვა, შესიტყვება, სიტყვათა ჯგუფი); ამოსავალ ერთეულში შემადგენელ ელემენტთა რაოდენობა, მათი თანმიმდევრობა და შესაბამისობა სინტაქსურ ნორმებთან;
2. მიღებული აბრევიატურული ნიშნის ტიპი (ინიციალი; მარცვალი; სიტყვა; მიღებულ შემოკლებულ ერთეულში შენარჩუნებულ კომპონენტთა რაოდენობა და მათი შეფარდება ამოსავალ შესიტყვებაში შემავალი სრულმნიშვნელოვანი სიტყვების რაოდენობასთან);
3. ადგილი, რომელიც აბრევიატურების კომპონენტებს უჭირავთ ძირეულ ერთეულში - საწყისი, ბოლო, შუა; საწყისი და ბოლო;

4. აბრევიატურების ფონეტიკური და გრაფიკული გაფორმების თავისებურებები;
5. აბრევიატურების შემადგენლობაში ისეთი ელემენტების არსებობა, რომლებიც არ შეინიშნებიან ძირეულ სიტყვაში ან შესიტყვებაში (მაგალითად, რომელიმე აფიქსი);
6. რთულ აბრევიატურებში სიტყვათა ფრაგმენტების შეერთების ხერხი - მირთვა, სიტყვათა ნაწილების ჩაშენება (ხარიტონიკი 1992: 191, 199).

ა.ნ. ელდიშევის მიერ გამოყოფილი შემდეგი პარამეტრები დაედო საფუძვლად შემოკლების სტრუქტურულ კლასიფიკაციას, რომელშიც მეცნიერი სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპს გამოყოფს:

1. რთულმარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ სიტყვების რედუცირებული ნაწილები არანაკლებ ორფონემიანი მარცვლისა, არამედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვებიც;
2. მარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი სიტყვის ნაწილი ან ნაწილები, ხაზოვანი მიზიდულობის არაუმცირეს ორფონემიანი მარცვლისა;
3. ინიციალური შემოკლება, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედიან სიტყვის ან შემოკლებული შესიტყვების საწყისი ასოები, ბგერები (ინიციალები) (ელდიშევი 1985: 16-18).

ზ.ა. ხარიტონიკმა და ა.ნ. ელდიშევმა შემოკლების ახალი კლასიფიკაცია ჩამოაყალიბეს, სადაც შემოკლების ყველა ტიპი გაერთიანებულია ერთ მთლიან სისტემაში. დღესდღეობით უფრო გავრცელებულია შემოკლების ტრადიციული კლასიფიკაცია აბრევიატურებად, აკრონიმებად და ა.შ., როგორც ი.ვ. არნოლდმა, რ.ს. გინზბურგმა და ვ. ზაბოტკინამ შემოგუთავაზეს.

აბრევიაცია ბევრ პრობლემას ქმნის სიტყვაწარმოების პროცესის კვლევის დროს. დ.ი. ალექსეევის აზრით, სიტყვაწარმოების აბრევიატურული ხერხი არის ყველაზე სუბიექტური მათ შორის, რაც კი ენაში შეიძლება არსებობდეს. ამას თან ერთვის აბრევიაციის თანამდევ ბევრი თავისებურება: შეცდომები, მრავალმნიშვნელოვნება და შემთხვევითობა, სუსტი ნაციონალური ფონი, რეგლამენტაცია და ა.შ (ბორისოვი 1972: 72-73).

აბრევიაციის განვითარებაში დიდი როლი ეთმობოდა კორელაციური აბრევიაციის პრინციპს, რომელიც აკრონიმების, ინიციალური აბრევიაციების განვითარების საფუძველია.

I მსოფლიო ომის დროს, როგორც ვიცით, საფუძველი ჩაეყარა ქვეყნების, ქალაქების, სამხედრო, სოციოლოგიური, საზოგადოებრივი, ჟურნალისტური, ინდუსტრიული და სხვა ტერმინების შემოკლებით ჩაწერასა და წარმოთქმას.

სწორედ ამის შემდეგ შეიძინა მან პროდუქტიულობა და გავრცელება, შემუშავდა და გამყარდა აბრევიატურების ძირითადი მოდელები და სახესხვაობები, დაიწყო მათი დახვეწის პროცესი. შეიქმნა ათასობით აბრევიატურული ლექსემა, რომელიც გამყარდა და ხანგრძლივი დროით შევიდა ინგლისური სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენლობაში. I მსოფლიო ომის დროინდელი აბრევიაცია კი, შეიძლება ითქვას, ჩანასახის მდგომარეობაში იყო.

აბრევიაცია, როგორც ვნახეთ, იძლევა კონტექსტის მაქსიმალურად შეკვეცის საშუალებას. მეცნიერი ლ.ვ. შერბა მართებულად ამბობს, რომ შემოკლებული სიტყვები რევოლუციური ენის სიმბოლოდ იქცნენ (შერბა 1974: 134).

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში არც თუ იშვიათად ჩნდება აზრი იმის თაობაზე, რომ აბრევიატურა სიტყვის არამუდმივი და არამყარი კატეგორიაა. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ იქმნება აბრევიატურები, თუ ისინი არამდგრადი და ეფემერულია? როგორც ვხედავთ, ფაქტები სხვა რამეს ამტკიცებენ: სიტყვების ხმარებიდან გამოსვლა და არქაიზმებად ქცევა რთული პროცესია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ საშიშროების წინაშე მხოლოდ აბრევიატურები კი არა, ჩვეულებრივი სიტყვებიც დგანან. არქაიზაციის მიზეზი ყველა სიტყვისთვის ერთია. ამ მოვლენას ძირითადად ენობრივ ფაქტორებს მიაწერენ, გარკვეული რეალიების ამოვარდნას, ხოლო თუ ეს რეალიები ენაში ნარჩუნდებიან, მათი აბრევიატურული თუ არააბრევიატურული დასახელებებიც თანაარსებობენ. რაც შეეხება აბრევიატურების ე.წ. „სიცოცხლის ასაკს,” ენაში დაახლოებით, საშუალოდ 50-60 წელია, რაც ძირითადად დამოკიდებულია თავად სიტყვების სტრუქტურაზე (ალექსევი 1962: 175).

აბრევიაცია მისაღებია როგორც სასაუბრო ენის, ასევე ჟურნალ-გაზეთების ენისთვისაც. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ აბრევიაციას წერილობით და ზეპირ ტექსტში უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე ტერმინებს სრული ფორმებით. მაგალითად, ჩვენთვის უფრო მისაღებია MTV, ვიდრე Music Television. ამ უკანასკნელის გაგონებისას მსმენელი შეიძლება ვერც კი მიხვდეს რაზეა საუბარი, მაშინ, როდესაც MTV-ს ხსენება ეჭვს არ ტოვებს, რომ მოქმედს მხედველობაში აქვს ტელევიზიის პოპულარული არხი. ასევე გავრცელებულია e-

mail-ის ხმარება ელექტრონული ფოსტისა (electronic mail) და PC-ს ხმარება პერსონალური კომპიუტერის (Personal Computer) ნაცვლად. CD-ც ახალგაზრდების მეტყველებაში ერთმნიშვნელოვნად იხმარება უფრო გრძელი Compact Disk-ის ნაცვლად.

იმ აბრევიატურების გამოყენების მაღალი მოთხოვნილება, რომლებიც სრულმნიშვნელოვანი ტერმინების ნაცვლად არიან გამოყენებულნი, დასახელების შერქმევის დროს საჭიროებს სიფრთხილეს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა ან გაურკვევლობა. მაგალითად, იმის გამო, რომ აბრევიატურა FBI < Federal Bureau of Investigation (გამოძიების ფედერალური ბიურო) ემთხვეოდა სხვა დასახელების მქონე იგივე აბრევიატურას FBI < the Federation of British Industry (ბრიტანული ინდუსტრიის ფედერაცია), ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დასახელება შეეცვალა და გადაკეთდა კონფედერაციად - CBI < the Confederation of British Industry.

30-40 -იან წლებში აბრევიატურებს აღიქვამდნენ ენის ლექსიკური ერთეულის ნაწილად და მათი ინგლისური ენიდან განდევნის პროცესიც კი დაიწყო. ეს განაპირობა აბრევიაციის ჯეროვნად შეუფასებლობამ. მაგალითად: ცნობილია, რომ შემოკლების (გრაფიკულისა და ლექსიკურის) ორთოგრაფია არ იყო შემუშავებული. ამის გამო, პრესასა თუ ლინგვისტურ ლიტერატურაში დღესაც კი იბეჭდება რეკომენდაციები და პროგნოზები შემოკლებული სიტყვების მართლწერისა და წარმოთქმის შესახებ.

ძალზე საინტერესოა, ფონეტიკური და ორთოეპული თვალსაზრისით, აბრევიაციებში ხმოვნებისა და თანხმოვნების, კომბინირებული ბგერების წარმოთქმა. ინგლისურ ენაში იშვიათია ისეთი აბრევიაციები, რომლებიც არ შეიცავენ ხმოვნებს, მაგრამ თუ ასეთი გვხვდება, როგორც წესი, იკითხება ანბანური წესის მიხედვით. მაგალითად: Sbkkv < Space-Based Kinetic Kill Vehicle. ვკითხულობთ (esbikeykeyvi). ანალოგიურად ხდება რუსულ და სხვა ევროპულ ენებშიც. ამ მხრივ ქართული გამონაკლისს წარმოადგენს.

როგორც წესი, ინიციალური აბრევიატურები არ გამოითქმის, როგორც სიტყვა, განსხვავებით აკრონიმებისაგან, რომლებიც წარმოების შემდეგ გადიან სემანტიკურ, ფონეტიკურ, გრამატიკულ და აქცენტოლოგიურ ე.წ. დახვეწას. შედეგად კი გვრჩება მზა, ჩვეულებრივი, საყოველთაოდ მიღებული სიტყვა. მაგ: MEGO < My Eyes Glaze Over; SOHO < Small Office, Home Office; smof < secret master of fandom. როგორც ზემოთსენებული მაგალითებიდან ჩანს, ზოგი აბრევიატურა

გარეგნულად ძალიან ჰგავს აკრონიმს და ხშირად შესაძლებელიც კი ხდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა (ზაბოტკინა 1989: 41). ამას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში აღინიშნება აბრევიატურათა ცალკეული ასოების შემდეგ წერტილების დაწერაზე უარის თქმის ტენდენცია ტექნიკური ტერმინებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის დასახელების ხმარებისას, მაგ: EPA < Environment Protection Agency და არა E.P.A., მაგრამ ზოგ აბრევიატურას წერენ წერტილითაც და მის გარეშეც. ასეთებია, მაგ: C.B. an CB < Citizen Band; ERA an E.R.A. < Equal Rights Amendment. ზოგი ამასთან ერთად, ხან მთავრულით, ხან კი პატარა ასოებით იწერება, მაგ: a.k.a., a/k/a < also known as. კვლევის დროს ამ უკანასკნელს ძირითადად ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტში ვხვდებოდით. ასევეა: AONB (US.E) - A.O.N.B. (GB.E) < Area of Outstanding Natural Beauty; MIA (GB.E) - M.I.A. (US.E) < missing in action. ზოგი აბრევიატურა მხოლოდ წერტილებით იწერება, მაგრამ ნეოლოგიზმებს შორის მსგავსი ძალზე იშვიათია. მაგ: D.W.I. < driving while intoxicated; D.J. < disk jockey. იმ აბრევიატურებს შორის, რომლებსაც წერის სხვადასხვა ვარიანტი აქვთ, ისეთებსაც ვხვდებით, რომელთა პროტოტიპებიც სხვა ენის სიტყვათშეთანხმებებია. მაგ: FALN, F.A.L.N. < Fuerzas Armadas de Liberacion Nacional (ესპანურად) - Armed Forces of National Liberation; RSVP, R.S.V.P. < respondes s'il vous plait (ფრანგულად), რაც ინგლისურად არის “reply to an invitation”.

საყურადღებოა ისიც, რომ აბრევიატურების შემოკლებული ჩაწერის დროს სასვენ ნიშნებს თითქმის აღარ ხმარობენ, რისი დაფიქსირებაც ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებშიც არ გავგვჭირვებია.

ჩამოთვლილი აბრევიატურები ძალიან გვანან აკრონიმებს: EDI, IL-2, ME, NAI, SID, SIDS, SIV, IT (ეიტო 1990). ეს აბრევიატურები ანბანური წესით იკითხება, მაგრამ ისინი ასევე შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვებიც.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ი.ვ. არნოლდის აზრი. იგი თვლის, რომ თუ სიტყვები შესაძლებელია წავიკითხოთ, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვა, მაშინ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენი აზრით, აბრევიატურის სიტყვის სახით წაკითხვა ზოგადად ადამიანის დროსა და ენერჯიას (არნოლდი 1986: 41). მაგალითისთვის მოვიყვანოთ NYC < New York City; OJ < orange juice; SOB < short of breath. ამ აბრევიატურებს ვკითხულობთ, როგორც ჩვეულებრივ

სიტყვებს. ასოით აბრევიატურებს, მოკვეცილი სიტყვებისგან განსხვავებით, არა აქვთ ემოციურ-ექსპრესიული ელფერი და ამ თვალსაზრისით, ისინი არ განსხვავდება ამოსავალი სიტყვათშეთანხმებისაგან.

აღსანიშნავია, რომ აბრევიაციებსა და აკრონიმებს შორის საზღვარი მერყეობს და გარკვეული დროის განმავლობაში ინიციალური აბრევიატურები ჩვეულებრივ ლექსიკურ ერთეულებად გადაიქცევიან ხოლმე. მაგ: VJ < video jockey; emcee ნიშნავს mc < master of ceremonies (გინზბურგი 1979: 56).

თანამედროვე ინგლისურ ენაში მიღებულია სიტყვებში ასოების ცვლილება წერის დროს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი მაგალითი: xmas ნიშნავს Christmas. მოცემულ მაგალითში x ცვლის სიტყვის პირველ ნაწილს, თუმცა ამ პირველ ნაწილში საერთოდ არ არის ასო x. ასევე x-rated ნიშნავს excessive brutality. როგორც ვხედავთ, ასო x-ს ინგლისურენოვანი სამყაროს სინამდვილეში სხვა დატვირთვაც აქვს. იგი იწერება იმ ფილმების აფიშებზე, რომელთა ნახვა აკრძალულია თვრამეტ წლამდე ასაკის მოზარდისათვის. ინგლისში დღესაც არსებობს ე.წ. x-certificate. პირველ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ასომ x შეცვალა სიტყვის პირველი ნაწილი, მეორე მაგალითში კი - მთელი სიტყვა.

კიდევ ერთი პოპულარული მაგალითი: საყოველთაოდ მიღებული და ყველასათვის საყვარელი შემოკლება "O.K.", რომელიც ნიშნავს: "All Correct" და აბრევიაციის შედეგად უნდა დაიწეროს, როგორც A.C., რატომღაც სულ სხვაგვარად ვწერთ და წარმოვთქვამთ, როგორც [oukei], ალბათ იმიტომ, რომ როდესაც ამ შემოკლებას ვხმარობთ, „ყველაფერი (მართლაც) რიგზეა“. საინტერესოა ამ შემოკლების განმარტება 1969 წლის Encyclopedia International-ში: „ეს საყოველთაო თანხმობის აღმნიშვნელი სიტყვა გახდა სლენგი O.K. კლუბის სახელწოდებიდან, რომელიც აშშ-ს მერვე პრეზიდენტობის კანდიდატის - მარტინ ვან ბურენის მხარდამჭერებმა გამოიყენეს თავიანთი მიზნებისთვის. მარტინ ვან ბურენი ცხოვრობდა კინდერჰუკში, ნიუ-იორკში და მას ზედმეტ სახელად ეახდნენ Old Kinderhook. ეს ტერმინი 1840-იანი წლებიდან გამოიყენებოდა, ხოლო ამის შემდეგ მიიღო ამჟამინდელი მნიშვნელობა“ (ეიტო 2006; საერთაშორისო ენციკლოპედია 1969 :532).

ზოგჯერ აბრევიატურებში ასოები ადგილს იცვლიან, მაგ: CDV ნიშნავს compact video disk. ჩვენი აზრით, ეს მოხერხებული წარმოთქმის მიზნით ხდება.

არის ისეთი აბრევიატურებიც, რომლებიც არ იკითხება ისე, როგორც იწერება. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ wc, რომელიც ნიშნავს water closet და იკითხება შემდეგნაირად: /vi:ci:/. აქ ასო w შეცვალა ასომ v. ასევე გერმანიაში წარმოებული მანქანა BMW < /bi'em'vi:/, და არა /bi'em'd^bɫju/.

ზოგი აბრევიაცია, როგორც ჩანს, ვიზუალური აღქმისათვის არის მისადაგებული. ასეთია, მაგ: M&A < Mergers and Acquisitions. ასეთ შემოკლებას and კავშირი უთუოდ დაამძიმებდა, ამიტომ მის მაგივრად იხმარება ნიშანი &. გავიხსენოთ თუნდაც ინგლისში ცნობილი მაღაზია C&A, ან მოდელიორები Dolce&Gabbana < D&G, რომლებმაც სახელი სწორედ ამ პრინციპით შეირჩიეს. ანალოგიურია შემდეგი თხზული სიტყვების აბრევიატურები: D&D < deaf and dumb; C&W < country and western და ა.შ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე აბრევიატურებში უკვე აღარ იხმარება სასვენი ნიშნები. რიგ შემთხვევებში რთული სიტყვების ჩაწერა მოხერხებულია გამყოფი ნიშნების, ძირითადად, დახრილი ხაზის დახმარებით, მაგ: Eft/pos; IL-2.

აღსანიშნავია, რომ შემოკლებულ სიტყვას შესაძლოა, დაერთოს გრამატიკული აფიქსი. მაგალითად, შესიტყვებამ night dress წარმოშვა შემოკლება nightie, სადაც ამოსავალი შესიტყვების პირველი კომპონენტის გარდა, არსებობს სუფიქსი – ie, რომელიც შემოკლებას აფორმებს.

წარმოქმნილმა შემოკლებულმა ერთეულმა დროთა განმავლობაში შეიძლება შეიძინოს გრამატიკული აფიქსიც. მაგალითად, ვხვდებით შემოკლების შემდეგ ფორმებს: MP's; POW's და ა.შ.

საინტერესოა ასევე გამოჩენილი ადამიანების სახელების აბრევიაციაც, როგორებიცაა: G.B.S. < George Bernard Shaw; D.H. Lawrence < David Herbert Lawrence. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების შემოკლებებზე მუშაობის პროცესში ადამიანთა სახელების ახლადწარმოქმნილ შემოკლებებს ნაკლებად ვხვდებით. რაც შეეხება ადრინდელ შემოკლებებს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა guy მივიღეთ Guy Fawkes-ის სახელისაგან, ასევე

Count Ferdinand von Zeppelin < zeppelin, რომელსაც პირველი სამი სიტყვა მოეკვება და ენაში დამკვიდრდა არსებით სახელად და არა ადამიანის სახელად. აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა saxophone, რომელსაც არც თუ იშვიათად გამოკლებთ, როგორც sax ან ax, მიღებულია Antoine Sax-ის გვარიდან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი აბრევიატურები, რომელთა ომონიმური სიტყვებიც არსებობენ ინგლისურ ენაში. მაგალითად: ME < Myalgic encephalomyelitis, რომელიც ცხადია, შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც პირის ნაცვალსახელიც, ისევე, როგორც IT < information technology. ადვილი სავარაუდოა, რომ რაიმე დაწესებულების, ადგილის ან მოვლენისათვის სახელის მიცემისას, ინგლისელი ჟურნალისტები, მეწარმეები თუ სხვა, ცდილობენ იგი ადვილად დასამახსოვრებელი და, ამდენად, ხალხისათვის უფრო ახლობელი გახდეს. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა ახალი რეალისათვის უკვე ნაცნობი სახელის მისადაგება, რასაც მოცემულ მაგალითებში აქვს ადგილი.

ერთ-ერთ იაპონურ ფირმას, რომელიც მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას აკრავდა ლოგოს “Made in USA”, უჩივლეს კანონის დარღვევისათვის. ფირმამ პროცესი მოიგო და მისი კანონიერება დაამტკიცა იმით, რომ ის სწორედ იაპონიის ქალაქ უსაში ამზადებდა ნაწარმს.

სასაუბრო ენაში, პუბლიკაციებსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში აბრევიატურები ფართოდ გამოიყენება სტილისტური მიზნებისათვის. ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია აბრევიატურების სახუმარო გაშიფვრა, როდესაც ესა თუ ის შემოკლება სტილისტური მიზნით ახალ გაშიფვრას იძენს, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ექსპრესიული ელფერი აქვს. ხშირად ეს მცდელობა წარმატებით ხორციელდება. საქმე იმაშია, რომ ახალი აბრევიატურის წარმოება კი არ ხორციელდება, არამედ უკვე არსებული შემოკლებიდან ომონიმური იქმნება. ესაა სტილისტური კორელატიური აბრევიაცია, რომლის შედეგად ვლუბულობთ ე.წ. კალამბურებს. მაგ: IBM იშიფრება, როგორც Italian Businessman. ეს ფედერალური გამოძიების ბიუროს თანამშრომლების მიერ არის გადაკეთებული იტალიელი მაფიოზების აღსანიშნავად. ანალოგიურია lips < (couples with) low income, parents supporting; GQ აბრევიატურა, რომელიც ნიშნავს Gentlemen Quarterli, შეიძლება გავიგოთ, როგორც good quality; CK აღნიშნავს cocaine-ს და ასევე Calvin Klain-ს; ცნობილი საავტომობილო ფირმის სახელწოდება Audi < I'm out here. მიუხედავად იმისა, რომ ეს აბრევიატურა წერის დროს არანაირად არ

ესადაგება მის გაშიფვრას, მისი წარმოქმნის დროს სწორედ ამ შედეგს ვღებულობთ.

ზოგიერთი სიტყვებს ციფრებით გამოხატავს. ამის კარგად ნაცნობი მაგალითებია ყველასათვის საყვარელი როკ-ჯგუფის “U2” - და ასევე პოპულარული ჯგუფების “All 4 ONE” და “Boys 2 Men” სახელწოდებები. ამ შემთხვევაში 2 ნიშნავს too და to, ხოლო 4 - for. მსგავსი მიზნით არის შექმნილი ე.წ. „ციფრული აბრევიატურა“ 143 - I Love You < I - one letter, love- four letters, you - three letters. ქართველი მოზარდები ამ აბრევიატურას უთუოდ ასე გადმოაქართულებდნენ: 239 < მე შენ მიყვარხარ. დადებითი ემოციის შემთხვევაში ამის პასუხია 1432 - I love you too an 14u2, სადაც ბოლო ციფრი - 2 სულაც არ ნიშნავს too-ს, ის ორიანად რჩება. სწორედ ამის გამო მიაკუთვნეს მას ციფრი 2 და არა 3 (too ხომ სამ სიმბოლოს შეიცავს), რომელიც სხვაგვარად გრაფიკულად შემდეგნაირად იქნებოდა გამოსახული - 1433. მსგავსი პრინციპით არის წარმოებული შემდეგი: B4 < Before; /C < Because; C4N < Chao For Now; F2F < Face to Face; L8r < Later; :* < Kiss; 0:t < Angel; :E < Vampire; :-)) < Very Happy; :-Q < I am a Smoker. მსგავსი ციფრული აბრევიატურა ათასობითაა e.w. Netizen -ების < Network Citizen დამწერლობაში. როგორც ვხედავთ, ეს სიმბოლოები გაცილებით ნაკლებ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს მომხმარებლისაგან, ადრესატიც სწრაფად შიფრავს მას. ამ ტიპის სიტყვაწარმოებას შეიძლება პირობითად DC < Digital Chaos და არა District of Columboia, ვუწოდოთ. საინტერესოა, რომ ასეთი მაგალითების საძებნელად არ დაგვჭირვებია ლექსიკონები.

ინტერნეტ გვერდზე www.abbreviations.com მუდმივად ტარდება კვლევა ყველაზე ხშირად გამოყენებული და ასევე პროდუქტიული აბრევიატურების თაობაზე. უკანასკნელი მონაცემებით, ბოლო პერიოდის ყველაზე აქტიურ აბრევიატურების ათეულში მოხვდნენ შემდეგი შემოკლებული ერთეულები:

HTTP	Hypertext Transfer Protocol, Internet Holdings, Inc. Head To This Page Handy Trendy Totable Pockets Home Tested And Tried Pages High temperature means love
------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

TTUL	Talk To You Later, Totally, Ta Ta You Loser, Tell Those You Love, Take Time Ya Lover,
GOP	Grand Old Party, Group Of Pictures, Government Of the People, Group Of Politicians, Greed Over People, Get Old People
GTI	Grand Touring Injection, Grounded Theory Institute, Generating Tolerance and Insight, Global Teamwork Information, Get Tickets In, Graduates To Industry
CCCP (Russian spelling of USSR, the Soviet Union)	Caltech Core Collapse Project, Carbonyl Cyanide 3-ChloroPhenylhydrazone, Conference Control Channel Protocol, Compilers Creating Custom Processors, Camera Corner / Connecting Point, Communist Countries Can't Produce
ASP	Application Service Provider, Active Server Page, Astronomical Society of the Pacific, Average Selling Price
FUBAR	Fouled Up Beyond All Repair, Failed UniBus Address Register, Fouled Up Beyond All Recovery, Favola Urbana Bisogna Agire Rigorosamente
RPSVP	Repondez S'il Vous Plait, Resource Reservation Protocol,

	Retired and Senior Volunteer Program, Rapid Serial Visual Presentation, Revenue Sharing Value Plan, Rare Songs Very Personal
PDA	Personal Digital Assistant, Patent Ductus Arteriosus, Progressive Democrats of America, Public Displays Of Affection
BYOB	Bring Your Own Bottle, Boat, Boose, Bike

როგორც ვხედავთ, ზემოთმოყვანილი აბრევიატურების უმეტესობას იუმორისტული გაშიფვრა აქვს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მსგავსი წარმონაქმნების პოპულარობას საზოგადოებაში.

სხვადასხვა ენაში არსებულ აბრევიატურას ზოგჯერ პირდაპირ, ყოველგვარი თარგმანის გარეშეც ამბობენ. ასეთია, მაგალითად, რუსული აბრევიატურები: FSB < Federalnaya Sluzhba Bezopasnosti; KGB < Komitet Gosudarstvennoy Bezopasnosti; ODAB < Obyomno-Detoniruyuschchaya Aviatsionnaya Bomba; ფრანგულიდან: ASSEDIC < Association pour l'emploi dans l'industrie et le commerce; AFC < Assemblée Parlementaire de la Francophonie; იტალიურიდან: CAPE < Commissione dell'ambiente, della pianificazione del territorio e dell'energia, PLIDA < Progetto Lingua Italiana Dante Alighieri; გერმანულიდან: BMW < Bayerische Motoren Werke; DAAD < Deutscher Akademischer Austauschdienst.

ზოგი ნასესხები აბრევიაცია ლათინურიდან, ფრანგულიდან და ა.შ. გამოიყენება მხოლოდ წერის დროს, წაკითხვისას კი ვამბობთ მათ ინგლისურ შესატყვისებს სრული ფორმით: e.g. < exempli grotia -ს ვკითხულობთ for example; cf < compare, ნაცვლად მისი ლათინური დასახელებისა confer, აგრეთვე i.d. < that is და არა id est, სხვებს კი წერის დროს და წაკითხვისას იმ ენის შესაბამისად გამოვხატავთ, საიდანაც ვისესხეთ: R.S.V.P. < Repondes sil vous plait; o'river < au revoir და ა.შ.

საინტერესოა, რომ ინტერნეტ გვერდზე http://en.wikipedia.org/wiki/List_of_classical_abbreviations დაინტერესებულმა პირმა შეიძლება მოიძიოს კლასიკური ლათინური აბრევიატურების სრული სია,

რომლებსაც დღესაც ვიყენებთ იურიდიულ, სამედიცინო თუ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში.

ჩვენი ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია, განხილულ მაგალითებთან დაკავშირებით განხორციელებული კვლევის შედეგები აღვწეროთ თითოეული საკვლევი თემატიკის ბოლოს, რაც ძალზე რთული აღმოჩნდა წინამდებარე შემთხვევაში, რადგანაც აბრევიატურების გამოყენების სფეროები შეუზღუდავია და თითოეულ დარგში არსებული და გამოყენებადი შემოკლების რაოდენობის დათვლა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. შეგვიძლია ცხრილის სახით წარმოვადგინოთ ის დარგები, სადაც ყველაზე აქტიურად არის დაფიქსირებული შემოკლების ეს ტიპი. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე არსებული უამრავი რესურსიდან (სულ მოვიძიეთ 47 ინტერნეტ გვერდი) ამოვარჩიეთ ყველაზე მნიშვნელოვანი და უტყუარი გვერდი - <http://www.abbreviations.com/>, რომელიც მუდმივად განახლების რეჟიმშია და აფიქსირებს ყოველგვარ სიახლეს:

<p>COMPUTING</p> <p>General, File Extensions, Networking, Telecom, Software, Hardware, Assembly, Databases, SMS, Drivers, Security »</p> <p>INTERNET</p> <p>Chat, Emoticons, Domain Names, Wannas, HTTP, MIME, ASCII »</p> <p>ACADEMIC & SCIENCE</p> <p>Chemistry, Electronics, Ocean Science, Meteorology, Amateur Radio, Universities, Mathematics, Physics, Academic Degrees »</p> <p>MISCELLANEOUS</p> <p>Funnies, Food, Farming, Plastics, Sci-Fi, Months, Days, Unit Measures, Chess, Clothes, Journal Abbreviation Sources »</p>	<p>BUSINESS</p> <p>Occupations & Positions, International, Stock Exchange, Firms, Accounting, NASDAQ Symbols, NYSE Symbols »</p> <p>GOVERNMENTAL</p> <p>UN, Military, US Gov., NASA, Police, FBI, State & Local, Suppliers, Transportation »</p> <p>COMMUNITY</p> <p>Famous, Sports, Media, Religion, Unions, Law, Educational, Film Censorship, Schools, Conferences, Music, Non-Profit »</p> <p>REGIONAL</p> <p>Countries, US States, Canada Provinces, Currencies, Time Zones, Airport Codes, Telephone Country Codes, Railroads »</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

MEDICAL Physiology, Oncology, Laboratory Human Genome, Veterinary, Hospitals »	INTERNATIONAL Spanish, French, Mexican, Russian, Italian, Latin, German, Turkish, Hebrew »
---------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------

ყოველივე ზემოთგანხილულმა პროცესმა განაპირობა ჩვენი ყურადღების გადატანა შემოკლების კვლევის დიაქრონულ ასპექტზე. წინამდებარე ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს აბრევიაციის (გრაფიკულისა და ლექსიკურის) განვითარება, ურთიერთდამოკიდებულება, აბრევიაცია, როგორც სიტყვაწარმოების ხერხი, მისი სპეციფიკა და ადგილი თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოების სისტემაში, აბრევიატურები, როგორც სიტყვათა ახალი ტიპი, მათი სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი და ამ გზით, მათი ე.წ. „კანონიერების“ დადგენა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ აუცილებელია მათთვის ენის საერთო სიტყვაწარმოების სისტემაში ადგილის მიჩენა, როგორც სიტყვაწარმოების ხერხისა სხვა ნომინაციებს შორის. ვადასტურებთ, რომ აბრევიაციამ, როგორც სიტყვათა ახალმა ტიპმა, განავითარა ენის ლექსიკური სისტემა და არა პირიქით, მას არ გაურთულებია ენის სტრუქტურა.

2.2. აკრონიმია

აკრონიმები ძალზე პოპულარულია ინგლისურ ენაში. ისინი გვხვდება თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომში, საგაზეთო სტატიაში, სადაც არც თუ ისე იშვიათადაა განხილული აბრევიაციისა და შემოკლების გამოყენების საკითხები. ჟურნალების გვერდზე კი გაჩნდა სიტყვა *acronymymania*, რაც ნიშნავს სიტყვების შემოკლებით ხმარების მანიას (Time, July 20 1970: 40). ცნობილია ტერმინი „აკრონიმის“ დაბადების თარიღიც. ეს არის 1943 წლის თებერვალი (American Notes and Queries, February 1943: 12), როდესაც ბაზილ დევენპორტმა (Basil Davenport) ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნა: “I have seen such words made up of the initial letters or syllables of other words called by the name acronym, which is useful, and clear to anyone who knows a little Greek“ (<http://www.answers.com/topic/acronym>).

1950 წელს ფანკ & ვაგნალსმა (Funk & Wagnalls) „ახალი სიტყვებისა და ახალი ამბების სიტყვების“ (New Words and Words in the News) დამატებაში მოგვცა ტერმინის „აკრონიმი“ განმარტება, როგორც სხვადასხვა სიტყვის საწყისი ასოებისაგან, ინიციალებისაგან მიღებული სიტყვა, მაგალითად: Unesco < United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, მათივე განმარტებით, აკრონიმის მიღება შესაძლებელია ასევე საწყისი მარცვლით ან ასოებით, როგორც მაგალითად: radar < radio detecting and ranging ან საწყისი და ბოლო მარცვლების შეწებებით ან ერთმანეთზე გადაბმით, როგორც motel < motorist's hotel (ბაუმი 1995: 103). როგორც ვხედავთ, აკრონიმის განმარტების პირველი მცდელობა არც ისე წარმატებული აღმოჩნდა, რადგანაც მასში გაერთიანებულია შემოკლებული სიტყვაწარმოების სხვა ელემენტებისათვის, მაგალითად, შენახარდი სიტყვებისათვის დამახასიათებელი თვისებები, რომლებსაც შემდეგში განვიხილავთ.

თუმცა, აკრონიმების ლექსიკონის პირველ გამოცემაშიც (Acronyms Dictionary: First Edition), სადაც 200 გვერდში ანბანის წესით არის დალაგებული A < Army -დან ZTO < Zone Transportation Office –მდე, ჩანს, რომ ავტორებს ბოლომდე გარკვევით გააზრებულად არ ჰქონდათ შეტანილი მხოლოდ აკრონიმები. სამაგიეროდ, წიგნის ქვეთავი: ‘A Guide to Alphabetic Designations, Contractions, and Initialisms’ (Acronyms Dictionary :7) ამართლებს ლექსიკონის შექმნის იდეას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ლექსიკონი იყო პირველი მცდელობა არა

აკრონიმების ლექსიკონის შედგენისა, არამედ ზოგადად ისეთი სიტყვებისა და ერთეულებისა, რომლებიც მიიღება ყოველგვარი შემოკლებისაგან.

საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს აკრონიმიის, როგორც ენობრივი მოვლენის ერთი ზოგადი განმარტება. როგორც აკრონიმების, ინიციალიზმებისა და აბრევიატურების ლექსიკონის 1993 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ავტორმა მოსმანმა (Mosman: 1993) ერთ დონეზე განიხილა ინიციალები, აკრონიმები და აბრევიატურები, რასაც უწოდა ენის ერთეულები, რომლებიც საწყისი ასოების ან სიტყვის შემოკლებული ნაწილისაგან მიიღება, რომლებიც ერთმანეთისაგან წაკითხვის წესებით განსხვავდება. და აგრძელებს, რომ აბრევიატურა არის “a shortened form of a word or words that does not follow the formation of either of the above” (1993:9). მიუხედავად იმისა, რომ აქაც ბოლომდე არ არის გამიჯნული აბრევიატურა აკრონიმიისაგან, აკრონიმების ლექსიკონის ადრეულ გამოცემებთან შედარებით, აშკარად ჩანს, რომ აკრონიმი არ შეიძლება ჩაითვალოს აბრევიატურად, თუნდაც იმიტომ, რომ მათ სხვადასხვაგვარად ვკითხულობთ. თუმცა მეცნიერი ჯონ ალჯოს საწინააღმდეგოს ამტკიცებს: “like the orthoepically pronounced acronym . . . they have a pronunciation different from that of the corresponding full form... although most definitions of the acronym do not explicitly consider its pronunciation, they often include among their examples forms like *MP* [‘Member of Parliament’]” (ალჯეო 1974: 222). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი აკრონიმების კატეგორიაში განიხილავს ალფავიტიზმსა და აბრევიატურას მხოლოდ იმის გამო, რომ „ყველა ასე იყენებს მას”. თუმცა ალჯეო იყენებს ტერმინებს “pseudo acronyms და acromym-like”, რაც გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ავტორი თავადაც არ აიგივებს შემოკლების სხვადასვა საშუალებას აკრონიმიასთან.

ზოგი მეცნიერი, მაგალითად, მარკვარდი (Markward), აკრონიმებს აიგივებს ტელესკოპურ სიტყვებთან, იმ შემოკლებებთან, რომლებიც შედგება მოკვეცისა და მარცვლოვანი ტიპის ინიციალური აბრევიაციებისაგან, რომლებსაც შენაზარდ სიტყვებს უწოდებთ. ზოგი ავტორი კი ძალიან ავიწროვებს მათ მნიშვნელობას და აკრონიმებს მიაკუთვნებს მხოლოდ მარცვლოვანი ტიპის შემოკლებას. (მარკვარდი: 2003)

კ. ბარნჰარტის მონაცემებით, აკრონიმების დიდი რაოდენობით წარმოება დაფიქსირდა II მსოფლიო ომის დროს. მაგ: JATO < jet-assisted take-off; WAC < Women’s Army Corps.

სხვადასხვა სფეროში არსებული აკრონიმების მაგალითებია:

- Zoo < zero on originality;
- Laha < life, accident, and health insurance;
- Cod < carrier abnormal delivery;
- Cola < cost of living adjustment;
- Derl < derived emergency reference level;
- Erops < extended range operations;
- GERBIL < Great Education Reform Bill;
- Hiv-2 < human immunodeficiency virus (which causes AIDS);
- MOR < middle of the road;
- Lak cell < lymphokine activated killer cell;
- NIC < newly industrializing country;
- Raids < recently acquired income deficiency syndrome;
- RAD < reflex anal dilatation;
- SAD < seasonal affective disease;
- VJ < video jockey;
- SAEF < stock exchange automatic executive facility;

(სიმპსონი 2005; ეიტო 1990; Bloomsbury Dictionary of New Words. M. 1996) და ა.შ. მსგავსი ერთეულები მყარად შევიდა ინგლისური ენის ლექსიკური მარაგის შემადგენლობაში და ხშირად ისეც იყენებენ, რომ არც კი იციან მათი სრული მნიშვნელობა, რას აღნიშნავს თითოეული ასო, გარდა ამისა, აკრონიმების სრული დასახელება ყველა ლექსიკონში არ არის მოცემული. მსგავსი შემოკლებული ნეოლოგიზმების წარმოებისას კონტექსტში მათი პირველად გამოყენების დროს, სრულმნიშვნელოვანი დასახელება ყოველთვის არის მოცემული. მაგ: Most of us are familiar with GIGO < *garbage in, garbage out*, - and we try in our system to eliminate the vast printouts from the computer. Since about the middle of the last decade the strategic deterrent has been designed according to the concept of *Mutual Assured Destruction*- MAD for short. On March 18, a delegation of high school students will present tens of thousands of signatures to the White House calling for a test ban. They represent STOP Nuclear War < *Students/ Teachers Organising to Prevent Nuclear War* (ბორტინიუკი 1988: 170).

რ.ს. გინზბურგისა და მისი თანაავტორების აზრით, აკრონიმები არიან ჩვეულებრივი სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივი სიტყვებით წარმოითქმიან. მათი წარმოება სხვადასხვა გზით ხორციელდება:

1. ფრაზის შემადგენელი სიტყვების პირველი (ინიციალური) ასოებისა ან მარცვლებისაგან, რომლებიც გამოითქმიან სხვადასხვაგვარად:
 - ა) როგორც ჩვეულებრივი სიტყვები: Pink < Property Income Certificate ; Dinky < Double /Dual Income, No Kids.
 - ბ) როგორც ანბანის ასოები: Ikbs < Intelligent Knowledge based System;
2. აკრონიმები შეგვიძლია მივიღოთ ყოველი სიტყვის ან ფრაზის საწყისი მარცვლებიდან: des res < desirable residence (თუმცა, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის შეზღუდვის და არა აკრონიმის მაგალითი).
3. სიტყვის პირველი ან პირველი ორი მარცვლის შემოკლების კომბინაციით მეორე სიტყვის ბოლო ერთეულთან: H-bomb < Hydrogene Bomb; E-fit < Electronic Facial Identification Technique.

თანამედროვე ინგლისურ ენაში აქტიურად გამოიყენება სამივე საშუალება, მაგრამ ჩვენს მიერ მოკვლეული მასალიდან შეგვიძლია ვადასტუროთ, რომ წარმოების ზემოთხსენებული ხერხებიდან პირველი და მესამე გაცილებით აქტიური და პროდუქტიულია, ვიდრე მეორე.

ყველა აკრონიმი, განსხვავებით ასოითი აბრევიაციისაგან, წარმოგვიდგენს ჩვეულებრივი სიტყვის სინტაქსურ ფუნქციებს, რომლებიც იღებენ გრამატიკულ ელფერს (გინზბურგი 1979: 78).

ყოველი აბრევიატურა არ შეიძლება გადაიქცეს აკრონიმად. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის დროს არანაირი კანონზომიერება არ არსებობს. გასაგებია, რომ BBC-ს ვერ წავიკითხავთ, როგორც სიტყვას, რაც არ ითქმის ისეთ აბრევიატურებზე, როგორებიცაა, მაგ: GOM < Grand Old Man; და OD < Over-dose. მხოლოდ ერთი ასოა განსხვავება აბრევიატურას JAL < Japanese Airlines და IJAL < International Journal of American Languages, ამათგან პირველი, JAL ('dʒei'eɪ'el) - ანბანური წესით იკითხება, ხოლო IJAL (aidʒæl) - აკრონიმია და იკითხება, როგორც სიტყვა.

საინტერესოა, რომ აბრევიატურას VAT < value-added tax კითხვის ორი ვარიანტი აქვს: (vi:ei'ti:) და იქნება აბრევიატურა-აღფავიტიზმი და ასევე (væt) -

ჩაითვლება აკრონიმად (ბაუერი 1983: 238). წაკითხვის ორი წესი აქვს ასევე ნეოლოგიზმებს ECU < European Currency Unit (ei'ku) და (i:'si:ju:).

ბევრი აკრონიმი, როგორც აღვნიშნეთ, გარეგნულად ძალიან ჰგავს აბრევიატურებს. ამას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ ზოგ აბრევიაციას ვკითხულობთ, როგორც ჩვეულებრივ ინგლისურ სიტყვას, მაგ: EDI და SID, მაგრამ აბრევიატურებისაგან განსხვავებით, აკრონიმები ძალზე ხშირად იძენენ ჩვეულებრივი სიტყვების გრამატიკულ თავისებურებებს (ზაბოტკინა 1989: 41), მაგ: Hero < Hazards of Electromagnetic Radiation to Ordnance; Joshua < Joint Sickling Haemoglobin Universal Assay; Salt < strategic arms limitation talks. ჩვენ რომ არ ვიცოდეთ ამ აკრონიმების გაშიფვრა და მათი მნიშვნელობა, შესაძლოა, შევცდეთ და ჩვეულებრივ ინგლისურ სიტყვებად მივიჩნიოთ. ამას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ ეს აკრონიმები იკითხება, როგორც სიტყვები.

აკრონიმების წარმოთქმასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი აზრი. მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც აბრევიატურებისა და აკრონიმების ლექსიკონის ავტორებად გვევლინებიან, წერს: „ამ თემასთან დაკავშირებით, გამომცემლები შეთანხმდნენ - მიენდეთ თქვენს ცნობიერებას, ინტუიციას, წაიკითხეთ და გამოთქვით აკრონიმები ისე, როგორც თქვენ გსურთ. ზოგიერთი მათ წარმოთქვამს ჩვეულებრივი სიტყვების მსგავსად, ზოგიც ანაწევრებს მათ“ (ტილორი, პარტრიჯი 1970: 9-10). როგორც ვხედავთ, ამ ლექსიკონის ავტორები საკითხის გადაჭრას მის წამკითხველს ანდობენ.

აკრონიმებთან დაკავშირებით კიდევ ერთი თავსატეხი არსებობს: როგორ ავსახოთ აკრონიმები გრაფიკულად - მთავრული თუ პატარა ასოებით? კვლავ ზემოთხსენებული მეცნიერთა ჯგუფის აზრი მოვიყვანოთ: „შედარებით იშვიათია, მაგრამ თანდათანობით უფრო მისაღები სალიტერატურო ენისათვის, რომ აკრონიმები დაწერონ პატარა ასოებით. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები, ძირითადად სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების წერის დროს, მაგრამ აკრონიმებს ძირითადად, მაინც მთავრული ასოებით წერენ“ (ბორტნიჩუკი 1989: 168). რაც შეეხება საკუთარ სახელებს (ჩვეულებრივ, ორგანიზაციის დასახელებებს, პარტიის სახელწოდებებს და ა.შ.), მათ ყოველთვის მთავრული ასოებით წერენ. მაგ: Asean < Association of South East Asian Nations; Unisistn < United Nations Intergovernmental System of Information in Science and Technology (ბარნჰარტი 1973).

ხშირად აკრონიმების შემდეგ სასვენ ნიშნებს, ძირითადად წერტილებსა და დეფისებს ვხვდებით. მაგ: J-I-T < just-in-time, თუმცა, ამ აკრონიმს დეფისის გარეშეც ვხვდებით - JIT.

აღბათ ყველა ჩვენგანს ჰქონია მომენტი, როდესაც გვინახავს ესა თუ ის აკრონიმი, შემდეგ დავფიქრებულვართ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ის და უეცრად „ბუდისტური გასხივოსნების მომენტი“ დაგვდგომია? რა თქმა უნდა, მაგრამ მთავარია, ზუსტად გავშიფროთ აკრონიმი, რადგან ზოგჯერ მათი გაშიფრვა მრავალნაირად შეიძლება, ისე, როგორც შემდეგი მაგალითი: ANWR < Arctic National Wildlife Reserve თუ სულაც სიტყვის answer შემოკლებული ვარიანტი?

ან რას უნდა ნიშნავდეს შემდეგი მაგალითი: Bill catch MOS? იშიფრება, როგორც Man on the Street, და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბილმა მოსკიტი (mosquitto) ან Metal Oxide Semiconductor დაიჭირა, თან ეს უკანასკნელი სულ არ ეთანხმება ზემოთთქმულს. ბილმა იპოვა სამიზნე სწრაფი ინტერვიუსთვის ქუჩაში.

მსგავსი მაგალითი საკმაოდ ბლომად არის დაფიქსირებული ბოლოდროინდელ ლექსიკონებსა და ინტერნეტ გვერდებზე. წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ ყველა ტიპის აკრონიმს, რომლებსაც კვლევის დროს ვხვდებოდით და მათი განხილვა ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალეთ.

როგორც მოკვლეულმა მასალამ გვიჩვენა, თანამედროვე ინგლისურ ენაში ფართოდ არის გავრცელებული ის აკრონიმები, რომლებიც ბგერითი და ასოითი შემადგენლობით ერთხვევიან ენის ლექსიკაში არსებულ სიტყვებს. აკრონიმთა ამ ჯგუფს უწოდებენ აკრონიმ-ომონიმებს. ასეთებია, მაგალითად: FUD < Fear, Uncertainty and Doubt, რომელიც თავიდან განკუთვნილი იყო IBM-ის მენეჯერებისთვის, რომელთაც კლიენტებთან კონკურენტი მწამობელების პროდუქციის გალანძღვა ეკრძალებოდათ, შეეძლოთ მხოლოდ აზრის გამოთქმა. ეს აკრონიმი, როგორც სიტყვა, იხმარება სხვა მნიშვნელობით, როგორც შემდეგ მაგალითში ჩანს: "Pay no attention to him, he's just an old fud – ყურადღებას ნუ მიაქცევ, ის ხანდაზმული ადამიანია ძველი, დრომოჭმული შეხედულებებით". მსგავსია JAM < Just a minute, რომელსაც ხშირად იყენებენ ინტერნეტის მომხმარებლები; SATAN < security administrator tool for analyzing networks; ასევე, E-fit < electronic facial identification to ordnance; Pink < property income certificate, ეს აკრონიმი გარდა იმისა, რომ აღნიშნავს ვარდისფერს, თინეიჯერების ერთ-ერთი საყვარელი

ამერიკელი მომღერლის სახელიცაა, ისევე, როგორც STING < Star Trek: The Next Generation. HAND < Have a nice day, RAD < reflex and dilatation; Raids < recently acquired income deficiency syndrome, რომელიც შეგვიძლია წავიკითხოთ ასევე, როგორც რეიდი, SAD < seasonal affective depression /disorder; go-go < government owned, government operated; (პოტერი 1969; სპირსი 2001; ტეილორი, პარტრიჯი 1970, ვებსტერი 1978).

საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი აკრონიმ-ომონიმები, რომლებიც თავიანთი შემადგენლობის გამო უკუაკრონიმებად (backronyms) იწოდებიან, რადგანაც გაშიფვრის დროს სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობის მატარებელი არიან.

God < Good Orderly Direction

Halt < Hungry Angry Lonely or Tired

Fear < False Evidence Appearing Real / Forgetting everything is all right

Forget Everything And Run / Face Everything And Recover

Slip < Sobriety Losing Its Priority

Denial < Don't Even Notice I Am Lying

Fine < Filled up (or Freaked out), Insecure, Neurotic and Emotional.

ანალოგიურია GOLF – Gentlemen Only, Ladies Forbidden.

კვლევამ მოგვცა საშუალება, აკრონიმ-ომონიმები შემადგენლობის თავისებურების მიხედვით, დაგვეყო ორ ჯგუფად:

1. აკრონიმ-ომონიმები, რომელთა ასოით-ბგერითი შედგენილობის დამთხვევა სალიტერატურო ენაში არსებულ სიტყვებთან წარმოიშვა შემთხვევით, ინიციალური აბრევიაციის ჩვეულებრივი ხერხის გამოყენებით: Dinky < Double /Dual Income, No Kids;
2. სპეციალურად, გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი აკრონიმ-ომონიმები: Pink < Property Income Certificate; Hero < Hazards of Electromagnetic Radiation to Ordnance.

ინგლისურ ენაში აკრონიმები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ახალი ორგანიზაციები, რომლებსაც სახელწოდება არა აქვთ, პირველ რიგში ირჩევენ მოკლე სიტყვას, რომელიც ყურადღებას იმით იპყრობს, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობასთან გარკვეულ კავშირშია და მხოლოდ ამ ასოების მორგების შემდეგ ირქმევს ესა თუ ის ფორმა /საწარმო სახელწოდებას.

მაგალითად, სიგარეტის მოწვევის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომელმაც სწორედ ამ მიზნით, სახელწოდებად აირჩია ინგლისური სიტყვა ASH, რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: Action on Smoking and Health. ან თუნდაც

აკრონიმი Domsat თავად შიფრავს იმ სიტყვას, რომელსაც აღნიშნავს: domestic satellite, სახლში მჯდომს შეუძლია უყუროს სატელიტურ არხებს. ასევეა აკრონიმი sitcom < situation comedy.

ცალკე ჯგუფს ქმნიან ის აკრონიმები, რომლებშიც ამოსავალი ერთეულის პირველი ან რამდენიმე კომპონენტი წარმოდგენილია ერთ ასოზე მეტით. მაგ: GHOST (goust) < global horizontal sounding technique; BACAT (Bæ`KæT) < barge aboard catamaran; APEX /Apex (ei`peks) < advance purchase excursion და ა.შ. ზოგჯერ რთულია იმის განსაზღვრა, ახლად „გამომცხვარი“ სიტყვა აკრონიმია თუ შენაზარდი. მაგ: Linac < linear accelerator; Cogas < coal-oil gas. როგორც მოკვლეულმა მასალამ ცხადყო, მსგავსი აკრონიმების რაოდენობა საკმაოდ დიდი მოცულობით არის დარეგისტრირებული ინგლისური ენის ლექსიკონებში, მაგალითად, პოლ დიქსონის (Paul Dickson) 1999 წელს გამოცემულ ლექსიკონში “The Authoritative Topic-by-Topic Dictionary of American Lingoes from All Walks of Life”, შემოკლების სხვა ტიპებს შორის ჭარბობდა აკრონიმები, სულ დაფიქსირდა 233 ამ ტიპის ერთეული, რომელთაგან გაგვიჭირდებოდა 18 ახლადწარმონაქმნის შემოკლების ამა თუ იმ ტიპისადმი მიკუთვნება განმარტების გარეშე.

ზოგჯერ აკრონიმებში სიტყვაწყობის გამო სრული დასახელება იცვლება. ამის მაგალითია: ნიქსონის პრეზიდენტობის დროს აშშ-ში არსებობდა აკრონიმი Bob < Bureau of Budget. მის საფუძველზე შეიქმნა OMB < Office of Management and Budget, რაც ნიშნავს ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო მმართველობას. ამერიკულმა ჟურნალებმა სასწრაფოდ აღნიშნეს, რომ უფრო „ლოგიკური“ დასახელება - Bureau of Management and Budget რომ ეწარმოებინათ, მიიღებდნენ აკრონიმს BOMB არასასურველი ასოციაციით. ინგლისური ენის პოლიტიკურ ლექსიკაში საკმაოდ ბევრი აკრონიმია. მსგავსი სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს იუმორისტული ეფექტის მიღწევა, რის დროსაც ამ ლექსიკური ერთეულების შემქმნელებს წესების დარღვევაც კი უწევთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც აკრონიმებს უმატებენ ერთის ნაცვლად კომპონენტის ორ ან მეტ ასოს. მაგ: Creep < Committee to Reelect the President, კვლავ არჩეული პრეზიდენტის კომიტეტი, თავად აკრონიმი კი ითარგმნება, როგორც ხოხვა.

უცხოური პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების დასახელებების აკრონიმებს ინგლისური ენის მატარებლებისთვის, როგორც კ. ბარნჰარტი აღნიშნავს, აქვთ ეგზოტიკური ხმოვანება. მაგ: ZANU (za.nu:) < Zimbabwe National Union; (21) OPEC (oupek) < Organization of Petroleum Exporting Countries.

ზოგ ენაში ბევრი აკრონიმი ინგლისური ენიდან იქნა ნასესხები ყოველგვარი ცვლილების გარეშე. მაგ: FRELIMO (frei`limou) < Frente de Libertação de Moçambique (პორტუგალიურად) - Front of Liberation of Mosambique და ა.შ. მსგავსი აკრონიმები ძალზე მცირე რაოდენობით იყო რეგისტრირებული სხვადასხვა ლექსიკონში.

აშკარაა აკრონიმების წინასწარგანსაზღვრული და მოდელირებული დამახასიათებელი ნიშნები, ამოსავალი სიტყვათშეთანხმებების გამოყენება მათ საწარმოებლად ხომ მრავალნაირად შეიძლება. მაგალითად, აკრონიმში BASIC < beginners'all-purpose symbolic instruction code, რთული ზედსართავი სახელის (all-purpose) პირველი ასო შევიდა მხოლოდ, როდესაც აკრონიმში WASP < White Anglo-Saxon Protestant, რთული ზედსართავი სახელის ორივე ნაწილი (Anglo-Saxon) შევიდა; მაგალითში FIST < the Federation of International state Truckers, არ ჩანს ასო of. მის შემქმნელებს ყველა ასო რომ დაეფიქსირებინათ, მივიღებდით FOIST -ს, რითაც ცოტა არ იყოს, მუშტის (fist) ელფერს დაკარგავდა.

აღსანიშნავია აკრონიმი SAD < seasonal affective depression/ disorder. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც ისინი არა მარტო დროისა და სივრცის ეკონომიას აკეთებენ, არამედ მთელს შესიტყვებაში ჩადებულ ემოციასაც გამოსატავენ.

დავინტერესდით, აგრეთვე ისეთი აკრონიმებით, რომლებიც სხვადასხვაგვარად იშიფრება. მაგალითად, აკრონიმი GASP იხმარება გარემოს დანაგვიანებისაგან დაცვის ორგანიზაციების მიერ ორგვარად: Group against Smoke and Pollution და ასევე Greater Washington Alliance to Stop Pollution.

აკრონიმმა NASA < National Aeronautics and Space Administration შეიძინა იუმორისტული დატვირთვა: Never a Straight Answer. აკრონიმს Zoo ვშიფრავთ, როგორც zero on originality, ყოველგვარ ორიგინალურობას მოკლებული ან ორიგინალურობაში - ნული. მსგავსი აკრონიმები, როგორც კვლევებმა ცხადყო, ძალზე პოპულარულია თანამედროვე ინგლისური ენის მეტყველებაში, განსაკუთრებით - თინეიჯერთა მეტყველებაში.

ზოგიერთი აკრონიმი ძალზე ორიგინალურია და ვთვლით, რომ საინტერესოც, მაგ: Whanny, რომელიც აღნიშნავს we have a nanny, ნახევრად სიტყვაა, ნახევრად აკრონიმი, როგორც ინგლისელები იტყობენ – semiacronym, რომელიც იხმარება ძირითადად გაზეთებში, სტატიების სათაურებში ან რეკლამებში იმ ხალხისთვის, ვისაც მომკვლევი ესაჭიროება. ამ ტიპისაა J-I-T < just-in-time; MOR < Middle of the Road; Cola < Cost of Living Adjustment; VERONICA < very easy rodent-oriented net wide index to computerized achieves.

ხშირად მსგავსი აკრონიმები შემოკლებული სიტყვების ჯგუფს ქმნიან: FIFO < first in first out; FILO < first in, last out; LIFO < last in, first out; LILO < last in, last out. ბევრი მსგავსი მაგალითი იყო დაფიქსირებული პოლ დიქსონის „თანამედროვე სლენგის ლექსიკონში.“ (დიქსონი 1999).

მოზარდების მეტყველებაში არის მთელი რიგი აკრონიმებისა, რომელთა გაშიფვრა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს, კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის სტუდენტებს თუ ძალუძთ, რადგან მათთვის შემოკლების ეს ხერხი ძალზე ხელსაყრელი და ადვილია, ხოლო თუ ერთი ასო შეიცვლება, მთელი აზრიც იცვლება მასთან ერთად და აკრონიმიც სხვა სტილისტურ და ემოციურ დატვირთვას იძენს. მაგალითად, საინტერესოდ ჩავთვალო შემდეგი აკრონიმები: WUSIWUG < what you see is what you get (wizzywig); WYSIWYAG < what you see is what you almost get; Wykiwyl < what you know is what you like (wikiwil); WIBNI < wouldn't it be nice if? WOMBAT < waste of money, brains and time; WYSLN < what you see looks natural (დიქსონი 1999) და ა.შ.

ყურადღების ღირსია Dinky < double /dual income, no kids, რომელიც წარმოიშვა ამერიკაში, სადაც დაქორწინებულ წყვილს ორმხრივი შემოსავალი აქვს, მაგრამ არ ჰყავთ შვილები. ამ ტიპისაა აკრონიმები: DEWS < dual income with kids; DIKS < dual income, kids; DWIKS < double income with kids; MINKS < multiple income, no kids; OINKS < one income, no kids; TICKS < two-income couple with kids in school (Bloomsbury Dictionary of New Words. M. 1996; Dictionary of American Slangs, 1998; სიმპსონი, ეიტლ 2005).

ხშირია აკრონიმებზე სუფიქსების - ies და -es დართვაც, რაც ისევ და ისევ ახალგაზრდების მეტყველებაში აღინიშნება:

GRAMPIES < growing, retired, active, moneyed persons in excellent state;

GRUMPIES < grown-up mature people;

GUPPIES < gay, upwardly mobile professionals;

HOOKIES < who cares?

JUPPIES < Japanese urban professionals;

PHONIES < people hooked on talking on the phone;

SIPPYS < senior independent pioneers;

მსგავსია PUPPIES, RUBBIES, YIFFIES, YIPPIES, YEEPIES, WOOPIES, WOOFIES, YUMPIES, YUPPIES და ა.შ.

საკმაოდ საინტერესოა აკრონიმის YUPPIE - წარმოშობა, ლექსიკონებში რეგისტრირება და მისი დამკვიდრება არა მხოლოდ თინეიჯერების მეტყველებაში. YUPPIE პოლ დიქსონის განმარტებით, ნიშნავს: “young, urban professionals with a taste for BMW’s, Rolex watches, jogging suits, imported bottled water, and fashionable restaurants” (დიქსონი 1999: 429), რომელიც პირველად გამოჩნდა მწერალი ბობ გრინის სტატიაში სახელწოდებით “Esquire” 1983 წლის მარტის “Networking Parties”-ის ნომერში, რომელიც გამოდიოდა ყოფილი რადიკალების ლიდერის, ჯერი რუბინის თაოსნობით. შემდეგ, გაზეთის “Newsday” 1985 წლის 7 აპრილის ნომერში სტატიის ავტორმა რიკა ლონგმა აღნიშნა: “It was a corruption of YIPPIE, which was from Rubin’s own Youth International Party” (55). 1984 წელს “YUPPIE Handbook”-ის გამოქვეყნებამ ტერმინს უდიდესი რეკლამა გაუწია. ამ აკრონიმის მიბაძვით აწარმოეს yuppification, yuppiesque, yupguilt, yuppieback (book aimed at the yuppie reader), yupsters (შენაზარდი: yuppie +gangsters), yuppie tax, yup-topia, yuppyish, yuppiegate (რაიმე სკანდალი მათთან დაკავშირებით, watergate-ის წაბადებით), yuplet (პატარა yuppie) და მრავალი სხვა. ეს სიტყვა-აკრონიმი კარგად მიუსადაგეს ასევე ე.წ. ჰედლაინებსაც. “Baltimore Evening Sun”-ის 1989 წლის 7 ივნისის ნომერში იუპების საყვარელი ტროპიკული თევზის შესახებ სტატია დაასათაურეს შემდეგნაირად: “Yuppies Find Guppies Are Ideal Low-Maintenance Pets” (ადამსი 2001; Baltimore Evening Sun, June 7, 1989).

თანამედროვე ახალგაზრდების დისკურსში საკმაოდ გავრცელებულია აკრონიმი IANAL < I am not a lawyer, but, რომელსაც ჩვეულებრივ რჩევის მიცემისას მიმართავენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონმდებლობაზე, რაიმეს აკრძალვაზე, ჯარიმაზე საუბრობენ, ხოლო თუ მოსაუბრეს სურს რჩევას

კატეგორიული ტონი არ ქონდეს, ამბობს IMHO < in my humble opinion, შემდეგ IWBNI < it would be nice იფ ან თუ სხვა სიტყვებით ცვლის აზრს – IOW < in other words, თუ ამ რჩევის და საერთოდ, საუბრის საიდუმლოდ შენახვას აპირებენ – GIWIST (Gee, I wish I'd said that) – IAE (in any event) - FYEO (for your eyes only) – NOFYA (not only for your amusement) – FYI (for your information) (იმის თქმა მინდოდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მხოლოდ ჩვენს შორის დარჩება, მხოლოდ შენი გართობისთვის კი არა, ინფორმაციისთვის გითხარი). მსგავსი ტიპის აკრონიმების გამოყენება თანამედროვე ახალგაზრდებში, როგორც ვიცით, საკმაოდ გავრცელებულია. ისინი შემოკლებებს არა მხოლოდ წერით მეტყველებაში, როგორც ამას ე.წ. netizen-ები აკეთებენ, არამედ ზეპირმეტყველებაშიც იყენებენ. მომავალში, ალბათ ისინი მხოლოდ აკრო-აბრევიატურებით იმეტყველებენ, რაც ზემოთმოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აკრონიმების გაშიფვრის ახალგაზრდული ხერხები, რაც იმდენად საინტერესოა, რომ ერთგვარ თინეიჯერულ თამაშადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც ჯგუფის ერთი წევრი დაფაზე ჩამოწერს რაიმე სიტყვას, რომელიც უნდა გაიშიფროს ისე, რომ იუმორისტული მნიშვნელობა ჰქონდეს. შემდეგ აირჩევენ იმ აკრონიმს, რომელიც ყველაზე სახუმარო გამოვიდა და ამის შემდეგ მონაწილეები გაშიფრული აკრონიმის ბოლო სიტყვის გაშიფვრას შეუდგებიან და ასე აგრძელებენ, ვიდრე სრულფასოვანი გამარჯვებული არ გამოვლინდება. მაგალითად: საწყისი სიტყვაა P.E.R.S.O.N.A.L, რომლისგანაც მივიღეთ < Philanthropists Expressing Rage and Sanguine Opprobrium Never Approach Latrines. შემდეგი სიტყვაა L.A.T.R.I.N.E. < Laughing Always Takes Rotten Incidents (to) New Extremes. ან ასევე GRASSHOPPER < Gregarious Rhinos Against Superfluous Storks, Hippopotamuses, Olympians, and Prancing Paralytics Entertaining Reluctantly და უკვე ვიცით, რომ შემდეგი ახალი სიტყვა იქნება RELUCTANT < Really Excellent Ladies Unite Challenging Toddlers Against Neurotic Teenagers.

მსგავად არის წარმოებული შემდეგი მაგალითებიც:

SNARK < students never answer really knowingly

INTUITION < Instinctive Nuances Transferring Up Into Thoughts Instead of Nothingness.

O.B.L.I.V.I.O.N. < Ought Babes Live In View of Innocent but Observant Nerds?

A.N.T.I.P.A.T.H.Y. < Acting Neurotic Through Idyllic Patterns of Artistically Tied Hanging Yarn

MOSQUITO < Making Obnoxious Sounds Quietly Until I'm Totally Obliterated

BIKINI < Big Insects Keep Infiltrating (the) Nice Indoors!

ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ შემოკლებული სიტყვების, განსაკუთრებით აკრონიმებისა და აბრევიატურების სრული დასახელების აღდგენის დროს შესაძლებელია მათთვის მრავალნაირი გაშიფვრის მორგება. ინტერნეტ გვერდზე <http://www.all-acronyms.com> მოვიძიეთ ინტერნეტის საზოგადოების ყველა წევრისათვის კარგად ნაცნობი აკრო-აბრევიატურის LOL, რომლის პირველადი მნიშვნელობა არის Laughing Out Loud ანუ ხმამაღალი სიცილი, აქვს 79 სხვადასხვა გაშიფვრა, რომელთაგან საინტერესოა: Laugh out loud; Lots Of Love; Lots Of Luck; Limit of Liability; Land O' Lakes; Loss of life, Little Old Lady; Lack Of Love; Land Of Legends; Laughs out loud; Length of Lead; Lord Of Life; Lots Of Laughs; Love of Life; Loyal Orange Lodge; Labels Or Love; Labor Of Love; Lacking Of Life; Language Of Love, Laughing Over Lines; Laws Of Life; Lemon Or Lime; Level Of Learning; Loads Of Love; Lot of Laughs; Lots Of Length; Love Our Lord; Lowest Of the Low; Lunatic On the Loose და ასე შემდეგ.

აღნიშნულ ვებ-გვერდზე მოცემულია იმ პოპულარული აკრონიმების ჩამონათვალი, რომელსაც ინტერნეტის მომხმარებელი ყველაზე აქტიურად იყენებს და ბუნებრივია, მსგავს შემოკლებებს საკმაოდ მრავალფეროვანი გაშიფვრაც აქვთ. წარმოგიდგინოთ იმ 100 აკრონიმს, რომელიც 2009 წლის 03 სექტემბრისთვის ყველაზე საჭიროდ ითვლებოდა ინტერნეტ საზოგადოებისათვის და მათ შორის, ინტერნეტის ქართული მოქალაქეებისთვისაც, რადგანაც, შემდგომ თავში განხორციელებული კვლევის წარმატებით დასრულებისათვის ქვემოთ მოცემული აკრონიმებიც გამოვიყენეთ.

1.	LOL (59)	Laughing out loud
2	DATY (51)	Dining At The Y
3	DFK (37)	Deep French Kissing
4	PM (34)	Project Manager; particulate matter; Phase Modulation; Program Manager; Preventive Maintenance; post meridiem; Program Management; postmortem; Preventative Maintenance; Private Message;

		Personal Message; Project Management; Pulse Modulation; Performance Management; Performance Monitor
5	PSE (33)	Pacific Stock Exchange
6	REPORE (32)	Report Output Retrieval System
7	MILF (30)	Moro Islamic Liberation Front
8	GFE (26)	Government Furnished Equipment
9	COB (26)	Close Of Business
10	FTW (25)	For The Win /world
11	MSOG (24)	Multiple shots on goal
12	CIM (24)	Computer Integrated Manufacturing
13	LFK (22)	Law For Kids
14	LMAO (19)	Laughing My Booty Off
15	WTF (18)	Waiting Time Fund
16	C/O (18)	care of; complains of; Carried Over; Cash Order; Certificate of Origin; Check out; Complaining of; Cash Out; Change Over
17	GOP (16)	Group Of Pictures; General Operating Procedures; General Operational Plot; Good Operating Practices
18	RSVP (16)	Resource reSerVation Protocol, retired senior volunteer program; Repondez S'il Vous Plait; Register Students Via Phone
19	AC (16)	acid; Acoustic Coupler; Actual Commitment; air conditioning; Aircraft
20	BID (16)	Background Information Document
21	CBJ (15)	Central Bank of Jordan
22	IMAO (15)	In My Arrogant Opinion
23	BLS (14)	basic life support, Belarus
24	MS (14)	Master of Science
25	PA (14)	Public Affairs; Public Address
26	PO (13)	Purchase Order; Post office
27	YMMV (13)	Your Mileage May Vary; Your experience may differ
28	TAHBSO (13)	Cash Against Documents; Computer Assisted Design
29	CAD (12)	total abdominal hysterectomy and bilateral

30	LOVE (12)	Lunar Observations Verifier Editor; Lawrence Organizing Voices For Empowerment; Loss Of Valuable Energy; Low Vision Evaluator
31	MR (12)	Mission Report; MEMORY REGISTER; mental retardation
32	PC (12)	personal computer; Printed Circuit; Politically Correct; Pulsating Current
33	S/P (12)	Serial to Parallel; Signal Processor; status post
34	ACS (12)	Acid Scrubber
35	BS (12)	Bachelor of Science; British Standard; Big Smile
36	PRN (12)	Program Release Notice
37	QHS (12)	Quantum Hyperfine Structure
38	CFS (11)	cubic feet per second
39	CVA (11)	cerebral vascular accident
40	DP (11)	Data Processing; Differential Pressure
41	FS (11)	File Separator; Full Scale; Fail to Sync; Fail-Safe
42	MI (11)	Military Intelligence; MICHIGAN; mile
43	NASA (11)	National Aeronautics and Space Agency; Need Another Seven Astronauts; Need Another Shuttle, Again
44	FOB (11)	Free On Board; Forward Operating Base; Freight On Board; Father of Bride
45	DOE (10)	Department of Education; Date of Entry; Depends On Experience; Department of Ecology; Design of Experiment
46	BRB (10)	Be Right Back; Benefits Review Board; BARBADOS; bright red blood; Base Rate Boundary
47	BTW (10)	By The Way; back to work Behind-the-Wheel; Between; Bill Type Weight; Block Transfer Write; Books That Work; born to win; Breast Test Wales; Brothers of the Third Wheel
58	ROFL (10)	Rolling On the Floor, Laughing
49	CC (10)	Carbon Copy; Command Center; Common Carrier; Country Code; cubic centimeter; Chief Counsel; Commander; Condition Code
50	AM (10)	Ante Meridiem; Active Matrix; Administrative Manual;

		Access Method;	ammeter;	amplitude
		Arithmetic mean		

ზემოთ მოცემული ცხრილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ არა მხოლოდ მოზარდებში, ასევე უფროსი თაობის ადამიანებშიც „აკრონიმანია“ მართლაც ძალიან აქტუალურია, ხოლო მეცნიერების თვალსაზრისით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ენობრივი მოვლენა ხასიათდება პროდუქტიულობითა და აქტიურობით.

საერთოდ, აკრონიმების ხმარების სფეროები შეზღუდულია, რაც იმ სიტყვებით არის განპირობებული, რომლებსაც ისინი ამოკლებენ (ზაბოტკინა 1989: 42). ზემოთ მოცემული ცხრილი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ აკრონიმ-ომონიმთა მოხმარების სფეროები შეუზღუდავია. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკაშიც, რადგანაც მათ არა აქვთ ვიწრო მნიშვნელობა და როგორც დავინახეთ, საკმაოდ აქტიურადაც გამოიყენება ინტერნეტის ქართველი მომხმარებლების მიერ.

2.3. მოკვეცა

მორფოლოგიური ნეოლოგიზმების წარმოების არარეგულარულ ხერხებს შორის, ბოლო ოცი წლის მანძილზე ყველაზე პოპულარულად ითვლება მოკვეცა. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლოგიზმების საერთო რაოდენობიდან მოკვეცილი სიტყვები არც ისე დიდ პროცენტს შეადგენდა, მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ინგლისური ენის ისტორიაში მოკვეცილი სიტყვების უძველესი ნიმუშები თარიღდება მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრით: როდესაც გამოიყენეს *coz* < *cousin* 1559, *gent* < *gentleman* 1564, *mas* < *master* 1575, *chap* < *chapman* 1577 და *winkle* < *periwinkle* 1585 (მარშანდი 1969: 448; ბისი 1941). ვერმსერმა, რომელიც იკვლევდა ენის დიაქტონულ ასპექტებს (1976), სამწუხაროდ გვერდი აუარა მოკვეცილ და შენაზარდ სიტყვებს, მაგრამ ქენონისა (1987) და ალჯოს (1980) კვლევებში ნათლად ჩანს, რომ მოკვეცილი სიტყვები საკმაოდ მცირე როლს თამაშობდნენ XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

შემოკლების ოთხი ტიპიდან: აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა და შეზრდა, როგორც გაანალიზებული მასალის მეშვეობით შეგვიძლია დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ მოკვეცა ყველაზე ნაკლებად აქტიური ხერხია ახალი სიტყვების საწარმოებლად, თუმცა პროდუქტიულობის თვალსაზრისით სწორედ ის ჭარბობს.

მოკვეცის თავისებურებაა ის ფაქტი, რომ მისი ხმარება ძირითადად შეზღუდულია სალაპარაკო ენის ფარგლებში. მოკვეცილი სიტყვები ძირითადად დამახასიათებელია სლენგის სხვადასხვა ტიპისათვის: საგაზეთო, სასკოლო, სპორტული, საბავშვო და ა.შ.

სხვადასხვა სფეროში არსებული მოკვეცილი სიტყვების მაგალითებია:

alliterate < *a* + *illiterate*;

boot sale < *car boot sale*;

bubble < *soap bubble*;

op < *optical art*;

movie < *moving picture*;

bubblegum < *bubblegum music*;

Des Res < *desirable Residence*;

dog-and-pony < *dog-and-pony show*;

Garbology < garbage+ology;

presale < presale view;

prêt < prêt-a-porter;

govt < government

(ეიტო 1990; დიქსონი 1999; ამერიკული სლენგის ლექსიკონი 1998).

მათი რიცხვი, აბრევიატურებთან შედარებით, როგორც აღვნიშნეთ, მცირეა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოკვეცილი სიტყვები, შემოკლების სხვა დანარჩენი ხერხებისაგან განსხვავებით, ძალზე პროდუქტიულია. ეს ჩანს არა მარტო მათი ხშირი ხმარებით, არამედ მოკვეცილი სიტყვების აქტიულობითაც.

იმის მიხედვით, თუ რა ნაწილი მოკვეცა სიტყვას, ასხვავებენ მოკვეცის სამ ძირითად ტიპს:

1. ბოლო მარცვლის მოკვეცა - აპოკოპე;
2. შუა მარცვლის მოკვეცა - სინკოპე;
3. საწყისი მარცვლის მოკვეცა - აფერეზისი.

მოკვეცილი სიტყვების ძირითად მასას წარმოადგენს აპოკოპე, რადგან, როგორც ზ. ხარიტონიკი და ა. ელდიშევი მიიჩნევენ, სიტყვის პირველი ნაწილი ემთხვევა, როგორც წესი, სიტყვის ძირეული მორფემის ნაწილს და მისი შენარჩუნება უფლებას გვაძლევს, შევინარჩუნოთ კავშირი ძირეულ, მოტივირებულ ერთეულსა და აბრევიატურას შორის (ხარიტონიკი 1992: 190).

მაგალითად: bubble < bubblegum music; dog < dog and pony; cathart < catharsis. aseve anchor < anchorman - ტელე-რადიო პროგრამების მიმომხილველი (სხვათა შორის, ეს სიტყვა იხმარება ინგლისური ენის მხოლოდ ამერიკულ ვარიანტში, ბრიტანულ ვარიანტში მის ნაცვლად იყენებენ სიტყვას presenter); detox < detoxification - კლინიკის ან საავადმყოფოს ნაწილი, სადაც მკურნალობენ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს. მაგ: I went to *detox* again...and it's been five years since I came out and hadn't drink or pill since.

ტრადიციულად, ნაკლებად მრავალფეროვანი იყო პირველი ან საწყისი მარცვლების მოკვეცა. მაგ: bubble < soap bubble; boot sale < car boot sale (აქაც პირველი სიტყვა სრულად ამოვარდა). საინტერესოა შემდეგი მაგალითებიც: chauvinism < male chauvinism; story < history; sapping? < what's happening? `za < pizza; `tsup < catsup; zup < what's up? an s`up/`sup/whassup? და upmanship < one-upmanship - იმის შესაძლებლობა, რომ გარშემომყოფთა აღფრთოვანება მოიპოვო ან დაიმსახურო.

მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრების აფერეზის ტიპის სიტყვების სიმცირის შესახებ, ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითებიდან შეგვიძლია საპირისპიროს დამტკიცება. მაგ:

deduc < tax deduction;	netiquette < on-line etiquette;
kevork < Jack Kevorkian (a suicide doctor);	net < internet;
morph < metamorphosis;	bud < marijuana bud;
hish < hashish;	mike < one microgram;
'dorph < endorphins;	teen < martini;
O sign < mouth Open sign;	ax < saxophone;
skns < waterproof oilskin clothing;	'burbs < suburbs;
Nam < Vietnam;	cots < apricots;
copter < helicopter,	varsity < university,
chute < parachute,	coon < racoon,
gator < alligator,	pike < turnpike

მსგავსი სიტყვები ენის ლექსიკაში მყარად იკიდებენ ფეხს, როგორც დამოუკიდებელი ენის ერთეულები, რომლებიც ხშირად განსხვავდებიან პროტოტიპებისა და სტილისტურად ნეიტრალური დუბლეტებისაგან თავიანთი მნიშვნელობით. ამ ჯგუფის სიტყვებში ზოგჯერ ადგილი აქვს ასიმილაციასაც. მაგალითად: chute < parachute, (არნოლდი 1986: 198). საწყისმარცვალმოკვეცილი სიტყვების დიდი რაოდენობა დავაფიქსირეთ შავკანიანთა მეტყველებაშიც: a'bin < have been; an' < and; 'ave / 've / 'a < have; 'appen < happen; 'ere < here; 'ome < home; 'e < he; 'ow < how; 'n' < than; 'sail right < it's all right.

შედარებით ნაკლებია, შუანაწილმოკვეცილი სიტყვების რაოდენობა. მაგ: cosmopolization. ამ სიტყვიდან ამოვარდა ნაწილი tani, მაგრამ სიტყვას მნიშვნელობა არ შეუცვლია, მეტიც, გამოსათქმელად გამარტივდა. აღსანიშნავია ასევე სხვა მაგალითებიც: closed caption < closed circuit caption, ამ შემთხვევაშიც ერთი სიტყვა მთლიანად ამოვარდა, ალბათ დროის ეკონომიის მიზნით. მორბენალ სტრიქონში სატელევიზიო ტიტრების წაკითხვა ყრუ ადამიანებისთვის უფრო ადვილია სიტყვების გამოტოვებით. Ultrafiche < ultramicrofiche (ზაბოტკინა 1989: 40) - მიკროფილმის ბარათი, რომელიც შეიცავს რამდენიმე ათას ნაბეჭდ გვერდს. საინტერესოა flu < influenza, tec < detective, polly < apollinaris, jams < pyjamas, shrink < head-shrinker.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუანაწილმოკვეცილი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა:

1. შუანაწილმოკვეცილი სიტყვები, რომლებშიც ამოვარდა მამოძრავებელი ფუნქციის მქონე მორფემა. მაგ: maths < mathematics; specs < spectacles;
2. შუანაწილმოკვეცილი სიტყვები, რომლებსაც შუა ნაწილი ეკვეცებათ უღერადობის, კონტექსტისა და რითმის მიხედვით. მაგ: fancy < fantasy; ma`am < madam (არნოლდი 1986: 198).

არსებობენ ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებშიც ადგილი აქვს კომბინირებულ შემოკლებას: ესაა თავსართ-ბოლოსართის მოკვეცა. მაგ: cablegram < cable telegram, op art < optical art, org-man < organization man, linocut < linoleum cut; -creed < street credibility; VID < a short video film; კომბინირებულ შემოკლებაში შემავალი სიტყვები ძირითადად სალაპარაკო ტერმინოლოგიაში გამოიყენება: litcrit < literary criticism; flu < influenza. მოკვეცის ეს უკანასკნელი ტიპი არაპროდუქტიულია და იმდენადაც, რომ ბევრი მეცნიერი მას სრულ იგნორირებას უკეთებს.

ი.ვ. არნოლდი განიხილავს მოკვეცილი სიტყვისა და მისი პროტოტიპის ურთიერთობას: „ის ნაწილი ან სიტყვა, რომელიც სრულ ფორმას მოკვეცა, ნებისმიერ დროს შეიძლება აღვადგინოთ და თავის ადგილს დაუბრუნოთ. ასე რომ, კავშირი სრულ ფორმასა და მის მიერ ნაწარმოებ სიტყვას შორის არ არის დაკარგული, რადგან მოკვეცის შემდეგ ნაწარმოები ფორმა ძირითადად, მნიშვნელობას არ იცვლის” (არნოლდი 1986: 199-200). მაგ: pol < politician, wide < wide ball, bubblegum < bubblegum music, chap < chapman.

ამასთან დაკავშირებით, რ.ს. გინზბურგი და მისი თანაავტორები თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოკვეცილი სიტყვები ენაში ზოგჯერ თანაარსებობენ მათ საწყის სიტყვებთან ერთად, აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის ფუნქცია და მნიშვნელობა. მოკვეცილი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობა და ის სიტყვა, რომლისგანაც ისინი არიან წარმოებულები, მნიშვნელობით განსხვავდებიან (გინზბურგი 1979: 85). მაგ: dog ნიშნავს telephone.

როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, მოკვეცილი სიტყვები ყოველთვის განსხვავდება იმ სიტყვებისაგან, რომლებიც არ იკვეცება ემოციური და სტილისტური თვალსაზრისით. მოკვეცილი სიტყვები უფრო უშუალო, სასაუბრო სტილს ეკუთვნის, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ბევრი მოკვეცილი სიტყვა სალიტერატურო ენაში მკვიდრდება, რის გამოც სასაუბრო ელფერს კარგავს.

ზოგი უკვე აღარ ითვლება მოკვეცილ სიტყვად. მაგ: pants სიტყვიდან pantaloons, bus < omnibus, bike < bicycle. ზოგიც გვიჩვენებს მათი სრული ფორმებისაგან სხვადასხვაგვარ სემანტიკურ გათიშვას.

აღნიშნული საკითხი გახდა კამათის საფუძველი იმის შესახებ, მართებულია თუ არა მოკვეცილი სიტყვის მიჩნევა ცალკეულ, დამოუკიდებელ სიტყვად. ზოგი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ მართებულია მათი მიჩნევა ნაწარმოები სიტყვების ვარიანტებად (გინზბურგი 1979: 86). სხვები კი მათ დამოუკიდებელი სიტყვების სტატუსს ანიჭებენ.

ვთვლით, რომ მოკვეცილი სიტყვა არ არის მხოლოდ ის სიტყვა, რომელსაც უბრალოდ მოეკვეცა საწყისი, შუა ან ბოლო ნაწილი. მათ შორის ყოველთვის არის თვისობრივი სხვაობა. მეორადი ლექსიკური ერთეული ხშირად თავად ხდება ისეთი ფუძე, რომელსაც კიდევ შეუძლია სხვა მორფემების დართვა და თავად აწარმოოს ახალი სიტყვა.

საინტერესოა ასევე ი.ვ. არნოლდის აზრი მოკვეცილი სიტყვისა და მისგან წარმოებული შემოკლებული ვარიანტის შესახებ:

1. მოკვეცილი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სინონიმი ან ნაირსახეობა (ვარიანტი), რომელიც სრული ფორმისაგან განსხვავდება სტილისტურად, ემოციურად და შემადგენლობით. მაგ: boot sale < car boot sale - დან. ის ნაწილი, რომელიც სიტყვას მოეკვეცა, შეგვიძლია თავის ადგილს დაუბრუნოთ და მათ შორის კავშირი აღვადგინოთ. საჭიროა, ვიცოდეთ სრულ სიტყვასა და მისგან ნაწარმოებ ერთეულს შორის ურთიერთობის შესახებ, რადგანაც არ არის გარკვეული, თუ როდის უნდა მივიჩნიოთ ისინი ცალკეულ სინონიმურ სიტყვებად და როდის - ერთდაიგივე სიტყვების ვარიანტებად.
2. მეორე უკიდურესი შემთხვევის დროს კავშირი მხოლოდ ეტიმოლოგიურად დგინდება, რადგანაც დენოტატიური ან ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა პირვანდელ ნაწარმოებ სიტყვებს შორის დროის განმავლობაში ისეა შეცვლილი, რომ მოკვეცილი ერთეული გახდა დამოუკიდებელი სიტყვა (არნოლდი 1986: 202). შედეგად ვღებულობთ ეტიმოლოგიურ დუბლეტებს: diss < disrespect; cathart < catharsis; miss < mistress; fan < fanatic.

ორივე შემთხვევაში მოკვეცილი ფორმები ენაში არსებობენ მათი პროტოტიპების გვერდით. განსხვავება ისაა, რომ მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფის სიტყვები შეიძლება მათი პროტოტიპების ნაცვლად ვიხმაროთ,

ურთიერთშენაცვლებაც ხდება მათ შორის, დუბლეტები ლექსიკურად ეკვივალენტები არასოდეს არიან. შეიძლება ვარიანტებს შორის ჩანაცვლების მაგალითები მოვიყვანოთ:

ჩვენთვის ცნობილია, რომ სიტყვის saxophone შემოკლებული ფორმა არის sax, მაგრამ არ შეგვიძლია ვთქვათ: "The boss of the Tenor Sax" ისევე, როგორც ვიხმართ სიტყვა mag (შემოკლებული სიტყვიდან magazine) მომდევნო მაგალითში: "The public he wrote for was largely a new public bought to consciousness by the industrial revolution, a public for which magazine proprietors hadn't catered before 1882" (აღენი), რადგანაც სრული სიტყვის პროტოტიპი სტილისტურად ნეიტრალურია.

განსხვავებულია ასევე ვარიანტებისა და დუბლეტების სემანტიკური სტატუსიც. ვარიანტების მოკვეცილ სიტყვებს პროტოტიპის მხოლოდ ერთი სავარაუდო მნიშვნელობა აქვთ და ისინიც სალაპარაკო ან სლენგურ მნიშვნელობას იძენენ. მაგ: "Half a me; you go and make the coff, Con,...I shan't b a jiff"-everything with her was abbreviation. მოკვეცილი სიტყვა პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვის მხოლოდ ერთ, მეორად მნიშვნელობას იძენს. საერთოდ, ამ ტიპის მოკვეცილი სიტყვები ძირითადად ერთმარცვლიანია. მაგ: poll < politician gym < gymnasium, vet < veterinity /veteran (არნოლდი 1986: 204).

მოკვეცის დროს წარმოქმნილი ახალი სიტყვა იმავე მეტყველების ნაწილს ეკუთვნის. შემოკლებული სიტყვების ძირითად მასას ქმნიან არსებითი სახელები. თანამედროვე ინგლისურ ენაში ზმნების შემოკლება ადრე მეტად იშვიათი მოვლენა იყო და მსგავსი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელია, მაგალითად, rev სიტყვიდან revolve და tab სიტყვიდან tabulate გამონაკლისებად ითვლებოდა. მაგრამ თანამედროვე ინგლისური ენის სასაუბრო ენაში საკმაოდ ბევრი ზმნის შეკვეცა გვხვდება, მაგალითად: wok < work; gonna < to be going to; gotta < have got to; hadda < had to; gimme < give me; mek < make; tek < take; 'member < remember; oughta < ought to; s'pose < suppose; shuah < sure; shurrup < shut up; gerrup < get up; gerraway < get away; usta < used to; speaka < speak to; talka < talk to; wanta < wanna < want to; wun't < won't.

ზედსართავი სახელები მოკვეცის დროს იძენენ სლენგურ, ძირითადად, სასკოლო სლენგის იერს. მაგალითად: comfy < comfortable, mizzy < miserable, dilly < delightful, imposs < impossible.

აღსანიშნავია ნაცვალსახელების რედუცირებული ფორმებით მეტყველებისადმი ტენდენცია თანამედროვე ახალგაზრდობის მეტყველებაში,

რასაც საკმაოდ ხშირად ვხვდებით ასევე სხვადასხვა ჟანრის სიმღერაშიც: ain't < am not / is not / are not / have not / has not; ain'tcha < ain't you; can'tcha < can't you; letcha < let you; don'tcha < don't you; didja < did you; whenja < when did you; toleja < told you; wudja < what do you / what did you; tha' < that; willya < will you; wuddaya < what do you; hellya < hell do you; tellya < tell you; ya / ye < you / your.

სასკოლო-კოლეჯის მეტყველებაში აქტიურად გამოიყენება ასევე შემდეგი მოკვეცილი სიტყვები: caf < cafeteria, home ecs < economics, lab, maths, prep, prof, doc, trig, undergrad, tranny < transmission, seppo < septic; front < confront; moto < motivated.

საბავშვო ტერმინოლოგია მკვეთრად განსხვავდება ყველა სახის სასაუბრო სტილისაგან, რადგანაც პატარა ბავშვები შეძლებისდაგვარად ამოკლებენ ყველა სიტყვას და ხშირ შემთხვევაში არასწორად წარმოთქვამენ მას. საინტერესოა შემდეგი დაფიქსირებული მაგალითები: hanky < handkerchief, pinnie < pinafore, nightie < night dress / gown; mayo < magazine; boarder < skateboarder; caj/cas < casual jacket; 'za < pizza და სხვა მრავალი.

განხილვის ღირსია ასევე მოსახლეობის დაბალი ფენისთვის დამახასიათებელი რედუცირებული სიტყვებით საუბრის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმები:

a 'course < of course;	awys /orluss < always;	coupla < couple of;
fella < fellow;	fost < first;	g'night < good night;
t'day < today;	c'mon < come on;	g'by < good by;
heah < here;	helluva < hell of a;	how'bout < how about;
jes' < just;	leggo < let go;	lemme < let me;
les's see < let us see;	mistah < mister;	musta < must have;
on'y < only;	outa < out of;	orrigh < all right;
gerron < get on;	tomorra < tomorrow;	yeah /yeap < yes
twenny < twenty;	thirly < thirty;	wi' < with;

საინტერესოა, რომ მასალა მოძიებულია აშშ-ში, ინდიანას უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევების დროს. შეაკანიანთა, რეპერთა მეტყველების განუყოფელი ნაწილია შემდეგი სახის საუბარი: - Who the' dell are yet An' why ye brung me 'ere? < Who the devil are you? And why did you bring me here? an Weel, I tell ye, it wam't much different from ... < Well, I'll tell you. It was not much different from. რაც შეეხება მეტყველების დროს კითხვით წინადადებებში დამხმარე ზმნის უგულებელყოფასა

და მესამე პირის მხოლოდობითში doesn't -ის ნაცვლად don't -ის გამოყენებას აწყო დროში, უკვე აღარ წარმოადგენს სიახლეს. მაგ: (Are) You OK?; (Have) You got time?; (Does) She knows (know) him? რაც სრულიად არღვევს ინგლისური ენის გრამატიკით დაწესებულ წესებს წინადადების აგების დროს.

როგორც აღვნიშნეთ, შემოკლებულ სიტყვათა უმრავლესობა სასაუბრო ენაში გამოიყენება და გამოთქმის თავისებური სტილისტური ელფერი აქვთ. სანამ ამ სიტყვების პროტოტიპი ენის ლექსიკაში იხმარება, ისინი სინონიმებად ითვლება, ხოლო როცა პროტოტიპი გაეთიშება, შემოკლებული სიტყვა შეიძლება სტილისტურად ნეიტრალურ ერთეულად გადაიქცეს, როგორებიცაა, მაგალითად: cello, cab. ასეთი სიტყვები სლენგის სხვადასხვა ტიპებში შეიძლება გავრცელდეს.

ბევრ სიტყვას, როგორც ჩანს, ამოკლებენ ორიგინალურობის მისაღწევად, ზოგჯერ - სხვა სიტყვების ანალოგიით. შემოკლებულ სიტყვებში ნასესხებიც ბევრია. მოკვეცილი სიტყვა ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს. მაგ: alliterate მივიღეთ სიტყვისაგან illiterate, თავსართი a-ს ჩანაცვლების შედეგად სიტყვამ შეიძინა თითქმის საპირისპირო მნიშვნელობა, ირონიულიც კი: alliterate - ადამიანი, რომელიც არ კითხულობს, illiterate - ადამიანი, რომელიც ვერ კითხულობს.

სიტყვა prêt- ფრანგულიდან არის ნასესხები და მისი სრული ფორმა არის prêt-à-porter - მზა ტანსაცმელი. სიტყვა სალიტერატურო ენაშიც კი დამკვიდრდა. Garbology სათავეს იღებს სიტყვიდან garbage და აქვს, ცოტა არ იყოს, ირონიული მნიშვნელობა, მეცნიერება ნაგავის შესახებ.

Des res- სრული ფორმა არის desirable residence და შემოკლდა დროისა და ადგილის ეკონომიის მიზნით. ამ ტერმინს ვხვდებით სარეკლამო რგოლებში, განცხადებებში და შემოკლებით ჩაწერის დროს საწერ ქაღალდს ვზოგავთ, ხოლო წარმოთქმისას - დროს ვიგებთ.

იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად დაიმახსოვრონ პლანეტები, ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ხერხს: საინტერესოა შემდეგი ორი არატრადიციული საშუალება: **My Very Excellent Mother Just Served Us Nine Pizzas: Mercury, Venus, Earth, Mars, Jupiter, Saturn, Uranus, Neptune, Pluto**, რაც აბრევიაციის კარგი ნიმუშია. პლანეტების დამახსოვრების მეორე მეთოდი არის ციური სხეულების მოკვეცა, როგორც შემდეგ მაგალითშია:

Mer --cury, a sun baked rock.

Venus, --a cloud enshrouded hell.

Earth --is home, around the clock.

Mars --has life? Oh who can tell?

Ju --piter outweighs the rest!

Sa --turn wrapped itself in rings,

Uranus, --the schoolboys laugh in jest,

And **Neptune**'s an ocean king,.....

[www.teachingideas.co.uk/science/orderingplanets.htm]

არ შეგვეძლო გვერდი აგვეარა შემდეგი განაცხადისთვის: We're a very time-oriented society. We've got very little time to say what we mean. So when I say "these *ads* in my *zine* really annoy me," you know I'm referring to advertisements in a magazine. I've studied *math* (mathematics), I pay for *gas* (gasoline), and I ride a *bike* (bicycle), საიდანაც საკმაოდ კარგად ჩანს ავტორის მიერ ირონიულად ნათქვამი, რომელიც მართალია, შემოკლებულია, მაგრამ საკმაოდ ადვილად გასაგები და მისახვედრია ჩვენთვის.

საინტერესოა .com < dot com(pany), სადაც თავად წერტილი ცვლის მთლიან სიტყვას. მოკვეცივს ეს მაგალითი 1994 წელს იქნა წარმოებული და აღნიშნავს კომპანიას, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ახორციელებს ბიზნეს-კორესპონდენციასა და სხვა საქმიან ურთიერთობებს. რადგანაც ინტერნეტი კომუნიკაციის ერთ-ერთი წამყვანი საშუალება გახდა, საჭირო შეიქნა მარტივი ტერმინის შემუშავება, რომელიც ამ საქმიანობის აღწერას შეძლებდა. ეს კი ძალზე ადვილად მოსაყვანი მაგალითია იმისათვის, თუ როგორ შეიძლება იდეის განხორციელება-რეალიზაცია ახალ სიტყვაში. ნეოლოგიზმები ხშირად შედიან ენაში მასმედიის საშუალებით ან ე.წ. "word of mouth"-ის გზით და განსაკუთრებით, როგორც ლინგვისტები ამტკიცებენ, თინეიჯერების მეშვეობით. ახალგაზრდები იტაცებენ და ითვისებენ მათთვის შედარებით მარტივად, უცხოდ წარმოსათქმელ სიტყვებს, რაშიც ზემოთმოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს.

2.4. შეზრდა

სამეტყველო საშუალების ეკონომიის კანონის ერთ-ერთ გამოვლინებად, „მინიმალური ძალისხმევის პრინციპად“, შეიძლება ჩაითვალოს ტელესკოპური ანუ შენაზარდი სიტყვების წარმოება, რაც ბოლო ორი ათეული წლის ნეოლოგიზმებს შორის არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა.

ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ბარნჰარტის ლექსიკონის პირველ გამოცემაში შენაზარდი სიტყვები შეადგენდა საერთო რაოდენობის 4,8 პროცენტს, მეორე გამოცემაში, უკვე 8 პროცენტს და ა.შ. (ზაბოტკინა 1989: 42).

ტერმინი „ტელესკოპის“ ქვეშ მოიაზრება სიტყვაწარმოების საშუალება, როდესაც ახალი სიტყვა ჩნდება ერთი ამოსავალი სიტყვის სრული შერწყმით მეორეს მოკვეცილ ფუძეზე ან ამოსავალი სიტყვების ორი მოკვეცილი ფუძის შერწყმით. ახალი სიტყვის მნიშვნელობა სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს და აღნიშნავს, გამოსატავს მასში შემავალი სტრუქტურული კომპონენტების მნიშვნელობას.

რ.ს. გინზბურგისა და მისი თანაავტორების განმარტებით, შენაზარდი არის გამიზნულად შექმნილი სიტყვა, რომელიც გვევლინება რამდენიმე სიტყვის შეერთების შედეგად, რომლებსაც ლინგვისტები უწოდებენ “splinters”-ნამსხვრევებს. ეს ე.წ. “ნამსხვრევები” იძენენ სხვადასხვა ფორმას და შესაძლებელია მათი გათიშვა საწყისი სიტყვისაგან მორფემული საზღვრით, როგორც მაგალითად, სიტყვაში transceiver < transmitter and receiver, ან მარცვლოვანი საზღვრით, როგორც სიტყვაში cute (სიტყვიდან execute) < electrocute ან საერთოდ, ორივე საზღვრის უგულებელყოფით, როგორც, brunch < breakfast and lunch (გინზბურგი 1979: 57).

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის სიტყვები, რომლებშიც ერთი სიტყვის მოკვეცილი ნაწილი შეერთებულია მეორე სიტყვის მოკვეცილ ნაწილთან.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ კელი ამ მოვლენას შემდეგნაირად აღწერს: “Some English words are formed by snipping components from existing words and either stitching the components together through simple concatenation or through concatenation coupled with overlap of shared phonological segments. (კელი 1998: 1)”

ლიტერატურაში ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების ეს საშუალება ცნობილია, ასევე ისეთი სახელწოდებებით, როგორებიცაა რუსულად слияние, стяжение, контанимация, вставочное словообразование, гибридизация, ასევე ინგლისურად blends, blendings, fusions, portmanteau words.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი წარმონაქმნები ლინგვისტიკაში მოიხსენიება ასევე „პორტმანტოების“ სახელწოდებით.

ტერმინი portmanteau word პირველად გამოიყენა ცნობილმა საბავშვო მწერლმა ლუის კეროლმა (Lewis Carroll) 1872 წელს საკმაოდ პოპულარულ და ყველა ბავშვისთვის საყვარელ წიგნში "Through the Looking Glass" („სარკის მიღმა“), რომ განემარტა მის ე.წ. nonsense ლექსში "Jabberwocky" ნახმარი ზოგიერთი სიტყვა: "Well 'slithy' means 'lithe and slimy' ... you see it's like a portmanteau - there are two meanings packed up into one word", - ხსნის ავტორი. მართლაც, ჩვენთვის ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ადვილად გასაგებია ავტორისეული განმარტების შემდეგ, ვიდრე მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება. საინტერესოა, "Jabberwocky"-ს ერთი შეხედვით უაზრო, მაგრამ ლამაზი სტრიქონების კითხვა, რომლებიც თავად კეროლის მიერ არის გამოგონილი და რომელთა თარგმნა თითქმის შეუძლებელია იმის გამო, რომ თარგმანში დაიკარგება ამ ლექსის არსი და მნიშვნელობა. მეორე მხრივ, ინგლისური ენის მცოდნეთათვის არაა რთული სიტყვათა თამაშის გაგება. საინტერესოა, რომ თავად ლექსის სათაურისათვის გამოყენებული სიტყვა "Jabberwocky" აღნიშნავს ე.წ. „უაზრო ენით მეტყველებას“:

'Twas brillig, and the slithy toves

Did gyre and gimble in the wabe;

All mimsy were the borogoves,

And the mome raths outgrabe.

"Beware the Jabberwock, my son!

The jaws that bite, the claws that catch!

Beware the Jubjub bird, and shun

The frumious Bandersnatch!"

He took his vorpal sword in hand;

Long time the manxome foe he sought—

So rested he by the Tumtum tree,
And stood awhile in thought.

(<http://en.wikipedia.org/Jabberwocky>)

თავად სიტყვა Portmanteau არის ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს ტანსაცმლის შესანახ დიდ პორტფელს, საკვოიას. “Portmanteau words mash together the sounds and meanings of two other words, or as Humpty Dumpty tells Alice in "Through the Looking-Glass," they pack two meanings into one word” (თურნერი 2003: 12). მიუხედავად იმისა, რომ კეროლის მიერ წარმოებული და გამოგონილი ბევრი სიტყვა უკვე დიდი ხანია, აღარ იხმარება, ზოგი მათგანი ისევე, როგორც ტერმინი portmanteau, შევიდა ენაში. ესენია:

galumph < gallop + triumph

chortle < chuckle + snort

frumious < fuming + furious

squiggle < squirm + wriggle.

ტერმინი mimsy < flimsy + miserable ენაში მანამდეც არსებობდა, მაგრამ მწერლის განმარტებამ მისი აზრი შეცვალა. მაიკლ კელის განმარტებით: “Lewis Carroll may have chosen “mimsy” rather than “flimserable” because this blend of “miserable” and “flimsy” created a more euphonic rhythm for the line “All mimsy were the borogoves”.” (კელი 1998: 2). ბევრი მსგავსი სიტყვა კეროლის შთაგონებით სავსე მთელი რიგი გამოგონებებისა ადრეც არსებობდა: anegdote < anecdote + dotage ებელი, ლაპარაკისმოყვარული მოხუცების აღსანიშნავად პირველად 1832 წელს დაფიქსირდა, squirl < squiggle + whirl - 1843, snivelization < snivel + sivilization, 1849 წელს ჰერმან მელვილმა შექმნა, როგორც ერთი ტერმინი “for civilisation considered derisively as a cause of anxiety or plaintiveness”; squdge < squash + pudge, 1870. ზოგი თვლის, რომ შენაზარდი სიტყვების უფრო ადრინდელი მაგალითებიც არსებობს ენაში. მაგალითად, სიტყვა bash შესაძლოა იყოს bang-ისა და smash-ის ნარევი, ასევე clash < clang + crash. ბევრი მსგავსი სიტყვა არის ძველი და შესაბამისად იმის დადგენა, თუ რომელი სიტყვების შეერთებით მოხდა მათი წარმოება, რთულია. საინტერესოა, რომ მსგავსი სიტყვების წარმოება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საკმაოდ აქტიურად დაიწყო,

როგორც ზოგიერთი მეცნიერი თვლის, კეროლის გაგლენით. მაგალითად, შენაზარდი electrocute < electricity + execute ენაში პირველად 1889 წელს გამოიხნდა, prissy < prim + sissy - 1895 წელს, travelogue < travel + monologue - 1903 წელს, mingy < mean + stingy - 1911 წელს, scientifiction < science + fiction, რომელიც ჰუგო გერნსბეკმა გამოიგონა 1916 წელს, და უკვე მოძველებულია, seqspert < expert on sex - 1924, sexational < sexual + sensational, 1925, Jacobethan < Jacobean + Elizabethan, რომელიც ჯონ ბეტიემანმა 1933 წელს შექმნა, guesstimate < guess + estimate - 1936.

სიტყვაწარმოების სხვა საშუალებებს შორის შენაზარდი სიტყვების წარმოების ადგილის თაობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგჯერ მას აიგივებენ კომპოზიციასთან, ზოგჯერ - აბრევიაციასთან, ხან თვლიან, რომ ამ ხერხს უჭირავს შუალედური მდგომარეობა აბრევიაციასა და კომპოზიციას შორის. არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის სიტყვაწარმოების სრულიად დამოუკიდებელი ტიპი.

ისეთი სიტყვები, როგორებიცაა keypad, paintball, townhouse ლექსიკონებში მოიხსენიება, როგორც რთული სიტყვები, რადგანაც ის ელემენტები, რომლებიც ახალი სიტყვის საწარმოებლად შეერთდა, თავადაც დამოუკიდებელი სიტყვებია. ტერმინები, როგორიცაა megastore და hypertext, ასევე რთული სიტყვებია, რადგანაც მათში შემავალი ერთი ელემენტი არის დამოუკიდებელი სიტყვა, ხოლო მეორე - სუფიქსი. Faction არის შენაზარდი სიტყვა, რადგან ის ორი სიტყვის < fact და fiction ნაწილს ერთ სიტყვაში აერთიანებს, მაგრამ factoid < a spurious or questionable fact, არ არის შენაზარდი, რადგანაც მეორე ელემენტი სუფიქსია და არაა წარმოებული სიტყვისგან, რომელიც ბოლოვდება -oid-ით. ენაში ადგილი აქვს პროცესებს, როდესაც თავად შენაზარდი სიტყვები გვევლინებიან ახალი პრეფიქსებისა და სუფიქსების მწარმოებლებად.

მაგალითად, სიტყვა motorcade, როგორც ვიცით, მიღებულია სიტყვების motor და cavalcade-ს შეერთების გზით, რომლის შემდეგ ენაში წარმოიშვა ახალი სუფიქსი - cade და ისეთი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენეს, როგორებიცაა aerocade, aquacade, camelcade და ასევე tractorcade. მსგავსად, პრეფიქსი info-ს საშუალებით მრავალი სიტყვის წარმოება განხორციელდა.

ჩვენი კვლევისთვისაც, ისევე, როგორც მრავალი მეცნიერისათვის, რთულია იმის დამტკიცება, სიტყვები infoglut, Infobahn, infodump, infonaut შენაზარდებია თუ

ჩვეულებრივი სიტყვები, ისევე როგორც information. სხვა მსგავსი მაგალითია -
thon < marathon, telethon, preachathon, operathon, stripperthon და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებებს შორის მსგავსი განსხვავება იმით
აიხსნება, რომ შეზრდა, იგივე ტელესკოპია, სიტყვაწარმოების შედარებით ახალი
საშუალებაა. ვ. ადამის აზრით, ამ სიტყვების ძირითადი მასა გამოჩნდა
მხოლოდ XX საუკუნეში და მას მერე მისი პროდუქტიულობა პერმანენტულად
იზრდება. ამ ტიპის პირველი სიტყვები მეტსუთმეტე საუკუნეში გაჩნდა. ადრე
მათ ქმნიდნენ იუმორისტული მიზნით და მხოლოდ მეოცე საუკუნეში გადაიქცა
ეს ტიპი სიტყვაწარმოების საშუალებად, რომელსაც გააჩნია იმის
შესაძლებლობა, რომ მოახდინოს სერიოზული და მნიშვნელოვანი შევსება
ინგლისური ენის ლექსიკურ მარაგში (ბორტნიჩუკი 1988: 174).

შენახარდი სიტყვების მაგალითებია:

- abzyme < antibody + enzyme;
- affluenza < affluence + influenza;
- babynap < baby + kidnap;
- travelogue < travel + catalog;
- daymare < day + nightmare;
- happenstance < happen + circumstance;
- begincement < begining + commoncement;
- angrageous < angry + rageous.

ამ სიტყვებს არ მოაქვს ახალი აზრობრივი ინფორმაცია, რადგანაც ასეთი
ერთეულების წარმოქმნისას ხორციელდება სინონიმებისაგან კომპონენტების
მნიშვნელობით მონათესავე სიტყვების შერწყმა. ასეთი ერთეულები იქმნება
ცნების ან მოვლენის, სინამდვილის უფრო ემოციურად და ექსპრესიულად
გადმოცემის მიზნით. ვ. ადამსს შემოაქვს მსგავსი ტელესკოპიზმების შემდეგი
მაგალითები:

- | | |
|--------------------------------------------|---------------------------------------|
| needcessity < need + necessity; | insinuendo < insinuation + innuendo; |
| attractivating < ettractive + captivating; | boldacious < bold + audacious; |
| fantabulous < fantastic + fablous; | swellegant < swell + ellegant; |
| Beatles < beat + beetles; | because < by + cause; |
| bohunk < Bohemian + Hungarian; | clash < clap + crash; |
| contrail < condensation + trail; | croissandwich < croissant + sandwich; |
| diabesity < diabetes + obesity; | ditsy < dizzy + dotty; |

drice < dry + ice;	dumbfound < dumb + confound;
econocrat < economist + bureaucrat;	fictomercial < fiction + commercial;
fortnight < fourteen + nights;	gainsay < againts + say;
glimmer < gleam + shimmer;	goodbye < God + be (with) + ye;
knowledgebase < knowledge + database;	liger < lion + tiger;
logs < liquid + oxygen;	outpatient < outside + patient;
pang < pain + tin;	paratroop < parachute + troop;
pixel < picture + element;	rockumentary < rock + documentary;
slang < slovenly + language;	slosh < slop + slush

და მრავალი სხვა (ადამსი :2001), რომელსაც წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, საკვლევ მასალად გამოვიყენეთ სხვადასხვა ლექსიკონი, წიგნი, სამეცნიერო თუ პოპულარული სტატია, ინტერნეტ რესურსი, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოვიძიეთ შემოკლებული ერთეულები. შენაზარდი სიტყვებთან დაკავშირებით ინგლისურ ენაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების დროს ძირითადი ორიენტაცია მიემართეთ შენაზარდი სიტყვების წარმოების მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორებიცაა სხვადასხვა სფეროში არსებული ტელესკოპიზმების შექმნის თავისებურებები, განვითარების ეტაპები, გამოყენების სპეციფიკა, პროდუქტიულობა. დასმულია შემდეგი პრობლემები: შენაზარდების კვლევის პროცესში არის თუ არა გასათვალისწინებელი ტელესკოპიზმების სტრუქტურა და სემანტიკა? რა სიტყვამაწარმოებელი მოდელები გამოიყენება მსგავსი ტიპის სიტყვაწარმოების პროცესში? რამდენი ელემენტისაგან შედგება შენაზარდი სიტყვა და რომელი მათგანია უფრო აქტიური? რაში გამოიხატება ტელესკოპიზმების ფუნქცია თანამედროვე ინგლისური ენის სხვადასხვა სფეროს პროფესიული თუ სამეცნიერო ლექსიკის ახალი სიტყვებით გამდიდრებაში?

შენაზარდი სიტყვების რაოდენობა ძალზე ბევრია. მათ სასაუბრო ელფერი აქვთ და ჩვეულებრივ, ადვილად დასამახსოვრებელია. ბევრი მსგავსი სიტყვის უმეტესობა სასაუბრო-საღაპარაკო სტილს ეკუთვნის. მაგ: bit < binary digit; breathalyzer < brethe + analyzer; Eurovision < European + television; vodkatini < vodka + martini არაყში გაზავებული მარტინი; happenstance < happen circumstance შემთხვევა, swimsation < swim + sensation.

საინტერესოა სხვადასხვა მეცნიერის აზრი შენაზარდ სიტყვებთან დაკავშირებით.

ი.ვ. არნოლდის მიხედვით, შეიძლება გამოეყოთ შენაზარდების ადიტიური და რესტრიქტიული ტიპები. ორივე ტიპი თანაარსებობს ენის ლექსიკონში.

ადიტიური ტიპი შეიძლება გადაიქცეს ფრაზად სიტყვების ძირითადი ნაწილების and კავშირების შეერთებით. მაგ: Vietnik < Vietnam and beatnik; abusak < abuse and musak; smog < smoke and fog.

რესტრიქტიული ტიპი (იგივე შეზღუდული ტიპი) შესაძლოა, თვისობრივ ფრაზად გადაიქცეს, სადაც პირველი ელემენტი განსაზღვრავს მეორეს. მაგ: slanguage < slang + language; motel < motorist's hotel; spam < spiced jam (არნოლდი 1986).

ვ.ვ. ბორისოვი (1972) მორფოლოგიური შემოკლების შერეული ტიპების კლასიფიკაციას იძლევა:

1. შემოკლება, რომელიც წარმოქმნილია ინიციალური აბრევიაციისა და მოკვეცილი სიტყვის შეერთებით;
2. ნაწილებშემოკლებული ან ნაწილებმოკვეცილი სიტყვები;
3. კონტრაქტურები ანუ ის აბრევიაციები, რომლებშიც ზოგი ასო გამოტოვებულია და შეერთებულია სიტყვის საწყისი და ბოლო ასოებით;
4. ტელესკოპიური სიტყვები.

აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ეს უკანასკნელი ტიპი და სწორედ მას განვიხილავთ.

ვ.ვ. ბორისოვის აზრით, ტელესკოპია უნდა ჩაითვალოს შემოკლებული ლექსიკური ერთეულების წარმოების განსაკუთრებულ ხერხად.

მორფოლოგიური აბრევიაციის ელემენტების დამახასიათებელი ნიშანია თანამედროვე ინგლისურ ენაში გავრცელებული ტელესკოპიური სიტყვები, შენაზარდები, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწარმოებიან ერთი სიტყვის საწყისი ელემენტისა და მეორე სიტყვის ბოლო ნაწილის შეერთების გზით. ასეთი ტიპის შემოკლებული ერთეულები შეიძლება წარმოებულ იქნენ, როგორც ორი გრამატიკულად განსხვავებული სიტყვისაგან, ასევე ატრიბუტული სიტყვათშეთანხმების შემოკლების გზით.

ტელესკოპიური სიტყვები სხვა მორფოლოგიური შემოკლებებისაგან მკვეთრად განსხვავდებიან შემდეგი თვალსაზრისით. მათგან უმნიშვნელოვანესია:

1. კორელატის სპეციფიკა, მაგ: Zootique < zoo + boutique. ესაა ორი გრამატიკულად სხვადასხვაგვარად სიტყვის მარტივი განლაგება;
2. მორფემების განლაგება, მათი გადაბმა სიტყვებში. (ბორისოვი 1972: 163).
მაგ: informercial < commercial information = a lengthy commercial chock-full of product information).

ზ.ა. ხარიტონჩიკი რთულმარცვლოვანი შემოკლების ორ ტიპს გამოყოფს:

1. თავად რთულმარცვლოვანი შემოკლება, რომელთა შემადგენლობაშიც აუცილებლად შედიან სიტყვების საწყისი მარცვალი ან მარცვლები. მაგ: Interpol < international police, zedonk < zebra + donkey.
2. შენაზარდი სიტყვები, რომლებიც შეიცავენ სიტყვის ფინალურ, ბოლო ნაწილს. მათ შორის, თავის მხრივ, გამოიყოფა აბრევიატურები, რომლებიც იწარმოება ერთი სიტყვის ფინალური ნაწილის მეორე სიტყვის საწყისი მარცვლის ან მთლიანად სიტყვის შერწყმით. მაგ: Oxbridge < Oxford + Cambridge, და დამატებები, იგივე მინაშენები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ შემოკლებული ან მთლიანი სიტყვების ფონეტიკურად მსგავსი ნაწილების დალაგებით. მაგ: bisalo < bison + buffalo (ხარიტონჩიკი 1992: 190).

კვლევის დროს მოვიხიეთ ასევე ისეთი შენაზარდი სიტყვები, რომლებიც წარმოიშობიან აბრევიაციისა და აფიქსაციის ერთდროული მოქმედების შედეგად და ნაშრომში მათი განხილვა საინტერესოდ ჩავთვალეთ. მაგ: Bimbette < bimbo + ette; Dysergy < dys + synergy. პირველ მაგალითში სიტყვას ბოლოსართი დაემატა, მეორეში კი საწყისი მარცვლის მოკვეცის შემდეგ პრეფიქსი დაემატა.

სიტყვაწარმოების ამ ტიპის კვლევის პროცესში გასათვალისწინებელია ორი ასპექტი - სტრუქტურა და სემანტიკა. ტელესკოპური სიტყვაწარმოების განსაკუთრებული აგებულება წარმოადგენს იმას, რომ ერთ-ერთი მისი შემადგენელი კომპონენტთაგანი წარმოდგენილია არა მთლიანი, არამედ მოკვეცილი ფუძით, მის ფრაგმენტად, „ნამსხვრევად“. ამაშია ტელესკოპიის ძირითადი განსხვავება კომპოზიციისაგან, რომლის დროსაც კომპონენტები სრულ ფუძეებად წარმოგვიდგებიან. შენაზარდი სიტყვების უმეტესობას, აბრევიატურებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ შესატყვისი თავისუფალ სიტყვათშეთანხმებებში, მათი წარმოება ხორციელდება ორი სინტაქსურად განსხვავებული სიტყვების ერთმანეთთან ასოციაციური კავშირის დამყარებით, მაგ: paytriotism, ესაა პატრიოტიზმი, რომლის გაყიდვაც შეიძლება (ჯლუტენკო 1983: 103).

ბევრ ტელესკოპიზმს გააჩნია ე.წ. ნაწილობრივ სიტუაციური დამახასიათებელი ნიშანი და ლექსიკონებში არ არის რეგისტრირებულები. ტელესკოპიური სიტყვების განსაკუთრებული ნიშანია მათი დამოკიდებულებაა იმ სიტყვებისაგან, რომელთა მეშვეობითაც მათი წარმოება გახდა შესაძლებელი. ამ სიტყვების უმეტესობის მნიშვნელობის გამოცნობა ადრე შეუძლებელი იყო მათი კომპონენტების გაშიფვრისა და განმარტების გარეშე, რაც ტექსტებში ძალზე იშვიათად იყო მოცემული. მაგ: He is supervising the construction of Carriage House of Roslyn. It is a suburban subdivision of 104 colonials, ranches and “splanches”, a splanch being a cross between a split-level and a ranche house. გარდა ამისა, არსებობდა გარკვეული სირთულე მათი წაკითხვისა და წერის დროს.

შესაძლებელია ტელესკოპიური სიტყვების რამდენიმე მოდელის შექმნა, მაგრამ ჩვენი კვლევების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო ათეულ წლებში ტელესკოპია წარმოიქმნება შემდეგი ოთხი მოდელის ჩვენებით:

1) ტელესკოპიური წარმონაქმნი, რომელიც შედგება ორი ან მეტი ნამსხვრევის ელემენტებისაგან. ჩვეულებრივ ასეთ წარმონაქმნს უწოდებენ მთლიან ტელესკოპიზმს, მაგალითად;

chunnel < channel + tunnel - გვირაბი არხით;

dinter < dinner + interview - ინტერვიუ სადილის დროს;

biopic < biographical + picture - ბიოგრაფიული ფილმი;

memberlect < remember + recollect- ვინმეს ან რაიმეს გახსენება;

phonematic < telephone + automatic - ავტომატური ტელეფონი;

rosetry < prose + poetry - პროზა, პოეზია;

stagflation < stagnation + inflation - ეკონომიური ე.წ. გაყინვა უმუშევრობის ზრდით და ინფლაციის გაძლიერებით.

skurfing < skating + surfing – სერფინგი ხმელეთზე;

snurfing < snow + surfing – სერფინგი თოვლში;

slurb < slums + suburbs - გარეუბანი, გაშენებული სახლებით, რომლებიც დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვისაა განკუთვნილი, განსაკუთრებით აშშ-ში;

spork < spoon + fork - პლასტმასის კოვზი ბლავგი კბილებით სახელურზე, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ჩანგალი.

სრული ტელესკოპიზმები წარმოადგენენ ერთი სიტყვის საწყისი ფრაგმენტის შეერთებას მეორე სიტყვის ბოლო ფრაგმენტთან და ეს ტიპი წარმოდგენილია უფრო სრულად, მაგალითად:

swacket < sweater + jacket

transceiver < transmitter + receiver

radionics < radiation + electronics

scrapnel < scrap+shrapnel

motorcade < motorcar + cavalcade

tigon < tiger + lion

dawk < dove + hawk

hesiflation < hesitation+inflation

სიტყვის საწყისის ე.წ. „ნამსხვრევმა“ შეიძლება წარმოადგინოს სიტყვის დიდი ნაწილი ან ჩართოს რამოდენიმე ასო და თუნდაც ერთიც კი. ქვემოთ მოყვანილია იმ შენაზარდების მაგალითები, რომლებიც წარმოქმნილია ერთი სიტყვის საწყისი ფრაგმენტის შეერთებით მეორე სიტყვის საწყის ფრაგმენტთან:

stabex < stabilize + exports

zedonk < zebra + donkey

datel < data + telex

hazchem < hazardous + chemical

marisat < maritime + satellite

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის წარმონაქმნები ძალზე ახლოსაა აკრონიმებთან:

CARICOM < Caribbean Community

elint < electronic + intelligence

2) ამ ტიპს განეკუთვნება ტელესკოპური წარმონაქმნები, რომლებიც შექმნილია პირველი სიტყვის საწყისი ნაწილის სრული ფუძისა და მეორე სიტყვის შემავალი ფრაგმენტისაგან. ქვემოთ წარმოგიდგენთ ნეოლოგიზმების ნიმუშებს ქართული თარგმანით:

artmobile < art + automobile - მოძრავი სურათების ავტოგამოფენა

boatel < boat + hotel - სასტუმრო მენავეებისათვის მდინარის პირას

breathalyser < breath + analyser სიმთვრალის ტესტი

datamation < data + automation - მოცულობის ავტომატური დამუშავება.

neutercane < neuter + hurricane - შტორმი ძლიერი ქარით.

dunemobile < dune + automobile - ქვიშიან დუნაზე სამოძრაო მანქანა.

mediamorphosis < media + metamorphosis -მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფაქტების შეცვლა ან დამახსოვრება.

3) ტელესკოპიზმები, რომლებიც შედგება პირველი სიტყვის საწყისი ფუძის მოკვეცილი ფრაგმენტისა და მეორე სიტყვის სრული ფუძისაგან. მაგალითად:

paraglider < parachute + glider - მოქმედი პარაშუტი;

paradoctor < parachuter + doctor - ექიმი, რომელიც გადააჰყავთ თვითმფრინავით და უშვებენ პარაშუტით ცალკეულ რაიონებში დახმარების აღმოსაჩენად- დაზარალებულებისა და ავადმყოფებისათვის;

teleplay < television + play - პიესა, რომელიც დაწერილია ტელეგადაცემისათვის, ტელესპექტაკლი;

teleprinter < teletype + printer - ტელეტიპი, ტელეგრაფული ასომბეჭდავი აპარატი, ასევე peacoat < peajacket + coat- ქურთუკი;

educreation < education + creation- პედაგოგიური თეორია, რომელიც გულისხმობს სწავლების შეთავსებას აღზრდასთან;

gravisphere < gravity + sphere - მიზიდულობის მოქმედების სფერო;

mocamp < motorcar + camp - ბანაკი ავტოტურისტებისათვის;

vertiport < vertical + airport - აეროპორტი თვითმფრინავების ვერტიკალურად ასაფრენად და დასაშვებად;

containerport < containership + port - საზღვაო ნავსადგური, მოწყობილი კონტეინერების გადმოსატვირთად;

heliskiing < helicopter + skiing - მაღალმთიან რაიონებში თხილამურებით სრიალი, სადაც მოთხილამურეები ვერტმფრენით აჰყავთ;

dictabelt < dictation + belt - პლასტმასტური ლენტი, რომელზედაც წარმოებს დიქტოფონის ჩაწერა;

ecopolitics < 1. economic+politics - პოლიტიკის შესწავლა ეკონომიკის თვალსაზრისით;

2. ecological+politics- პოლიტიკის შესწავლა

შემოქმედების თვალსაზრისით მის ეკოლოგიაზე.

4) ძლიერდება ისეთი წარმონაქმნების შექმნა, რომლებშიც ფონემების განლაგება ორი სიტყვის გადაბმით ხდება ერთიმეორეზე, რაც შეიძლება იყოს გამოხატული წარმოთქმაში ან დამწერლობაში. ასეთ ტელესკოპიზმებს ჩვეულებრივ უწოდებენ

გაპლოლოგიურს (ტერმინი ნასესხებია მეცნიერ ტ.რ. ტიმოშენკოსგან, 1976). მსგავსი ტელესკოპიური ნეოლოგიზმების წარმოების ტენდენცია იზრდება. მათი დამახასიათებელი განსაკუთრებულობა არის საერთო ელემენტთა არსებობა შესიტყვების კომპონენტთა პირისპირ. მაგალითად:

faction < *fact* + *fiction* - მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც საფუძვლად უდევს დოკუმენტური ფაქტი;

affluenza < *affluence* + *influenza*;

anformercial < *information* + *commercial*;

Singlish < *Singapore* + *English*

glasphalt < *glass* + *asphalt* - მინისა და ასფალტის ნარევისგან შემდგარი მასალა გზის დასაფარავად;

barococo < *baroque* + *rococo* - ბაროკოსა და როკოკოს სტილის ნაზავი;

selectric < *select* + *electric* - ელექტრონული საწერი მანქანის სახეობა;

blandlubber < *bland* + *landlubber* – უმარილო საჭმლის მოყვარული;

businesspeak < *business* + *speak* - კომერციული სავაჭრო უარგონი;

replicar < *replica* + *car* - კლასიკური ან ძველებური ავტომობილის ზუსტი ასლი თანამედროვე ძრავით და მოწყობილობით;

beefish < *beef* + *fish* - გატარებული საქონლის ან თევზის ფარშის ნარევი, რომელიც გამოიყენება შიგთავსად;

volcaniclastic < *volcanic* + *clastic* - ვულკანური ელემენტებისაგან შემდგარი ნამსხვრევები და ვულკანური ნალექები;

jargonaut < *jargon* + *argonaut* - ადამიანი, რომელიც გადაჭარბებულად იყენებს უარგონს.

როგორც წესი, შენაზარდი სიტყვები ორელემენტიანია, მაგრამ გვხვდება სამ ელემენტიანი წარმონაქმნები. მაგალითად:

Euralpass < *European* + *rail* + *pass* - სამგზავრო ბილეთი, რომელიც მოქმედებს ევროპის ყველა ქალაქის რკინიგზაში.

საყურადღებოა ასევე შემდეგი ნეოლოგიზმების არსებობა ინგლისური ენის ლექსიკაში:

Bosnywash < Boston + New York City + Washington - მჭიდროდ დასახლებული რაიონი შეერთებული შტატების აღმოსავლეთით, გადაჭიმული ახალი ინგლისის შტატიდან ვაშინგტონამდე;

Ameslan < American sign language - ყრუ-მუნჯთა ენა, რომელიც გამოიყენება ჩრდ. ამერიკაში;

Tercom < Terrain contour matching - მართვის კომპიუტერული სისტემა თვითმფრინავებში, რომლებიც აკონტროლებენ გასაფრენ ტრაექტორიას;

Benelux < Belgium + Netherlands + Luxemburg - დასავლეთ ევროპული ქვეყნების - ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის გაერთიანება.

Fritelux < France + Italy + Benelux - დასავლეთ სახელმწიფოთა ჯგუფი, სადაც ჩართულია საფრანგეთი, იტალია და ბენილუკი.

ჩვენი კვლევისთვის საინტერესო გამოდგა ტ. რ. ტიმოშენკოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თითოეული ტელესკოპური სიტყვის სტრუქტურული ელემენტიდან ჩადებულია მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი დანიშნულება, ან ტელესკოპური სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც ახალი, (gerrymander < elbridge, Jerry + salamander - წინასაარჩევნო მაქინაციები), ასევე ძველი, მაგრამ უფრო რთული (simulcast < simultaneous + broadcast - ერთდროული გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით. (ლონგმანი 1986: 105). ამის მიხედვით, შევეცადეთ შენაზარდი სიტყვების კიდევ ახალი, ერთი შეხედვით, მსგავსი კლასიფიკაცია ჩამოგვეყალიბებინა, რომელშიც გამოვყავით ტელესკოპიზმების სამი ჯგუფი:

1) ტელესკოპური სიტყვები, რომელთა საერთო მნიშვნელობა ერთმანეთს უტოლდება. მაგ:

Oxbridge < Oxford + Cambridge - ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები;

colourcast < colour + broadcast - ფერადი სატელევიზიო გადაცემა;

beefalo < beef + buffalo - ძროხის და ბიზონის ჰიბრიდი;

helibus < helicopter + bus - ვერტმფრენი/ავტობუსი;

talkathon < talk + marathon - სიტყვების მარათონი.

ქვემოთ მოცემულია ინდიანას უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის დროს მოძიებული ამ ტიპის უახლესი ნეოლოგიზმების მაგალითები, რომელთა სრული ჩამონათვალი მოცემულია დანართში:

smothercate < smother + suffocate – დახრჩობა;

Fringlish/Franglish < French + English - ინგლისური ენა ფრანგული წარმოთქმით, შენარევი ფრანგული ლექსიკით;

fact < fact + fiction - წიგნი, დაფუძნებული ფაქტებზე, დაწერილი მხატვრული ნაწარმოების ფორმით;

yakow < yak + cow - იაკისა და ძროხის ჰიბრიდი;

demochristian < democratic + christian - ევროპის ერთ-ერთი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

2) ტელესკოპური ერთეულები, რომელთა საერთო მნიშვნელობა არ უტოლდება კომპონენტების მნიშვნელობების ჯამს, თუმცა იკრიბება მათი ფუძეების ჯამზე. ეს მნიშვნელობა შედარებით ახალია და რთული, იშვიათად გადმოგვცემს დამატებით ინფორმაციას საგანსა თუ სინამდვილის მოვლენებზე. მაგალითად:

Hoovercrat < Hoover + democrat- დემოკრატი, რომელიც ხმას აძლევს ჰუვერს;

macon < mutton + bacon - არა ცხვარი ბეკონით, არამედ ცხვარი, მომზადებული ბეკონის მომზადების ხერხით;

Euratom < Europe + atom - ევროპული ატომური გაერთიანება;

meritocracy < merit + aristocracy - მმართველი ელიტა;

tralecade < travel + cavalcade - ტურისტული ავტომობილების კოლონა (მწკრივი);

cashomat < cash + automat – ბანკომატი;

wasteplex < waste + complex - სამრეწველო კომპლექსი ნარჩენების გადასამუშავებლად;

eldercare < elderly + care - ხანდაზმული ხალხისადმი იაფფასიანი სამედიცინო დახმარების გასაწევად მიმართული პროგრამა;

auto-train < automobile + train - მატარებელი, მოწყობილი მგზავრებისა და მათი ავტომობილების გადასაყვანად;

autopen < automobile + pen - მოწყობილობა, ავტომატურად ზუსტად მოგაგონებს ვილაციის ხელმოწერას;

medibank < medical + bank - ავსტრალიის ეროვნული სადაზღვევო პროგრამა ავადმყოფობის დროს.

3) ტელესკოპური სიტყვები, რომლებშიც ერთი კომპონენტი განსაზღვრავს მეორეს, უმატებს მნიშვნელობას, აზუსტებს მას, სადაც მეორე კომპონენტი ბაზისური:

airgation < air + navigation - საჰაერო ნავიგაცია;

Americanimal < American + animal - ამერიკელი ცხოველი;

atomaniac < atom + maniac - ატომის /ატომური მანიაკი;

dopelomat < dope + diplomat - გამოყვეყნებული დიპლომატი;

loxigen < liquid + oxygen - თხევადი ჟანგბადი;

Norlina < north + Carolina - ჩრდილოეთ კაროლინა.

შემდეგ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ პირველი არის უფრო ნაკლებად ბაზისური კომპონენტი:

cinemusical < cinema+musical

criticualar < critical + particular

girlsical < girl + musical

jetomic < jet + atomic

ამ ტიპის ახალი შენაზარდების მაგალითებია:

superjet < supersonic + jet - რეაქტიული თვითმფრინავი;

turbocopter < turbine + helicopter – ტურბოვერტმფრენი;

cablevision < cable + television - აბონენტური ტელევიზია;

seaset < sea + sattelite - ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც აგროვებს მონაცემებს ოკეანის ზედაპირის შესახებ;

spacelab < space + laboratory - სამეცნიერო ლაბორატორია კოსმოსში;

negabinary < negative + binary

keyphone < keyboard + phone - კლავიშიანი ტელეფონი.

ზემოთმოყვანილი შენაზარდების ანალიზის პარალელურად, განვახოციელებთ კვლევა 100 ახლადწარმოებულ ტელესკოპიზმზე. ამისათვის, ინტერნეტ გვერდის <http://thinkzone.wlonk.com/WordFun/PortWords.htm> დახმარებით მოვიძიეთ ბოლო პერიოდში წარმოებული შენაზარდები, რომლებსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ინგლისურენოვან პრესასა თუ ყოველდღიურ მეტყველებაში.

#	Blends	parts of speech
1	acknowledgment = acknowledgment + mention	n +v=n

2	adornament = adorn + ornament	v+n=n
3	amusemententertainment = amusement + entertainment	n+n=n
4	angleaning = angle + leaning	n+v=v
5	animale = animal + male	n+n=n
6	arcticy = arctic + icy	adj+adj=adj
7	artistudio = artist + studio	n+n=n
8	atomicroscopic = atomic + microscopic	adj+adj=adj
9	badvantage = bad + advantage	adj+n=n
10	barbariangry = barbarian + angry	adj+adj=adj
11	beginaugurate = begin + inaugurate	v+v=v
12	bespokengaged = bespoken + engaged	adj+adj=adj
13	blog = web + log	n+n=n
14	blogcast = blog + broadcast	v+v=v
15	braintelligence = brain + intelligence	n+n=n
16	Brangelina = Brad (Pitt) + Angelina (Jolie)	n+n=n
17	burnishine = burnish + shine	v+v=v
18	cafetorium = cafeteria + auditorium	n+n=n
19	camcorder = camera + recorder	n+n=n
20	chooseselect = choose + select	v+v=v
21	churchapel = church + chapel	n+n=n
22	clapplaud = clap + applaud	v+v=v
23	combattle = combat + battle	n+n=n
24	convictim = convict + victim	n+n=n
25	coquetteaser = coquette + teaser	n+n=n
26	correctify = correct + rectify	v+v=v
27	corrosivenomous = corrosive + venomous	adj+adj=adj
28	coverlap = cover + overlap	v+v=v
29	crashipwreck = crash + shipwreck	n+n=n
30	cryell = cry + yell	v+v=v
31	culturefinement = culture + refinement	n+n=n
32	cyberzine = cyberspace + magazine	n+n=n
33	dadaddy = dada + daddy	n+n=n
34	demonster = demon + monster	n+n=n

35	desire require = desire + require	v+v=v
36	digest stomach = digest + stomach	v+n=n
37	dream ambition = dream + ambition	n+n=n
38	edu tainment = education + entertainment	n+n=n
39	enjoyment ertainment = enjoyment + entertainment	n+n=n
40	explain interpret = explain + interpret	v+v=v
41	fable legend = fable + legend	n+n=n
42	fanzine = fan + magazine	n+n=n
43	fell ad = fella + lad	n+n=n
44	female leader = female + leader	n+n=n
45	film movie = film + movie	n+n=n
46	gain increase = gain + increase	v+v=v
47	gentle mankind = gentleman + mankind	n+n=n
48	ginormous = gigantic + enormous	adj+adj=adj
49	glide scend = glide + descend	v+v=v
50	glimp see = glimpse + see	v+v=v
51	globe earth = globe + earth	n+n=n
52	gode ity = god + deity	n+n=n
53	hate terrorist = hater + terrorist	n+n=n
54	head administrator = head + administrator	n+n=n
55	head adversary = head + adversary	n+n=n
56	homicide death = homicide + death	n+n=n
57	honest straight = honest + straight	adj+adj=adj
58	initial alpha = initial + alpha	n+n=n
59	invite tempt = invite + tempt	v+v=v
60	job business = job + business	n+n=n
61	join filtrate = join + infiltrate	v+v=v
62	jumble blend = jumble + blend	v+v=v
63	jump startle = jumpstart + startle	v+v=v
64	labor organization = labor + organization	n+n=n
65	life feeling = life + feeling	n+n=n
66	love enjoy = love + enjoy	v+v=v
67	mad ame = madam + dame	n+n=n

68	mad man iac = madman + maniac	n+n=n
69	magaz in ewspaper = magazine + newspaper	n+n=n
70	ma l eader = male + leader	n+n=n
71	ma m ammy = mama + mammy	n+n=n
72	mo v erturn = move + overturn	v+v=v
73	narra t ell = narrate + tell	v+v=v
74	natur e religion = nature + religion	n+n=n
75	nee d emand = need + demand	v+v=v
76	nee d esire = need + desire	v+v=v
77	newspaper periodical = newspaper + periodical	n+n=n
78	nois e sensation = noise + sensation	n+n=n
79	offic e center = office + center	n+n=n
80	opinion o tion = opinion + notion	n+n=n
81	orig i niation = origin + initiation	n+n=n
82	outrage o usurious = outrageous + usurious	adj+adj=adj
83	pain f liction = pain + infliction	n+n=n
84	pluo t = plum + apricot	n+n=n
85	point e nt = point + intent	v+v=v
86	polish e = polish + shine	v+v=v
87	potato m ato = potato + tomato	n+n=n
88	push h ove = push + shove	v+v=v
89	recit e ll = recite + tell	v+v=v
90	rest o p = rest + stop	v+v=v
91	saint e llectual = saint + intellectual	n+n=n
92	shame e lancholy = shame + melancholy	n+n=n
93	short c utoff = shortcut + cutoff	n+n=n
94	shout e rcry = shout + outcry	v+v=v
95	small l owly = small + lowly	adj+adv=adv
96	spouse e eker = spouse + seeker	n+n=n
97	square r ectangle = square + rectangle	adj+adj=adj
98	stig m ark = stigma + mark	n+n=n
99	trade e al = trade + deal	v+v=v
100	umpire r eferee = umpire + referee	n+n=n

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ 100 სიტყვიდან 56 არის არსებითი სახელი, 29 ზმნა და 9 ზედსართავი სახელი. 6 სიტყვა შერეული მეტყველების სახელისგან იყო წარმოებული. ესენია: *acknowledgment* < *acknowledgment* + *mention* ($n+v=n$), *adornment* < *adorn* + *ornament* ($v+n=n$), *angleaning* < *angle* + *leaning* ($n+v=v$), *badvantage* < *bad* + *advantage* ($adj+n=n$), *digestomach* = *digest* + *stomach*, *smallowly* < *small* + *lowly* ($adj+adv=adv$).

კვლევამ ცხადყო, რომ შენაზარდი სიტყვების უმეტესობა არსებითი სახელია. დასაწყისში მიზნად დავისახეთ შენაზარდი სიტყვები დაგვეყო იმის მიხედვით, თუ რა ნაწილი ჰქონდა მოკვეცილი მასში შემავალ კომპონენტებს, მაგრამ 100 პორტმანტოდან 90-ის შემთხვევაში, წარმოების დროს ორივე სიტყვის საწყისი და ბოლო ნაწილი იყო გამოყენებული, რამაც შეუძლებელი გახადა, ამ სიტყვების კლასიფიცირება აპოკოპიის თუ აფერეზისის ქვეჯგუფში. ამიტომაც, ორი სიტყვის საერთო ნაწილი, რომელიც აქტიური მაწარმოებელი ელემენტი იყო ამა თუ იმ შენაზარდის წარმოებისათვის, გავამუქეთ და ნაშრომში საილუსტრაციოდ ასეთი სახით წარმოვადგინეთ (იხ. ცხრილი), მაგალითად: *desirequire* < *desire* + *require*. როგორც ვხედავთ, მოცემულ მაგალითში ორივე სიტყვის საერთო მაწარმოებელი ელემენტი არის 're'. მასალა კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ შემქმნელები იყენებენ სიტყვათა წარმოების განსაზღვრულ საშუალებას და ყოველი ახალი პროდუქტი არ არის სპონტანური, ოკაზიონალური წარმოების შედეგი.

რაც შეეხება თითოეული ზემოთგანხილული ტიპის პროდუქტიულობასა და წარმოების სიხშირეს, ასევე მათი ლექსიკონებში დარეგისტრირების ხარისხსა და სიხშირეს, ჩვენს მიერ გაანალიზებული მასალის საშუალებით (სულ მოვიძიეთ 1962 შენაზარდი) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენაზარდებს შორის უფრო ტიპურია პირველი კომპონენტის ბოლო მარცვლის მოკვეცა. მაგ: *Europlug* < *European plug*; *guppies* < *green yuppie*; *abend* < *abnormal/abortive end*; *avid* < *advertising video*, *sitcom* < *situation + comedy*; *zedonk* < *zebra + donkey*. მოცემულ მაგალითებში, როგორც ჩანს, პირველი ელემენტები აპოკოპიას განიცდიან. განხილული მაგალითებიდან მსგავსი 803 სიტყვა დავაფიქსირეთ.

შედარებით ნაკლებია მეორე კომპონენტის ბოლონაწილმოკვეცილი შენაზარდი სიტყვები. სულ 492 ერთეული, მაგ: *kidvid* < *kid + video*; *propas* <

professional parents; secdef < the secretary of dense, სადაც ორივე ელემენტის მეორე კომპონენტების აპოკოპია გვაქვს.

ბოლო ათწლეულის მანძილზე არც ისე იშვიათად ვხვდებით ისეთი ტელესკოპური სიტყვების წარმოებას, რომლებშიც ორივე ელემენტია მოკვეცილი. მათ შორის ჭარბობს პირველი კომპონენტის ბოლონაწილმოკვეცილი და მეორე ელემენტის თავსართმოკვეცილი ერთეულები. ასეთი 591 მაგალითი გვაქვს, მაგ: heliskiing < helicopter + skiing (მაღალმთიან ადგილებში თხილამურებით სრიალი, სადაც მოთხილამურეები ვერტმფრენით აჰყავთ), glasphalt < glass + asphalt (მასალა მინისა და ასფალტის ნამსხვრევებისაგან, რომელიც გზის საფარისთვის გამოიყენება), blaxploitation < black + exploitation (შავკანიანების ექსპლუატაცია); disohol < diesel + alcohol; drizzerable < drizzling + miserable, chillaxing < chilling + relaxing (კელი 1998: 4; ლონგმანი 1986). ასევე magalog < magazine + catalog; blaxploitation < black + exploitation; disohol < diesel + alcohol; drizzerable < drizzling + miserable. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ პირველი ნაწილის აპოკოპიასთან და მეორე ელემენტის აფერეზისთან გვაქვს საქმე.

ერთეულები, რომლებიც წარმოქმნილია ორივე კომპონენტის მოკვეცილი ბოლო ნაწილების მქონე ელემენტების შეერთებით, შედარებით ნაკლებია, სულ 76 ერთეული. მაგ: sitcom < situation + comedy; zedonk < zebra + donkey.

ჩვენი კვლევის დროს გამოვიყენეთ სხვადასხვა რესურსი, როგორცაა ლექსიკონები, წიგნები, სამეცნიერო თუ პოპულარული სტატია, ინტერნეტ რესურსი, სადაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საკმაოდ დიდი რაოდენობის შემოკლებული სიტყვები, მათ შორის შენაზარდი სიტყვები აღმოვაჩინეთ და წინამდებარე ნაშრომში ჩატარებული ემპირიული კვლევისათვის მაგალითების სახით ჩავრთეთ. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტელესკოპური წარმონაქმნების უმრავლესობა არსებითი სახელია; ზედსართავეები და ზმნები იშვიათად გვხვდება, რაც შემდეგი მაგალითებიდან ნათლად ჩანს:

dynetic < dynamic + magnetic - დინამიტები, რომლებიც ფლობენ ძლიერ მაგნიტურ თვისებებს;

computistical < computer + statistical - სტატისტიკურად დამუშავებული, გამოთვლილი, სტატისტიკურ გამოთვლებთან დაკავშირებული;

variomathematic < variable + automatic - ავტომატური გადაცემა ლვედური ამპრაჟით;

scuzzy < scummy + fuzzy - ჭუჭყიანი, სულმდაბალი;

ზმნური ნეოლოგიზმებია:

meld < melt + weld – შერთვა;

charbolic < chorccal + broil – ნახშირზე შეწვა;

infanticipate < infant + anticipate – ბავშვს ელოდებოდე;

helihop < helicopter + hop - ვერტმფრენით გადაადგილება მოკლე ადგილზე;

helilift < helicopter + lift - ქარების ვერტმფრენებზე გადაყვანა ექსტრემალურ შემთხვევაში.

განხორციელებული კვლევა ასევე გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ზოგჯერ შენახარდები იქმნება ახალი ჰიბრიდებისათვის სახელწოდების დარქმევის მიზნით. მაგ: citringe < citron + orange; yakow < yak + cow; beefalo < beef + buffalo, აგრეთვე Rogernomics. ეს უკანასკნელი შედეგია ახალი ზელანდიის ფინანსთა მინისტრის, Roger Douglas -ის სახელის შემოკლებისა, რომელმაც, ამავე ქვეყნის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა, 1984 წელს რადიკალურად შეცვალა ეკონომიკა, კერძოდ, შემოიტანა პრივატიზაცია. როგორც ვხედავთ, Roger Douglas -ს შეეზარდა სიტყვა economics - იმ სფეროს სახელწოდება, რომელშიც ის მუშაობდა და ცვლილებები შემოიტანა. მაგრამ ამ სიტყვიდან მიღებულმა მორფემამ -nomics სუფიქსის სტატუსზე პირველად პრეტენზია მაშინ განაცხადა, როდესაც მისი მონაწილეობით შეიქმნა Nixonomics, რაც იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მიუთითებდა, რომელსაც პრეზიდენტი ნიქსონი ატარებდა. მისი, როგორც სუფიქსის, პოპულარობა გაიზარდა Reaganomics-ის შექმნით, რომელიც შესაბამისად რეიგანის მიერ გატარებულ პოლიტიკას აღნიშნავდა. ამჟამად, აღნიშნული სუფიქსის მონაწილეობით არსებობენ ასევე bimbonomics, lawsonomics (მაჩაიძე 2002: 166). ამ ბოლო დროს კი პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში არც თუ უცხოდ ჟღერს არა მხოლოდ Clintonomics, ასევე Bushonomics რომელიც ჯონ კესიდიმ სტატიის სათაურადაც კი გამოიყენა 2003 წლის 15 დეკემბრის “The New Yorker”-ის ნომერში (<http://greg.org/2003/12/>).

მასალის მოძიებისა და ანალიზის დროს საკმაოდ ბევრი ისეთი შენახარდი შეგვხვდა, რომელიც მიღებულია პროდუქტული ნაწილაკებით,

რომლებიც გახდა სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ტელესკოპიზმის საფუძველი. მაგალითად:

კომპონენტი-thon იხმარება ტელესკოპურ სიტყვებში დამატებითი მნიშვნელობით-ამტანობის მნიშვნელობით, ხანგრძლივობით:

telethon < television + marathon - ხანგრძლივი ტელეგადაცემა;

walkathon - ხანგრძლივი გასეირნება;

talkathon - ხანგრძლივი საუბარი;

dancethon - ხანგრძლივი ცეკვა;

cleanathon - ხანგრძლივი დასუფთავება.

მეორე ელემენტით მოდელირებული ტელესკოპიზმები გვხვდება საკმაოდ ხშირად. მაგალითად: maticashomat, laundromat, Lawn-a-mat, Akustomat. ასევე:

-tron: magneton, partron, laddertron, cyclotron, bevatron;

-topia: autopia, subtopia, pornotopia;

-mobile: armobile, airmobile, batmobile, motelmobile, dishmobile, youngmobile, taxmobile;

-versity: poliversity, megaversity, multiversity;

-tel: motel, boatel, airtel.

-rama: aromarama, ride-o-rama, infinit-o-rama, sonorama;

-naut: aquanaut, lunarnaut, oceanaut, jargonaut, migronaut;

-urfing: skurfing, snurfing;

-napping: petnapping, carnapping, horsenapping.

მოდელირებული შენაზარდები საერთო საწყისი კომპონენტით უფრო იშვიათად გვხვდება:

heli-: helisport, helipad, helilift, helibone, helitrap, heliskiing, helihop;

para-: parawing, parakite, parafoil, paraglider, parasailing;

surf-: surfink, surftoon;

perma-: permacrease, permapress, permasaized;

eco-: ecomone, ecotage, ecotecture, ecofallow, econut, econiche, ecopolitics, economic. აგრეთვე სიტყვა ecodevelopment < economic /ecological + development აერთიანებს პირველ კომპონენტში “eco” ორივე ცნებას.

მსგავსია: syn-:synjet, synoil, syncron, synsize, syfuel, syngas.

ქვემოთ მიმოვიხილავთ იმ მაგალითებს, რომელთა წარმოებამ ან გამოყენებამ ფორმამ თუ სფერომ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ამ მხრივ,

ადსანიშნავია შენაზარდი სიტყვა Singlish. ეს ერთეული მოდის ჯონ პლატისაგან, რომელიც სწავლობდა ინგლისურს, რომლის ნაირსახეობაც გავრცელებული იყო სინგაპურში. შედეგად კი მივიღეთ მეცნიერის მიერ წარმოებული შენაზარდი Singlish-ის წარმოება.

ბევრი შენაზარდი ნაწილობრივ ემთხვევა გარკვეული რაოდენობის იმ ხმოვნების, თანხმოვნების, მარცვლების ან სიტყვების ნაწილების ხმოვანებას, რომლებსაც ის ცვლის. ეს მექანიზმი გამოიყენება სიტყვების თამაშის დროს. მაგ: foolosopher < fool + philosopher, რომელიც ჟღერს, როგორც philosopher (შტეროსოფოსი); affluenza < affluence + influenza ძალიან ჰგავს influenza -ს; icecapade < ice + escapade, ესაა სპეციალურად მოწყობილი შოუ, სანახაობა ეინულზე, რომელიც ხმოვანებით ძალიან ემსგავსება სიტყვას escapade; baloonatic - შენაზარდია სიტყვებისა balloon და lunatic.

შენაზარდ სიტყვებს ადვილად ვიმახსოვრებთ იმიტომ, რომ შემქმნელები ცდილობენ მათ დამსგავსებას ნაცნობ სიტყვებთან. ასევე ზოგი სიტყვა იქმნება მეორის მიბადვით. ანალოგიას, საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვაწარმოების პროცესში. მაგ: blaxploitation. ეს შენაზარდი წარმოიშვა ორი სიტყვის - black და exploitation -ის შეერთებით. ეს არის მიბადვით 1942 წელს წარმოებული სიტყვის - sexploitation < sex + exploitation მიბადვით 1970-იან წლებში წარმოებული შენაზარდი სიტყვა. აგრეთვე babynap სიტყვიდან kidnap; Narcodollars - ანალოგია სიტყვიდან petrodollars; autochondriac წარმოიშვა hypochondriac-ის საფუძველზე; ამერიკელმა ფსიქონალიტიკოსმა რ. როზენმა სიტყვა sociobabble გამოიყენა თავისი წიგნის სათაურად 1975 წელს, რომელსაც საფუძველად დაუდო სიტყვა psychabble, რაც ნიშნავს ფსიქიატრიის, ფსიქოთერაპიის სფეროში გავრცელებული ჟარგონით არამიზანმიმართულ მეტყველებას.

ტელესკოპიზმი workaholicism მომდინარეობს workahol-ისაგან, რომელიც, თავის მხრივ, არის alcohol-ის პაროდირებული ფორმა, მაგრამ რა თქმა უნდა, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. Workaholic ნიშნავს არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით დაჯილდოვებულ პიროვნებას. Workaholic-ს უწოდებდნენ ამერიკელები თავიანთ ყოფილ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს. ამ ერთეულმა ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ელემენტი holi /aholic განაწევრდა და

ნახევრად აფიქსის სტატუსი მოიპოვა, მიიღო მონაწილეობა მთელი რიგი ახალ სიტყვათა წარმოქმნის შექმნაში. საყურადღებოა შემდეგი შენაზარდები: shopaholic, chocoholic, bookoholic, clothesaholic, creamaholic, milkaholic რომლებსაც ქართველი მოზარდებიც არც თუ იშვიათად იყენებენ. საინტერესოა, რომ ამ დერივატების უმრავლესობა რაიმე ტიპის საჭმლის ან სასმელისადმი გაძლიერებულ ინტერესზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე seajack და shipjacker - ორივე სიტყვა ანალოგიით შეიქმნა სიტყვისაგან hijack, როდესაც, 1985 წელს, ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე გემით მოიტაცეს. საერთოდ, ძალადობის ამ ტიპს ძირითადად ადგილი აქვს თვითმფრინავზე და ამიტომ ჯერ წარმოიშვა სიტყვა skyjack - 1961 წელს და შემდეგ კი seajack და shipjacker, ამ უკანასკნელის მიბაძვით.

არსებობენ ისეთი შენაზარდები, რომლებიც სხვადასხვა ენებიდან შემოვიდნენ. ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, babushkaphobia, რომელიც მივიღეთ რუსული სიტყვის (бабушка) მთლიანი ფორმის შერწყმით ლათინურ სიტყვასთან phobia, რამაც შედეგად მოგვცა ამ შენაზარდი სიტყვის წარმოება და ნიშნავს “ბებიობის შიშს”. ანალოგიურად შეიქმნა no mozging რუსული სიტყვისაგან мозг და უარყოფითი ნაწილაკისაგან no, რაც ნიშნავს “უტვინოს”. მსგავსად, იტალიურ სიტყვას tre დაემატა საწყისმარცვალმოკვეცილი სიტყვის magnum -ის ფორმა gnum და მივიღეთ tregnum. ეს ღვინის ბოთლია, რომელიც სამჯერ აღემატება სტანდარტული ღვინის ბოთლის მოცულობას.

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში, და საკმაოდ ხშირად არა მხოლოდ თინეიჯერები იყენებენ ქართულ-ინგლისურ შენაზარდს „წავლეთსგოვდეთ“ (წავlet's გოვდეთ), რომლის მნიშვნელობაც საკმაოდ ადვილად გასაგებია. მაგალითში ქართული სიტყვიდან - წავიდეთ ამოვარდა ასო ი, რომელსაც ბოლოში ჩაენაცვლა ასო ვ-ს, რომელსაც ორჯერ წარმოვთქვამთ. რაც შეეხება ინგლისური ენიდან გამოყენებულ ნიმუშს: let's go, გადმოქართულდა მთლიანი ფრაზა ყოველგვარი შემოკლების გარეშე.

საინტერესოა შენაზარდი s'n'f < shopping and fucking. ამ ტერმინს ხმარობენ მაღალი წრის ქალბატონების მიმართ. მსგავსია I&I < intercourse and intoxication; S&D < search and destroy; B&B < beavis and butt-head' T&A < tits and ass; S&S < swords and sorcery; S&J < sentence and judgement; R&R < rest and relaxation. ეს კორელატის

ადიტიური ტიპია, სადაც ორი სიტყვა ერთმანეთს 'and' კავშირის მეშვეობით უერთდება.

სპორტულ ტერმინოლოგიაში იხმარება: sportoons < sports + cartons. ძალზე ხშირად ვხვდებით სავაჭრო მარკის Adidas-ის სახეწოდებას, რომელიც ისე გაშინაურდა ჩვენს ტერმინოლოგიაში, რომ შესაძლოა, ვერც ვიფიქროთ, რომ ეს არის სპორტული ტანსაცმლის, ფეხსაცმელებისა და სუნამოების მწარმოებელი კომპანიის დამაარსებლის - Adi Dassler -ის სახელისა და გვარისაგან მიღებული შენაზარდი. Adidas -მა მიიღო სხვა, უფრო სპორტულ - იუმორისტული გაშიფვრაც: "All Day I Dream About Sport".

შენაზარდი სიტყვები საკმაოდ ხშირად გამოიყენება მასმედიაში, ასევე რეკლამების შექმნის დროს. ახალი და მოულოდნელი ფორმების გამო, ისინი იპყრობენ ყურადღებას და მსმენელსა თუ მკითხველზე განსაზღვრულ პრაგმატულ ეფექტს ახდენენ: მაგალითად: "...every single girl, every single day, has one hour of tennis, one hour in the pool, one hour of slimnastics".

ტელევიზიაში მომუშავე პირები აქტიურად იყენებენ შენაზარდს informercial < information + commercial. როგორც ვიცით, ეს თხუთმეტწუთიანი სატელევიზიო გადაცემაა საკაბელო ტელევიზიით, სადაც ინფორმაციისა და რეკლამის თანადროული გადაცემა ხდება. ამ ტიპისაა infotainment < information + entertainment, პოპულარული საინფორმაციო-გასართობი პროგრამა. ახალგაზრდების ტერმინოლოგიაში ხშირად ვხვდებით ისეთ შენაზარდებს, როგორებიცაა dancercise < dance + exercise; jazzercise < jazz + exercise; lesbigay < lesbian + gay; abusak < abuse + musak; fanac < fan activity; fanzine < fanatic's magazine; propas < professional parents (აღჯეო 1992; თურნერი 2003).

ჩვენთვის საკმაოდ მოულოდნელი და გასაკვირი იყო, როდესაც საკვლევი მასალაში შენაზარდ სიტყვებს შორის აღმოვაჩინეთ because, fortnight და goodbye, რადგანაც მათ ყოველდღიურ მეტყველებაში ისე ვიყენებთ, რომ არანაირი ეჭვიც არ გვქონია, რომ ეს სიტყვები შესაძლოა, რამდენიმე სიტყვის ჰიბრიდებია. მაგალითად, because < by + cause; მსგავსად fortnight < fourteen + nights; goodbye < God + be (with) + ye. საინტერესოა, რომ ინგლისურ ენაში მრავლად არის მსგავსი ტიპის სხვა შენაზარდი სიტყვაც, რომელიც ენის ლექსიკაში ისე მყარად დამკვიდრდა, ვერც წარმოვიდგენთ, რომ შესაძლოა ჰიბრიდული წარმოშობისაა.

ტელესკოპიზმები, როგორც ვხედავთ, არღვევენ მორფოლოგიის საზღვრებს და ორიგინალურ კომპონენტებად გვევლინებიან. მათ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძირითადად სასაუბრო ელფერი აქვთ. ისინი არც თუ ისე ხშირად გვხვდებიან სამეცნიერო ან ტექნიკურ ენაშიც, ახალი საგნების სახელწოდებების დასარქმევად ან რეკლამებში. შენაზარდების ნაწილს ენის ლექსიკონი ითვისებს და ენაში მკვიდრდება. ბევრი ერთეული უკველოდ ქრება, ამავე დროს, მართალია, ენის ცვლილების დროს ბევრი ტელესკოპიზმი კარგავს ფუნქციას, მაგრამ წარმოქმნიდან გარკვეული დროის მანძილზე ასეთი წარმონაქმნები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

2.5. სლენგი ჩვენს მეტყველებაში

წინამდებარე კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ სლენგის, კერძოდ ახალგაზრდული სლენგის არსებობა, ფუნქციონირება-გამოყენება განსაზღვრულ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ბევრი მეცნიერის აზრით, მაგალითად, ალენის (1998) აზრით, სლენგი ენის დამოუკიდებელი მოვლენაა და ის თანამედროვე ენათმეცნიერებაში აუცილებლად უნდა განიხილოს, როგორც ცალკე კატეგორია.

XX საუკუნის შუა წლებიდან სლენგი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი იყო. მის არსს სწავლობდნენ პარტრიჯი (1947), ფლექსნერი (1960), მოგვიანებით, სლენგის სტილისტური შეფერილობით ინტერესდებოდნენ კონილგო (1976), ჟურახოვსკაია (1981), მაზუროვა (1989), ანდერსონი და ტრუდგილი (1990), ვოლკოვა (1990), სტერნინი (1992), შეპანსკაია (1992), ებლე (1996), მუნრო (1997), ალენი (1998) და მრავალი სხვა. მიუხედავად კვლევების სიმრავლისა, სლენგი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ლინგვისტიკაში. საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის არსებობა, რომ არ არსებობს მისი ერთიანი ყველას მიერ მიღებული განმარტება.

საინტერესოა, რომ XX საუკუნის რუსული ენა, მისი ფუნქცია და „მომხმარებლის“ მიერ გამოყენება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ იყო სახელმწიფოს სათავეში. ა.მ. სელიშევი ამბობს: „სტალინისა და ბრეჟნევის დროინდელი ე.წ. „ენის ახალი ერთეულები“ მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იცვლებოდა ეპოქები, იცვლებოდა დისკურსები, დიგლოსია კი შენარჩუნდა, რადგანაც ენის ახალი ერთეულების ექსპანსია უკვე აშკარად შეიმჩნეოდა. გაიზარდა მათი მოხმარების სფეროც“. გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ შეცვალა არა თავად რუსული ენა, მან ასევე შეცვალა მისი გამოყენების, მოხმარების პირობებიც. ენის სხვადასხვა ფორმას შორის არსებული ზღვარი გაქრა. ეს ნათლად ჩანს თავად მ.ს. გორბაჩოვისა და ბ.ნ. ელცინის გამოსვლებშიც, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა სალიტერატურო ენის ელემენტები, უბრალო ენა, თვით სლენგიც კი და ხმარებიდან გამოსული სიტყვები თუ ტერმინები. იგივეს ამბობენ დეპუტატების მეტყველების, ტელევიზიისა და გაზეთის, საერთოდ, თანამედროვე პუბლიცისტური ენის შესახებ. გრამატიკული ენა მზა შაბლონებით გაჯერებულმა „ენის ახალმა ერთეულებმა“ შეცვალა, რამაც სიტყვების ფეთქებადსაშიში ნარევი შექმნა. შედეგი პარადოქსულია:

შეცდომების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, მაგრამ საბოლოოდ, საუბარი საინტერესო და უკეთესი გახდა.

ენის ახალი ერთეულებით მეტყველება მისაღები გახდა მთელს მსოფლიოში. ეს გარკვეულწილად MTV-ის, Eurosport-ისა და სხვა სატელევიზიო არხების წყალობით მოხდა, რომლებიც ინტერნეტთან (cyberspeak) ერთად ინფორმაციის გადაცემის ყველაზე სწრაფი და მისაწვდომი საშუალებაა დღევანდელ სამყაროში. გარდა ამისა, თითქმის ყველას შეუძლია სახალხოდ გამოსვლა, ზოგიერთი კი ვალდებულიც კი არის ხშირად მიმართოს მაყურებელს. დღესდღეობით პოლიტიკური პირები, მათი გამოსვლები, ფრაზები, მათი გაშარქება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ყველა გამომსვლელს მეტყველების თავისებური, ყველასაგან გამორჩეული სტილი და ტერმინოლოგია აქვს და რომელიმე იუმორისტულ გადაცემაში თუნდაც ერთი ფრაზა რომ ითქვას, მაყურებელი უმაღლეს ხვდება, თუ რომელი სახელმწიფო მოხელისა თუ მინისტრის პაროდიას ეკრანზე. საჯარო გამოსვლა პიროვნების იდენტიფიკაციას უსვამს ხაზს.

ასე რომ, უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ მეტყველებაში სოციალური სხვაობა გაცილებით მცირეა და ასევე „საყოველთაო უმეცრების“ შესახებ არსებული თეზისიც, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მართებული. უბრალოდ, ის უმეცრება, რომელიც საყოველთაოდ არსებობდა, საჯარო მეტყველების ნაწილად იქცა" (ბორისოვა-ლუკაშეპეცი 1982: 45).

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლების მხრიდან ხშირია ახალგაზრდობის მისამართით გამოთქმული პრეტენზიები, დარიგებები თუ მითითებები ენის „წაბილწვისგან" გადარჩენის მიზნით, უფროსი თაობის წარმომადგენლებისგანაც ხშირად ვისმენთ ენის ახალ, ზოგჯერ გაუმართლებელ ფორმებს. ახალგაზრდების საუბრისას შევხვდებით თანამედროვე ენის ისეთ თავისებურებებს, როგორებიცაა სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი, სოციოლექტი. მათი მეტყველება ყველანაირი გემოვნების ადამიანებისათვის არის განკუთვნილი. ენა უფრო „კრიმინალური" გახდა, ისევე, როგორც საერთოდ საზოგადოება. თავიდან ეს გარკვეულწილად მუსიკის, კერძოდ როკ-მუსიკის მომდევნო ეტაპის შედეგია: წარმოიშვა და განვითარება პოვა მუსიკის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულმა ჟანრებმა, როგორებიცაა: პოპ-მუსიკა, რეპი, მეტალი, გრანჟი, ტრეში, სოული და ა.შ. ყოველივე ამან ზეგავლენა მოახდინა ჩვენს მეტყველებაზე.

იმისათვის, რომ 80-90-იანი წლების, ასევე ახალი ათასწლეულის დასაწყისის ახალგაზრდული სლენგი მიმოვიხილოთ, შევისწავლეთ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი პრაქტიკული მასალა, რომლებიც მოიცავენ უზარმაზარი რაოდენობის სლენგს. ასევე, გამოვიკვლიეთ ამერიკელი სტუდენტების (ამერიკული უნივერსიტეტი, ინდიანას უნივერსიტეტი) მეტყველების თავისებურებები, სადაც სლენგის დიდი დოზით გამოყენება დაფიქსირდა.

ინგლისური ენიდან სიტყვების მოდინებამ ქართულსა და რუსულ, ასევე სხვა ევროპულ ენებში მკვეთრად იმატა, რისი სიმრავლევც განსაკუთრებით მეცნიერების ახალ სფეროებში, როგორცაა, მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერება, იგრძნობა, სადაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული საკუთარი ტერმინოლოგიისა და დასახელების სისტემა. ყველაზე მკაფიოდ ეს პროცესი ეკონომიკაში, კომპიუტერულ და გამოთვლით ტექნიკაშია დაფიქსირებული. თუ ენაში არ არსებობს ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის დასახელება, როგორც წესი, ახალი სიტყვა ენის ლექსიკური მარაგიდან უნდა შეიქმნას ან ენამ უნდა ისესხოს იგი. რა თქმა უნდა, მეორე ხერხი გაცილებით იოლია და ყველაზე ხშირად ენაში ახალი სიტყვის შემოტანის ამ საშუალებას მიმართავენ. მაგ: სიტყვა „პრინტერი“ უფრო ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე „საბეჭდი მოწყობილობა“. „ინვოისის“ წარმოთქმა უფრო ადვილია, ვიდრე „ანგარიშფაქტურისა“, ისევე, როგორც „ფანდრაიზერის“ და არა საკმაოდ გრძელი „ფონდების მადიებლის“. მსგავსად, სიტყვა მოდელმა გააძევა მანეკენი, სალონმა - საპარიკმახერო, ვიზაჟისტმა - პარიკმახერი, დედლაინმა - ბოლო ვადა, იმიჯმა - სახე, პრეზენტაციამ - წარდგენა, და ა.შ. განცხადება: „გვესაჭიროება სეილსმენეჯერი“ ზოგიერთებისთვის გამოცანაა, საქმეში ჩახედულები კი ხვდებიან, რომ საუბარია გამყიდველზე, ასევეა სიტყვა ბრენდ-მენეჯერი.

მსაგავსი ნახესხები სიტყვები მრავლადაა ყველა ენაში დიაქრონული თვალსაზრისით, მაგრამ ენის მატარებლები ამას თავად ვერ ხვდებიან. ენა მეტად სტაბილური სისტემაა და საკმაოდ ბევრი „უცხო სხეულის გადახარშვა“, შეთავსება და გათავისება შეუძლია. საერთოდ, როგორც წესი, საზოგადოების შეგნებაში ენის ესა თუ ის მდგომარეობა ექვემდებარება კრიტიკას, შეფასებას და თითქმის ყოველთვის - ცუდ შეფასებას. მსგავსი კრიტიკა გამოწვეულია ენაში ძალზე სწრაფად მიმდინარე ცვლილებებით, რაც ჩნდება ე.წ. თაობათა

ბრძოლის ფონზე. შემოვიდნენ ბროკერები, დილერები, მაკლერები, კილერები, ჯოკერები, ტრაილერები, მათ მოყვნენ ბიტნიკები, ჰიპები, როკერები, ნოსტალგისტები, შემდეგ მოვიდა X-თაობა და დაიწყო 60-70-იანელების „კბენა“. სლენგს, როგორც ვიცით, მეტად კრიტიკული, ირონიული დამოკიდებულება აქვს ყველაფერთან, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო მანქანასთან. აქ იგრძნობა მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური მომენტი - სლენგი თავისი წარმოშობის დროიდან უპირისპირდება არა მხოლოდ უფროს თაობას, უპირველეს ყოვლისა - ოფიციალურ სისტემას.

სლენგს აქვს მომავალი - ასევე წარსული! მას აქვს განვითარების კანონი, რომელიც ჩამოაყალიბებს ძველი დროის მოაზროვნებმა: „თქვენ გგონიათ, დრო მიდის? შეშლილებო! ეს თქვენ ჩაუარეთ მას!“ (ზემსკაია 1992).

ახალგაზრდული სლენგი მეტად საინტერესო ლინგვისტური ფენომენია, რომლის ყოფა და საერთოდ, არსებობა შეზღუდულია არა მხოლოდ განსაზღვრული ასაკობრივი ჩარჩოებით, როგორც ეს თავად მისი ნომინაციითაც ჩანს, არამედ სოციალური, დროისა და სივრცის ჩარჩოებითაც. როგორც ყველა სოციალური ნაირსახეობა, ის არის ლექსიკონი, რომელიც საერთოეროვნული ენით იკვებება, არსებობს მის ფონეტიკურ და გრამატიკულ ნიადაგზე.

სლენგის წარმოების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად ლინგვისტები მიიჩნევენ სხვა ენებიდან სიტყვების სესხებას. მაგრამ ეს ინგლისურის გარდა, ყველა ენასაც ეხება, რადგანაც ამ მხრივ, ინგლისური ენა უშრეტ წყაროს წარმოადგენს. მაგ. ინგლისურმა სიტყვამ chat - ჭორაობა, ქართულ სლენგში ფართო მოხმარება ჰპოვა, რაც შემდეგ მაგალითებში დაფიქსირდა: „ვიჩეთავე“, „ჩეთაობა“, „ჩეტში ვარ“. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სიტყვებისაგან country, girl, street, ring, speech და ა.შ. ხშირია სიტყვათა კალამბურული წყობა: „ჩაიკოვსკის უსმენ?“, რაც ნიშნავს: ჩაის დაღვე? როდესაც ჩვენ სლენგს ყოველდღიურ მეტყველებაში ვაწყდებით, ვნახავთ, რომ ეს ჟარგონი კი არა არის, ჟარგონიზირებული მეტყველებაა: სლენგს + ნეიტრალური ან ფამილარული ლექსიკა. ქართულ ყოველდღიურ მეტყველებაში ისე გაშინაურდა ბევრი სლენგი, რომ მეტყველების დროს ხშირად ვერც ვხვდებით, სალიტერატუროა თუ არა. მსგავსია:

დავასება;

დაპადიეზდება - რუსული სიტყვიდან < подьезд;

ბაზრობა;

რა პონტში;
 მარა < მაგრამ;
 მაქ, გაქ < მაქვს, გაქვს;
 მოიცა < მოიცადე;
 რავა ხარ < როგორ ხარ.

საინტერესოა ფედერალური მოსამართლის - ჯეკ უეინშტეინის მიერ 1984 წლის 11 ივლისს სასამართლო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, როდესაც მან აშშ-ს მთავრობას მოსთხოვა ყოველგვარ აზრს მოკლებული სიტყვების ამოღება სამედიცინო დაზღვევის ტერმინოლოგიიდან: "The language used is bureaucratic gobbledygook, jargon, double-talk, a form of officialese, federalese and insurancese, and doublespeak. It does not qualify as English". რა თქმა უნდა, უეინშტეინმა სიტყვების უაზრო გროვაში - gobbledygook იგულისხმა უკვე ბიუროკრატიაში, სამედიცინო სფეროში შეღწეული არაოფიციალური მეტყველებისათვის დამახასიათებელი შემოკლებული სიტყვები და სლენგი.

სლენგი, როგორც წინამდებარე კვლევაში არაერთხელ აღვნიშნეთ, ძალზე ფამილარულია პრესის ენისათვის. ყველა სტატია, რომელიც ახალგაზრდებს, მათ კუმირებს, ინტერესებს, დღესასწაულებსა თუ „ტუსოვეებს" ეხება, მოიცავს სლენგის მეტ-ნაკლებ კონცენტრაციას. მაგალითად: ტელევიზიის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი happy news, viable < workable, ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ჟურნალისტიკაში გავრცელებული შემოკლებები, როგორცაა J-school < Journalism school, cric < critic, MOS < man on the street ანუ ადამიანი, რომელსაც ჟურნალისტები გამოიჭერენ ხოლმე ქუჩაში ინტერვიუს ასაღებად, obit < obituary, roser < radio on-scene report, TK < to come – ეს ტერმინი ამ სფეროში ხშირად გამოიყენება იმ მასალის აღსანიშნავად, რომელიც ჯერ არ არის მზად და უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს, რათა შემდგომ მაყურებლებს, მსმენელებსა თუ მკითხველებს მიაწოდონ ახალი მასალის სახით. აქვე უნდა ითქვას, რომ ინდიანას უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევების დროს ბევრი მსგავსი საინტერესო მაგალითი მოვიძიეთ. მაგალითად, მეგობრობის აღსანიშნავად ამერიკელი სტუდენტები იყენებენ შემდეგი მიმართვის ფორმებს: Bro, brer, bredren, idren, bredgie, spa (მსგავსი მიმართვა დაფიქსირდა აფრო-ამერიკული წარმოშობის შავკანიანთა მეტყველებაში), babber, bezzie (ეს უკანასკნელნი გამოიყენება ძირითადად თეთრკანიანი სტუდენტების მიერ).

ინდიანას უნივერსიტეტში ყოფნის დროს შევეცადეთ, მოგვეძიებინა 20 ყველაზე აქტიური სიტყვა სტუდენტების მეტყველებაში, რაც მოცემულია ქვემოთ:

1. *tight* – awesome < ძაან მაგარი;
2. *chill/chill out* – relax < გაღლვობა, დასვენება;
3. *dawg* – friend < ძმაკაცი;
4. *homey* – buddy < ძმაკაცი, სასტავის წევრი;
5. *trip* – to be upset < გატეხილში ყოფნა;
6. *what's up* – hello < რავა ხარ?
7. *wack* – undesirable < არასასურველი;
8. *dude* – a person < ტიპი;
9. *hella* – extremely < ძაან;
10. *dope* – crack < მოსაწვეი;
11. *ghetto* – cheap < ღიშოკა;
12. *phat* – stylish < ძაან ფეშენი; ჩაზმანული;
13. *hot* - good-looking < თიში;
14. *sweet* – wonderful < მაგარი;
15. *bling-bling* - expensive < ძალიან ძვირი;
16. *bounce* – to leave < მოხევა; მოტყდომა;
17. *yo* – a greeting < მისალმების ფორმა;
18. *ride* – automobile < მანქანა;
19. *down* – willing < მზადყოფნა;
20. *sick* – very good < ძაან მაგარი.

გარდა ამისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ სლენგის სემანტიკური კლასიფიკაცია ჩამოგვეყალიბებინა იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით და ვარიაციებით გამოიყენებენ ინდიანას უნივერსიტეტის სტუდენტები ამა თუ იმ სფეროსათვის დამახასიათებელ ლექსიკას. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში:

1. Intoxication by drink or drugs (17.46%)	<i>hammered, languered, bladdered, rat-arsed</i>
2. Terms of approbation (15.23%)	<i>don, dope, det, safe, wick, fit, top, mint</i>
3. Romance, sex and related body parts (12.06%)	<i>on the sniff, out trouting, copping off, wabs, buns</i>
4. Insults and terms denoting misfits (11.42%)	<i>fliid, minger, moose, smurf, swamp-donkey</i>

5. Terms of disapproval/disappointment (8.25%)	<i>cheesy, grievous, pussy, rank</i>
6. Greetings, farewells and exclamations (5.07%)	<i>easy, seen, yo, later</i>
7. Social or ethnic categorisations (4.76%)	<i>Bud-bud, bachelorette, arm-candy, catalogue man</i>
8. Relaxation (4.44%)	<i>chillin', vegging (out), hanging, gazing</i>
9. Money (3.80%)	<i>trust, squids, lookah, brassic</i>
10. Negative or unsettling states (3.49%)	<i>gutted, weirding, married alive</i>
11. Anger or excited states (3.17%)	<i>fanny-fit, (chuck a) hissy, throw a bennie</i>
12. Food (2.53%)	<i>scran, cane, Chicken McButtock</i>
13. Clothes (2.22%)	<i>kegs, shreddies, Claire Rayners</i>

ზემოთმოცემული ცხრილი გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, რომ სასმელით ან ნარკოტიკული საშუალებებით ინტოქსიკაცია თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდების ყველაზე აქტუალური თემაა, რომელსაც სულ 5 %-ით ჩამორჩება გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკა. რაც შეეხება შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას, 11,42% დაფიქსირდა, რასაც მოსდევს ერთმანეთის გასნჯის, მისაღმებებისა და დამშვიდობების, სოციალური და ეთნიკური კატეგორიზაციების, დასვენების გამომხატველი თემატიკის მრავალფეროვნება. ფულთან დაკავშირებული სლენგი მეცხრე ადგილზეა 3,80%-ით, საკვებს და ტანისამოსს მხოლოდ 2% უჭირავს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს მონაცემები მოპოვებულია 2009 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში და ისეთივე სისწრაფით იცვლება, როგორც ახალგაზრდების მეტყველება.

სლენგის შესწავლისთვის გაზეთები ფასდაუდებელი წყაროა, რადგანაც ისინი ოპერატიულად ირეკლავენ და ასახავენ ენის დღევანდელ მდგომარეობას. გავრცელებული სლენგური ლექსიკა მათში ძალზე სწრაფად და მარტივად ხვდება და ჩვენც საშუალება გვძლევს ობიექტურად შევაფასოთ ისინი. სლენგი გამოიყენება პროზასა და პოეზიაშიც, რა თქმა უნდა, მცირე სიხშირით, მაგრამ საკმაოდ ეფექტური გამოყენება ჰპოვა მან თანამედროვე რეპერთა ლექსიკაში.

სხვადასხვა ენის სისტემის ფუნქციური სტილების შესწავლა და შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჟარგონი, სლენგი ან სოციოლექტი არ არის ენის სხეულზე ამოსული პარაზიტული გამონაზარდი, რომელიც „აშრობს, აბინძურებს და ვულგარულს ხდის" იმ ხალხის მეტყველებას, რომელიც მას

იყენებს. ლინგვისტური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა: ეს არის ლაბორატორია, სადაც ენისთვის დამახასიათებელი ყველა პროცესი იყრის თავს და მათზე თვალყურის დევნება ხელმისაწვდომია (ულუხანოვი 1992). ის ენას ვერასოდეს „გამოაშრობს, დაანაგვიანებს“ სანამ იგი არ გახდება ნორმა. მეორე მხრივ, იმიტომაც, რომ, რადგანაც ყველა სოციალური დიალექტი, ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით, არასოდეს არ არის კომუნიკაციის პირველი და ერთადერთი საშუალება, ახალგაზრდული სლენგი ერთ-ერთი ფუნქციონირებადი სტილია იმათთვის, ვინც მას იყენებს. სანამ ახალგაზრდული სლენგი მხოლოდ ახალგაზრდების მიერ ერთმანეთში, არაოფიციალურ გარემოში გამოიყენება, არანაირ დაბინძურებაზე არ შეიძლება ვისაუბროთ. სლენგის ენაში მთავარ როლს ასრულებენ სპეციალური სიტყვები და სიტყვათშეთანხმება-მარკერები. ეს სიტყვები უნივერსალური შეტყობინებებია, რომლებმაც შეცვალეს გრძელი წინადადებები, რომელთა წარმოთქმა გარკვეულ სიზარმაცესთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ისინი შეიცავენ დაფარულ, კოდირებულ აზრს, ინფორმაციას, რისი ხმამაღლა თქმაც არ არის სასურველი.

რით განსხვავდება ახალგაზრდული სლენგი სხვა ტიპის სლენგისაგან? პირველ ყოვლისა, ეს სიტყვები ერთი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანების სამეტყველო საშუალებაა. ახალგაზრდული სლენგის ლექსიკონი მოიცავს გაცილებით მეტ ახალ სიტყვას, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდულ მეტყველებაში გამოიყენება ბევრი პოპულარული სიტყვა და რაც უფრო პოპულარულია ის, მით უფრო მეტი სინონიმი აქვს ენაში, თან ძირითადად - სლენგური მნიშვნელობის მქონე. ერთი მოდური მოვლენა მეორეს ცვლის, ძველი სიტყვები დავიწყებას მიეცემა, სხვები მოდიან ენაში. ეს პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს. იცვლება მოდა, საზოგადოებრივი ტენდენცია, ბევრი სიტყვა უბრალოდ ბეზრდება ხალხს. ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც არ ბეზრდებათ, დროთა განმავლობაში ენის ლექსიკაში მკვიდრდება, მაგრამ არა როგორც სლენგი, არამედ როგორც ჩვეულებრივი სიტყვები. ასეთ დროს ეს სიტყვები უკვე კარგავენ თავიანთ ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს, რაშიც დიდ როლს ჟურნალ-გაზეთები თამაშობენ. ისინი ძალზე ხშირად იყენებენ სლენგს ჩვეულებრივი სიტყვების სინონიმებად, რადგან ერთდებიან ტაგტალოგიას, თან ქმნიან უფრო იუმორისტულ, ახალგაზრდულ ატმოსფეროს. ისევე, როგორც სხვა უარგონული სისტემები, სპეციალური ლექსიკა ხშირად აღწევს და შემდეგ მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. ტიპური ქართული სლენგის ნიმუშებია:

E-დუმალემა < იდუმალემა (დამახასიათებელია ძირითადად წერის დროს);
 ეგზობიტიონიზმი < საკუთარი კაი ბიჭობის წარმოჩენა (სიტყვიდან
 ეგზობიციონიზმი, რაც ნიშნავს სხეულის გაშიშვლების სურვილს);

პროფ ა ნაცია < ეროვნული პროფესიონალიზმი;

მამქანა > მამიკოს მიერ ნაყიდი ავტომობილი;

ალტორიტეტი < გარკვეული რარიტეტი პარიტეტულ პრინციპებზე.
 როგორც ვხედავთ, ინგლისური ლექსიკის გარეშეც წარმოუდგენლად „რთულია“
 საკუთარი ქართული სლენგის შექმნაც.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდულ სლენგს ყველა სხვა სლენგისაგან
 ადვილად გამოვარჩევთ მისთვის დამახასიათებელი შემდეგი კრიტერიუმებით:

1. რეალია, რომელიც გამოხატულია სიტყვით, მხოლოდ ახალგაზრდული
 სლენგისთვის არის დამახასიათებელი;
2. სლენგის მატარებლების მიერ სიტყვა მიღებულია, როგორც „თავისი“
 ანუ სპეციფიკურია მხოლოდ ახალგაზრდობისათვის;
3. სიტყვა არ არის ცნობილი „მაკონტროლებელი“ ინფორმატორებისათვის,
 რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან და
 არ მიაკუთვნებენ თავიანთ თავს ამ ასაკის კატეგორიას;
4. სიტყვას აქვს გამოყენების საკმაო სიხშირე მოცემულ სფეროში
 ადამიანთა სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით.
5. სიტყვამ ამ გარემოში მიიღო განსაკუთრებული სემანტიკური ან
 საკომუნიკაციო ელფერი.

სლენგი მრავალფუნქციურია; პირველ ყოვლისა, მას აქვს ირონიული,
 სატირიკული ელფერი - სიტყვაწარმოების საშუალების შესაბამისად, სიტყვა
 უკვე განკუთვნილია მხოლოდ სლენგისათვის (language@internet.com).

საინტერესოა, რატომ აქართულდებენ ან არუსულდებენ ჩვეულებრივ
 ინგლისურ სიტყვებს და აძლევენ მათ სლენგის იერს? ამას სლენგის
 მატარებელი შეგნებულად აკეთებს, ფლობს რა ინგლისურ ენას, არაადექვატურ
 კონტექსტში ჩასვამს გადმოქართულებულ ანგლიციზმს. ამას გარკვეული
 სტილისტური თუ ემოციური ელფერის გასაძლიერებლად მიმართავს. ეს კიდევ
 ერთხელ უხვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სლენგი მეტად იუმორისტული, სახალისო
 გამოგონებაა და ადამიანთა გაშარებებსა და გაქირდვას ემსახურება.

ჯონ ორუელის „1984“ რომ არ წაგვეკითხა, ვერ მივხვდებოდით, რომ ენის
 ახალი ერთეულებით (newspeak) ვსაუბრობდით. ვფიქრობდით, რომ ეს იყო დიადი

კლასიკოსების ენა და სლენგში ნორმალური, ადამიანური ენის ნაცვლად, შევიგძნობლით ჩვენივე საუბრის არანორმალურობას. აი, კიდევ ერთი ფაქტორი, რითაც ჩვენი თაობა განსხვავდება უფროსებისაგან: თუნდაც იმით, რომ ჩვენ სლენგის ენით ვსაუბრობთ!

ჩვენი კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ასევე მოგვეძია ის ბოლო დროს წარმოებული სიტყვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად, აქტიურად იყენებენ ინგლისური ენის მატარებლები და ბუნებრივია, ენაში არსებობენ სლენგის სტატუსით. 2008 წლის 19 აგვისტოს ინტერნეტ გვერდზე: <http://www.wordspy.com> გამოქვეყნდა ის 100 სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ინგლისურ მეტყველებაში. ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო გამოგვეკვლია, თუ როდის იყო წარმოებული თითოეული ეს სიტყვა, რომელიც მოყვანილია ქვემოთ ცხრილში:

№	სიტყვა	შეიქმნა
1	mullet strategy	April 25, 2008
2	swarm logic	December 11, 2001
3	recessionista	July 23, 2008
4	google	April 12, 2001
5	phishing	August 1, 2003
6	brickor mortis	September 10, 2008
7	transliteration	September 9, 2008
8	time porn	August 5, 2002
9	drink the Kool-Aid	October 27, 1998
10	CXO	July 29, 2002
11	retrosexual	October 6, 2004
12	metrosexual	September 4, 2002
13	Google bombing	May 21, 2002
14	crackberry	May 31, 2004
15	social notworking	August 15, 2008
16	burqini	August 26, 2008
17	pedestrian scramble	August 28, 2008

18	type T personality	April 3, 2003
19	Generation Y	November 3, 1999
20	wardrobe malfunction	February 6, 2004
21	murketing	August 13, 2008
22	breeder voyeur	February 15, 1999
23	lifestreaming	November 6, 2007
24	complete street	August 12, 2008
25	Fogust	August 27, 2008
26	earworm	March 12, 2003
27	jump the shark	May 22, 2003
28	Wal-Mart effect	December 12, 2003
29	Colbert bump	August 21, 2008
30	Sabbath mode	October 5, 2001
31	low-hanging fruit	October 19, 1996
32	climate porn	March 2, 2007
33	rightsizing	January 6, 1996
34	makeunder	September 13, 2002
35	cankle	February 23, 2005
36	flash mob	July 14, 2003
37	megashed	August 14, 2008
38	ninja loan	September 8, 2007
39	heteroflexible	February 11, 2004
40	bluejacking	November 21, 2003
41	bobo	October 30, 2001
42	social networking fatigue	February 16, 2007
43	candy bar phone	February 8, 2006
44	spotlight effect	January 23, 2003
45	vajayjay	January 26, 2007
46	NIMBY	January 23, 1997
47	bandit sign	April 9, 2002

48	naked street	May 29, 2008
49	DWT	July 24, 2008
50	Stendhal's syndrome	April 1, 2003
51	bot herder	October 25, 2006
52	upgradation	December 20, 2000
53	bridezilla	September 20, 2002
54	post-gay	June 23, 1998
55	social networking	January 12, 2004
56	defriend	July 25, 2008
57	lipstick lesbian	January 12, 2005
58	kindergarchy	July 18, 2008
59	buzzword bingo	June 11, 1998
60	lipstick effect	June 10, 2002
61	camgirl	October 23, 2002
62	emo	June 25, 2002
63	helicopter parent	November 5, 2003
64	wife acceptance factor	February 24, 2003
65	sock puppet	September 25, 2006
66	steampunk	July 12, 2002
67	Frankenfood	May 5, 1996
68	pro-ana	April 3, 2006
69	logophilia	January 2, 1996
70	pluot	April 21, 2004
71	yottabyte	April 29, 1997
72	BHAG	June 20, 2003
73	Generation D	January 17, 2001
74	hedgehog concept	October 3, 2002
75	same-sex person	April 11, 2005
76	war driving	May 9, 2001
77	joy-to-stuff ratio	August 13, 2002

78	Lake Wobegon effect	August 15, 2003
79	hillbilly heroin	July 18, 2002
80	go commando	April 9, 2001
81	blog	November 17, 2003
82	male answer syndrome	July 10, 1998
83	secret shopper	May 7, 2002
84	Baracknophobia	July 9, 2008
85	greengrocers' apostrophe	August 7, 2000
86	McMansion	August 17, 2001
87	transumer	July 22, 2008
88	beanpole family	May 23, 2002
89	pareidolia	March 2, 2004
90	war chalking	July 14, 2002
91	megadiversity	April 18, 2006
92	RINO	April 14, 2004
93	smell test	November 2, 1996
94	precycling	July 16, 2008
95	next-war-itis	July 21, 2008
96	soccer mom	January 16, 1999
97	couch-hopping	July 28, 2000
98	information foraging	December 19, 2002
99	ghost sign	October 27, 1999
100	Obamacon	July 8, 2008

ზემოთმოყვანილ ინტერნეტ გვერდზე ყოველწლიურად იბეჭდება მსგავსი სტატისტიკური მონაცემები და აღსანიშნავია, ბევრი მათგანი წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენეთ და განვიხილეთ კიდევაც. ამ მხრივ საინტერესოა ასევე ჯონ ალჯეოს სტატია: “Fifty Years Among the new words” (ალჯეო 1992: 2); ჯონ ეიტოს “20-th Century Words”, ჩვენ დავინტერესდით ინტერნეტში გამოქვეყნებული ერთი წიგნით: “Word Spy: The Word Lover’s Guide to Modern Culture” (მაკვერდისი 2003), რომლის წინასიტყვაობაშიც ავტორმა აღნიშნა: “This book is a series of cultural

snapshots, with the lens focused on new words and phrases that tell us something about our world. These snapshots cover various slices of modern life, including relationships, business, technology, war, aging, multiculturalism, and even fast food”. ჩვენთვის ამ წიგნის განხილვა საკმაოდ საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ პოლ მაკფერდისი მიმოიხილავს ყველა ახალ სიტყვას თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რომელიც მეტად აქტუალურია დღევანდელ ზეპირ და წერით მეტყველებაში, თუმცა მოცემული სიტყვების უმეტესობას სლენგის ელფერი აქვს.

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ საკმაოდ საინტერესო გამოკვლევას, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს ამერიკული დიალექტის საზოგადოება (American Dialect Society). ზემოთხსენებული საზოგადოება ირჩევს სხვადასხვა კატეგორიის სიტყვათა ჯგუფს, რომელსაც მოცემული წლის ყველაზე წარმომადგენლობითად მიიჩნევენ. ამგვარად, ყოველწლიურად ცნობილი ხდება ესა თუ ის სიტყვა, რომელმაც რაიმე ნომინაციაში გაიმარჯვა. საინტერესოა, რომელი სიტყვები მოხვდნენ ამ საზოგადოების მიერ 2008 წელს ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულთა სიაში:

- ყველაზე საჭირო: Google (საძებნი სერვერი ინტერნეტში);
- ყველაზე ევფემური: daisy cutter (ესაა ბომბი, რომელიც აშშ-მ გამოიყენა ავღანეთში);
- ყველაზე გამოყენებადი: ამ ნომინაციაში ორი სიტყვა მოხვდა facial profiling (ტერორისტებისა და კრიმინალების გამოსააშკარავებლად გაკეთებული ჩანაწერი, სადაც უამრავი ხალხია), second-hand speech (მობილური ტელეფონით საუბრის აღსანიშნავად გამოგონილი);
- ყველაზე შეურაცხყოფელი: assoline < methane used as a fuel
- ყველაზე შემოქმედებითი: shuicide bomber (ტერორისტი, რომელსაც ბომბი ფეხსაცმელში აქვს);
- ყველაზე უსარგებლო: impeachment nostalgia (ნოსტალგია კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდზე);
- ყველაზე წარუმატებელი: samaniac (ქალი, რომელიც სავარაუდოდ ოსამა ბინ ლადენს მოეწონება);

- ყველაზე შთამაგონებელი: let's roll! (ტოდ ბიმერის სიტყვები, რომელმაც 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის დროს თვითმფრინავში მგზავრების მობილიზაცია სცადა).

გარდა ამისა, საზოგადოება ირჩევს სიტყვებს, რომლებიც უნდა განიდევნოს ენიდან. 2002 წლის იანვარში, სან ფრანცისკოში გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაზე საზოგადოებამ გადაწყვიტა, ასეთად დაესახელებინა 911 ანუ nine-eleven, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბევრი ადამიანისათვის მიუღებლად იქნა მიჩნეული გასაგები მიზეზების გამო.

ამ თავის ბოლოს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე ინგლისურ ენაში საკმაოდ დიდი რაოდენობის ახალი შემოკლებული სიტყვის წარმოება განხორციელდა და ბუნებრივია, შეუძლებელია ყოველი მათგანის დათვლა. ჩვენს მიერ გაანალიზებული ლექსიკონების საშუალებით შევეცდებით, დავადგინოთ შემოკლების სხვადასხვა ტიპის რაოდენობა იმის გასარკვევად, თუ რა პროცენტული მაჩვენებელი აქვს შემოკლებულ სიტყვებს სხვა სიტყვამაწარმოებელ საშუალებებთან შედარებით. მაგალითად: Paul Dickson-ის 1999 წელს გამოცემულ ლექსიკონში “The Authoritative Topic-by-Topic Dictionary of American Lingoes from All Walks of Life”, სადაც მიმოხილული იყო ხმარების 28 სფერო, მოვიძიეთ 618 შემოკლებული ერთეული, რომელთაგან აბრევიატურების საერთო რაოდენობამ შეადგინა 32%, აკრონიმებმა – 30%, მოკვეცილმა სიტყვებმა – 20%, და შენაზარდებმა - სულ 18%.

1986 წელს გამოქვეყნებული Longman - “Dictionary of New Words”-ის მონაცემებით, თუ შემოკლებულ ერთეულებს პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით დავითვლით, ყველაზე დიდი რაოდენობა - 33% იყო აბრევიატურები, შემდეგ შენაზარდი სიტყვები - 28%, აკრონიმები - 22% და ბოლოს, მოკვეცილი სიტყვები - 17%.

Richard A. Spears - NTC's Dictionary of American Slang and Colloquial Expressions, რომელიც გამოიცა 2001 წელს, მოვიძიეთ 129 შემოკლებული ერთეული, რომელთაგან 30% აბრევიატურა, 27% შენაზარდი, 24% მოკვეცილი სიტყვა, 19% აკრონიმი იყო დაფიქსირებული.

საინტერესოა, რომ ყველა ზემოთხამოთვლილმა მასალამ საკმაოდ განსხვავებული და მრავალფეროვანი შედეგი აჩვენა, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველწლიურად ლექსიკონებში რეგისტრირდება და ასევე ენაში შედის, ასობით

ახალი წარმონაქმნი, შემოკლებული სიტყვა თუ ფრაზა, რაც უდაოდ მეტყველებს
ენის განვითარებაზე.

თავი III

3.1. შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების გამოყენების სფეროები

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია გამოყენოს სფეროები, რომლებშიც ფეხი აქვს მოკიდებული შემოკლების ოთხივე განხილულ ტიპს (აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა). ესენია სატელეგრაფო, სამხედრო, პოლიტიკური, კომპიუტერული და ინტერნეტის, საგაზეთო, მედიის, ბიზნესის, მედიცინასა და მეცნიერების სხვა სფეროებში აქტიურად გამოყენებადი შემოკლებული სიტყვები და ერთეულები. უნდა აღინიშნოს, რომ შემოკლებების გამოყენების სფერო ადრე მკვეთრად იყო განსაზღვრული, რაც მათ შემადგენლობაში შემავალი ერთეულების მნიშვნელობით იყო განპირობებული, თუმცა კვლევის თანამედროვე ეტაპზე რთული ამის მტკიცება, რადგანაც გარკვეული სიტყვები, ისევე, როგორც შემოკლებული სიტყვები და ერთეულები აქტიურად და თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ თანამედროვე კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროში. ნაშრომში, ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითების მხოლოდ ნაწილით შემოვიფარგლებით. საინტერესოა, რომ ე.წ. „სიტყვისმჭედლები“ დღითიდღე ხვეწენ სიტყვების შექმნის ტექნიკას, რაც განაპირობებს სამეტყველო ლექსიკაში საკმაოდ დიდი რაოდენობის სიტყვების მოდინებას. განვიხილოთ თითოეული სფერო ცალ-ცალკე.

3.1.1. სატელეგრაფო შემოკლება

პროფესორი ა.პ. ბარანნიკოვი (1919) ამტკიცებდა, რომ საფოსტო-სატელეგრაფო მიზნებისათვის შექმნილი შემოკლებების გამოყენება მომდინარეობს საიდუმლო ორგანიზაციებიდან, საიდუმლო საზოგადოებებიდან. ფოსტის მუშაკებს ჰქონდათ სპეციალური შემოკლებული მისამართების სია, რაც სრულიად გასაიდუმლოებული იყო. რევოლუციის შემდეგ რუსეთში საყოველთაოდ ითქვა უარი ყოველგვარ საიდუმლოზე- “долю все тайны” და შემოკლებული მისამართების გამოყენება ფართო მასებისთვისაც გახდა შესაძლებელი. სატელეგრაფო შემოკლებები დღესაც ფართოდ გამოიყენება (ალექსეევი 1962: 88).

სატელეგრაფო შემოკლებების მეორე ტიპია ფირმების, ფიზიკური და იურიდიული პირების პირობითი მისამართები, რომლებსაც რაიმე პროდუქციის რეკლამისთვის აქვეყნებენ და რა თქმა უნდა, არ არის გასაიდუმლოებული.

ა.მ. სუხოტინას პოზიცია, ამ მხრივ, მართებულად მიგვაჩნია: “აბრევიაციამ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მყარად მოიკიდა ფეხი, რადგანაც ფართოდ გამოიყენებოდა სატელეგრაფო კავშირები და ამასთანავე, ვითარდებოდა კაპიტალისტური მეწარმეობა. ფირმების სახელწოდებები ბევრ სიტყვას შეიცავდა, საჭირო იყო მათი შემოკლება ისე, რომ საქმიანობის სფეროს მისადაგებოდა და ამავე დროს, არ გაემეორებინა სხვა საწარმოს სახელი. შემოკლებული სიტყვები იკითხებოდა ისევე, როგორც ეწერა, ზოგჯერ სრული სახელწოდება საერთოდ იდევნებოდა კიდევ. მაგალითად, გერმანიაში სატელეგრაფო შემოკლებები რეკლამებზე 1890- იან წლებში ჩნდება: AEG; Hapag, Agfa. 1900 -იანი წლებიდან უკვე აუცილებელი იყო საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელი ლოგოების დასმა საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ტელეგრაფებზე. მაგ: JSC-Prod < Joint Stock Company - Products; Ex Co < Exchange Corporation; JSC GB + Russia < Joint Stock Company great Britain and Russia.

3.1.2. სამხედრო, პოლიტიკური და კარტოგრაფიული შემოკლებები

სამხედრო შემოკლებები გათვალისწინებულია ფუნქციონირების ფართო სპექტრისთვის და ხშირად გამოიყენება სამხედრო დოკუმენტებში, CD < civil defence, GAP < gun aiming point; HQ < headquarters; ბრძანებებსა QF < quick firing, VTOL < vertical take off and landing თუ დირექტივებში ops < operation, CPX < command post exercise; კონტექსტებში int < intelligence, gr < group, coy < company. ეს ძირითადად კოდური შემოკლებებია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. აქ ყოველი ასო აწონილ-დაწონილია და იშიფრება. მაგალითად: AAFC < anti-aircraft fire control equipment; bn < battalion; NBC < nuclear, biological and chemical; ILS < instrument landing system; AF < air-force და ა.შ. სამხედრო შემოკლებებში ხშირად ვხვდებით ასევე უმაღლესი წოდებებისა მქონე და თანამდებობის პირთა სახელების შემოკლებას, ასევე საომარი შენაერთების შემოკლებულ დასახელებებს.

პოლიტიკური შემოკლებები - ესაა საერთაშორისო ორგანიზაციების - UN < United Nations, პოლიტიკური და ოპოზიციური პარტიების - NDP < National-Democratic Party, მათი ქმედებების - NOFUN < no first use of nuclear, შინაგანი უჯრედებისა UNDP < United Nations Development Program და ა.შ. შემოკლებები. თავდაპირველად ისინი გრაფიკული (ინიციალური) შემოკლებებისაგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ მათ, ისევე, როგორც სხვა სფეროების აბრევიატურებს, შეეხოთ ლექსიკალიზაცია. მაგ: MAD < Mutual Assured Destruction, NUTS < Nuclear utilization targeting strategy, RFQ < request for quotation. საინტერესოა ის აბრევიატურებები და საერთოდ, შემოკლებები, რომლებიც გამოიყენება პენტაგონში: DOE < death on earth, akronimi go-go < gov(ernmen)t owned, gov(ernmen)t operated, ტელესკოპიზმები milicrat < military + bureaucrat, secdef < secretary of defence და მრავალი სხვა.

ამერიკის ფედერალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე ერთი საინტერესო ქვე-გვერდია სახელწოდებით PACronyms (<http://www.fec.gov/pubrec/pacronyms/pacronyms.shtml>), სადაც ფედერალური პოლიტიკური საქმიანობის კომიტეტების (PACs < Political Action Committees) შესახებ აბრევიატურების, ინიციალების, აკრონიმებისა და შემოკლებული სახელების ანბანური სია არის მოცემული. ამ ვებ-გვერდზე

მონაცემების განახლება სორციელდება ყოველი წლის იანვარში და შესაბამისად, ნაშრომში წარმოვადგინეთ 2008 წლის იანვრის გამოცემაში შესული შემოკლებების რამდენიმე მაგალითი: ABBA < Americans for a Balanced Budget Amendment; LOPAC < Lorillard Tobacco Company Public Affairs Committee; MCA-PAC < Mechanical Contractors Association of America PAC; MNPL < Machinists Non-Partisan Political League (International Association of Machinists and Aerospace Workers; <http://www.dia.mil/publicaffairs/Foia/abbrevacron.pdf>).

საინტერესოა, რომ თავად სიტყვა PACronym წარმოადგენს შენაზარდ სიტყვას (PAC + acronym), რაც მისით დაინტერესებას უფრო აძლიერებს.

პოლიტიკურ შემოკლებებს, კერძოდ, შენაზარდებს შორის საკმაოდ პოპულარულია stagflation < stagnation + inflation, slumpflation < slump + inflation. დიდ ბრიტანეთში საფუძველი ჩაეყარა იუმორისტულ beerage-ს, რომელიც აღნიშნავს კეთილშობლ პერებს, რომლებიც ასევე ლუდისმოყვარულებიც გახლავთ და მომდინარეობს სიტყვების beer და peerage-ს შეზრდით.

ინფორმაციის გადაცემის კარტოგრაფიული მეთოდი ერთ-ერთი უძველესია. პირველადი კარტები სქემატურ ნიშნებს წარმოადგენენ. პიქტოგრაფია არის კარტოგრაფიული სიმბოლოების მთავარი თავისებურება და დამახასიათებელი ნიშანი ძველი დროიდან დღემდე. კარტოგრაფიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო გასაგებია მისი ნიშანი, მით უფრო მარტივია რუკის წაკითხვა. საინტერესოა, რომ აბრევიატურული ნიშნების შემქმნელებმა რუკაზე გამეორების თავიდან აცილების მიზნით, დიფერენციაციისათვის შეიმუშავეს სხვადასხვა ნიშნები თუ რიცხვები. ამ სფეროში არსებობს განსაკუთრებული ტერმინოლოგია. მაგ: M არის მარგანეცის მოპოვების ადგილი; 4A ნიშნავს მეოთხე არმიას (სამხედრო სქემაზე) (ალექსეევი 1962: 93). იმ შემთხვევაში, თუ რუკებზე ადგილი არის, სახელწოდებები სრულად იწერება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკლდება. მაგ: P - Poland, NY - New York და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეს შემოკლებები ყველა ენაზე ინდივიდუალურია.

ამ მხრივ, საკმაოდ ვრცელი მასალა მოვიძიეთ ვაშინგტონის “Joint Military Intelligence College”- ის მიერ სპეციალურად შექმნილი აბრევიატურებისა და აკრონიმების განმარტებით ლექსიკონში თავდაცვისა და

დაზვერვის სფეროში (Defense and Intelligence Abbreviations and Acronyms, 1997), სადაც მსგავსი შემოკლებების გარდა დაინტერესდით გეოპოლიტიკური ადგილების კოდირებული დასახელებით და მათი გაშიფვრით, როგორებიცაა, მაგალითად: BE < Belgium; AB < Abkhazia; EG < Egypt; NZ < New Zealand; SW < Sweden; JO < Jordan; KU < Kuwait; KZ < Kazakhstan. ზემოთხამოთვლილი შემოკლებების წაკითხვისთანავე ადვილად ამოსაცნობია, თუ რომელი ქვეყნის დასახელებას შეიძლება აღნიშნავდეს ესა თუ ის აკრო-აბრევიატურა. თუმცა, როგორც შემდეგი მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, ეს არც ისე ადვილია. ზოგიერთი მსგავსი შემოკლება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, რადგან როდესაც წავიკითხავთ კოდურ აბრევიატურას A4 –ვერც წარმოვიდგენთ, თუ ის შეიძლება ნიშნავდეს არაბეთის ნახევარკუნძულს < Arabian Peninsula, ან A5 < South Asia; 1M < Gulf of Mexico; 1X < Caribbean Sea; 3J < Sea of Japan; 3Q < Sea of Okhotsk; 3U < South China Sea; 3Y < Yellow Sea; 4A < Pacific Ocean, South. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ყველა კოდური ტიპის აბრევიატურა, რომელსაც ახლავს ციფრი 3, აღნიშნავს ზღვას, 4 – ოკეანეს და ა.შ. მაგრამ თუ გაგვიჩნდება სურვილი, მოვძებნოთ ანტიგუა და ბარბუდა, უნდა ვეძებოთ არა AB, არამედ AC < Antigua and Barbuda, მსგავსად BF < Bahamas; BO < Belarus; BP < Solomon Islands; BQ < Navassa Island; CQ < Northern Mariana Islands; CS < Costa Rica; HQ < Howland Island; HR < Croatia; ZL < Caroline Islands; ZZ < Canary Islands. (<http://www.dfas.mil/library/acronyms.htm>)

3.1.3. კომპიუტერული შემოკლებები

კომპიუტერული მეცნიერებების განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე შემოიჭრა ისეთი ვირტუალური გასართობები, როგორებიცაა სასაუბრო-საღაებო პროგრამები: ICQ < I Seek You, Skype, OOVVO, Messenger, კომპიუტერული თამაშები, ასევე, ელექტრონული ფოსტა და ა.შ. საზოგადოებაში კომპიუტერომანია იმდენად ტენდენციურია, რომ, ალბათ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების პირობებში სხვა რომელიმე გამოგონებამ დაიკაოს მისი ადგილი. ამ ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს სხვადასხვა სპეციალური ტერმინოლოგიისა და წესის ცოდნას. ინტერნეტის ძირითადი საკომუნიკაციო საშუალებები ტექსტურია და გვიჩვენებს უფრო სამეტყველო ენის სპონტანურობასა და არაფორმალურობას, ვიდრე წერითი მეტყველებისას. წარმოიშვა და აღმოცენდა ბევრი ახალი ტექსტური ფორმა, რომელმაც დაიპყრო პოტენციური ელექტრონული მედია და ასახა ახალი სოციალური ურთიერთობები, რომლებსაც ხშირად იყენებენ ინტერნეტის “საზოგადოების წევრები”. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახალი სიტყვების წარმოების რაოდენობრივი თვალსაზრისით, ყველაზე პროდუქტიული სწორედ კომპიუტერული სფეროა. ისევე, როგორც ნებისმიერ პროფესიულ ენაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიაშიც არსებობს ამა თუ იმ ცნების არაოფიციალური დასახელება, მაგ: boot ნიშნავს to start, blue-speak არის person, who works for IBM (დიქსონი 1999: 92-97), და ა.შ. ასევეა პროგრამისტთა და კომპიუტერული ტექნიკის მუშაკების ვიწრო ლექსიკა, საიდანაც ახალმა ტერმინებმა საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკაში გადაინაცვლა. ეს განაპირობა კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობის მუდმივმა ზრდამ.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გამოგვეკვლია და გაგვერკვია, თუ ვინ იყენებს მათ, რომელი პროფესიის, ასაკის, სოციალური ფენის ადამიანის ლექსიკურ მარაგშია მსგავსი შემოკლებები. ეს სიტყვები, პირველ რიგში, აერთიანებს ერთი პროფესიის ადამიანებს, პროგრამისტებს, ან სულაც მათ, ვინც სხვადასხვა მიზნებისათვის სარგებლობს კომპიუტერით. მაგ: Chat-ის (IRC < Internet Related Chat) ვირტუალური პროგრამა განკუთვნილია სასაუბროდ, საღაებოდ, საჭორაოდ და აქ შეგვიძლია რეალური დროის რეჟიმში ვესაუბროთ ნაცნობებსა და უცნობებს. აქ იმართება დიალოგები, ძირითადად, ბლიც კითხვა-პასუხები ერთმანეთის უკეთ ან საერთოდ, გაცნობის მიზნით, ამიტომ, უფრო

მოსახერხებელია გრძელი ტერმინების შემოკლებული ან სულაც, აბრევიატურული დაწერა. მაგ: როდესაც ხაზზე მყოფთაგან რომელიმე მომხმარებელს, ე.წ. user -ს ვუკავშირდებით, პირველი შეკითხვა თითქმის ყოველთვის ერთნაირია: A/S/L/, რაც ნიშნავს Age, Sex, Location (ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა); ან ასევე აბრევიატურა AFB იშიფრება, როგორც Away From Brain (ტვინისგან შორს), (აქ კომპიუტერი იგულისხმება); AYCOOYM გულისხმობს Are You Completely Out of Your Mind? (მთლად შეიშალე?). (<http://soft.softoogle.com/ap/icq-build-download-299.shtml>). ეს უკანასკნელი მთლიანი წინადადების ინიციალური შემოკლებაა. სადაც და სათამაშო პროგრამების ძირითადი მომხმარებლები თინეიჯერები არიან, რასაც ვერ ვიტყვით ელექტრონულ ფოსტაზე (ამ საშუალებით მზა წერილი რამდენიმე წამში ადრესატის ელ. მისამართზეა). ამ კომპონენტით ყველა პროფესიის ადამიანი სარგებლობს და არანაირი ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს.

კომპიუტერული შემოკლებული დასახელებები მხოლოდ ამ სფეროს მიეკუთვნება, რაც მას სხვა სფეროში არსებული სიტყვებისგან განასხვავებს. კომპიუტერით, კერძოდ, ინტერნეტით მომხმარებელთა საუბარი თუ წერის სტილი გარეშეთათვის გაუგებარია, ერთმანეთისა კი ისე ადვილად ესმით, რომ ხშირ შემთხვევაში კომუნიკაციის აბრო-აკრონიმული საშუალებაც საკმარისია. შეუძლებელია, გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა გაიგოს შემდეგი აბრევიატურები. მაგალითად, როდესაც ისინი კომპიუტერთან არ სხედან, ამბობენ: AFC < Away From Computer ან AIS < As I Said; AMIGA < A Merely Insignificant Game Addiction; BFFL < Best Friends for Life; BKAM < Between Keyboard and Monitor (Newsweek, March 9, 1992:23) და ა.შ. ასეთი სპეციალური ენის ფლობით პროგრამისტები, “მოჩეთავე-ჭორიკნები” და მომხმარებლები თავს ე.წ. ჩაკეტილი საზოგადოების წევრებად თვლიან.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში ხშირად ვხვდებით დიდ ან რთულად გამოსათქმელ ტერმინთა ტრანსფორმაციას. ეს როგორც ვიცით, არის აკრონომია, აბრევიაცია, უნივერსალიზაცია. მაგ: SATAN < Security Administrator Tool for Analyzing Network; CML < Computer Meaning of Life; Gig < Gigabyte; MAZ < Multiply Answer by Zero; WUSIWYAG < What You See Is What You Almost Get.

აღსანიშნავია, რომ ოპერაციული სისტემა MS-DOS, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა სხვადასხვა ქვეყნის პერსონალური კომპიუტერების უმრავლესობაში, ფაილებსა და კატალოგებზე მხოლოდ რვა სიმბოლოანი

სათაურის დარქმევის შესაძლებლობას იძლევა. ამან განაპირობა სხვა პროგრამებისა თუ თამაშების დასახელებების შემოკლებული და აბრევიატურული გამოყენება. მაგ: NU < Norton Untitles; KPT < Kai's Power Tools; Exe < Execution file; 3DS < Three-Dimensional Studio. ასევეა MODEM < Modulator + Demodulator, მოწყობილობა, რომელიც კომპიუტერებს შორის მონაცემების გადაცემის საშუალებას იძლევა სატელეფონო ქსელებით. BASIC < Beginners' All Purpose Symbolic Instruction Code, არის ყველაზე პოპულარული პროგრამული ენა მიკროკომპიუტერებისათვის.

საინტერესოა STING < Star Treck: The Next Generation -ვარსკვლავთა ლაშქრობა შემდეგი თაობა; VERONICA < Very Easy Rodent-Oriental Net Wide Index to Computerized Archives; Doc < Drive Operator Crasy; SOS < Sign Off, Stupid (სპირსი 2001), რომელიც ასევე სასწრაფო დახმარების აღმოჩენის აღსანიშნავად გამოიყენება (Save Our Souls), CRASH < Continue Running After Stop or Halt, რომელიც მუშაობის განუწყვეტლად განაგრძობს, მიუხედავად მისი, თითქმის საპირისპირო დასახელებისა. ამ მაგალითებში ჩანს მცდელობა, ახალ ტერმინებს მიუსადაგონ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვები, რათა ადვილი გახდეს მათი დამახსოვრება. მსგავსი აკრო-აბრევიატურები იმითაც არის საინტერესო, რომ ისინი არა მარტო დროისა და სივრცის ეკონომიას აკეთებენ, არამედ შესიტყვებაში ჩადებულ მთელ ემოციასაც გამოხატავენ.

თუ მონაცემები დაძველდა ან წერილის წაშლა გვინდა, ვიყენებთ Gubbish-ს < Garbage + Rubbish ან თუ წერილი დამალულია – Hymns < Hidden Message. ასეთი წარმონაქმნები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ვინაიდან კომპიუტერის ენა ინგლისურია, არც არის გასაკვირი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენის ლექსიკა მდიდარია ინგლისურენოვანი სიტყვებით. სხვადასხვა ენაში, უპირველეს ყოვლისა, ხდება მათი პროტოტიპისა თუ სინონიმის მოძიება, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხერხდება. ორიგინალური ტერმინებისა თუ ცნებების შემუშავების მაგივრად, ინგლისურენოვანი სიტყვები პირდაპირ შედის სხვადასხვა ენის ლექსიკაში და რა თქმა უნდა, ხანგრძლივი დროით მკვიდრდება. მაგალითად, რუსულ ენაშიც ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ახალი რეალიების, დასახელებების შექმნის მცდელობა. საინტერესოა, რომ რუსულში ინგლისურიდან თარგმნის დროს ბევრი ტერმინი მოკლდება. მაგ: Bulletin Board System ითარგმნა,

როგორც *бизнеска*, Norton Utilities - *нушка*; ამას უფრო ახალგაზრდების მეტყველებაში ვხვდებით. ასევე *компы бывают двух видов бимы и маки*, რაც გულისხმობს IBM-სა და Macintosh -ს. მაგ: ინგლისური აბრევიატურა XP < Expensive Experience/ Extra Perfect რუსულ ენაში ითარგმნება, როგორც XP - *хакер* (Хакер, 2003: №6). აქ დამწერლობა იგივე დარჩა, შეიცვალა აბრევიატურის აზრი.

რუსულში ხშირია ასევე შემამოკლებელი-მოფერებითი სუფიქსებით თარგმნა. მაგ: Rom ითარგმნა, როგორც *ромка*, User's Manual - *мануалка*, CD < *сидюк*, PC < *писюк* (Хакер, 2003, №5,7) და ა.შ. რაც შეეხება ქართულ ტერმინოლოგიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი პრაქტიკულად არ არსებობს. ქართულ ენაში დამკვიდრებულია ინგლისურენოვანი სიტყვები და შემოკლებები. თანამედროვე სიტყვების ლექსიკური შემადგენლობა, ექსპრესიულობა, სასაუბრო-სალაპარაკო ელფერი ადასტურებს იმას, რომ კომპიუტერთი მომხმარებელთა შორის ჭარბად არის ახალგაზრდა ასაკის ადამიანი. ბავშვები ძირითადად ისეთი კომპიუტერული თამაშების მოყვარულნი არიან, როგორებიცაა, მაგ: < Quake 2; HOMM2 < Heroes Of Might and Magic 2; CC2 < Close Combat 2 და ა.შ.

ინტერნეტთან მომუშავე ადამიანთა ასაკი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ორმოც წლამდეა. ახალგაზრდული ასაკი მათ უფლებას აძლევს შემოკლებულ ტერმინებს იუმორისტული იერი მისცენ. მაგალითად: AYT < Are You There?; BASIC < Bill's Attempt to Seize Industry Control. აქ საუბარია ბილ გეითსზე. CATCH < Come Again? That Can't Help! an MUDS < Multi-User Dimensions (უებსტერი 1998).

ამ ენობრივი მოვლენის განვითარება და გავრცელება უდაოდ მეტყველებს კომპიუტერული ტექნიკის ღრმა დანერგვაზე თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ამ ტერმინოლოგიამ დროთა განმავლობაში ისევე, როგორც ზოგიერთი სფეროს სპეციფიკურმა ლექსიკამ, შეაღწია სალიტერატურო ენაში და მალე იქაც დაიმკვიდრებს ადგილს.

კომპიუტერული ენის ლექსიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერების ეს სფერო მოიცავს აბრევიატურების ყველაზე დიდ რაოდენობას. უმეტესწილად, შემოკლებულ ერთეულებს ვხვდებით ისეთ კომპიუტერულ ენებში, როგორებიცაა: Hardware, Operating Systems, Editors and Shells და Programming Languages. ეს აიხსნება ამ ენების ლექსიკის სპეციფიკურობით.

რაც შეეხება კომპიუტერულ შემოკლებებს, როგორც ვხედავთ, მათ ბოლომდე ვერ მივაკუთვნებთ ვერც სალიტერატუროს, ვერც არასალიტერატურო ლექსიკას. შეგვიძლია უბრალოდ განვიხილოთ, როგორც მოვლენა, რომელსაც თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ეს კი გვაძლევს უფლებას, კომპიუტერული შემოკლება-ტერმინები ჩავთვალოთ სიტყვებად, რომელსაც იყენებს საზოგადოების ის ჯგუფი, ვისაც მუდმივი შეხება აქვს ინტერნეტთან. ამ სიტყვების უმეტესობა, როგორც ვიცით, გამოირჩევა სასაუბრო-საღაპარაკო, ხშირად უხეში ფამილარული ელფერით, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ კომპიუტერული და ინტერნეტის შემოკლებები ძირითადად პროფესიული ტერმინებიდან ნაწარმოები სიტყვებია.

3.1.4. შემოკლებები პრესაში

მრავალმხრივმა დაკვირვებებმა და ასევე ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ბოლო პერიოდში წარმოებული თითქმის ყველა ფრაზა, სიტყვა, შემოკლებული თუ აბრევიატურული ერთეული არის წარმოდგენილი გაზეთისა თუ ჟურნალის, განსაკუთრებით – ყვითელი პრესის სტატიებში. ეს აიხსნება იმით, რომ პრესა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საშუალება, ისევე, როგორც საერთაშორისო ქსელი, ელვისებური სისწრაფით ირეკლავს ყოველი დღის მოვლენებს, რომელთაც ადგილი აქვთ საზოგადოების ცხოვრებაში. გაზეთი ახალი ერთეულების, სიტყვების, სიტყვათშეთანხმებების, მნიშვნელობების საკმაოდ საინტერესო რეგისტრატორია და ხშირ შემთხვევაში, წერითი მეტყველების პირველი წყაროა, რომელიც აფიქსირებს ახალი სიტყვების წარმოებას, რომელთა უმეტესობას შემდეგ პრეტენზია აქვთ საყოველთაოდ ხმარებულ ლექსიკაში შესვლაზე. გაზეთის ენისათვის დამახასიათებელია გარკვეული სპეციფიკა, რაც მას განასხვავებს მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურისაგან, სასაუბრო ენისაგან. გაზეთის ენა ეპოქების მიხედვით იცვლებოდა, იცვლებოდა ასევე სფეროები, ჟანრები, რომელსაც მასში იყო გაშუქებული. საგაზეთო ლექსიკის ანალიზმა გამოავლინა საკუთარი სახელების (ტოპონიმების, ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაწესებულებების), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინების დიდი პროცენტული ოდენობა. თვალშისაცემია ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ტერმინებისა და ნეოლოგიზმების სიმრავლე.

როგორც ცნობილია, ნეოლოგიზმი არის ახალი სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება, რომელიც წარმოებულია პოლიტიკური, სამეცნიერო ან სხვა რეალის აღსანიშნავად ენაში არსებული სიტყვაწარმოების მოდელების გამოყენებით ან სხვა ენიდან სესხების საშუალებით. თავიანთი სტრუქტურისა და წარმოების საშუალებით, საგაზეთო ნეოლოგიზმები წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტად. ესენია სიტყვათწყობა, აფიქსაცია, კონვერსია, შემოკლება, რომელთაგან ეს უკანასკნელი ჭარბობს. გარდა იმისა, რომ გაზეთის ენას შემოკლება კარგად ესადაგება თუნდაც იმით, რომ სტატიის წერის, ბეჭდვის დროს ავტორს საშუალება ეძლევა აბრევიატურებსა და აკრონიმებში გამოსახოს დიდი ორგანიზაციებისა თუ დასახელებების სახელები, ასევე მოკვეცისა და შენახარდი სიტყვების გამოყენებით გამარტივებულად მიიტანოს თავისი

სათქმელი მკითხველამდე. საერთოდ, გაზეთის ენა უნდა იყოს თავისუფალი ლექსიკურ-გრამატიკული სირთულეებისაგან, არ იყოს ძალიან გადატვირთული, რადგან მკითხველში შეიძლება გამოიწვიოს ტექსტის არასრული, დამახინჯებული გაგება მაგალითად: pol, govt, alliterate, ad, comp < comprehensive/complimentary, co-op < cooperative advertisement HO < Home Office; op ed < opposite the editorial page, tab < tabloid newspaper, copter < helicopter, ME < managing editor. მსგავსი სიტყვები იმდენად მისაღები და ნაცნობია მკითხველისთვის, რომ არ საჭიროებს განმარტებას.

გაზეთისა თუ ჟურნალის კითხვის დროს ყველაზე საინტერესოდ, თვალშისაცემად მაინც ე.წ. "headlines" – სტატიის სათაურები მიგვაჩნია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სათაურებში საერთოდ უგულვებელყოფილია არტიკლები, წინდებულები, შორისდებულები და სხვა მაკავშირებელი სიტყვები. მოკლე სათაური მკითხველის მიერ სწრაფად აღიქმება, მისი უჩვეულო ფორმა და შინაარსი იწვევს მასში გარკვეულ ინტერესს, რომ სტატია მთლიანად წაიკითხოს. მაგალითად: "Eight Convicted in Death of Asylum Seeker", სადაც გამოტოვებულია სიტყვები პერსონს და არე; ანალოგიურად: "Another President (is) caught in Argentina's Ec(onomic) Trap". საინტერესოა, რომ საგაზეთო შემოკლებები იყოფა საყოველთაოდ მიღებულ და ოკაზიონალურ შემოკლებებად. "Murdoch links with Lab Grows Stronger". წინამდებარე მაგალითში შეიკვეცა სიტყვა Labour, მაგრამ ეს მკითხველისთვის საკმაოდ ნაცნობი და მისაღებია.

ოკაზიონალური შემოკლებების გაშიფრვაც არ წარმოადგენს სირთულეს. ესაა შემთხვევით შემოკლებული სიტყვები, რომლებიც არსებობენ მხოლოდ მოცემული სტატიის ფარგლებში. სათაურებში ისინი შემოკლებული სახით არის წარმოდგენილი, ხოლო სტატიის დასაწყისში ან შუაში მათი სრული დასახელებაა მოცემული. მაგალითად: "Ecstasy, known as "E" in the clubs, is currently on sale at £20-£25 a tablet, but the price is expected to fall as demand grows". შემდეგ მაგალითში სიტყვის უცლევარ შემოკლებას მიმართეს სივრცის ეკონომიის გამო: "Army blows up mines on test site for N waste". პრესაში ხშირად ხმარობენ ასევე შემდეგი სიტყვების შემოკლებულ ვარიანტებს: iss < ue, noncon < vention, mac < aron, crick < critic, obit < obituary. ისეთი აბრევიატურებისა და აკრონიმების გაშიფვრა, როგორებიცაა NASA < National Aeronautics and Space Administration, UN < United

Nations, WHO < World health Organization მკითხველს არ ჭირდება, რამდენადაც ყველასათვის საკმაოდ ნაცნობია, დიდი ხნის წინ შევიდა საყოველთაო ხმარებაში და ტექსტში არ საჭიროებს განმარტებას. პრესის ენისთვის მიღებულია ასევე ადამიანთა სახელების, ეროვნებების, ქალაქების შემოკლება: Becky < Rebecka, Frisco /Franko < San Fransisco, Japs < Japanese.

როგორც ვხედავთ, ეს არის აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემა. ბევრი სიტყვა თუ შემოკლება ოფიციალურ ტერმინოლოგიაშიც კი შედის. ისინი არსებობენ არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაში, არამედ მრავალრიცხოვან ელექტრონულ დოკუმენტებში, სტატიებში, წერილებსა თუ ვებ გვერდებზე, მათ შეიძლება შევხვდეთ დამწერლობაშიც. არც თუ ისე იშვიათად ასეთი სიტყვები ხვდება სოლიდურ გამოცემებში.

გაზეთის ენასთან საკმაოდ ახლოს დგას სატელევიზიო მეტყველება, სადაც, რა თქმა უნდა, უამრავ სიტყვას ამოკლებენ. მაგალითად: rep < utation, ref < erence, ump < ire; vj < video jockey, aftra < American federation of TV & radio artists, ecu < extreme close-up, hint < happy idiot news team /talk და მრავალი სხვა.

ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ინგლისური ენა საოცარი სისწავით ვითარდება, გამუდმებით ხორციელდება ახალი სიტყვების, წარმონაქმნების, ე.წ. newspeak, coined words-ების წარმოება, როგორც ნაშრომში არაერთხელ განვიხილეთ, აბრევიაციის, მოკვეცის, აკრონიმიის, შეზრდის, გამიზნული გართმვის, ხმოვანთა მონაცვლეობის, სიტყვების კომბინირების ან სიტყვებზე ახალი უნიკალური სუფიქსების დართვის საშუალებით. მსგავს წარმონაქმნებს ენა ხშირად ითვისებს და მის შემადგენელ ნაწილად აქცევს, ზოგჯერ კი სრულიად განდევნის ხმარებიდან. ნეოლოგიზმების ენის შემადგენელ ნაწილად ქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისმიერი აღიარება, ლინგვისტ-ექსპერტების მიერ მიღება და ლექსიკონებში მოხვედრა. ახალი სიტყვით აღნიშნული მოვლენა თუ რეალია ენის მოცემულ ეტაპზე შესაძლოა, იყოს თანამედროვე, აქტუალური და საინტერესო. მაგრამ იქნება თუ არა ასე მომავალშიც? ზოგიერთ შემთხვევაში, უცნაურ ახალ სიტყვებს წარმატება ხვდებათ წილად, რადგან იდეა, რის საფუძველზეც განხორციელდა მათი წარმოება, კარგად ნაცნობია, დაუვიწყარი, ამაღლებული ან განსაკუთრებული. ხოლო როდესაც სიტყვა ან ფრაზა უკვე აღარ არის ახალი, ის ნეოლოგიზმი არაა, მიუხედავად იმისა, რომ მისი

„დაძველებისთვის” საჭიროა ათწლეულები. იმასთან დაკავშირებით, თუ როდის, „რა ასაკში” შეიძლება სიტყვა ჩაითვალოს არანეოლოგიზმად, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ამ შემთხვევაში კულტურული მიღება-შეთვისება უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე დრო.

წარმოების შემდეგ ახალ სიტყვებსა და ერთეულებს აუცილებლად გამოიკვლევენ როგორც ლინგვისტები, ასევე საზოგადოება, რომლებიც გაარკვევენ მათ გამოყენებასა და მიზანშეწონილობას ენასთან მიმართებაში. ზოგი სწრაფად მიიღება, სხვები კი გამოცდას გადიან. ენის ექსპერტები ხშირად ე.წ. coined - ახალი წარმონაქმნების, ახლადწარმოებული სიტყვების წინააღმდეგ გამოდიან იმ მოსაზრებით, რომ მიზანშეწონილი ტერმინი, რომელიც რაიმეს კონცეპციას აღნიშნავს, ენაში უკვე არსებობს. ისინი, რომელთაც ნეოლოგიზმები არ უყვართ, ზოგჯერ ამ არგუმენტს იყენებენ და მას ენის დამაბინძურებელსა და უცოდინარს უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ახალგაზრდებისა და თინეიჯერებისთვის მსგავს არგუმენტებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი, როგორც ადრე, მომავალშიც გააგრძელებენ მათთვის სასურველი სიტყვების, აბრო-აკრონიმების, შენახარდი თუ მოკვეცილი სიტყვების, ფრაზების წარმოებას. მსგავსი მოვლენა კი ენაში შეუმჩნეველი არ დარჩება, აუცილებლად აისახება შემოკლებებისა თუ სლენგების ლექსიკონში და გარკვეული დროის მანძილზე საკმაოდ პოპულარული იქნება (ჰაკენი 1998: 4). რაც შეეხება სიტყვების ლექსიკონებში შესვლას, თანამედროვე კომუნიკაციის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება - ინტერნეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ ლინგვისტური და სხვა სახის ფორუმებში მომხმარებლებმა, ფორუმის მონაწილეებმა თუ ე.წ. netizen-ებმა, სხვადასხვა საიტზე განათავსონ ნებისმიერი ახლადწარმოებული სიტყვა თუ შემოკლება, რომლის გაცნობაც შეუძლია ინტერნეტის ნებისმიერ მსგავსი საკითხით დაინტერესებულ მომხმარებელს. შემდეგ კი, სიტყვაზე, მის აქტიურობასა და პროდუქტიულობაზეა დამოკიდებული, შევა თუ არა მეტყველებაში და დაიმკვიდრებს თუ არა იგი გარკვეულ ადგილს სალიტერატურო ენაში.

3.3. ქართველი “ნეტიზენების” კომუნიკაცია

კომპიუტერის მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა განხორციელებულა სხვადასხვა მეცნიერის მიერ. მათ შორის იყვნენ ბარონი (1984, 1998, 2001), ჰერინგი (1996), დევისი და ბრიუერი (1997), სნაიდერი (1998), პაოლილო (1999), კრისტალი (2001) და სხვა მრავალი. ეს მეცნიერები იკვლევდნენ კომპიუტერის მომხმარებელთა შორის კომუნიკაციის პრაგმატულ ასპექტებს და ძირითადად ემყარებოდნენ ე.წ. ჩატს. დევისისა და ბრიუერის აზრით „ელექტრონულ კომუნიკაციას, რომელიც კლავიშებზე იწერება და იკითხება კომპიუტერის ეკრანებზე, წერისა და მეტყველების ბევრი თავისებურება გააჩნია” (დევისი და ბრიუერი 1997: 2). როგორც ბაიბერი ამბობს, არ არსებობს არანაირი განსხვავება ინგლისური ენის წერითსა და ზეპირ მეტყველებას შორის, არსებობს მხოლოდ განსხვავების განზომილებები და მეტყველებისა და წერის განსხვავებები მეტნაკლებად კავშირშია თითოეულ განზომილებასთან (ბაიბერი 1997: 4).

სიტყვა „ინტერნეტი”, შესაძლოა 1990-იანი წლების ყველაზე პოპულარულ ტერმინად ჩაითვალოს, რადგან თანამედროვე პირობებში კომუნიკაციის, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალება არის საერთაშორისო ქსელი. ამ ახალმა სისტემამ ახალი რეალიები, დასახელებები შემოიტანა სალიტერატურო ენაში, წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში. შესაძლოა შემდეგი ფრაზა უკვე კლიშედაც კი მოგვეჩვენოს: *Internet has affected life and society in many, and in part, fundamental ways*”. (www.languageatinternet.de/articles/2006/365).

კომპიუტერით სარგებლობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნიკაციის სისწრაფეს, დროის, სივრცის, ენერჯისა და მატერიალური სახსრების ეკონომიას. სხვადასხვა პროგრამის გამომგონებლებმა ყველა ამ პრობლემაზე იზრუნეს. ინტერნეტის მომხმარებელთათვის შემუშავდა სიტყვებისა და ტერმინების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადებების შემოკლებები. ეს არის სპეციფიკური კომპიუტერული სლენგი, აბრევიატურები და აკრონიმები, მოკვეცილი და შენაზარდი სიტყვები, რომელთა წარმოება მეტად აქტიური თემაა თანამედროვე ლინგვისტიკაში. ამ სფეროში არსებული შემოკლებული სიტყვები გამოირჩევა თავისი სალაპარაკო და არაოფიციალური თვისებებით, თუმცა ბევრი ასეთი სიტყვა შევიდა ოფიციალურ სალიტერატურო ენაში. საინტერესოა, რომ

ინტერნეტის შემოკლებების აღსანიშნავად შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა სიტყვა, როგორცაა: 'Netcronyms', 'Net Acronyms', 'Email Abbreviations' და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ცხოვრებაში კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ფუნქციის გაზრდამ წარმოშვა ე.წ. ვირტუალური ენის ქვეტიპი, სადაც ვერბალური ნარატივის გარდა, მნიშვნელოვანია ისეთი სემიოტიკური ნიშნებიც, როგორცაა ხატულები და სხვადასხვა სახის პიქტოგრამები. ხშირად, ვირტუალური ურთიერთობისას სიტყვა ჩანაცვლებულია ასეთი ნიშნებით, მეტიც, დიალოგიც კი მიმდინარეობს ასეთ ნიშანთა გამოყენებით. ამ ნიშანთა ფსიქოლოგიური, ხასიათობრივი, თემატური და კონტექსტური მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამარტივებს ამ სახის კომუნიკაციას, მითუმეტეს, რომ კიბერსივრცეში არანაირი ცენზურა არ არსებობს, რაც მომხმარებელს აძლევს თვითგამოსატვის სრულ თავისუფლებას.

წინამდებარე კვლევის ამჟამინდელ მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ ქართველი ინტერნეტ მოქალაქეების ანუ ნეტიზენების - netizens < network citizens მეტყველება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპიუტერის მომხმარებელთა კომუნიკაცია. ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული კვლევა არის პირველი მცდელობა საქართველოში ქართველი თინეიჯერების მიერ შემოკლებული ე.წ. World Wide Words-ის გამოყენების შესწავლისა და შეფასებისა. ასევე მიზნად დავისახეთ, შემოკლებული ერთეულების მიერ ინგლისური კიბერმეტყველების (cyberspeak) ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადასხვა გზებისა და საშუალებების შესწავლა-შეფასების განხორციელება, მათი პროდუქტიულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ინგლისური ენის ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში.

ძირითად საკვლევ მასალად ვიყენებდით და ვყვრდნობოდით ინტერნეტ ფორუმებში არსებულ ინფორმაციას, ICQ, messenger, OOVVOO და SKYPE-ის სწრაფი ტექსტური შეტყობინებების ენას. კვლევა დავიწყეთ 2008 წლის სექტემბერში და დაახლოებით 10 კვირის მანძილზე მიმდინარეობდა, რომ გვეწარმოებინა სრულფასოვანი დაკვირვება და შეფასებები. ძირითადი ყურადღება მიმართული იყო შემდეგ კითხვებზე: როგორ მუშაობს, როგორ მოქმედებს ქსელის ენა? რა

არავერბალური მეტყველების ფორმების ჩანაცვლების საშუალებებს (ხატულები, ემოციები და სხვადასხვა სახის პიქტოგრამები, გრაფიკული მეტყველების ფორმები) იყენებენ ინტერნეტის მომხმარებლები და რამდენად საშუალებების გამოყენების სიხშირით და მათი პროდუქტიულობით. ამ შეკითხვებზე პასუხის მოძიებისათვის, სამიზნე ჯგუფს დაურიგდა ანკეტური კითხვარი, რომელმაც გაგვიადვილა მიმოხილვის წარმოება.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ქართველი მოზარდების კომუნიკაციის ყველაზე პოპულარული ფორმები, პირველ რიგში საჭიროა, კომუნიკაციის ტიპების განსაზღვრა. საინტერესოა, რომ კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაცია, რომელიც აუცილებლად ინტერნეტის მეშვეობით ხორციელდება, შეიძლება განვმარტოთ მთელი რიგი ტერმინებით, როგორებიცაა virtual communication (ვირტუალური კომუნიკაცია), online communication (კომუნიკაცია ხაზზე), electronic communication (ელექტრონული კომუნიკაცია), cyber communication (ციბერ კომუნიკაცია) ან თუნდაც cyber conversation (ციბერ დიალოგი) (ლი 2002: 2). ყველა ზემოთხაზოვლილი ტერმინი ტექნიკურად ეხება კომპიუტერულ მეტყველებას ანუ Computer-Mediated Communication (CMC), რომელიც, როგორც ბარონი აღნიშნავს, შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის გაცვლის ადგილი ანუ ე.წ. დომენი კომპიუტერის საშუალებით. (ბარონი 1998). მსგავსი ტიპის არასინქრონული მეტყველების ნიმუშია ელექტრონული ფოსტა, სიახლეების ჯგუფი < newsgroups, და გასაგზავნი სიები (ანუ იმ ორგანიზაციებისა და კონტაქტების ჩამონათვალი, რომლებსაც ვუგზავნი ფოსტას) < mailing lists. სინქრონული კომუნიკაციის ე.წ. ხელსაწყოები მოიცავენ სწრაფი ტექსტური შეტყობინების ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა SKYPE, Yahoo Messenger, MSN Messenger, ან საჭორაო ოთახებს, როგორიცაა Internet Relay Chat (IRC). გარდა სინქრონულობისა, კომპიუტერული მეტყველება მოიცავს სხვა ასპექტებს, რომლებშიც იგულისხმება ინტერაქციის სტრუქტურა: ერთი-ერთზე ინტერაქცია < one-to-one interaction, ერთი ბევრთან ინტერაქცია < one-to-many interaction, და ბევრი ბევრთან ინტერაქცია < many-to-many interaction, რასაც ასევე ვუწოდებთ ჯგუფურ ინტერაქციას < group interaction (<http://www.msu.edu/user/patter90/syllabus.htm>).

უფრო სპეციფიურები რომ ვიყოთ, განვმარტავთ, რომ წინამდებარე ნაშრომში „კომპიუტერულ მეტყველებაში“ < CMC ვგულისხმობთ ინტერნეტის

მეშვეობით განხორციელებულ ტექსტურ კომუნიკაციას, რომელიც მიმდინარეობს ორ ან უფრო მეტ მონაწილეს შორის. მსგავსი კომუნიკაცია, ადამიანის მეტყველებასთან ერთად, ხშირად მოიცავს სხვა სიმბოლური სისტემების (ხატულების, ციფრების გამოყენება) კომბინაციას ტექსტებში. რაც შეეხება ფრაზის „კომპიუტერული შემოკლებული მეტყველება“-ს გამოყენებას, ეს გულისხმობს ყველა სახის შემოკლებულ გამონათქვამსა თუ სიტყვას, რომელიც გამოიყენება ინტერნეტის კომუნიკაციის დროს.

SMS ანუ მოკლე ტექსტური შეტყობინება არის სწრაფი ელექტრონული მესიჯი, როგორც წესი, 160 ერთეულზე ნაკლები, რომლის გაგზავნა და მიღება შესაძლებელია როგორც კომპიუტერის, ასევე მობილური ტელეფონის საშუალებითაც (www.netlingo.com/lookup.cfm?term=texting). რადგანაც ამ მომსახურებით თითქმის ყველა ასაკის ადამიანი სარგებლობს, შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ შემოკლებული წერის სისტემა მობილურ ტელეფონებზეც ვრცელდება. მაგალითად: AFAIK CU 2NITE ნიშნავს As far as I know, I'll see you tonight, ან CN U RD THS? IF U Want 2 no abt 100s of gr8 txt msgs, C BAK of BOK! მრავალი მსგავსი ტექსტური შეტყობინების ნიმუშის მოყვანა შეიძლება. ასეთი ტიპის კომუნიკაცია ხელსაყრელია ყველასთვის, რადგანაც ე.წ. SMS-ით შეგვიძლია ნებისმიერი ფორმატის ტექსტური შეტყობინების გაგზავნა მობილურის, ე.წ. Bluetooth-ით და ინტერნეტის მეშვეობითაც.

ინტერნეტისა და მობილურის მომხმარებელთა კომუნიკაციის საყვარელი ფორმაა ე.წ. „ხატულების“ ანუ smileys გამოყენება. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ემოციის გამოხატვისთვის სულაც არ არის წინადადებების, ფრაზების ან თუნდაც სიტყვების წერა. თქვენ თუ მობილურზე მიიღებთ პუნქტუაციის ნიშნებით გაჯერებულ შეტყობინებას, როგორცაა, მაგალითად: %-\ არ უნდა დაიბნეთ, ჰკითხოთ ნებისმიერ მოზარდს და პასუხსაც უმაღლეს მიიღებთ: %-\ ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელმაც მოგწერათ, დაღლილია. მსგავსი მაგალითებია: 8-0 = Shocked (შოკში ვარ); :O = Singing (ვმღერი); :-Q = Smoking while talking (გელაპარაკები და თან ვეწევი); :-0 = Talkative (ბევრს ლაპარაკობ); (დაღლილი); :-[= Vampire (ვამპირი), ასე შემდეგ. სასვენი ნიშნებისგან შექმნილი „ემოციური ხატები“ კომუნიკაციაში მონაწილე პირის განწყობის გამოხატვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინგლისური ენის ცოდნა არ არის აუცილებელი იმის მისახვედრად, რომ სიტყვის „ლიმილაკი“ სახელწოდება

ინგლისურის კალკია სიტყვიდან smiley და პირველი „ლიმილაკის“ ანუ „ხატულის“ ავტორიც წარმოშობით ამერიკელი სკოტ ფალმენია (19.09.1982), თუმცა, ქართულშიც ხშირად ვვიყენებთ სიტყვას „სმაილიკი“. (ფუტკარაძე 2007).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინტერნეტის ქართველი მომხმარებლის უმეტესობა თუ არა, ნახევარი მაინც ფლობს ინგლისურ ენას საშუალო დონეზე, რაშიც გარკვეული წვლილი თავად ინტერნეტს მიუძღვის. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ ინტერნეტში კომუნიკაცია სწრაფი ტემპით წარიმართოს, ფრაზებსა და მთლიან წინადადებებს ამოკლებენ, ზოგჯერ ინიციალებამდეც კი. მსგავსი შემოკლებების შექმნაში თუ არა, გამოყენებაში ქართველი თინეიჯერები არ ჩამოუვარდებიან მათი ასაკის ინტერნეტ საზოგადოების ევროპულ თუ ამერიკულ წევრებს. მიუხედავად ზემოთთქმულისა, რთულია რაიმე ამტკიცო ზუსტი მონაცემებისა და ფაქტების გარეშე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, გვეწარმოებინა გარკვეული კვლევა ქთბილისის კერძო (ევროპული უნივერსიტეტის სკოლა „მთიები“) და საჯარო (122-ე, 60-ე) სკოლის მოსწავლეებში, ასევე უნივერსიტეტის (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი) სტუდენტებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 13-დან 21 წლამდე ასაკის მოზარდთა ჯგუფი, რადგანაც ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობას სწორედ ამ ასაკის კატეგორია იყენებს ყველაზე აქტიურად. ოთხმოცდაოთხმა მოხალისემ გამოთქვა სურვილი წინამდებარე პროექტში მონაწილეობის მიღებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამიზნე ჯგუფი შეფასდა მხოლოდ ერთი კრიტერიუმით: ისინი უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომელთათვის ინგლისური მეორე უცხო ენაა. რაც შეეხება მონაწილეთა დემოგრაფიულ მონაცემებს, შემდეგია:

ასაკი:

13-18	52
19-21	32

სქესი:

მამრობითი	46
მდედრობითი	38

განათლება:

სკოლის მოსწავლე	41
უნივერსიტეტის სტუდენტი	43

სამიზნე ჯგუფს დაურიგდა 100 კომპიუტერული შემოკლების, ე.წ. CMC < computer mediated shortenings სია, რაც შემოკლებული სიტყვებისა და ფრაზების გარდა მოიცავდა ასევე ე.წ. ღიმილებსა < smileys და ემოციებს < emoticons,. რაც ინტერნეტის მოქალაქეებისათვის, ისევე, როგორც მობილური ტელეფონების თამაშების, ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მოყვარულთა შორის კომუნიკაციის საკმაოდ მისაღები ფორმაა. საინტერესოა, რომ ურთიერთობის ეს სახე აუცილებელია საჭიროა ოთახებში (chat rooms), ასევე SKYPE-ში, ICQ სხვა E-mail-ით ურთიერთობის დროსაც. კომპიუტერის მომხმარებელთა დაკვირვება საკმაოდ საინტერესო პროცესს წარმოადგენდა. ვიკვლევდით, ერთის მხრივ, ტექსტურ კომუნიკაციას ქართველ მოზარდებში და მეორეს მხრივ, საყოველთაოდ ხმარებული ინგლისურენოვანი კომპიუტერული შემოკლებების სრული ვარიანტისა და მათი განმარტების ცოდნას. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ის შემოკლებული ფრაზები, სიტყვები, ღიმილები და ემოციები, რომლებიც დაფურცელთ მონაწილეებს.:

shortened form	definition
!	I have a comment
.com	company
?	I have a question
@	angry
^URS	Up Yours
121	One to one
14AA41	One for All and All for One
182	I hate you
2B or not 2B	To Be Or Not To Be
2G2BT	Too Good To Be True
2moro	Tomorrow

2nite	Tonight
3G	third generation
886	bye-bye
a/s/l	age /sex /location
abt	about
AFC	Away From Computer
AIGH	All right
AIS	As I Said
ASAP	as soon as possible
AWGHTGTGA	Are We Going To Have To Go Through This Again
b4	before
B4N	Bye For, Now
BB	bye-bye
BCNU	Be Seeing You
BFF	Best Friends Forever
BFFL	Best Friends for Life
BKAM	Between Keyboard and Monitor
BRB	Be Right Back
bro	brother
BTW	By The Way
co	computer
cof	coffee
comfy	comfortable
convo	conversation
coz/cos	because
CU	see you
cuz	because
d	drink
dilly	delightful
dunno	don' t know
DVD	Digital Versatile Disc
EGDE	Enhanced Data rates for Global Evolution
EMS	Enhanced Message Service

FYI	For Your information
g2g	got to go
gd nite	good night
GPRS	General Packet Radio Service
GRATZ	Congratulations
GSM	Global System for Mobile communications
GTG	gotta go
Gubbish	Garbage + Rubbish
h	heart
HTML	Hypertext Markup Language
Hymns	hidden message
ILY	I Love You
IM	instant messaging
J2LYK	Just To Let You Know
JPEG	Joint Photographic Experts Group,
LOL	Laughing Out Loud -or- Lots Of Love
LYLAS	Love You Like A Sister
MMS	Multimedia Messaging Service
mo	money
mom	moment
mp	phone
mp	Mobile Phone
MPEG	Moving Picture Experts Group
n	no
NP	No Problem
nt	night
OIC	oh, I see
PDF	Portable Document Format
pi	pizza
PM	Private Message / Private Messaging
pos	Parent over shoulder
POV	Point Of View
Ppl	people

prolly	probably
RBTL	Read Between The Lines
ROFL	rolling on the floor
ROM	Read Only Memory
secs	seconds
SIM	Subscriber Identity Module
sorta	sort of
spk	speak
TMI	Too much information
tmw	tomorrow
ToD	today
ttyl	talk to you later
TYVM	Thank You Very Much
U	you
URL	Uniform Resource Locator
USB	Universal Serial Bus
wasntm	it wasn't me
WE	Whatever
wk	week
WYWH	Wish You Were Here
XOXO	Hugs and Kisses
y	yes
y?	why?

შედგებმა გამოავლინა, რომ 84 მონაწილიდან 75 კარგად იცნობდა არა მხოლოდ კომპიუტერზე დამყარებულ კომუნიკაციას, არა მხოლოდ ინიციალური აბრევიატურების 'u < you', 'b < be', 'y < why', 'h < heart', 'n < no', და მოკვეცილი სიტყვების 'bro < brother', 'sis < sister', 'mom < moment', 'mo < money', 'gd nite < good night', 'convo < conversation', 'comfy < comfortable', განმარტება შექდლო, ასევე მოგვცა კომპიუტერული და მობილური ტელეფონების პროგრამების, დოკუმენტური თუ გამოსახულების სხვადასხვა ფორმატის განმარტებაც, როგორებიცაა: '3G < third generation', 'EMS < Enhanced Message Service', 'GPRS < General Packet Radio Service', 'HTML < Hypertext Markup Language', 'JPEG < Joint Photographic Experts Group', or 'MMS

< Multimedia Messaging Service'. მოხალისეთა 60 % შეძლო არა მხოლოდ მნიშვნელობის გამოცნობა, არამედ 85%-ზე მეტი მასალის განმარტება. საინტერესოა, რომ მხოლოდ 7 % შეძლო ისეთი უნივერსალურად მიღებული შემოკლებების გაშიფვრა, როგორებიცაა 'DVD < Digital Versatile Disc', 'GSM < Global System for Mobile communications', 'MPEG < Moving Picture Experts Group', 'SIM < Subscriber Identity Module', 'URL < Uniform Resource Locator', 'USB < Universal Serial Bus', რომლებსაც უკვე დიდი ხანია, ვიყენებთ შემოკლებულად და არც გვინტერესებს სრული დასახელება.

ფორუმები, SKYPE, OOVVOO, ICQ, მესინჯერი მეტად აქტუალური თემაა უკანასკნელი პიერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მსგავსი ტიპის ჩატებში თითოეულ მომხმარებელს აქვს თავისი უნიკალური ნომერი, ზედმეტი სახელი და მონაცემთა ბაზა ანუ 'history' იმისათვის, რომ შეინახოს ყველა შემაჯავლი და გამაჯავლი ინფორმაცია. ასე რომ, ჩვენ არ გავგჭირვებია მოზარდების კომუნიკაციისათვის თვალყურის დევნება. SKYPE -ის დიალოგების მონაცემთა ბაზის შესწავლამ, სადაც კომუნიკაცია ძირითადად ინგლისურ-ქართულ ენებზე მიმდინარეობდა, მოგვცა საშუალება დაგვესკვნა, რომ ქართველმა მომხმარებელმა სპეციალური სახის წერითი მეტყველება შეიმუშავა. მათი მეტყველება გამოირჩევა სპონტანურობით და ბუნებრივია, არასალიტერატურო ელფერი აქვს. გარდა ამისა, მათი მეტყველება გაჯერებულია მთელი რიგი აბრევიატურებით, სიმბოლოებით და შემოკლებული გამონათქვამებით, რათა ზუსტად იყოს გამოხატული მისი მოქმედის მიერ გამოხატული შეგრძნება, ემოცია თუ სახის გამომეტყველება. მათი გამოყენების სიხშირე საოცრად მაღალია, თითქმის 100%. ინტერნეტ მომხმარებლის კომუნიკაციის შესწავლამ ცხადყო, რომ ჩატი ახალ საკომუნიკაციო ფორმაზე გადასვლის ფორმაა, რაც XXI საუკუნის მეტყველების რეგისტრად შეიძლება ჩაითვალოს, რაც საკმაოდ მყარია და ეჭვგარეშეა, განიცდის მუდმივ პროგრესს და არა რეგრესს.

როგორც ვნახეთ, სპეციფიური ემოციური ელფერის მიცემის მიზნით, მთლიან ფრაზებსა და სიტყვებს ამოკლებენ ინიციალებამდე, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი სიმბოლო ან პუნქტუაციის ნიშანი შეიძლება გამოხატავდეს მთელს წინადადებას და მასში ჩადებულ ემოციას. მაგალითად: B4 < Before; /C < Because; C4N < Chao For Now; F2F < Face to Face; L8r < Later; O:-) = Angel; 0*-) = Angel wink – female; 0;-) = Angel wink – male; :-){ = Very Angry; >:-) = Annoyed; ~:o = Baby; :-)^< = Big Boy; :-)8< = Big Girl; :-)! = Bored; :-S = Confused; :-)(= Crying; :-e = Disappointed; %-

} = Dizzy; ;#) = Drunk; %*@:-) = Freaking Out; :0 = Hungry; :-x = Kiss; :-D = Laughing; |-(= Lost Contact Lenses; ;-(= Mad Look; =:-) = Punk; 8-0 = Shocked; :O = Singing; :-Q = Smoking while talking; :-0 = Talkative; %-\\ = Tired; :-[= Vampire; :-))) = Very Happy; %') = Very Tired; (:-(= Very Unhappy; [-) = Wearing a Walkman; :* < Kiss; 0:t < Angel; :E < Vampire; >:-> ნიშნავს Devil; :-)) is Very Happy; :-Q გამოხატავს I am a Smoker; U2 < You Too.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემოკლებულ ფორმებს იყენებს ყველა, ვინც სარგებლობს კომპიუტერით და მობილური ტელეფონით თითქმის ყოველ დღე, მაგრამ ხშირად ისინი ჩვეულებრივ სიტყვებად ითვლება და არავენ არ სვამს კითხვებს, თუ რას ნიშნავს ეს აბრევიატურები. მსგავსად, ჩვენ რომ გვკითხვით, რას ნიშნავს 'Global System for Mobile Communications', ბუნებრივია, ვიფიქრებთ, რომ მანამდე არ გვსმენია ამ ფრაზის შესახებ, ან თუნდაც: 'Subscriber Identity Module' დიდი ხნის ფიქრის შედეგად შესაძლოა, მივხვდეთ, რომ ეს არის ჩვენთვის ძალზე აქტუალური სიტყვის 'SIM' სრული დასახელება.

მოზარდების მეტყველებაში არსებობს მთელი რიგი აკრონიმებისა, რომელიც გასაგებია მხოლოდ მათთვის ანუ სკოლის, კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და ბუნებრივია, სიტყვაწარმოების ეს საშუალება მეტად ხელსაყრელია მათთვის. საკმარისია, რაიმე გამონათქვამს შეუცვალონ თუნდაც ერთი ასო, მთელი აზრიც იცვლება მასთან ერთად და შემოკლებული ერთეულიც სხვა სტილისტურ და ემოციურ დატვირთვას იძენს. მაგალითად: WUSIWUG < What U See Is What U Get; WUSIWUAG < What U See Is What U Almost Get; FIFO < First In, First Out; FILO < First In, Last Out; LIFO < Last In, First Out; LILO < Last In, Last Out.

სუფიქსების დართვაც საკმაოდ ხშირია ინტერნეტ-კომუნიკაციის მსვლელობისას აბრევიატურებსა და აკრონიმებზე, რაც ისევ და ისევ ახალგაზრდების მეტყველებაში აღინიშნება: მაგალითად: Grampies < Growing, Retired, Active, Moneyed Persons in Excellent State; Phonies < People Hooked on Talking on the Phone; Hookies < Who Cares?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიკვლევდით ქართულ ფორუმებსაც, სადაც ჩვენთვის აქტუალური იყო შემოკლებული სიტყვების, აბრევიატურების, აკრონიმების, მოკვეცილი და შენაზარდი სიტყვების გამოვლენა-შესწავლა-შეფასება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ვებ საზოგადოების დაახლოებით 95% იყენებს შემოკლებებს: 'gf' < 'girl friend', 'bf' < 'boy friend'; 're' < 'regarding', pk, < 'player kill'; cu < 'see you'.

მოკვეცილი სიტყვების მაგალითებია: 'sapping?' < 'What's happening?'; 'za < pizza; 'zup?' < 'What's up an s'up /'sup /What's up?. როგორც ჩანს, შემოკლების ეს ტიპი მეტად მოსახერხებელია ვირტუალური საუბრის სწრაფი ტემპით განხორციელებისათვის, რადგან ამ დროს შეგვიძლია შესიტყვებების მინიმუმამდე შემოკლება, (ისევე, როგორც ინიციალური აბრევიაციის დროს). ამავე დროს, ის ნაწილი ან სიტყვა, რომელიც სრულ ფორმას მოეკვეცა, ნებისმიერ დროს შეიძლება აღვადგინოთ და თავის ადგილს დაუბრუნოთ. ასე რომ, კავშირის აღდგენა სრულ ფორმასა და მის მიერ ნაწარმოებ სიტყვას შორის არ გაგვიჭირდება, რადგან ამ ტიპის შემოკლების დროს ხშირად ვიყენებთ შემდეგ საყოველთაოდ ცნობილ მოკვეცილ სიტყვებს: Net, VB; E-Mail, E-Mailbox; E-zine < Electronic Magazine; P-mail < Phizical Mail; I-way < Information Highway. ცოტამ თუ იცის, რომ კომპიუტერის ე.წ. თაგუნა - mouse, არის ბავშვების ერთ-ერთი უსაყვარლესი ვირტუალური გმირის - Mickey Mouse -ის სახელის შემოკლება.

საინტერესოა, რომ ე.წ. მეტსახელის (nickname), (ესაა სახელები, რომლითაც ვსარგებლობთ ვირტუალურ სამყაროში, დარქმევის დროს გამოკლებთ ჩვენსავე სახელებს ან სახელებსა და გვარებს, (ხშირად, მას სხვაგვარადაც აწარმოებენ). მაგ: Catherina-Cathy, ამ სახელის შესატყვისებია: Keke, Katja, Kuzia, Kato და ა.შ.

პოპულარულია ასევე შენაზარდი სიტყვების გამოყენება ჭორაობისა თუ ელექტრონული წერილის წერის დროს. შენაზარდ სიტყვებს ადვილად ვიმახსოვრებთ იმიტომ, რომ შემქმნელები ხშირად ცდილობენ დაამსგავსონ ისინი ნაცნობ სიტყვებს. ყველას, ვინც მუშაობს ინტერნეტში, მოეთხოვება netiquette -ის ცოდნა. ეს არის on-line etiquette, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აღმოჩნდება blem -ის < Blemish Problem - სახელის გატეხვის წინ, რაც შეიძლება დასრულდეს Abend-ით < Abnormal End - არასასურველი დასასრული. საინტერესოა Informercial, ანუ კომერციული ინფორმაციისა და რეკლამის თანადროული გადაცემა ჭორაობის, თამაშისა თუ ელექტრონული წერილის წერის დროს. ეკრანზე მუდმივად არის გამოსახული რაიმე

პროდუქციის რეკლამის ფანჯარა, რასაც Fanac < Fan Activity - გასართობ საქმიანობას უწოდებენ.

აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფაქტიც, რომ 2007 წლის 30 ივნისის ინტერნეტ გვერდის Internet World Stats გამოკვლევებით, ინგლისურის შემდეგ (31%), ყველაზე მეტად მოთხოვნად ენათა შორის ჩინურს მეორე ადგილი უჭირავს 16%-ით, ესპანურს – 9%, იაპონურს – 7%, გერმანულს – 5% (<http://en.wikipedia.org/wiki/Internet>). ამის შემდეგ ალბათ სულაც არ იქნება გასაკვირი ის, რომ ქართველი მომხმარებლებისათვის წამყვანი ენა ინგლისურია.

საინტერესოა ასევე ინტერნეტის მომხმარებელთა ასაკის განსაზღვრა. არც შედეგები იყო გასაკვირი: 15-დან 24 წლამდე ასაკის ქართველმა მომხმარებელმა შეადგინა საერთო რაოდენობის (სულ 240 მონაწილე) 60%, 25-დან 34 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებლები – 25%, ხოლო დარჩენილი 15% - არის ყველა დანარჩენი ასაკის ინტერნეტ მომხმარებელი.

ინტერნეტის მოქალაქეები ანუ ნეტიზენები, როგორც ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული და ასევე კვლევებიდანაც შეიძლება დავასკვნათ, საკმაოდ მობილური პირები არიან. რადგანაც ისინი აქტიურად არიან ჩაბმულები სხვადასხვა ტიპის ინტერნეტ-საზოგადოებისა და კონკრეტულად რომელიმე დაჯგუფების წევრები არ არიან. ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც ადამიანები ანახლებენ მეტყველებას გარკვეული მოტივაციის საფუძველზე, სტანდარტული სალიტერატურო ენის მოთხოვნების შესაბამისად, კიბერ-მოქალაქეები ანახლებენ ენას ინტერნეტ კომუნიკაციის შესაბამისად, როგორცაა წერითი მეტყველების თავისებურებები და ა.შ. ამ მხრივ, ინტერნეტის საკომუნიკაციო ენა ძალიან ჰგავს გარკვეული სახის ქარგონს.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ ენობრივ სივრცეში შემუშავებული „ემოციური ხატები“ თუ შემოკლებები თანდათან იფართოებენ გამოყენების არეს და ინტერნეტ-სამყაროდან თითქმის შეუზღუდავად გადადიან რეალურ კომუნიკაციურ სივრცეშიც, როგორც ჩვენს მიერ მოპოვებულ არაფორმალურ წერილებსა თუ ფორუმებში ვხედავთ. თუმცა პირადული ხასიათის შეტყობინებისა და ინტერნეტ კომუნიკაციის ფარგლებს გარეთ, მათ უკვე ვხვდებით მაღაზიის აბრებსა თუ სარეკლამო დაფებზე, არც თუ იშვიათად პრესის ენაშიც.

ინტერნეტის მომხმარებლებლებს მეტყველება ქმნის თანამედროვე რეალობას, რაც საკმაოდ საინტერესო და შემოქმედებითია, ამავდროულად,

არაკონვენციური და გარკვეულწილად მეამბოხურ, დაუმორჩილებელ ხასიათს ატარებს. რაც მთავარია, ყოველივე ეს საერთაშორისო განზომილებაში არსებობს და გამოიყენება, ასევე ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული და საკმაოდ მისაღებიც გარკვეული სფეროებისათვის.

კვლევის შედეგებიდან შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ინტერნეტის ქართული მოქალაქეების მიერ ცნობადია არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული კიბერ-შემოკლებები, არამედ სპეციალური პროგრამების, სხვადასხვა ფორმატის მქონე დოკუმენტებისა და გამოსახულების აბრევიატურული დასახელებები და მათი მნიშვნელობები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კომპიუტერი და ინტერნეტ-კომუნიკაცია მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნეტიზენები ერკვევიან ყოველგვარ სიახლეში, რაც დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარება-განახლებასთან. ბუნებრივია, ინტერნეტის მოქალაქეებში ელვის სისწრაფით ვრცელდება ყოველგვარი სიახლე და რადგანაც მოზარდები კომუნიკაციის ამ ფორმით პერმანენტულად სარგებლობენ, ისინი გარკვეულები არიან ყოველგვარ სიახლეში, რასაც მათ გარკვეული საიტების ადმინისტრატორები სთავაზობენ. საინტერესოა ისიც, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი ამ საზოგადოებაში ღრმად არ არის ჩახედული და ვერ ერკვევა გარკვეული საკითხებით, ინტერნეტ-საზოგადოების წევრები მზად არიან, გზა გაუკვალონ კომუნის ახალ წევრებს.

ავტორთა და მკითხველთა ასაკი, განათლება, ვირტუალური ურთიერთობის სპონტანური ხასიათი, ცენზურის არარსებობა, ნაკლები პასუხისმგებლობა, გამოხატვის თავისუფლება, ვერბალური ვარიაციების საშუალება – ეს და კიდევ მრავალი სხვა მიზეზი წარმოშობს ახალი ტიპის ენას, მნიშვნელოვნად განსხვავებულსა და ძალიან საინტერესოს.

ბუნებრივია და გასაკვირიც არ იქნება, თუ დასკვნის სახით კიდევ ერთხელ ვახსენებთ, რომ შემოკლების ოთხივე ტიპი საკმაოდ აქტიურად, პროდუქტიულად და კრეატიულად გამოიყენება ინტერნეტ საზოგადოების წევრებს შორის, რომელთა კომუნიკაციას სლენგის სტატუსი შეიძლება მივანიჭოთ. არც ის იქნება გასაკვირი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ის სიტყვები, რომლებსაც კვლევის თანამედროვე ეტაპზე ენის ახალ ერთეულებს, ვუწოდებთ, ისეთივე მისაღები და ჩვეულებრივი სიტყვები იქნება სალიტერატურო

ენისათვის, როგორც ვთქვით, მეტყველება, კომუნიკაცია, სიტყვაწარმოება და სხვა მრავალი.

ზოგადი დასკვნები

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალი წარმონაქმნების, შემოკლებული ერთეულების, სლენგის, კერძოდ ახალგაზრდული სლენგის შესწავლის საფუძველზე. მიზნად დავისახეთ, გაგვეერკვია სიტყვაწარმოების პროდუქტიული სახეების როლი თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში, გამოგვეყო შემოკლების ტიპები, მათი სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი, შეძლებისდაგვარად შეგვეფასებინა თითოეული მათგანის მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესში. ასევე გაგვეხილა თანამედროვე სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები, რომლებიც ინგლისურ ენაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში შევიდა; ასევე მიზნად დავისახეთ კვლევა ქართველ მოზარდებში, შეგვეფასებინა ინტერნეტის ქართველი მომხმარებლის მიერ თანამედროვე ინგლისურენოვანი ლექსიკის ცოდნა, შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების, ასევე, სლენგის გამოყენების სიხშირე.

როგორც ნაშრომიდან კარგად ჩანს, ძირითადი ყურადღება მივმართეთ ინგლისური ენის ლექსიკის ცვლილებების კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ ასპექტებისადმი. ასევე დავაფიქსირეთ საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მასშტაბური ცვლილებები. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილება არის უზარმაზარი რაოდენობის ახალი სიტყვების გამოჩენა, მათი წარმოება, ბევრი სიტყვისა და მათი მნიშვნელობის გაუჩინარება-გაქრობა, რაც ნათლად აისახა ლექსიკონებსა თუ სხვა ლინგვისტურ ლიტერატურაში.

აშკარაა, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები არა შინაგანი, არამედ გარეგანი ფაქტორები - სოციალური ცვლილებები, ინგლისურ თუ სხვა ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებია.

ნაშრომში მიზნად დასახული გვექონდა ახალი ლექსიკის ყველა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის შეძლებისდაგვარად დეტალური აღწერა, ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა. ლექსიკის სოციო-პრაგმატიკულ ასპექტებად, უპირველეს ყოვლისა, მივიჩნიეთ მისი გამოყენების ის თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა სოციალურ სტატუსთან, კომუნიკაციური აქტების რეალურ პირობებთან და მათ

ზემოქმედებასთან მსმენელზე. ამის გამო ლექსიკის აღწერის პროცესში აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით ხორციელდება მისი ქმნადობა, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენება იგი და რა მიზნისათვის. შესაბამისად, დაგვიჭირდა მოძიებული მასალის, შეძლებისდაგვარად, დამოწმება ემპირიულად.

I თავი თეორიულია, სიტყვაწარმოება განხილულია ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სფეროდ, რომელიც შეისწავლის სიტყვების წარმოების პროცესებს, ხერხებს, ტიპებსა და წესებს, მათ პროდუქტიულობას, აქტიურობასა და სიტყვაწარმოების საშუალებებისა და მოდელების გამოყენების კანონიერებას. განვიხილეთ სიტყვაწარმოების მიმართებები სხვა ლინგვისტურ დისციპლინებთან. დაწვრილებით განვიხილეთ სიტყვაწარმოების მორფოლოგიური, ფონეტიკურ-მორფოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და სემანტიკური ტიპები. განვმარტეთ შემოკლებასთან დაკავშირებული უამრავი ტერმინი, ვისაუბრეთ სხვადასხვა ტიპის შემოკლების ეტიმოლოგიასა და მათი წარმოშობის მიზეზებზე, შემოკლების განვითარების ეტაპებზე. ჩვენი ყურადღების სფეროში ხვდება შემოკლების ორთოგრაფიაც. პირველი თავის განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნით იქმნება ახალი სიტყვები ენაში არსებული გარკვეული მოდელების გამოყენებით, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ენასა და მეტყველებასთან, ენის ლექსიკურ მარაგთან, ისინი დავყავით:

- ა) უზუალურ სიტყვებად, რომლებიც მყარად შევიდნენ რეგისტრირებულ ლექსიკონებსა და ენის ლექსიკურ მარაგში;
- ბ) ოკაზიონალურ სიტყვებად, რომლებიც საუბრის მომენტში იქმნება;
- გ) პოტენციურ სიტყვებად, რომლებიც მოსაუბრისა თუ მთქმელის მიერ არის წარმოებული პროდუქტიული მოდელების გამოყენებით, გარკვეული სემანტიკური მოტივირების ელემენტების კანონზომიერი შეთანხმებით.

სიტყვაწარმოების საშუალებებიდან ზოგი პროდუქტიულია, ზოგი - არა. თანამედროვე ინგლისურ ენაში ახალი სიტყვების საწარმოებლად ეფექტურ საშუალებად ითვლება აფიქსაცია კონვერსია და კომპოზიცია. სხვა საშუალებებს მიეკუთვნება უკუდერივაცია და შემოკლება. აბრევიაცია მეორადი ნომინაციის მქონე ლექსიკური ერთეულების შექმნის ისეთი პროცესია, რომელიც მდგომარეობს მოტივაციის წყაროს ნებისმიერი ნაწილის მოკვეცაში, რის

შედგებადაც წარმოიქმნება ისეთი სიტყვა, რომელიც თავისი ფორმით ემთხვევა ამოსავალი ერთეულის რომელიმე ნაწილს ან ნაწილებს.

შემოკლებასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოკლებული სიტყვების წარმოშობა დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ძვრებთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორცაა ომები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მსხვილი სოციალური ძვრები, კომპიუტერიზაცია, ინფორმაციის წყაროს ზრდა და მისი გადაცემის აუცილებლობა, დროისა და ადგილის მინიმალური დახარჯვა (ექსტრალინგვისტური ფაქტორები); ენობრივი ეკონომიისაკენ სწრაფვის ტენდენცია, ინგლისური ენის მონოსილაბიზმისკენ ლტოლვა (ლინგვისტური ფაქტორები). და მაინც, აბრევიაციის, როგორც სიტყვაწარმოების საშუალებად გადაქცევა XX საუკუნის 40-50 -იან წლებს უკავშირდება. აღნიშნული მოვლენის აღმავლობაზე გავლენა მოახდინა ენის განვითარების როგორც შინაგანმა, ისე გარეგნულმა ფაქტორებმა.

აბრევიაციის პროცესი დავყავით შემდეგ ეტაპებად:

- ა) I ეტაპი - გრაფიკული, ინიციალური შემოკლების სისტემის გამოყენება XVIII საუკუნემდე;
- ბ) II ეტაპი - გრაფიკული, წერტილოვანი შემოკლების გამოყენება 200 წლის განმავლობაში სტამბის დაარსებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე;
- გ) III ეტაპი - ლექსიკურ-აბრევიატურული სიტყვაწარმოების სისტემის გამოყენება დღემდე.

ამ თავის ბოლოსვე მოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის დროს ვეყრდნობოდით ბოლო დროს დაბეჭდილ ლექსიკონებს. აღწერილია შემოკლებული ერთეულების წარმოების სტატისტიკური ანალიზი და მათი ლექსიკონებში დარეგისტრირების სიხშირე, რაც კვლევის დროს დაგვეხმარა იმის დასადგენად, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს და რა წვლილი შეაქვს შემოკლების თითოეულ ტიპს თანამედროვე ინგლისური ენის განვითარებაში.

მოცემული მასალების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ შემოკლებას, მისი წარმოშობის დასაწყისიდან დღემდე არ შეუცვლია წარმოების ბაზა, განსხვავებულია მხოლოდ განვითარების ესა თუ ის ეტაპი და ფუნქციონირების სფერო.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსიკალიზაციას წარმოთქმის დროს ორგვარი გამოვლინება აქვს:

ა) ისტორიული, როდესაც ენაში გრაფიკული შემოკლებების წარმოება ხდებოდა;

ბ) თანამედროვე, როდესაც აბრევიატურების შემქმნელებმა უკვე იციან, თუ რა სურთ და აწარმოებენ პირდაპირ აბრევიატურულ სიტყვას, კითხულობენ მას ასო-ასო ისე, რომ მომავალში არ დასჭირდეს ხმოვანების შეცვლა თუ დახვეწა.

XX საუკუნის აბრევიაციის განვითარების ეტაპების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 50 -იანი წლებიდან გრაფიკული შემოკლებები დაიხვეწა, გამარტივდა და აღსაქმელადაც ადვილად გასაგები გახდა. ეს პროცესი სხვადასხვა ევროპულ ენაში ინგლისურის პარალელურად მიმდინარეობდა და ყოველ მათგანში თითქმის ანალოგიური მოვლენები დაფიქსირდა.

II თავი ეძღვნება შემოკლების სხვადასხვა ტიპის კომპლექსურ შესწავლას ჩვენს მიერ მოძიებული მასალის ანალიზის საფუძველზე. გამოვყავით შემოკლების ტიპების სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი, შეძლებისდაგვარად განვიხილეთ და შევაფასეთ თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესში. ასევე, დავასკვნით, რომ:

აბრევიაციის დროს წარმოიქმნება ისეთები ერთეულები, რომლებიც სტრუქტურულად განსხვავდებიან ძირეული ერთეულებისაგან. გამოიყოფა აბრევიაციის სამი ხერხი: ა) მორფემული (doc < doctor), ბ) ინიციალური – E < Ecstasy, და გ) კომბინირებული აბრევიაცია - Univac < Universal automatic computer.

ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა აბრევიაციის სპეციფიკისა და ადგილის შესწავლა თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოების სისტემაში, მათი ე.წ. „კანონიერების“ დადგენა. ვასკვნით, რომ

1. აუცილებელია აბრევიატურებისათვის ენის საერთო სიტყვაწარმოების სისტემაში ადგილის მიჩენა, როგორც სიტყვაწარმოების ხერხისა სხვა ნომინაციებს შორის. მივიჩნევთ, რომ აბრევიაციამ, როგორც სიტყვათა ახალმა ტიპმა, განავითარა ენის ლექსიკური სისტემა და არა პირიქით, ანუ მას არ გაუერთულებია ენის სტრუქტურა, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული;
2. მიმოვიხილეთ ყველა ტიპის აკრონიმი, რომლებსაც კვლევის დროს ვხვდებით და მათი განხილვა ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალეთ.

დავადგინეთ, რომ აშკარაა აკრონიმების წინასწარგანსაზღვრული და მოდელირებული დამახასიათებელი ნიშნები, ამოსავალი სიტყვათშეთანხმებების გამოყენება მათ საწარმოებლად მრავალნაირად შეიძლება;

3. როგორც გაანალიზებული მასალა ადასტურებს, აკრონიმებს შორის სხვებზე გაცილებით აქტიურია ის მოდელი, რომელიც შედგება სიტყვების პირველი ასოების ან მარცვლებისაგან (მაგ: Ikbs < Intelligent knowledge based system) ან ერთი სიტყვის პირველი ორი მარცვლის შემოკლების კომბინაციით მეორე სიტყვის ბოლო ერთეულთან (მაგ: H-bomb, E-fit). საყურადღებოა ე.წ. ნახევრად აკრონიმების არსებობა. ეს ნახევრად სიტყვა, ნახევრად აკრონიმია, მაგ: Whanny = we have a nanny;
4. აკრონიმების ხმარების სფეროები, როგორც წესი, შეზღუდულია, რაც იმ სიტყვებით არის განპირობებული, რომლებსაც ისინი ამოკლებენ. საინტერესოა, რომ აკრონიმ-ომონიმთა მოხმარების სფეროები შეუზღუდავია. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკაშიც, რადგანაც მათ არა აქვთ ვიწრო მნიშვნელობა;

5. შემოკლების ყველა ტიპიდან, როგორც გაანალიზებული მასალის მეშვეობით შეგვიძლია დავასკვნათ, პროდუქტიულობის თვალსაზრისით ჭარბობს მოკვეცა, მასში კი, თავის მხრივ, აპოკოპე (ბოლო მარცვლის მოკვეცა), სამაგიეროდ, აფერეზისი (საწყისი მარცვლის მოკვეცა) მყარად იკიდებს ფეხს ენაში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული;

6. ბევრ სიტყვას, როგორც ანალიზმა ცხადყო, ამოკლებენ ორიგინალურობის მისაღწევად, ზოგჯერ - სხვა სიტყვების ანალოგიით. შემოკლებულ სიტყვებში ნასესხებიც ბევრია. მოკვეცილი სიტყვა ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს. ნეოლოგიზმები ხშირად შედიან ენაში მასმედიის საშუალებით ან ე.წ. "word of mouth"-ის გზით და განსაკუთრებით, თინეიჯერების მეშვეობით. ახალგაზრდები იტაცებენ და ითვისებენ მათთვის შედარებით მარტივად, უცხოვრად წარმოსათქმელ სიტყვებს;
7. შენაზარდებს შორის ტიპური აღმოჩნდა პირველი კომპონენტის ბოლო მარცვლის მოკვეცა. მაგ: Europlug < European plug; guppies < green yuppie;. მოცემულ მაგალითში პირველი ელემენტები აპოკოპიას განიცდიან. მცირერიცხოვანია მეორე კომპონენტის ბოლონაწილმოკვეცილი შენაზარდი სიტყვები. მაგ: პროპას < პროფესსიონალ პარენტს. ბოლო ათწლეულის

მანძილზე ნაკლებად ვხვდებით ისეთი ტელესკოპური სიტყვების წარმოებას, რომლებშიც ორივე ელემენტია შეკვეცილი. მათ შორის ჭარბობს პირველი კომპონენტის ბოლონაწილმოკვეცილი და მეორე ელემენტის თავსართმოკვეცილი ერთეულები. მაგ: blaxploitation < black + exploitation;

8. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე ინგლისურ ენაში საკმაოდ დიდი რაოდენობის ახალი შემოკლებული სიტყვის წარმოება განხორციელდა. ჩვენს მიერ გაანალიზებული ლექსიკონების საშუალებით შევეცადეთ, დაგვედგინა შემოკლების სხვადასხვა ტიპის რაოდენობა იმის გასარკვევად, თუ რა პროცენტული მაჩვენებელი აქვს შემოკლებულ სიტყვებს სხვა სიტყვამაწარმოებელ საშუალებებთან შედარებით;
9. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულმა მასალამ საკმაოდ განსხვავებული და მრავალფეროვანი შედეგი აჩვენა, ფაქტია, რომ ყოველწლიურად ლექსიკონებში რეგისტრირდება და ასევე ენაში შედის, ასობით ახალი წარმონაქმნი, შემოკლებული სიტყვა თუ ფრაზა, რაც უდაოდ მეტყველებს ენის განვითარებაზე.

ნაშრომის მეორე თავის ბოლოს მოცემულია ემპირიული მასალა, რომელიც დაგვეხმარა, გაგვერკვია ახალგაზრდული სლენგის, პროფესიონალიზმის, ჟარგონიზმის, ვულგარიზმის, სოციოლექტის არსებობა, ფუნქციონირება-გამოყენება განსაზღვრულ სფეროებში. შევისწავლეთ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი პრაქტიკული მასალა, რომლებიც მოიცავენ უზარმაზარი რაოდენობის სლენგს. დამატებით, განვახორციელეთ კვლევა ინდიანას უნივერსიტეტში, სადაც მოგვეძიეთ 20 ყველაზე აქტიური სიტყვა სტუდენტების მეტყველებაში. გარდა ამისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ სლენგის სემანტიკური კლასიფიკაცია ჩამოგვეყალიბებინა იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით და ვარიაციებით გამოიყენებენ ამერიკელი სტუდენტები ამა თუ იმ სფეროსათვის დამახასიათებელ ლექსიკას. შედეგმა გვიჩვენა, რომ სასმელით ან ნარკოტიკული საშუალებებით ინტოქსიკაცია თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდების ყველაზე აქტუალური თემაა, რომელსაც სულ 5 %-ით ჩამორჩება გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკა. რაც შეეხება შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას, 11,42% დაფიქსირდა, რასაც მოსდევს ერთმანეთის გასნჯის, მისალმებებისა და დამშვიდობების, სოციალური და ეთნიკური კატეგორიზაციების, დასვენების გამომხატველი თემატიკის მრავალფეროვნება. ფულთან დაკავშირებული სლენგი

მეცხრე ადგილზეა 3,80%-ით, საკვებს და ტანისამოსს მხოლოდ 2% უჭირავს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს მონაცემები მოპოვებულია 2009 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში და ისეთივე სისწრაფით იცვლება, როგორც ახალგაზრდების მეტყველება.

სხვადასხვა ენის სისტემის ფუნქციური სტილების შესწავლამ და შედარებამ საშუალება მოგვცა დაგვესვენა, რომ:

1. უარგონი, სლენგი ან სოციოლექტი არ არის ენის სხეულზე ამოსული პარაზიტული გამონაზარდი. ის ენას ვერასოდეს დაანაგვიანებს, რადგანაც ყველა სოციალური დიალექტი, ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით, არასოდეს არ არის კომუნიკაციის პირველი და ერთადერთი საშუალება;
2. ახალგაზრდული სლენგი ერთ-ერთი ფუნქციონირებადი სტილია იმათთვის, ვინც მას იყენებს;
3. სანამ სლენგი ახალგაზრდების მიერ არაოფიციალურ გარემოში გამოიყენება, ნაადრევია ენის დაბინძურებაზე საუბარი;
4. სლენგის ენაში მთავარ როლს ასრულებენ სპეციალური სიტყვები და სიტყვათშეთანხმება-მარკერები - უნივერსალური შეტყობინებები, რომლებმაც შეცვალეს გრძელი წინადადებები. გარდა ამისა, ისინი თავისთავში მოიცავენ დაფარულ კოდირებულ აზრს, ინფორმაციას, რისი ხმამაღლა თქმაც არ არის სასურველი.

ახალგაზრდული სლენგის სხვა ტიპის სლენგებისაგან განსხვავდების შემდეგ დავასკვნით, რომ ახალგაზრდული სლენგის ლექსიკონი მოიცავს გაცილებით მეტ ახალ სიტყვას, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდულ მეტყველებაში გამოიყენება ბევრი პოპულარული სიტყვა და რაც უფრო პოპულარულია ის, მით უფრო მეტი სინონიმი აქვს ენაში, თან ძირითადად - სლენგური მნიშვნელობის მქონე. გამოვყავით რამდენიმე კრიტერიუმი, რითაც შეგვიძლია გამოვარჩიოთ ახალგაზრდული სლენგი ყველა სხვა სლენგისაგან:

- ა) რეალია, რომელიც გამოხატულია სიტყვით, მხოლოდ ახალგაზრდული სლენგისთვის არის დამახასიათებელი;
- ბ) სლენგის მატარებლების მიერ სიტყვა მიღებულია, როგორც „თავისი“ ანუ სპეციფიკურია მხოლოდ ახალგაზრდობისათვის;

- გ) სიტყვა არ არის ცნობილი „მაკონტროლებელი“ ინფორმატორებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან და არ მიაკუთვნებენ თავიანთ თავს ამ ასაკის კატეგორიას;
- დ) სიტყვას აქვს გამოყენების საკმაო სიხშირე მოცემულ სფეროში ადამიანთა სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით;
- ე) სიტყვამ ამ გარემოში მიიღო განსაკუთრებული სემანტიკური ან საკომუნიკაციო ელფერი.

ნაშრომის მესამე თავის პირველ ნაწილში გამოყვავით სფეროები, რომლებშიც ფეხი აქვს მოკიდებული შემოკლებას ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ესენია სატელეგრაფო, სამხედრო, პოლიტიკური, კომპიუტერული, საგაზეთო, მედიისა და მეცნიერების სხვა სფეროებში აქტიურად გამოყენებადი შემოკლებული სიტყვები და ერთეულები. უნდა აღინიშნოს, რომ შემოკლებების გამოყენების სფერო კვლევის თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად არ არის განსაზღვრული, რაც ადრე მათ შემადგენლობაში შემავალი ერთეულების მნიშვნელობით იყო განპირობებული.

კომპიუტერული ენის ლექსიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერების ეს სფერო მოიცავს აბრევიატურების ყველაზე დიდ რაოდენობას. უმეტესწილად, შემოკლებულ ერთეულებს ვხვდებით ისეთ კომპიუტერულ ენებში, როგორებიცაა: Hardware, Operating Systems, Editors and Shells და Programming Languages, რაც აიხსნება ამ ენების ლექსიკის სპეციფიკურობით.

სხვადასხვა სფეროში არსებულ შემოკლებებს ბოლომდე ვერ მიაკუთვნებთ ვერც სალიტერატუროს, ვერც არასალიტერატურო ლექსიკას. მათ უბრალოდ განვიხილავთ, როგორც მოვლენას, რომელსაც თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ამ სიტყვების უმეტესობა, როგორც ვიცით, გამოირჩევა სასაუბრო-სადაპარაკო, ხშირად უხეში ფამილარული ელფერით, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სხვადასხვა სფეროში არსებული შემოკლებების დიდი რაოდენობა პროფესიული ტერმინებიდან ნაწარმოები სიტყვებია.

სადისერტაციო თემის ბოლო კომპონენტად მოცემულია ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლის შედეგები ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში. ვაწარმოეთ კვლევა და შემდეგ შეფასება ქართველი ნეტიზენების ანუ კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველების თავისებურებების გარკვევის მიზნით. ნაშრომში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით

განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. ასევე მიზნად დავისახეთ, შემოკლებული ერთეულების მიერ ინგლისური კიბერმეტყველების (cyberspeak) ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადასხვა გზებისა და საშუალებების შესწავლა-შეფასების განხორციელება, მათი პროდუქტიულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ინგლისური ენის ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში.

ქართულ კიბერსივრცეში გარემოში განხორციელებული კვლევის შედეგად, რომელიც ორიენტირებული იყო ინგლისურენოვანი შემოკლებული სიტყვებით კომუნიკაციის შესწავლა-შეფასებაზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. პირველ რიგში, უნდა მოვახდინოთ დიფერენცირება, რომ არსებობს არავერბალური მეტყველების ალტერნატიული საშუალებები, როგორცაა ე.წ. ხატულები და ემოციები. ასევე საკმაოდ აქტიურია შემოკლებული წერის სისტემა, რაც მოიცავს აბრევიატურებს, აკრონიმებს, მოკვეცილ და შენაზარდ სიტყვებს. ბუნებრივია, ჩვენთვის არ იყო რთული აღმოგვეჩინა, რომ კომუნიკაციის ეს სფერო მოიცავს ყველაზე დიდი რაოდენობის აბრევიატურებს, რაც დასტურდება ჩვენს ხელთ არსებული კომპიუტერული მეტყველების (CMC) თითოეული საკვლევი მასალით და კომუნიკაციის საშუალებებით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, SKYPE, ICQ, Messenger და სხვა. საინტერესოა, რომ ქართველი ნეტიზენების კომუნიკაციაში აღმოვაჩინეთ ინგლისურენოვანი შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების კრეატიული ფორმები. მოზარდების კომუნიკაცია გამოირჩევა სპონტანურობით, გაჯერებულია აბრევიატურებით, სიმბოლოებით და შემოკლებული გამონათქვამებით, რათა ზუსტად იყოს გამოხატული მთქმელის მიერ გადმოცემული შეგრძნება, ემოცია თუ სახის გამომეტყველება.
2. კვლევის შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერნეტის ქართული მოქალაქეების მიერ ცნობადია არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული კიბერ-შემოკლებები, არამედ სპეციალური პროგრამების, სხვადასხვა ფორმატის მქონე დოკუმენტისა და გამოსახულების აბრევიატურული დასახელება და მათი მნიშვნელობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კომპიუტერი და ინტერნეტ-კომუნიკაცია მათი ცხოვრების განუყოფელი

ნაწილია. ნეტიზენები ერკვევიან ყოველგვარ სიახლეში, რაც დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარება-განახლებასთან. ბუნებრივია, ინტერნეტის მოქალაქეებში ელვის სისწრაფით ვრცელდება ყოველგვარი სიახლე და რადგანაც მოზარდები კომუნიკაციის ამ ფორმით პერმანენტულად სარგებლობენ, ისინი გარკვეულები არიან ყოველგვარ სიახლეში, რასაც მათ გარკვეული საიტების ადმინისტრატორები სთავაზობენ. საინტერესოა ისიც, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი ამ საზოგადოებაში ღრმად არ არის ჩახედული და ვერ ერკვევა გარკვეული საკითხებით, ინტერნეტ-საზოგადოების წევრები მზად არიან, გზა გაუკვალონ კომუნის ახალ წევრს;

3. საინტერესო იყო თვალყურის დევნება იმისათვის, რომ კომუნიკაციის ეფექტურობისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტ-საზოგადოების წევრები აქტიურად იყენებენ ენის რესურსებს, რაც კომუნიკაციის მონაწილეებისაგან მოითხოვს ინგლისური ენის სრულყოფილად თუ არა, კარგ ცოდნას;
4. განხორციელებულმა კვლევამ მოგვცა საშუალება შეგვექმნა სტატისტიკური მონაცემები და განგვესაზღვრა საქართველოში არსებული კომპიუტერის მომხმარებლების ასაკის პროცენტული მაჩვენებელი. 15-დან 24 წლამდე ასაკის ქართველმა მომხმარებელმა შეადგინა საერთო რაოდენობის (სულ 240 მონაწილე) 60%, 25-34 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებლები – 25%, ხოლო დარჩენილი 15% - არის ყველა დანარჩენი ასაკის ინტერნეტ მომხმარებელი.

საინტერესოა, რომ შემოკლების ოთხივე ტიპი საკმაოდ აქტიურად, პროდუქტიულად და კრეატიულად გამოიყენება ინტერნეტ საზოგადოების წევრებს შორის, რომელთა კომუნიკაციას სლენგის სტატუსი შეიძლება მივანიჭოთ. არც ის იქნება გასაკვირი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ის სიტყვები, რომლებსაც კვლევის თანამედროვე ეტაპზე ენის ახალ ერთეულებს, გუწოდებთ, ისეთივე მისაღები და ჩვეულებრივი სიტყვები იქნება სალიტერატურო ენისათვის, როგორც ვთქვათ, მეტყველება, კომუნიკაცია, სიტყვაწარმოება და სხვა მრავალი. თუმცა ყოველივე ამის გარკვევა, ანალიზი და შეფასება სამომავლო კვლევის საგანია.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ინგლისური ენა საოცარი სისწავით ვითარდება, გამუდმებით ხორციელდება ახალი სიტყვების, წარმონაქმნების, ე.წ. newspeak, coined words-ების წარმოება, როგორც ნაშრომში არაერთხელ განვიხილეთ, აბრევიაციის, მოკვეცის, აკრონიმიის, შეზრდის, გამიზნული გართმვის, ხმოვანთა მონაცვლეობის, სიტყვების კომბინირების ან სიტყვებზე ახალი უნიკალური სუფიქსების დართვის საშუალებით. მსგავს წარმონაქმნებს ენა ხშირად ითვისებს და მის შემადგენელ ნაწილად აქცევს, ზოგჯერ კი სრულიად გადიან ხმარებიდან. ნეოლოგიზმების ენის შემადგენელ ნაწილად ქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისმიერი აღიარება, ლინგვისტ-ექსპერტების მიერ მიღება და ლექსიკონებში მოხვედრა. ახალი სიტყვით აღნიშნული მოვლენა თუ რეალია ენის მოცემულ ეტაპზე შესაძლოა, იყოს თანამედროვე, აქტუალური და საინტერესო.

ბიბლიოგრაფია:

- ადამსი :1973 Adams V. - An introduction to modern English Wordformation, London, 1973
- ადამსი : 2001 Adams V. - Complex Words in English. Harlow: Pearson /Longman, 2001
- ალენი :1971 Allen W. - A history of Georgian People, 1971
- ალექსეევი :1962 Алексеев Д.И.-Стилистические особенности буквенных аббревиатур и слово-сокращенных слов. 1962
- ალჯეო :1977 Algeo J. - Blends, a structural and systemic view, 1977
- ალჯეო :1992 Algeo J. and A. - Among the New Words, 1992
- ანტრუშინა :1999 Антрушина Г.Б., Афаннасьева О.В., Морозова Н.Н. - Лексикология английского языка, 1999
- არნოლდი :1986 Арнольд И.В., The English Word, 1986
- ახმანოვა :1957 Ахманова О.С. - Очерки по истории русской лексикологии, 1957
- ბაბაკაევი :1980 Бабакаев В.Д. - Очерки морфологической структуры ассамского языка, 1980
- ბარანიკოვი :1972 Баранников - Проблемы хинди, как национального языка, 1972
- ბაუერი :1983 Bauer L. - English word-formation, Cambridge, London, New-York, 1983
- ბაუმი :1995 Baum S.V. - From 'AWOL' to 'WEEP': the Growth and Specialization of the Acronym: American Speech, XXX, 1995
- ბელიაევა :1974 Беляева Т.М. Словообразовательная валентность глагольных основ в английском языке. М., 1974
- ბოგოროდიцкий :1959 Богородицкий В.А. - Очерки по языковедению и русскому языку, 1959
- ბორისოვა-ლუკაშეპეცი :1982

- Борисова-Лукашапец Е. Г.- Лексические заимствования и их нормативная оценка, 1982
- ბორისოვი :1972 Борисов В.В. - Аббревиация и акронимия. Военные и научно-технические сокращения в иностранных языках, М., Воен-издат, 1972
- ბორტნიჩუკი :1988 Бортничук Е.Н., Василенко И.В, .Пастушенко Л.П - Словообразование в современном Английском языке, 1988
- ცარევი 1984 Царев П.В. - Продуктивное именное словообразование в современном английском языке, 1984
- ჩუკოვსკი :1974 Чуковский К. -Живой как жизнь.1974
- ეიტო :1999 Ayto J. – Twentieth Century Words, OUP. 1999
- ელდიშევი :1985 Елдышев А.Н.- Структура и мотивирование сокращенных слов, автореферат. 1985
- ფილინი :1970 Филин Ф.П. - О некоторых филологических вопросах языкознания, 1970
- ფონსუა :1974 ფონსუა ბ. - ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974
- გაკი :1983 Гак В.Г. Новые слова и словари новых слов. -Л.: Наука, 1983
- გამყრელიძე :2003 გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. - თეორიული ენათმეცნიერების კურსი, 2003
- გატიატულინა :1984 Гатиатулина З.З. - сравнительная типология словообразовательных систем английского и татарского языков, Казань, ГПИ, 1984
- გიაჩი :1972 Гяч Н.В. - Вопросы лексической аббревиаций (канд.дисс.),1972
- გინზბურგი :1979 Ginzburg R.S., Khidekel S.S., Knyazeva G.Y., Sankin A.A. - A Course in Modern English Lexicology, M. Vishaya Shkola, 1979
- გონაძე :1981 გონაძე გ., ძაგნიძე ძ.- შემოკლებული ჩაწერის სისტემა, 1981

- გოუენი :1991 Gowen A. and Piccoli S. - A Generation Lost in Time Rebellion? Twenty Something Find it Too Much Trouble, Washington Times, October 15, 1991
- ჰაკენი :1998 Hacken Ten Pius - Word Formation and the Validation of Lexical Resources, 1998
- ჰაკენი :1998 Hacken Ten Pius - Word Formation in Electronic Dictionaries, 1998
- ჰიუჯი :1991 Hughes G. Swearing : A social history of foul language, oaths and profanity in English / G. Hughes. - Oxford, 1991
- ივანოვი :1984 Иванов А.Н. Английская неология. Сб. науч. тр. МГПИИЯ, 1984
- ჯავახიშვილი :1951 ჯავახიშვილი ივ. - ქართული ენის ისტორია, 1951
- ჟლუტენკო :1983 Жлутенко Ю.А.- Английские неологизмы , Киев, 1983
- ჯოისი :1939 Joyce J. - Finnegan's Wake, 1939
- თურნერი : 2003 Thurner D. - Portmanteau Dictionary: Blend words in the English Language, Including Trademarks and Brand Names, 2003
- კარაშუკი :1983 Каращук П.М. - Словообразование и его место в курсе обучения иностранному языку, 1983
- კარკლინა :1990 Карклина. А.Д. - Употребление сокращенных слов в устной речи (канд. дисс.), 1990
- კელი :1998 Kelly M. H. - To “brunch” or to “brench”: some aspects of blend structure, 1998
- კეროლი :1994 Carroll L. - Through the Looking Glass, 1994
- კეროლი :1995 Carroll L. - Alice in Wonderland, London, 1995
- კომლევ :1969 Комлев Н.Г. - Компоненты содержа-тельной структуры слова, 1969
- კუბრიაკოვა :1965 Кубрякова Е.С. - Что такое словообразование, М. 1965

- კუბრიაკოვა :1975 Кубрякова Е.С. - К определению аффикса,1975
- კუბრიაკოვა :1988 Кубрякова Е.С. Роль словообразования в формировании языковой картины мира. М. 1988
- ლევკოვსკაია :1956 Левковская К. - Лексикология немецкого языка, 1956
- მაჩაიძე :2002 მაჩაიძე ნ. - დაკვირვებანი ახალ სიტყვათა წარმოებაზე - საენათმეცნიერო ძიებანი, XII, 2002
- მაკარტური :1972 McArthur - Building English Words, London, Glasgow, 1972
- მაკფედრისი :2003 McFedries P. - Word Spy: The Word Lover's Guide to Modern Culture, 2003
- მარშანდი :1960 Marchand H.- The Categories and Types of Present-Day English Word Formation, Wiesbaden, 1960
- მარშანდი :1969 Marchand H.- The Categories and Types of Present-Day English Word Formation, Munchen, 1969
- მასლოვა-ლაშანსკაია :1975 Маслова-Лашанская С.С. - Лексикология шведского языка, 1975
- მაურერი :1982 Maurer D.W., High F.C. New Words - Where do they come from and where do they go. American Speech., 1982
- მეშკოვი :1976 Мешков О.Д. Словообразование современного английского языка.М. 1976
- მოგილევსკი :1987 Могилевский Р.И. - Аббревиация, как лингвистическое явление (канд. дисс.), 1987
- მოგილევსკი :1988 Могилевский Р.И. - Очерки аббревиаций в славянских языках, 1988
- მონსონი :1958 Monson S. - Word-building, New York, 1958
- ნიდა :1946 Nida E. - Morphology: The Descriptive Analysis of Words, Michigan, 1946

- ორუელი :1949 Orwell G. – "Nineteen Eighty-four", 1949
- პატრიჯი :1979 Patridge E. - Slang To-day and Yesterday. Lnd., 1979
- პაუნდი :1914 Pound L. - Blends: their relation to English word formation, Heidelberg: Carl Winter's University, 1914
- პოპოვი :1996 Попов Р.Н. - Новые слова и словосочетания в языке современной прессы, 1996
- პოტერი :1969 Potter S. Changing English, London, 1969
- ქენონი :1986 Canon G. - Blends in English Word-formation, 1986
- ქენონი :1986 Canon G. Historical Changes and English Wordformation: New Vocabulary items. N.Y., 1986
- ღამბაშიძე :1970 ღამბაშიძე რ. - ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში (84-ე სამეცნიერო სესია), 1970
- რეტუნსკაია :1964 Ретунская М.С. - английские окказиональные словообразования (канд. дисс.), 1964
- შანსკი :1968 Шанский Н.М. - Очерки по русскому словообразованию, 1968
- შერბა :1974 Щерба Л.В. - Языковая система и речевая деятельность, 1974
- შევჩენკო :1979 Шевченко М.И. - Стилистические функции аббревиатурных производных в современном русском языке, 1979
- სმირნიცკი :1956 Смирницкий А.И.- Значение Слова, 1956
- სმირნიცკი :1976 Смирницкий Л. И. - Лексикология английского языка, 1976
- სპირსი :1993 Spears R. A. - Slang and Euphemism, NTC, 1993
- სტეპანოვა :1984 Степанова М.Д., Щляйхер В - Теоритические основы словообразованмя в немецком языке, 1984
- სუხანოვი :1995 Soukhanov A. H. - Word Watch: The Stories Behind the Words of Our Lives, Henry Holt and Co, 1995

- სუზანი :1970 Susan J. - The Love Machine, London, 1970
- ტიმოშენკო :1976 Тимошенко Т.Р. - Телескопия в словообразовательной системе современного английского языка. Киев.1976
- ულუხანოვი :1992 Улуханов И.С. - Смысл и значение в словообразовании, 1992
- ვალისი :1949 Vallins. G.N. - The Making and Meaning of Words, London, 1949
- ვინოგრადოვი :1959 Виноградов В.В. - Вопросы современного русского словообразования, 1959
- ვინოგრადოვი :1977 Виноградов В. В. Лексикология и лексикография. Избранные труды. М. 1977
- ვოლკოვი :1983 Волков С.С., Селько Е.В. Неологизмы и внутренние стимулы языкового развития // Новые слова и словари новых слов. -Л. Наука ЛО, 1983.
- ვოლოშინი :1966 Волошин Е.П. - Аббревиация в лексической системе английского языка (канд. дисс.), 1966
- ხარიტონჩიკი :1992 Харитончик В.А. - Лексикология Английского Языка.§4, 1992
- ხვედელიძე :2005 ხვედელიძე ც. - ლინგვისტური პრაგმატიკა, 2005
- ზაბოტკინა :1989 Заботкина В.И. Новая лексика современного английского языка.М., 1989
- Земская :1973 Земская Е.А. Современный русский язык. Словообразование. – М.: просвещение, 1973
- Земская :1992 Земская Е.А. Словообразование как деятельность. / Под ред. Российской академии Наук. – М.: Наука, 1992.
- ზიპფი :1935 Zipf G.K. - The psycho-biology of language: An introduction to dynamic philology. Boston: Houghton-Mifflin, 1935
- ზიპფი :1949 Zipf G.K. - Human Behaviour and Principle of the Least Effort, Cambridge, 1949
- ზორცი :1993 Zorc, R. David and Rachel San Miguel, Tagalog Slang Dictionary. Manila: De La Salle University, 1993.

გაზეთები:

თაიმი :1970	Time, July 20, 1970
ჰაკერი :2003	Хакер № 5,6,7 -2003
ნიუსდეი :1985	Newsday, April 7, 1985
ნიუსვიკი :1992	Newsweek, March 9, 1992
ბალტიმორი :1989	Baltimore Evening Sun, June 7,1989
ჩანაწერები :1943	American Notes and Queries, February, 1943

ენციკლოპედია, ლექსიკონი:

აბრევიაციები :1997	Defense and Intelligence Abbreviations and Acronyms, 1997
ადამსი :2001	Adams V. - Complex Words in English. Harlow: Pearson/Longman, 2001
ბარნჰარტი : 1973	Barnhart C.L., Steinmeitz S., Barnhart R.K. - A Dictionary of new English. 1963-1972, London, 1973
ბარნჰარტი :1990	Third Barnhart Dictionary of New English. 1990
ბერგი :1953	Berg P. - Dictionary of New Words, London, 1953
ბლუმსბერი : 1996	Bloomsbury Dictionary of New Words. M. 1996
ბლუშტეინი :1964	Блушштейн В.О. - Словарь сокращений английского, немецкого, голландского и скандинавских языков, 1964
ჩამბერსი :1988	Chambers English Dictionary, 1988
ჩეპმენი : 1996	Chapman R. L. - The New Dictionary of American Slang, HarperCollins, 1996
დიქსონი :1999	Dickson P. - The Authoritative Topic-by-topic Dictionary of American Lingoes From All walks of Life, 1999
ეიტო :1990	Ayto J. - The Longman Register of New Words. Русский язык. Москва, 1990
ეიტო :2003	Ayto J. - The Oxford Dictionary of Slang, OUP, 2003

ეიგო :2006	Ayto J. - Word origins: The hidden histories of English words from A to Z, 2006, 2-nd edition
გაბესკირია :1983	გაბესკირია ც. - ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი, 1983
გრინი :1986	Green J. The slang thesaurus / J. Green. - London, 1986
გრინი :1994	Green J. New Words, Bloomsbury Publishing Ltd. 1994
ჰადსონი :1983	Hudson K. A dictionary of the teenage revolution and its aftermath / K. Hudson. - London, 1983. – XXIII
ჰომერი :1989	Homer J. - Jargon, 1989
ჰორნბი :1974	Hornby - The Advanced Learner's Dictionary of Current English. Lnd. 1974
კოლინზი :1986	Collins Dictionary, 2d ed., 1986
კოლინზი :1988	Collins Concise Dictionary, 2d ed., 1988
ლემაი :1989	LeMay H., Lerner S. and Taylor M. - The Facts on File Dictionary of New Words, 1989
ლევინი :1988	Lewin E., Lewin A.E. The thesaurus of slang – New York; Oxford 1988. – XII
ლონგმანი :1986	Longman - Dictionary of New Words, 1986
ოქსფორდი :1964	The Concise Oxford Dictionary of Current English. Oxford, 1964
ოქსფორდი: 1989	Oxford English Dictionary, 2d ed., 1989.
პაქსტონი :1990	Paxton J. - Dictionary of Abbreviations, 1990
რეიფერი :1955	Reifer M. - A Dictionary of New Words, New York, 1955
სამხედრო :2001	English- Georgian Dictionary of Military Terms, 2001

სიმპსონი :2005	Simpson J., Simpson J. A, Ayto John - The Oxford Dictionary of Modern Slang, 2005
სლენგი :1994	21st century Dictionary of Slang. N.Y. 1994
სლენგი :1998	Dictionary of American Slangs, 1998
სპირსი :2001	Spears R. A. - NTC's Dictionary of American Slang and Colloquial Expressions 2001
ტეილორი :1970	Taylor, Partridge, Steen- Abbreviations, Initialisms and Acronyms Dictionary, 1970
თომასი :1980	Thomas - Dictionary of Acronyms and Initialisms, 1980
ტროფიმოვა :1993	Трофимова З.С. - Dictionary of New Words and New Meanings. Изд. «Павлин», 1993
თურნერი :2003	Turner D. - Portmanteau Dictionary: Blend words in the English Language, Including Trademarks and Brand Names, 2003
ვებსტერი :1961	Webster's Third New International Dictionary, 1961
ვებსტერი :1978	Webster's New World Dictionary of American English. N.Y. 1978
ვებსტერი :1983	Webster's Ninth New Collegiate Dictionary, 1983
ვებსტერი :1988	Webster's New World Dictionary, 3d College ed., 1988
ვებსტერი :1991	Random House Webster's College Dictionary, 1991
ვებსტერი :1998	Webster's New World Dictionary of Computer Terms, 1998
უეინგარტენი :1954	Weingarten A. - An American Dictionary of Slang, 1954
ზვიადაძე : 1989	Zviadadze G. - Slang And Colloquial Idioms in American Prose, 20-th Century, 1989

ინტერნეტ რესურსი:

1. <http://www.obairlann.net/-reaper/filters/source/newspeak>
2. <http://a4esl.org/q/h/nr/abbr-dictionary.html>

3. <http://acronyms.thefreedictionary.com/>
4. <http://en.wikipedia.org/wiki/Internet>
5. http://en.wikipedia.org/wiki/List_of_classical_abbreviations
6. <http://greg.org/2003/12/>
7. <http://soft.softoogle.com/ap/icq-build-download-299.shtml>
8. <http://thinkzone.wlonk.com/WordFun/PortWords.htm>
9. <http://wordsmith.org/awad/>
10. <http://www.abbreviations.com/>
11. <http://www.academicpress.com>
12. <http://www.acronymfinder.com/>
13. <http://www.all-acronyms.com>
14. <http://www.amazon.com/exec/obidos/search-handle-url>
15. <http://www.answers.com/topic/acronym>
16. <http://www.barnesandnoble.com>
17. <http://www.chass.utoronto.ca/~cpercy/courses/HELEncyclopedia.htm>
18. <http://www.chass.utoronto.ca/oed/>
19. <http://www.dfas.mil/library/acronyms.htm>
20. <http://www.dia.mil/publicaffairs/Foia/abbrevacron.pdf>
21. <http://www.dictionary.reference.com>
22. <http://www.en.wikipedia.org/wiki/Newspeak>
23. http://www.engnetbase.com/ejournals/books/book_summary/summary.asp?id=5603
24. <http://www.fec.gov/pubrec/pacronyms/pacronyms.shtml>
25. <http://www.hcs.harvard.edu>
26. <http://www.lang.nagoya-u.ac.jp/~matsuoka/AmeLit.html>
27. <http://www.language@internet.com>
28. <http://www.LewisCarroll.org/carroll.html>
29. http://www.lexis-nexis.co.uk/lne/hlppsrch_Tips.en.html
30. <http://www.lib.berkeley.edu/EART/abbrev.html>
31. <http://www.lib.colostate.edu>
32. <http://www.lib.law.washington.edu/cilp/abbrev.html>
33. <http://www.library.utoronto.ca/index.html>
34. <http://www.macmillandictionary.com>
35. <http://www.medilexicon.com/>
36. <http://www.MED-magazine-contributors.html>
37. <http://www.msu.edu/user/patter90/syllabus.htm>
38. <http://www.netcharles.com/orwell/books/1984-Appendix.htm>
39. <http://www.netlingo.com>
40. <http://www.newspeakdictionary.com/index-man.html>
41. http://www.newyorker.com/archive/2003/05/12/030512ta_talk_cassidy
42. <http://www.oberlin.edu/library/>
43. <http://www.orwelltoday.com/zionisminamer/shtml>
44. <http://www.oup-usa.org/>
45. <http://www.sas.upenn.edu/~kellym/blend.html>
46. <http://www.searchbox.hyperdictionary.com>

- 47. <http://www.seasite.nia.edu/tagalog/howSlangwords.html>
- 48. <http://www.shell.dimensional.com/bgrumbin/tangible.html>
- 49. <http://www.ucc.ie/info/net/acronyms/acro.html>
- 50. <http://www.wordspy.com>
- 51. <http://www.worldwidewords.org/articles/cyber.html>
- 52. www.languageatinternet.de/articles/2006/365
- 53. www.netlingo.com/lookup.cfm?term=texting
- 54. www.teachingideas.co.uk/science/orderingplanets.htm

დანართი

კვლევის დროს საკმაოდ დიდი რაოდენობით ახლადწარმონაქმნი შეგვხვდა, რომელთა სრულად გამოყენება და განხილვა, ბუნებრივია, ვერ შეეძლო. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ის Portords < Portmanteau Words და სხვა ახლადწარმონაქმნები, რომლებიც საინტერესოდ ჩავთვალეთ და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დანართში გამოყენება თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოების ყველაზე აქტიური პროცესების საილუსტრაციოდ.

Automagically	Very clever or obscured automation.
backgetterbacker	a backstabber who others seek revenge, most common with bullies. The first Back is part of backstabber. The GetterBacker is also a mix between word as in get her back a backgetterbacker
badult	a baby adult
banjiano or pianjo	An instrument that's a cross between a banjo and a piano
Banoffee	Combining banana and toffee to make delicious Banoffee pie
bho	this is the rock group beatles and who

compucalunny	Combines "computer" with "calunny" to mean 'slander by internet'.
compulease	a computer you lease. jeb©
compuplease	a computer you talk to thus preventing a crash jeb©
conegoceitical	an adjective, being egotistal and conceited
confuzzled	confused and puzzled
coopetition	cooperating with your competitor in order to improve your own position.
cotato	couch potato
crapelle	The Pudding "apple crumble" mixed together!!
Craption	A crappy contraption!
crilly	blend of silly and crazy
crocogator	An animal which is part crocodile and part alligator
crumbage	the detritis left over from cookies
Desmond	Some weird guy form D-ville GA
dovrob	cross between a dove and a robin
dramastically	combination of drastic and dramatically
DRYVITA	Ther is crispbread in England called Ryvita. and it's dry.
dynastertormentor	Combines "dynasty" with "stertorous" and "tormentor" to mean a line of royalty renown for disturbing others with their horrible snoring.
extraspecial	very special
fabtastic	fubulous and fantastic
fantabulous	multiple words smashed together
Fantabulous	Fantastic and fabulous.

Fantasgreat	Its better than fantastic, and loads better than great. It's a word Will Ferrel used.
Fastard!	exclamative combined from "faster" and "Bastard" it is something you yell in an insulting manner at the victor of a foot-race.
feliz	to be happy or festive
femanly	To be both feminine and manly at the same time.
femory	faux + memory
flagel	A flat bagel
flarm	arm flab
floggy	a combination a flaky and soggy
fluctuweight	The tendency to constantly diet to lose weight and then put it back on repeatedly.
Foolture	Blind religious faith caused by the spiritually lethal combination of rapture and desire to know the unknowable.
fricken	fried chicken
fricken	fried chicken
Fripple	Freezing Nipple
Frish	A fish and frog put together and you get frish. It has legs and a long tongue but always stays under the water. It is green blue and silver. Its about 1ft long. Its really cool!
fumblemental	Putting the word fumble into fundamentalist to make the point that fundamentalists fumble in the act of thinking clearly.
Gaugintuan	referring to huge paintings from Gaugin's immense period
gesplain	to explain somthing as you are gesturing, similar to the

jennimiah	a name a combination of jennifer and jeremiah
Jerd	An athletic nerd-from jock and nerd. Although few exist, they are out there!
liger	a tiger and a lion
linner	a very late lunchdinner+lunch
manfird	a combination of man and fir meaning "man on fire." A Manfird!!!!
Mangina	ng that complements manboobs.
Manimal	Person resembling some type of animal
mediocracy	A democracy in which mediocrity is allowed to dominate.
megagrim	Combines "mega" and "megrim" to mean extremely severe headache on one side of the head.
memotice	A short memorandum that also serves as an official notice of some action or procedure to come.
Meyonne	A weirdo that hits people for a hobby and has interesting ideas about stupid things
moodical	classical moody music for example
Muppet	marrionet and puppet
neb site	A web site that is difficult to navigate. From nebulous web site.
Nintendog	A cute and irresistible puppy, that an owner can raise and train, and carry with them where ever they like.
Noctvomber	New month between October and November.
Nopesyesser	A combination of No and Yes meaning "no" and "yes."
numskate	Combining "numskull" and "skate" to mean an ignorant, untalented poet.

precinct	Precise and succinct at the same time.
precious	mixture of precious and special - an excellent adjective
probabilk	Combines "probable" and "bilk" to mean a likely cheat strategy or idea.
procreparlous	Combines "procreate" and "parlous" to mean creating danger or harm for one's self or others.
raptish	Characterized by religious zealotry, as in "the raptish presumption of miraculous rebirth."
reeferall	a unique combination of marijuana laced with adderall. a solution to many of modern science's eating disorders...
respolicy	A written policy that indicates the responsibilities associated with the use of something.
roshambo	game of rock, paper, scissors
schnoodle	cross between a schnouser and a poodle
scrabbly	a scrabbly, skinny young raccoon
Scungey	Scum dingey - Means disgusting, ugly, drab...e.g. "Her dress is so Scungey"
shangry	This word takes the word shocked and Angry and combines them. ex "I was so shangry right now, how could you do this to me!"
shappy	This word takes the word shocked and happy and combines them. ex "I was so shappy when i found out that my wife and I are expecting our first!"
Shim	A male in the process of becoming female
sillifluous	silly and superfluous
simplicated	simple, but complicated
sinny	to be silly and funny

Taglish	A mixture of Tagalog Filipino and English
Tanaroexic	Someone who just can't stop tanning. They will never miss a good session of Fake n Bake.
Testrogen	A mix between testosterone and estrogen, most commonly found in gays and he-she's like Ari
Threaming	It's a thought crossed with a dream.
thunte	thunder and kite toghther like benjamen franklen so in a thunder storm you go out and fly a kite.
tissed	Another word for being mad tick + pissed
travoramous	a boorish traveler who visits other countries without bothering to learn their language or customs
uglid	one who is ugly and supid at the same time, for example, my brother-in-law.
waberty	The war for the "Liberty". La guerre sous l'ïgide de la Liberty.
Webresentative	A person manning the helpdesk at an internet site
whabambalicious	whabam say it out loud! duh, full of spunky goodness
wikipedia	A wiki encylopedia.
wondermous	A blend of wonderful and enormous
yagoohoogle	search engine combines results from yahoo and google
yumisious	better then yummy like delicious
zail	The process of zipping compressing and emailing a file to someone else.
Subton	information entered in a form.
suicider	Combines "suicide" with "cider" to mean an apple cider so bad that it makes one think of suicide.